PRIME Time
N2 (252) ორშაბათი, 20 იანვარი 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი



# დადგება თუ არა სააკაშვილის პასუხისმგებლობა „ტელეიმედის“ მითვისების გამო



# კახა კალაძე სამთავრობო ცვლილებებზე

ექსკლუზიური ინტერვიუ

„რაც მოხდება, ისედაც ყველა გაიგებს... პერსონებს არ აქვს მნიშვნელობა და არც სკამებს“

# რატომ დაიჭირა ადეიშვილმა საკუთარი უწყების მაღალჩინოსანი? EXCLUSIVE

ირაკლი ამანათიძე: „მე მაშინ დავპირდი ადეიშვილს და დღესაც შემიძლია, გავიმეორო, – მის პროცესზე აუცილებლად გამოვალ და ჩემს წილ ფარდას ავხდი იმ საშინელებებს, რასაც ის სჩადიოდა“...





მანანა კობახიძე: „რომ არ ყოფილიყო ტელეკომპანია „იმედი“, საზოგადოებას გირგვლიანის საქმის შესახებ არც კი ეცოდინებოდა... ამიტომ იბრძოდნენ ყველა გზითა და ხერხით თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ“

EXCLUSIVE



ეკა ბესელია: „პატარკაციშვილების საქმეზე კვალი სააკაშვილთან მიდის“

EXCLUSIVE

ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი მმართველის ექსკლუზიური ინტერვიუ



დავით საყვარელიძე: „შეგნებულად არ ვურეკავ დასის არც ერთ წევრს. არ ვერევი, არ მინდა, რაიმე ფორმით ვფიგურირებდე ამ არეულობაში“

EXCLUSIVE

# SCANDAL

# რა კავშირი აქვს იარაღით უკანონო ვაჭრობასთან ზურაბ ჟვანიას, ადმირალისა და ქართველი ატაშეს სიკვდილს?

EXCLUSIVE



გოდერძი ორმოცაძე: „მთელ ამ ისტორიაში პირველი მსხვერპლი საზღვაო ძალების სარდალი, ზურაბ ირემაძე იყო. მისი გარდაცვალებიდან 5 თვეში იარაღით უკანონო ვაჭრობას ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სიცოცხლეც შეეწირა“



ზურაბ ირემაძე



გია კრიალაშვილი

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოებისხელშეწყობის პროექტი“ 1-ელ თებერვალს დაიწყება და აგვისტოში დასრულდება



შალვა ფიფია: „შარშან იყო გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც ვერ მოხვდნენ პროექტში, ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და მაქსიმალურად ყველა ბენეფიციარი, მიწის მესაკუთრე, ვინც ფლობს 0, 25 მეასედ ჰექტარს, მიიღებს ამ ტიპის დახმარებას“

# რეპორტაჟი მიუსაფართა თავშესაფრიდან EXCLUSIVE



„ღამით, როცა ყველას ეძინა, შემოცვივდნენ, ნათურა ჩაამსხვრიეს და მეცნენ. მცემეს, თავში მუჯლუგუნები მირტყეს, მოიტა, ფული. წამართვეს. გაიქცნენ. არავინ არ მომეშველა“

# „პრაიმტაიმი“ გალიდან



„ეს მუქარა პირველი არ არის... ცუდის მოლოდინში ხალხი დაზაფრულია“

EXCLUSIVE

# რატომ შეირჩა შვეიცარიისა და ისრაელის ლაბორატორიები ზურაბ ჟვანიას ექსჰუმაციის მასალების გამოსაკვლევად? EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## გია ხუხაშვილი: „ფაქტია, რომ ეს საქმე გამოსაძიებე
## ხელმძღვანელობასთან. ვერ წარმომიდგენია, რომ ეს ყვ



**my View**

**ხათუნა მგალობლიშვილი**

**ეს არის სკანდალური ისტორია, რომელიც „იმედისა“ და ხელისუფლების ურთიერთობას ეხება. რა მეთოდები გამოიყენა სააკაშვილის ხელისუფლებამ „იმედის“ დასამორჩილებლად, ვინ იყვნენ ამ პროცესში ჩართული, რა იმალება „იმედის“ დარბევის უკან და რატომ დასთანხმდა ოჯახი დღეს ხელშეკრულების გასაჯაროებას?**

**ყველანაირი დათმობა, რაც წინა ხელისუფლების მხრიდან გაკეთდა, გაკეთდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ „იმედი“ ნაციონალების კონტროლქვეშ ყოფილიყო. ექსპერტები, პოლიტიკოსები და საზოგადოების დიდი ნაწილი ერთხმად თანხმდება, რომ ნაციონალების პირველი მტერი თავისუფალი მედია და მაშინდელი „იმედი“ იყო.**

**დანარჩენი, შედარებით ღრმა დინებები, რომელიც მეტალურგიულ ქარხანას, საწარმოებს, ჩამოწერილ დავალიანებებსა და კიდევ ბევრ სხვა დეტალს ეხება, მეორეხარისხოვანი ხდება. ყველაფერი კეთდებოდა იმიტომ, რომ უკვე გარდაცვლილი პატარკაციშვილის ოჯახს ტელევიზია დაეთმო. ასეც მოხდა. საზოგადოებამ იხილა ბედნიერი სახეებით ხელმოწერილი ხელშეკრულება, თუმცა ისტორია, რომელიც ამ შეთანხმებას უძღოდა წინ, არავინ იცის. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ხელშეკრულების გამოაშკარავების შემდეგ საქმე ასეთივე გამჭვირვალე გახდება და ყველაფერს ფარდა აეხდება...**

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**








# თეა ბურჯალიანი: „რამდენადაც მახსოვს, იქ წერია შემდეგი რამ, რომ პატარკაციშვილების ოჯახს არ აქვს პრეტენზია სახელმწიფოსთან „იმედთან“ დაკავშირებით“

# EXCLUSIVE

– იმ პერიოდის „იმედი“ იყო უაღრესად პრინციპული და მაღალპროფესიული ტელევიზია, რომელიც რეიტინგული თვალსაზრისით უსწრებდა ყველას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდროინდელი „იმედი“ – ეს იყო ხელისუფლების სერიოზული პრობლემა. „იმედისა“ და იმ გუნდის არსებობის შემთხვევაში, რომელიც იმ პერიოდში იქ მუშაობდა, ხელისუფლება ვერ გააკეთებდა იმას, რასაც შემდგომი წლების განმავლობაში აკეთებდა. ანუ მთავარი მტერი იმ წუთში მისთვის იყო „იმედი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმართლე გახლდათ ხელისუფლების მთავარი მტერი. სხვათა შორის, „იმედის“ დარბევიდან დაიწყო ხელისუფლების კრიზისი, რომელმაც პიკს 2012 წელს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ მათ უამრავი მხარდამჭერი ჰყავდათ დასავლეთში, „იმედის“ დარბევა ისეთი შავი ლაქა იყო, რომლის გაუფერულება მათმა მხარდამჭერებმაც ვერ შეძლეს. „იმედის“ დარბევა მთავარი კოზირი იყო ოპოზიციის. რაც შეეხება უშუალოდ ამ ხელშეკრულებას, აქ არის ისეთი იურიდიულ-ფინანსური ნიუანსები, რაზეც ყურადღების გამახვილება არ მსურს, რადგანაც ეს მაინც სპეციალისტების საქმეა. მაგრამ რაც შეეხება პათოსს, ამ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, როგორ ხდებოდა „იმედის“ პატრონებისთვის წართმევა. ძალიან საინტერესოა ხელმოწერები, რადგანაც არ დარჩენილა საქართველოში ძალოვანი უწყება, რომლის წარმომადგენელსაც ხელი არ მოუწერია ამ დოკუმენტისთვის. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რა ტიპის რეჟიმი იყო საქართველოში. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამ ტიპის ქმედების ჩამდენ ხელისუფლებას და მის წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება, გასამართლებელი დოკუმენტებიც კი მოიტანონ ამასთან დაკავშირებით. ისინი უტიფრად ამბობენ, რომ ეს იყო ნორმალური მოვლენა, რადგანაც სახელმწიფოს საფრთხე შეექმნა. თუმცა ვფიქრობ, სიმართლის თქმით, სახელმწიფოს საფრთხე ვერ შეექმნებოდა.

**– გუშინ მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომ ამ თემაზე გამოძიება მიმდინარეობს. ამ დოკუმენტების გასაჯაროების შემდეგ, რამდენადაა შესაძლებელი, ბრალი დაუმძიმდეს გიგი უგულავას, ან „იმედის“ საქმემ უფრო მასშტაბური სახე მიიღოს, რადგანაც დოკუმენტში საუბარია, რომ მასში მთელი რიგი უწყებები იყვნენ ჩართული და დღის წესრიგში დადგეს მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი?**

– უგულავა და სხვა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, ვინც უშუალოდ ჩართული იყვნენ ამ საქმეში, თუ გამოვლენ და იტყვიან, რომ მიხეილ სააკაშვილისგან მიიღეს ეს ბრძანება, ამ შემთხვევაში სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. თუ ეს არ მოხდა, პირდაპირ ვერ დადგება... ამიტომაც ვითხოვთ რეჟიმის გასამართლებას. როდესაც ჩვენ იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით შევაფასებთ რეჟიმის მოქმედებას, ასეთი ქმედებები მოგვცემს საერთო სურათს, რომელიც შეიძლება საერთაშორისო დონეზე წარვადგინოთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დასავლეთს ესმის მხოლოდ ასეთი ტიპის ენა. თუ მოხდება მსოფლიო საზოგადოების ინფორმირება, მთლიანობაში რა ტიპის დანაშაულები ჩაიდინა ამ რეჟიმმა, მსოფლიო საზოგადოება გაიგებს, რომ მოსახლეობამ ასეთი ტიპის შეფასება მისცა რეჟიმს. ეს იქნება ყველაზე გამართლებული. კულუარული ინფორმაცია ხომ ყველას გვაქვს, რომ ეს ყველაფერი სააკაშვილის გარეშე არ მომხდარა. მონოლითური და დაკეტილი გუნდია „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ ენის გატან-გამოტანა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების წესია. ჩვენ ვიცით, იქ რა ტიპის ბრძანება გაიცა, ისიც ვიცით, ვინ იყო წინააღმდეგი და ვინ – მომხრე.

**– შეგვიძლია დღეს ამაზე საუბარი?**

– ვანო მერაბიშვილი, მაგალითად, მოწინააღმდეგეს თამაშობდა, სინამდვილეში ის მომხრე იყო, მაგრამ ფიქსირდებოდა, რომ ის იყო წინააღმდეგი. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა მიხეილ სააკაშვილი და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მიხეილ სააკაშვილმა კი ამ ტიპის გადაწყვეტილება მიიღო. მე მართლა არ ვიცი ამ საკითხზე გიგა ბოკერიას პოზიცია, მაგრამ ეს ადამიანები რომ იყვნენ, ეს ვიცი. ასე რომ, ილუზიის ტყვეობაში ჩვენ არ უნდა ვიყოთ, ყველა ქმედების საქმის კურსში იყო მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საქართველოს გარშემო ხდებოდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საზოგადოებამ არაობიექტურობა რომ არ დამწამოს, 26 მაისის შემთხვევაში ადამიანები დაიღუპნენ. მათი მკვლელობის სანქცია არ გაუცია სააკაშვილს, მაგრამ ამბის ავტორი იყო მიხეილ სააკაშვილი.

მამუკა არეშიძის მსგავსად, იგივე მოსაზრების აფიქსირებს ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე. ის მიიჩნევს, რომ ქვეყნის პირველი პირის გარეშე არც ერთი გადაწყვეტილება არ მიიღებოდა. ბუნებრივია, შუამავალიც გაცილებით ბევრი იქნებოდა და არც ერთნაირ მოსაზრებაზე იდგებოდა ყველა, თუმცა საბოლოო სიტყვას, მით უფრო მედიასთან დაკავშირებით, აუცილებლად პირველი პირი იტყოდა. შესაბამისად, გამორიცხული არ არის, პროკურატურა ძიების პროცესში სწორედ ყოფილ პრეზიდენტამდე მივიდეს...

**ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი:**



– მაშინ როდესაც ხელისუფლებას უჩნდება ლეგიტიმაციის პრობლემა, ის მიმართავს ავტორიტარულ მეთოდებს. რადგანაც ამ მეთოდით ცდილობს ხელისუფლება, არსებობა გაიხანგრძლივოს. ეს არის საცდური, რომელიც განსაკუთრებით მომხიბვლელად იქცა ახალფეხადგმული სახელმწიფოებისთვის. ამის ერთ-ერთი გამოხატულება გახლდათ კონტროლის აღება მედიაზე. რამდენიმე მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო შეტევა და სფერო უნდა დამორჩილებულიყო, რათა ქვეყნის მართვა ავტორიტარული მეთოდებით განხორციელებულიყო. სამი ძირითადი სფერო, რომელიც ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა დაიმორჩილოს, უპირველესად, ეს არის მედია, ბიზნესი და სასამართლო. ზუსტად ეს სქემა ვიხილეთ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. „ტელეიმედი“ და „კავკასია“ ერთგვარი ოაზისი იყო, რომელიც თავისუფალი სიტყვის მოშთობის შედეგად დარჩა. გახსოვთ, ალბათ, პირველ წლებში, ხელისუფლებაში ნაციონალების მოსვლის შემდეგ, რა ტემპით იხურებოდა ტოქშოუები. პოლიტიკური გადაცემებით დაიწყეს და შემდეგ უკვე ტელეკომპანიების დახურვაზე გადავიდნენ. „იმედი“ და „კავკასია“, ამ მხრივ, გამონაკლისი აღმოჩნდა. „კავკასია“, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ თბილისს ფარავდა, არ შეეხნენ. „იმედი“ იყო რეალური ინფორმაციის გამტანი და ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების მაორგანიზებელი. „იმედი“ მათთვის წარმოადგენდა საფრთხეს და 2007 წლის ნოემბრის დღეებში დრო იხელთეს და „ტელეიმედი“, როგორც თავისუფალი სიტყვის მთავარი დასაყრდენი, მოაშთეს. პოლიტიკურ მეცნიერებებში აღიარებულია, რომ ნებისმიერ დიქტატურას დასასრული აქვს. დიაგნოზი იმისა, რომ ეს ხელისუფლება ცუდად დაამთავრებდა, არის სწორედ თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ გალაშქრება. დიდი იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ამ მაგალითს გაითვალისწინებს – თავისუფალ მედიას დატოვებს ღიად და თავისუფლად.

**– რამდენად შესაძლებელია, ამ დოკუმენტაციის საფუძველზე გიგი უგულავას ბრალი დაუმძიმდეს?**

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ალბათ, სისხლის სამართლის სპეციალისტებსაც გაუჭირდებათ. რადგანაც ბოლო წელიწად-ნახევრის მანძილზე ვიხილეთ, რამდენი ხმაურიანი საქმე დასრულდა კრახით.

**– თქვენ ხელისუფლების როლზე საუბრობთ და როგორ ფიქრობთ, შესაძლოა, სააკაშვილს არ სცოდნოდა ეს ამბავი და მის გარეშე მიელო ხელისუფლებას ის გადაწყვეტილება რაც „იმედთან“ დაკავშირებით მიიღო?**

– გამორიცხულია. დიდი ხანია ხელისუფლების რაობას ვსწავლობ. შემიძლია, დასაბუთებულად გითხრათ, რომ მსგავსი რამ კი არა, გაცილებით დაბალი მასშტაბის მოვლენებიც კი პირველი პირის გარეშე არ წყდებოდა, სააკაშვილის დონეზე მიიღებოდა გადაწყვეტილებები.

დღეს ბევრი პოლიტიკოსი აყენებს საკუთარ თავს პატარკაციშვილის ოჯახის ადგილას. ყველას კარგად ესმის, რომ მეთოდები, მუქარები, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან მოდიოდა, რეალური საფრთხის შემცველი იყო. უმრავლესობის წევრის, ანი მიროტაძის განცხადებით, სააკაშვილის ხელისუფლება იმდენად იყო მოწადინებული „იმედის“ საბოლოოდ დასამორჩილებლად, რომ საკუთარი მუქარების შესრულებაზეც კი არ იტყოდა უარს მიზნის მისაღწევად.

**ანი მიროტაძე, უმრავლესობის წარმომადგენელი:**



– ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ რეალურად წინა ხელისუფლებას ხელში ჩაეგდო ტელეკომპანია „იმედი“. ის მზად იყო, „იმედის“ სანაცვლოდ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის გადაეცვალა ნებისმიერი ბიზნესი, აქტივები, გადაეფორმებინა ნებისმიერი სხვა საწარმო და რაც მთავარია, ამას აკეთებდა ისე, რომ არავის სხვას არ ეკითხებოდა. მე, როგორც მედიის ყოფილი წარმომადგენელი, ვიტყვი, რომ ნებისმიერი ამ ტიპის ჩარევა, ნებისმიერი ასეთი ზეწოლა და ქმედება მკაცრად უნდა იყოს დასჯილი. მსგავსი ქმედებები, როგორც წესი, არ არის ხოლმე ერთი კონკრეტული მედიასაშაულების წინააღმდეგ მიმართული. ამით, ზოგადად, საზოგადოებას ერთმევა კონსტიტუციური უფლება, რადგან ველარ ახერხებს ობიექტური ინფორმაციის მიღებას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „იმედის“ საქმე ლოკალური პრობლემაა,



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლია და ეს დანაშაული მიდის მაშინდელ პოლიტიკურ ელაფერი ხდებოდა სააკაშვილის მითითებების გარეშე“

**მამუკა არეშიძე:**

**„უგულავა და სხვა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები, ვინც, უშუალოდ, ჩართული იყვნენ ამ საქმეში, თუ გამოვლენ და იტყვიან, რომ მიხეილ სააკაშვილისგან მიიღეს ეს ბრძანება, ამ შემთხვევაში სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება“**

**ხათუნა ლაგაზიძე:**

**„სამი ძირითადი სფერო, რომელიც ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებამ უნდა დაიმორჩილოს, უპირველესად არის მედია, ბიზნესი და სასამართლო. ზუსტად ეს სქემა ვიხილეთ ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ“**



რომელიც მხოლოდ პატარკაციშვილების ოჯახს შეეხო, ძალიან არასწორად მსჯელობს. თუკი რამე უშლის ხელს ქვეყნის განვითარებას, ეს არის სწორედ ის, რომ ხელისუფლებას უჩნდება ცდუნება, დაამყაროს კონტროლი მედიაზე. ეს კი ძალიან ცუდია ხელისუფლებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

**– ფიქრობთ, რომ მემორანდუმის გაფორმებამდე პატარკაციშვილების ოჯახზე ზეწოლა იყო?**

– რასაკვირველია, იქნებოდა და იყო კიდეც ზეწოლა ოჯახზე. რომელი ნორმალური ადამიანი მოაწერდა ხელს ასეთ ხელშეკრულებას? მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ წინაპირობას, რა ხდებოდა „იმედთან“ დაკავშირებით, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ტიპის ზეწოლა იქნებოდა ოჯახზე. ეჭვიც არ მეპარება, რომ ძალიან მძიმე ვითარება იქნებოდა, სანამ „იმედთან“ ეს ხელშეკრულება გაფორმდებოდა. თუმცა, მე თუ მკითხავთ, მაინც არ დავთანხმდებოდი ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე. შეიძლება ჩემი მხრიდან ძალიან ხმამაღალი განაცხადია, მაგრამ მე „იმედს“ არ დავთმობდი. მე ვიყავი ჟურნალისტი და ზუსტად ვიცი, რას ნიშნავს მედია. ბუნებრივია, ოჯახი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, დარწმუნებული ვარ, იქნებოდა შანტაჟი, ზეწოლა, მუქარაც, დაშინებებიც... ალბათ, ისინი უკან არაფერზე დაიხევდნენ და რეალური შიში იქნებოდა, რომ ნაციონალები საკუთარ მუქარას აუცილებლად შეასრულებდნენ, მაგრამ მე მაინც არ დავიხევდი უკან.

**ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას სადამ ჰუსეინს ადარებს იმ პარალელით, რომ ჰუსეინმა „სიენენს“ ერაყის დედაქალაქის დაბომბვის კადრების გაშვების უფლება დართო, მაშინ როდესაც სააკაშვილი განსხვავებული აზრის არსებობის უფლებასაც კი არ უშვებდა...**

**სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:**



– წინა ხელისუფლებისთვის მედიასივრცის კონტროლი აუცილებელი ფაქტორი იყო საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამის დასამტკიცებლად არაერთი არგუმენტი არსებობს, თუმცა ყველაზე მტრულად ნაციონალების ხელისუფლება სწორედ ბადრი პატარკაციშვილის მიმართ იყო განწყობილი, რომელიც მედიასაშუალებას ფლობდა. ყველაფერი, რაც არ კონტროლდებოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აღქმული იყო, როგორც მტრული სუბიექტი. არანაირი კანონის ფარგლები არ განსაზღვრავდა ხელისუფლების ქმედებას მაშინ. ყველაფერი უსამართლობასა და საკუთარი თავის მართლებაზე იყო დაფუძნებული ნებისმიერი კრიტიკული გამონათქვამის მოსმენისას. ბუნებრივია, ტელეკომპანია „იმედი“ ნაციონალებისთვის ყველაზე მიუღებელი არხი გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილი ღიად შემოვიდა პოლიტიკაში. ყველაფერი კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც გაირკვა, რომ პატარკაციშვილს ჰქონდა ჩანაწერები, თუ რა მანქანები მოძრაობდნენ თბილისიდან ოქროყანისა და კოჯრის მიმართულებით იმ ღამეს, როცა სანდრო გირგვლიანი მოკლეს. ამ თემაზე საჯარო განცხადებების საფრთხე იმდენად ძლიერი იყო მაშინდელი ხელისუფლებისთვის, რომ ისინი ყველანაირ ზღვარს გადავიდნენ. ამას დაემატა 7 ნოემბრის წინა პერიოდი, თავად 7 ნოემბერი და ბოლოს ისიც, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ღიად აკრიტიკებდნენ „იმედის“ ჟურნალისტებს. თვით სადამ ჰუსეინიც კი, რომელიც არ გამოირჩეოდა ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემით, არ უშლიდა „სიენენის“ კორესპონდენტებს, პირდაპირ ეთერში გადაეცათ კადრები, როგორ ბომბავდნენ ამერიკული თვითმფრინავები ერაყის დედაქალაქს. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ კი ისიც ვერ აიტანა, რომ შეიძლებოდა, განსხვავებული აზრი არსებულიყო. სწორედ ამან შეაძრწუნა საქართველოს მოსახლეობა. პატარკაციშვილის დაღუპვის შემდეგ კი ნაციონალებმა, მით უმეტეს, ადვილად გადაწყვიტეს ტელეკომპანიის მთლიანად ხელში ჩაგდება. ვითარება იქამდე მივიდა, რომ ბატონმა ბრაიზამ თეთრი სახლის ფონზე განაცხადა, თუ ტელეკომპანია „იმედის“ სრული ფორმატით აღდგენა არ მოხდებოდა, 2008 წლის 5 იანვარს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს ლეგიტიმურობა არ ექნებოდა. არაფერი სასიკეთო ამ განცხადებას არ მოჰყოლია – არხი მთლიანად გაითიშა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ხელისუფლება, რომელსაც სათავეში ბატონი სააკაშვილი ედგა, თავისი საკმაოდ არადემოკრატიული გარემოცვით, არასოდეს დაუშვებდა ამ ტელეკომპანიის დაბრუნებას პატარკაციშვილის ოჯახისთვის. ეს ასეც მოხდა და მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა არხი მესაკუთრეს, როცა „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალაუფლება გამოეცალა ბიძინა ივანიშვილის წყალობით.

საზოგადოებაში ხელშეკრულების გარშემო კითხვები მაშინვე გაჩნდა. ბუნებრივია, პატარკაციშვილების ოჯახი ამაზე ხმამაღლა არ საუბრობდა. ექსპერტების ნაწილი მაშინვე აცხადებდა, რომ ხელშეკრულებაც ზეწოლის შედეგად იყო დადებული... სწორედ ამიტომ დღევანდელმა პროკურატურამ საქმის გამოძიება თავიდან გადაწყვიტა. ახალი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ პატარკაციშვილების ოჯახი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, როგორ ატერორებდა სააკაშვილის ხელისუფლება ბიზნესს და ბიზნესმენებს მთელი 9 წლის განმავლობაში. მით უფრო, თუ საკითხი მედიასა და მის კონტროლს ეხებოდა.

**თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:**



– ჩვენი ხელისუფლება გმობს იმ მიდგომას, რომელიც წინა ხელისუფლებამ ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესისა და პიროვნულად მის წინააღმდეგ აწარმოა. ვთვლით, რომ ეს იყო ბიზნესზე სამაგალითო ზეწოლა, რომელიც განხორციელდა და რეალურად ეს იყო ის მოდელი, რომლითაც ებრძოდა ყოფილი ხელისუფლება ბიზნესს. ძალიან ბევრ ქართველს გაუძლო ოჯახმა და მინდა განსაკუთრებით დიდი პატივისცემა გამოვხატო ბადრი პატარკაციშვილის დედის მიმართ, რომელმაც ყველაფერი ეს მასთან ერთად გამოიარა. ეს ამტკიცებს იმას, რომ წინა ხელისუფლების პირობებში საქართველოში სასამართლო დამოუკიდებელი რომ ყოფილიყო, არც ბიზნესი და არც ერთი მოქალაქე არ გახდებოდა იმ ტერორის მსხვერპლი, რომლის მსხვერპლიც 9 წლის განმავლობაში იყო ქართველი საზოგადოება.

ექსპერტების ნაწილი ხელშეკრულების გასაჯაროებამდე ფლობდა ინფორმაციას, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი შინაარსი, რადგან ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებდა „იმედის“ ხელში ჩასაგდებად, სწორედ ამიტომ ექსპერტი ვარაუდობს, რომ საქმის ძიების პროცესში დაკითხვის აუცილებლობა ბევრად მაღალი რანგის ჩინოვნიკებამდე ავა, ვიდრე ეს თეა ბურჯალიანის თანამდებობაა...

**გია ხუხაშვილი, ექსპერტი:**



– ეს არის დანაშაული, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა პატარკაციშვილების ოჯახის მისამართით. ეს დანაშაული არ დაწყებულა მემორანდუმის დადებით. ის სათავეს იღებს 2007 წლიდან, როდესაც ხელისუფლების მონაწილეობით მოხდა ოჯახის გაძარცვა. დრამატულ მოვლენებს აღარ გავიხსენებ, რასაც ბოლოს ბადრის გარდაცვალება მოჰყვა. თუმცა ფაქტია, ბადრის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ოჯახის „გაწეწვა“. ფაქტობრივად, მათ წაართვეს ყველა აქტივი. უპირველეს ყოვლისა, წაართვეს ტელეკომპანია „იმედი“ და ეს ყველაფერი გრძელდებოდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილების ოჯახმა ლონდონის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, ხელისუფლება შეეცადა, აქედანაც გამომძვრალიყო და ისევ ზეწოლით სცადა საკითხის მოგვარება. ამ დროს ძალიან სპეციფიკური მეთოდებიც იყო გამოყენებული: დაშინება, მუქარა და ასე შემდეგ. ოჯახი აიძულეს, დაეთმო „იმედი“ იმ პირობით, რომ დანარჩენი ქონების ნაწილს დაუბრუნებდნენ. ასეთ ტერორს წინა ხელისუფლება ყოველ ნაბიჯზე მიმართავდა, თუმცა ეს არის ყველაზე მსხვილი მაგალითი. არსებული მემორანდუმი გახლავთ დოკუმენტური დადასტურება ამ დანაშაულისა. ფაქტია, რომ ეს საქმე გამოსაძიებელია და ეს დანაშაული მიდის მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. ვერ წარმომიდგენია, რომ ეს ყველაფერი სააკაშვილის მითითებების გარეშე ხდებოდა. კონკრეტულად ვისი დანაშაულებრივი წილი როგორია ამ საქმეში, ეს ცალკე საკითხია. იყო სურვილი, რომ მემორანდუმი შეფასებულიყო პატარკაციშვილების ოჯახსა და ხელისუფლებას შორის შემდგარ გარიგებად, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. პატარკაციშვილის ოჯახი ამ შემთხვევაში გახლავთ დაზარალებული მხარე.

**– თუმცა სწორედ ამ ხელშეკრულების ფონზე ჩამოეწერათ დავალიანებები, რომელიც საკმაოდ სოლიდურ თანხებს შეადგენდა...**

– ეს ვალებიც ხელოვნურად იყო შექმნილი. ხელისუფლება კონკრეტული გეგმითა და მეთოდებით მოქმედებდა. ეს საკმაოდ დიდი საქმეა და კარგად გამოსაძიებელიც არის. დაწყებული ფინანსური პოლიციით, პროკურატურით, სპეცსამსახურებით – ყველა ჩართული ჰყავდა ხელისუფლებას პატარკაციშვილისთვის ქონების ჩამორთმევის პროცესში. ცალკე გამოძიების საკითხია, როგორ იქმნებოდა ვალები ხელოვნურად. მაშინდელი ხელისუფლება ყველა მეთოდს იყენებდა იმისთვის, რომ მთელი ოჯახი გაენადგურებინა. შემდეგ, როცა უკვე ყველაფერს აკონტროლებდნენ და მიხვდნენ, რომ ლონდონში შეიძლებოდა დიდი სკანდალი ამტყდარიყო, დაზარალებულის ოჯახს ისევ ზეწოლის მეშვეობით დაადებინეს მემორანდუმი.

**– ანუ ოჯახს სხვა გზა არ დაუტოვეს?**

– ოჯახს, სამწუხაროდ, სხვა გზა არ დაუტოვეს. თუ ჩვენ ამ საკითხს მორალური თვალსაზრისით შევხედავთ, ალბათ, ოჯახს არც ამ შემთხვევაში არ უნდა მოეწერა ხელი. მაგრამ, მოგეხსენებათ, პატარკაციშვილების ოჯახი არის მრავალრიცხოვანი, ამ ოჯახის ბევრი წევრი საქართველოში ცხოვრობდა და ხელისუფლებას შეეძლო, სპეციფიკურ მეთოდებზე გადასულიყო.

**– რას გულისხმობთ?**

– კონკრეტული დევნა განეხორციელებინა ოჯახის კონკრეტული წევრების მიმართ. ამ შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული, მათი ფიზიკური უსაფრთხოება დამდგარიყო საფრთხის ქვეშ. სამწუხაროდ, სწორედ ის ადამიანები, რომლებიც, ხელისუფლებასთან ერთად, პატარკაციშვილის ოჯახის გაძარცვის ოპერაციაში მონაწილეობდნენ, მოგვიანებით ცდილობდნენ, დღევანდელი ხელისუფლება შეეყვანათ შეცდომაში და იძულებით დადებული მემორანდუმი გაესაღებინათ, როგორც გარიგება. ეს საქციელი მათი მხრიდან ძალიან დიდი ცინიზმი იყო. საბედნიეროდ, ხელისუფლება კარგად გაერკვა მთელ ამ ისტორიაში და ვფიქრობ, ყველაფერი სწორადაც მიდის.

**– შეიძლება ვთქვათ, რომ ბურჯალიანი არ იქნება ერთადერთი, ვისაც დაკითხვაზე მისვლა მოუწევს?**

– რა თქმა უნდა, ბურჯალიანს ვინ რას ეკითხებოდა, ის უბრალო შემსრულებელი იყო, რომელსაც მხოლოდ ამ ამბის შეფუთვა ევალებოდა. ბუნებრივია, ეს იყო პოლიტიკური დირექტივა, რომელიც ზემოდან მოდიოდა. ჩვენ ვიცით, რომ გიგი უგულავა იყო ერთ-ერთი აქტიური მომლაპარაკებელი მთელ ამ პროცესში, ასევე, ვანო მერაბიშვილიც. ჩვენ კადრებიც გვახსოვს, როგორ აწარმოებდნენ ეს ადამიანები ბადრისთან მოლაპარაკებებს, როგორ ემუქრებოდნენ. სხვათა შორის, ეს ვიდეოჩანაწერები დღესაც არსებობს. ეს არის ძალიან დიდი, დრამატიზმით აღსავსე ისტორია.

ვინ შეიძლება დაიბარონ დაკითხვაზე საქმის ძიების პროცესში? ამაზე არც თავად ოჯახის ადვოკატი არ საუბრობს. კითხვები, რომელთა სიაც ბევრად გაიზარდა, ჯერჯერობით პასუხგაუცემელია. ლაშა ბირკაიას განცხადებით, დაღუპული ბიზნესმენის ოჯახს, ხელშეკრულების გაფორმების გარდა, სხვა გზა, პრინციპში, არც ჰქონდა. მისივე განცხადებით, ყოფილი ხელისუფლება ბოლომდე ტყუოდა, როდესაც აცხადებდა, ხელშეკრულების პირობები ბოლომდე შესრულებულიაო...

თავის მხრივ, ყოფილი ხელისუფლების ერთადერთი ოფიციალური მოპასუხე, თეა ბურჯალიანი ღიად აფიქსირებს, რომ ის სამივე შეხვედრას პირადად დაესწრო და ნებისმიერი სახის ზეწოლას პატარკაციშვილების ოჯახზე კატეგორიულად გამორიცხავს. იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე ინტერნეტით გავრცელებულ განცხადებაში ადასტურებს რომ ოჯახს „იმედთან“ დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ ჰქონია... თუმცა, როდესაც პატარკაციშვილების ოჯახის ბიზნესტერორზეა საუბარი, მთავარი აქცენტი სწორედ ტელეკომპანია „იმედსა“ და მის იძულებით ჩამორთმევაზე კეთდება.

**თეა ბურჯალიანი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე:**

– პირადად მე ვმონაწილეობდი სამ შეხვედრაში, რომლებიც ლონდონში გაიმართა. ყველა შეხვედრა ლონდონში იმართებოდა. მე არ მაქვს ინფორმაცია, რომ სხვა შეხვედრები იყო. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უცხოელი ადვოკატები, საერთაშორისო იურიდიული კომპანია, რომელიც ქართულ მხარეს წარმოადგენდა, და ასევე, პატარკაციშვილების ოჯახი, რომელსაც შეხვედრებზე ლონდონში არსებული საერთაშორისო კომპანია წარმოადგენდა. შეხვედრები ეხებოდა კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებს, მოგვარების პირობებს და ამ შეხვედრების შედეგი იყო ხელშეკრულების ხელმოწერა. რაც შეეხება ხელშეკრულებას, ის შედგენილ იქნა პატარკაციშვილების ოჯახისა და ქართული მხარის წარმომადგენელი საერთაშორისო კომპანიის ადვოკატების მიერ. რა თქმა უნდა, ქართული სახელმწიფოს წარმომადგენლები ჩართულები ვიყავით მთელ ამ პროცესში. რაიმე ტიპის ზეწოლა ასეთ შეხვედრებზე წარმოუდგენელი გახლდათ. სარჩელი, რომელიც შეტანილი იყო ლონდონის არბიტრაჟში, ორი ნაწილისგან შედგებოდა. ნაწილი ეხებოდა ტელეკომპანია „იმედს“ და ნაწილი – მთაწმინდის პარკს. შესაბამისად, თუ მორიგება შედგებოდა მეორე მხარესთან, ეს ავტომატურად ნიშნავდა „იმედზე“ მორიგებასაც. ჩვენი სახელმწიფოს პოზიცია დავის პროცესში იყო ის, რომ სახელმწიფოს არანაირი კავშირი არ ჰქონდა ტელეკომპანიის მეპატრონეებთან და ტელეკომპანიის საკუთრების საკითხთან. როდესაც მოგვარების აქტს მოეწერა ხელი, რამდენადაც მახსოვს, იქ წერია შემდეგი რამ, რომ პატარკაციშვილების ოჯახს არ აქვს პრეტენზია სახელმწიფოსთან „იმედთან“ დაკავშირებით. მოლაპარაკებების დროს ძალიან ბევრ დეტალზე მიდიოდა საუბარი. თავისთავად, მე თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ მოლაპარაკებების დროს არ მახსოვს კამათი „იმედის“ თემასთან დაკავშირებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კავშირი აქვს იარაღით უ
# ჟვანიას, ადმირალის და ქა

მარიამ ნადირაძე

დავით კეზერაშვილზე ატეხილი სკანდალი პიკს აღწევს. „ნაციონალური მოძრაობა“ ველარ უარყოფს პრესაში გამოქვეყნებული წერილების ავთენტურობას.

პროკურატურამაც უკვე დაიწყო გამოძიება... კვლევის საგანია: როგორ გახდა მანამდე საჯარო მოხელე დავით კეზერაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამფინანსებელი, რის გამოც ყოფილი პრეზიდენტი ოფიციალური წერილითაც შუამდგომლობს მას ფრანგულ მხარესთან, რათა არ მოხდეს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ექსტრადირება საქართველოში და რაც მთავარია, როგორ დაილექა ოფშორში დარეგისტრირებულ მის ანგარიშებზე მილიარდი...

თანხების წარმომავლობის კვლევა–ძიებამ არასაგამოძიებო ორგანოები, პრესა და ექსპერტები იარაღით უკანონო ვაჭრობასთან მის შესაძლო კავშირებამდე მიიყვანა.

თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი: თუ აქამდე ირაკლი კაკაბაძე და სხვა ინფორმირებული პირები იარაღით მოვაჭრეთა საქმიანობას ზურაბ ჟვანიას მკვლელობას უკავშირებდნენ, როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, ის შესაძლოა, სულაც არ იყოს ერთადერთი მსხვერპლი.

სამხედრო ექსპერტების ჯგუფი, რომელიც საქართველოში უკრაინული იარაღის შემოტანისა და შემდეგ მისი სხვა, მესამე ქვეყნებში გადაყიდვის საქმეებს იკვლევს, ერთ მეტად სერიოზულ კვალზე დადგა. ისინი მიიჩნევენ, რომ პრემიერის გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე მოკლეს საზღვაო ძალების სარდალი, ზურაბ ირემაძე, რომლის გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიად გულის ინფარქტი გამოცხადდა.

მაშ ასე, რას შეეწირა ადმირალი ირემაძე? რა საიდუმლო მასალები გადამალა საგამოძიებო ჯგუფმა და რა კავშირში არიან ამ ყველაფერთან მიხეილ სააკაშვილი და თემურ ალასანია?



**„ე.წ. ყაჩაღები ოჯახში ეძებდნენ მასალებს, რაც ზურაბ ირემაძეს შეიძლებოდა ჰქონოდა. წარმოგიდგენიათ, წაღებულია სწორედ ის კალამი, რითაც ის დოკუმენტებს აწერდა ხელს და სხვა კალმები ხელუხლებელია. წაღებულია მისი ჩანაწერების წიგნი“**

**„მისგან შევიტყვე, რომ სწორედ მისი თხოვნით ჰოსპიტალის მაშინდელმა უფროსმა, შალამბერიძემ გარდაცვლილს აუღო ანალიზი და ადმირალის სისხლში დარიშხანი აღმოჩნდა. ასე რომ, მას ინფარქტი კი არ ჰქონდა, ის მოწამლეს“**



– დიდხანს აწვალებდნენ. რამდენჯერმე დააყაჩაღეს კიდეც. სიცოცხლეში ზურაბ ირემაძეს 5 იარაღი ჰქონდა გაფორმებული. ყველა გამქრალია. რამდენიმე ადამიანი გამოჩნდა, ვისთანაც ვნახეთ მისი კუთვნილი იარაღი. იჩემებენ, ადმირალმა გვაჩუქაო, მაგრამ ამის საქმის კურსში ოჯახი არ არის. თანაც საინტერესოა, როგორ ჩუქნიდა იარაღს უპასპორტოდ. ყველას პასპორტი ამჟამად ჩვენ გვაქვს.

**– ეჭვი გაქვთ, რომ ეს იარაღი ამ ინსცენირებული ყაჩაღობების დროს გაქრა?**

– რა თქმა უნდა. მეტიც, ეს ე.წ. ყაჩაღები ოჯახში ეძებდნენ მასალებს, რაც ზურაბ ირემაძეს შეიძლებოდა ჰქონოდა. წარმოგიდგენიათ, წაღებულია სწორედ ის კალამი, რითაც ის დოკუმენტებს აწერდა ხელს და სხვა კალმები ხელუხლებელია. წაღებულია მისი ჩანაწერების წიგნი.

**– რა მასალებს ეძებდნენ?**

– დისკებს, რუკებსა და სხვადასხვა დოკუმენტებს. ის, რასაც ისინი ეძებდნენ, ახლა მე მაქვს ერთ-ერთ ოჯახში მიბარებული. როდესაც ეს მასალები სრულად გაიშიფრება, შესაძლოა, ყვ-



**„სიცოცხლეში ზურაბ ირემაძეს 5 იარაღი ჰქონდა გაფორმებული. ყველა გამქრალია. რამდენიმე ადამიანი გამოჩნდა, ვისთანაც ვნახეთ მისი კუთვნილი იარაღი. იჩემებენ, ადმირალმა გვაჩუქაო“**

ზურა ირემაძე

**გოდერძი ორმოცაძე, გადამდგარი მაიორი:**

– მოგეხსენებათ, რომ თემურ ალასანიამ და მისმა თანამზრახველებმა იარაღით ვაჭრობა საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააჩაღეს. მაშინ საზღვაო ძალების სარდალი ზურაბ ირემაძე გახლდათ. 2004 წლის 13 სექტემბერს ის საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. თუმცა ოფიციალურად გარდაცვალების მიზეზად გულის დაავადება გამოაცხადეს. მოგვიანებით, როდესაც ოჯახს შევხვდი, ეჭვი გამიძლიერდა. მეტიც, ვესაუბრე ადმირალის მოადგილეს, ვიქტორ ჭელიძეს, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაუსწრებლად 20 წელი შეუფარდა. ის ამჟამად ბულგარეთში იმყოფება. მისგან შევიტყვე, რომ სწორედ მისი თხოვნით ჰოსპიტალის მაშინდელმა უფროსმა, შალამბერიძემ გარდაცვლილს აუღო ანალიზი და ადმირალის სისხლში დარიშხანი აღმოჩნდა. ასე რომ, მას ინფარქტი კი არ ჰქონდა, ის მოწამლეს.

**– ამის დამადასტურებელი მასალები ბუნებაში არსებობს?**

– ეს მასალები ჩვენ გვაქვს.

**– ოფიციალური ექსპერტიზის დასკვნაში საწამლავის კვალი არ ჩანს?**

– მას ექსპერტიზა არ ჩატარებია. ვინ ჩაუტარებდა ექსპერტიზას, როცა ადმირალის სიკვდილი თვითონ ხელისუფლების დამსახურება იყო. უფრო მეტიც, მისი გარდაცვალებიდან 20 დღეში მოკლეს მისი სიძეც, შვილის ქმარი. ის გემ „დიოსკურიას“ კაპიტანი იყო. როდესაც ადმირალი გარდაიცვალა, ეს ბიჭი ამბობდა, მალე მეც მომკლავენო. ზუსტად 20 დღეში ის ბათუში გამოიძახეს. მან გამოიყვანა ნაწილიდან ზურა ირემაძის კუთვნილი „ბეემვე“. მისი გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად ავარიაა დასახელებული. იმ დროს, როდესაც არც მანქანას სჭირს რამე და არც თავად გარდაცვლილს არ აქვს არც ერთი მოტეხილობა. მის მანქანაში იჯდა ქალი, რომელიც საეჭვოდ ფიგურირებს ზურა ირემაძის გარდაცვალების საქმეშიც. ამ ე.წ. ავარიის დროს ეს ქალი, რატომღაც, საღ-სალამათი გადარჩა.

**– მასთან არ გისაუბრიათ?**

– ის გამქრალია. საქართველოში აღარ არის.

**– რატომ უნდა დასჭირვებოდა ხელისუფლებას საზღვაო ძალების სარდლის თავიდან მოცილება?**

– როდესაც 2004 წელს აჭარის კრიზისი იყო, გახსოვთ, ალბათ, რომ ასლან აბაშიძესთან ბათუმში რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები ჩამოდიოდნენ მოლაპარაკებაზე. მაშინ ზურაბ ირემაძეს უბრძანეს, რომ უნდა ჩაეძირა გემი, რომლითაც ლუჟკოვი შემოდიოდა. მან ეს ბრძანება არ შეასრულა. ამის დამადასტურებელი მასალებიც მაქვს. მოგვიანებით სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან ირემაძემ დააკავა რამდენიმე გემი, რომელსაც უკანონო იარაღი გადაჰქონდა, უკრაინიდან გამოგზავნილი. სწორედ ამის გამო მოხდა განხეთქილება სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიას შორის. ზურაბ ჟვანია ადმირალს კარგად იცნობდა. მისი ახლობელი იყო. მეტიც, ზურაბ ჟვანიამ პოზიციები არ დათმო და მოაწერა ხელი ზურაბ ირემაძის გენერალური შტაბის უფროსად დანიშვნაზე. ეს დოკუმენტი არქივში ახლაც ინახება. ის ამ მოვალეობას 2004 წლის 12 სექტემბრიდან უნდა შედგომოდა. 13 სექტემბერს კი გარდაიცვალა.

**– რამდენადაც ვიცი, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მიმართ შანტაჟი და მუქარა ხორციელდებოდა.**



გია კრიალაშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კანონო ვაჭრობასთან ზურაბ რთველი ატაშეს სიკვდილს?



# EXCLUSIVE

# რატომ აცილებდნენ რუსული გემები საქართველოში უკრაინიდან შემოსულ შეიარაღებას?

2008 წლის ომის დროს. ის დანაკარგად დაფიქსირდა... დასაწყისში კი იყო მარტივი სქემა: ემბარგოდადებულ ქვეყნებში მუხლუხოვანი ტექნიკა უნდა გადაადგილებულიყო ზღვით, ხოლო სხვა შეიარაღება და მასალა – ჰაერით. ამისთვის, ბუნებრივია, სჭირდებოდათ აეროპორტი. აეროპორტის ხელში ჩაგდებას ჯერ ზურაბ ჟვანიას სიცოცხლე შეეწირა, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა პირდაპირი წესით მის გაყიდვას. სწორედ მისი გარდაცვალებიდან 2 თვეში დაეპატრონა ეს ჯგუფი ამ ობიექტს. კეზერაშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ ფინანსური პოლიციის შეფი იყო, მოახერხა, რომ ხელში ჩაეგდო ტერმინალები და ამ ჯგუფის კონტროლისთვის დაექვემდებარებინა. რაკი კეზერაშვილმა ნდობა მოიპოვა ამ პროცესებში, იმიტომაც გადმოიყვანეს თავდაცვის მინისტრად და ყველაზე მსხვილი შესყიდვები სწორედ მისი მინისტრობის დროს ხორციელდებოდა. ასე გაიხსნეს გზა ჰაერიდან. ამ დროს პორტებზეც ჰქონდათ უკვე კონტროლი დამყარებული, რადგან თავიდან ჰყავდათ მოცილებული ზურაბ ირემაძე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ასეთ ოპერაციებს. მის კომპეტენციაში შედიოდა ყველა ასეთი გემის მიღებაზე კონტროლი. ის საზღვაო ძალების სარდალი იყო და როცა საქართველო ზღვით მიიღებდა სამხედრო შეიარაღებას, მას უნდა მიეღო, მას უნდა გაეკონტროლებინა. ზურასთვის ცნობილი იყო ეს ინფორმაცია და პროტესტს გამოთქვამდა ამაზე, ისევე როგორც გია კრიალაშვილი, რომელიც თავის დროზე უკრაინაში იყო ჩვენი ატაშე. გამოძიებას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, აქამდე მივყავართ: სწორედ ეს სამი მსხვერპლი იკვეთება – ზურაბ ჟვანია, ზურაბ ირემაძე და გია კრიალაშვილი.

ელაფერს ბოლომდე მოფინოს ნათელი.

**– რა შინაარსს ატარებს ეს მასალა?**

– ეს არის საიდუმლო რუკა და ყველა მცურავი საშუალების აღრიცხვის მასალები, რაც იმ აკვატორიაში გამოჩნდებოდა. ეს მასალები მოიცავს სრულ ინფორმაციას, რა ტვირთი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ამ მცურავ საშუალებებს, ვის ეკუთვნოდა და ა.შ. ასე რომ, მთელ ამ ისტორიაში პირველი მსხვერპლი საზღვაო ძალების სარდალი, ზურაბ ირემაძე იყო. მისი გარდაცვალებიდან 5 თვეში იარაღით უკანონო ვაჭრობას ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სიცოცხლეც შეეწირა.

ამ თემას „პრაიმტაიმი“ მომავალშიც გააგრძელებს... მანამდე კი, უფრო მეტი სიზუსტისთვის, ისევ იარაღით ვაჭრობის თემას შევეხებით.

**სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა „პრაიმტაიმს“ ფოტო წარმოუდგინა, რომელზეც ირწმუნება, რომ სირიის ერთ-ერთ პოლიგონზეა გადაღებული მობილური ტელეფონით:**

– ეს საჰაერო თავდაცვის სისტემების – „ბუკისა“ და „ეს-200“-ის ფოტოებია. სურათი გადაღებულია 2007 წელს, სირიის ერთ-ერთ პოლიგონზე. სირიაში კი ეს სისტემები კეზერაშვილის მიერ ჩატარებული ოპერაციით მოხვდა. ეს შეიარაღება გაიტანეს ფოთის პორტიდან. ამ დროისთვის ჯგუფს, რომელიც ამ ბიზნესით იყო დაკავებული, ფოთის პორტზე კონტროლი ჰქონდა აღებული, რადგან საზღვაო ძალების სარდალი, ზურა ირემაძე უკვე ჩამოცილებული ჰყავდათ გზიდან. იარაღის ბიზნესზე გამოძიებამ მიგვიყვანა ზურაბ ჟვანიას, ზურაბ ირემაძისა და გია კრიალაშვილის მკვლელობასთან... ზურაბ ირემაძის საქმეში ფიგურირებს ზაზა მჭედლიძე, კუდ-ის თანამშრომელი, რომელიც სერგო თეთრაძის საქმეშიც ფიგურირებს. სწორედ მან გამოიყვანა თეთრაძე სახლიდან.

**– მოდით, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ. თქვენ საქართველოში იარაღით უკანონო ვაჭრობაზე საუბრობთ. კეზერაშვილის ფრანგი ადვოკატები კი აღშფოთებას გამოთქვამენ და უარყოფენ ვერსიას, რომ ის საფრანგეთში თითქოს ამ ბრალდებით არის დაკავებული...**

– კეზერაშვილი ფრანგულ ჟანდარმერიას არ დაუჭერია. ის ამერიკელებმა დააპატიმრეს საფრანგეთში. ამ საქმეში სალომე ზურაბიშვილიც იყო ჩართული. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ჩვენ მივწერეთ ყველაფერი ამერიკის საელჩოს, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა მანამდე, რა ოპერაციებს აწარმოებდა ეს ჯგუფი. ამას ვერც ვერასდროს გაიგებდნენ, რადგან 2008 წელს, 15 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროში დაიწერა აქტები და მთელი ეს შეიარაღება და ტექნიკა, რომელიც ემბარგოდადებულ ქვეყნებზე იყიდებოდა, ამ აქტებით საბრძოლო დანაკარგად გაფორმდა. როგორც კი პირველი დოკუმენტი ჩამივარდა ხელში უკრაინიდან, ყველაფერი გაიშიფრა. უკვე მოგვეცა შედარების საშუალება: რა ტიპის შეიარაღება და ტექნიკა იყო შემოტანილი და რეალურად რა გამოვიყენეთ საომარი მოქმედებების დროს.

**– თქვენი გამოძიებული მასალებით, კონკრეტულად როდის დაიწყო ეს უკანონო ოპერაციები იარაღით ვაჭრობის სფეროში?**

– სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე შეიარაღების შესყიდვა ხდებოდა ჩეხოსლოვაკიიდან. შემდეგ კი თვითონ თემურ ალასანიამ ჩაიგდო ხელში ეს ბერკეტები. სეიშელის კუნძულებზე გახსნა ფირმა „ბელ თრეინგი“...

აქ ვწყვეტთ ინტერვიუს ტრისტან წითელაშვილთან, ვინაიდან ის გვიამბობს იმ სქემის შესახებ, რომლის თაობაზეც დაახლოებით 3 თვის წინ უამბო „პრაიმტაიმს“ და ეს ინფორმაციები უკანასკნელ ხანს არაერთხელ გაჟღერდა ქართულ პრესაში. ხოლო მათ, ვინც, ამის მიუხედავად, კიდევ არ არის ინფორმირებული, მოკლედ ვუამბობთ მონათხრობის ფაბულას:

„გამოინახა ახალი ხაზი – უკრაინის. თავდაცვის სამინისტრო აფორმებს ხელშეკრულებას თემურ ალასანიას ფირმასთან, ის კი, თავის მხრივ – უკრაინულ „უკსპეცექსპორტთან“. ეს ფირმა, თავის მხრივ, რუსული „როსვაარუჟენიის“ შვილობილია. მისი ხელმძღვანელი, სერგეი ბონდარჩუკი გახლავთ რუსული სპეცსამსახურების ოფიცერი. თემურ ალასანიას კავშირების შესახებ რუსულ სპეცსამსახურებთან ისედაც ცნობილია. ის „ფეესბეს“ გენერალია. „უკსპეცექსპორტის“ ტვირთის გადმოზიდვა საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდებოდა რუსული გემებით. თავად დაფიქრდით, რატომ მოემსახურებოდა რუსეთი გემებითა და რესურსით საქართველოს ტექნიკის შემოტანაზე, როდესაც ისედაც ასეთი გამწვავებული ურთიერთობა იყო ოფიციალურად გამოცხადებული ამ ორ ქვეყანას შორის? თუ იქვე იყო ჩადებულ სულ „სხვა ინტერესები“? საქართველოში შეიქმნა რუსული გადამზიდავი კომპანიის შვილობილი ფირმები. ერთის ხელმძღვანელი გვარად მერაბიშვილია, მეორესი – ფოჩხუა. ერიკ გუდისის კავშირები რუსულ სპეცსამსახურებთან ისედაც ცნობილია: მამამისი იყო რუსული ჯარების ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო შესყიდვების უფროსი. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილმა გადაიბარა მამის კავშირები და საქმეები. ასე რომ, პროცესებს მართავდა რუსეთი. ამ დროისთვის უკვე შესაძლებელი იყო, რომ გაეროს შემოტანილი იარაღის ინსპექტირება დაეწყო. შესაბამისად, რაღაც მაქინაციებით ის უნდა „გაპრავებულიყო“ და „გაპრავდა“ კიდეც



ტრისტან წითელაშვილი

**„მას ექსპერტიზა არ ჩატარებია. ვინ ჩაუტარებდა ექსპერტიზას, როცა ადმირალის სიკვდილი თვითონ ხელისუფლების დამსახურება იყო. უფრო მეტიც, მისი გარდაცვალებიდან 20 დღეში მოკლეს მისი სიძეც, შვილის ქმარი. ის გემ „დიოსკურიას“ კაპიტანი იყო. როდესაც ადმირალი გარდაიცვალა, ეს ბიჭი ამბოხდა, მალე მეც მომკლავენო. ზუსტად 20 დღეში ის ბათუში გამოიძახეს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა პრობლემები ექმნებათ უცხოელ ტურისტებს ღამის თბილისში?




## კლუბში მომხდარი ინციდენტით გამოძიება უკვე დაინტერესდა



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ირღვევა თუ არა საქართველოში უცხოელი ტურისტების უფლებები? ეს კითხვა განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა დაიწყეს გამოძიება თავდასხმის რამდენიმე ფაქტთან დაკავშირებით. საგამოძიებო ორგანოების შესწავლის საგანი გახდა თბილისის ერთ-ერთ ღამის კლუბში მომხდარი შემთხვევა, რა დროსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ საქართველოში სასწავლებლად ჩამოსულ ინდოელ სტუდენტებს. მათ დასახმარებლად უფლებადამცველებს მიმართეს, საჩივარი შეიტანეს პოლიციაშიც, სადაც მომხდართან დაკავშირებით უკვე დაიწყო გამოძიება. სანამ დეტალურად გაგაცნობთ, რა მოხდა ღამის კლუბში, შეგახსენებთ კიდევ ერთ ფაქტს, რომელსაც იგბუს მეფე საგანგებო განცხადებითაც კი გამოეხმაურა და საქართველოს ხელისუფლებას ნიგერიელების დაცვა სთხოვა. ამჯერად, საუბარია პეკინის ქუჩაზე, 9 იანვრის ღამეს მომხდარ თავდასხმაზე, რა დროსაც ნიგერიის მოქალაქეს ფიზიკურად გაუსწორდნენ და გაძარცვეს. დაზარალებული რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, რომელსაც ქალა ტვინის ღია ტრავმა და ქალა ფუძის მოტეხილობა დაუდგინდა.**

ახლა კი, რაც შეეხება გასულ კვირას მომხდარ შემთხვევას. ამ საქმის დეტალებზე ჩვენ „მომხმარებელთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს, გია ბურჯანაძეს ვესაუბრეთ, რომელსაც დაზარალებულებმა დახმარებისთვის მიმართეს.

**გია ბურჯანაძე:**

– უცხოეთის მოქალაქეები თბილისში მდებარე გასართობ დაწესებულებებსა და ღამის კლუბებში აწყდებიან საკმაოდ დიდ პრობლემას. ფიზიკურ შეხლა-შემოხლას რომ თავი დავანებოთ, აქ საუბარია იმაზე, რომ სტანდარტული მენიუ მათთვის გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე ჩვეულებრივი ქართველი მომხმარებლისთვის. გაგიკვირდებათ და ღამის კლუბში თუ ერთი ჭიქა შამპანური 30 ლარი ღირს, ტურისტებს კოლოსალურ თანხებს აწერენ. მაგალითად, ერთ შემთხვევაში გამოუწერეს 2000 ლარი. ამის ნათელი მაგალითია ის ღამის კლუბიც, სადაც ზემოხსენებული შემთხვევა მოხდა. საუბარია „მიქს თბილისზე“, რომელსაც ოთხი ინდოელი სტუდენტი გართობის მიზნით სტუმრობდა. მოითხოვეს არაყი, თუმცა მოუტანეს ორი ჭიქა შამპანური. როდესაც ანგარიში, მოუტანეს, გაირკვა, რომ ერთი ჭიქის ღირებულებად მითითებული იყო 1980 ლარი. ამ ადამიანებს ჯიბეზე მხოლოდ 400 ლარი ჰქონდათ. ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ასეთი კოლოსალური თანხის გადახდას მოგვთხოვდნენო. საერთო ჯამში, მოსთხოვს 6000 ლარის, უფრო ზუსტად 5820 ლარის გადახდა, რამაც, ბუნებრივია, მათი განცვიფრება გამოიწვია. ამ რეაქციაზე დაცვის თანამშრომელს რიგრიგობით გაჰყავს ისინი ქვედა სართულზე და ფიზიკურად უსწორდება. სამ მათგანს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ერთი კი სრული თანხის მოსატანად გაუშვეს, რადგანაც, როგორც გითხარი, ხელზე ამდენი ფული არ ჰქონდათ. იმ ღამეს იშოვეს თანხის ნაწილი, რასაც, ცხადია, არ დასჯერდნენ, ჩამოართვეს პასპორტები და დანარჩენი თანხის უახლოეს ხანში მოტანა უბრძანეს. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. ჩვენ გვაქვს არაერთი ინფორმაცია, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ატერორებენ, რაც საბოლოოდ ფიზიკურ დაპირისპირებაში იზრდება. მსგავსი სიტუაციაა გლდანში მდებარე საუნებში, სადაც პირდაპირი ტერორი მიდის უცხოელებზე. ეს უფრო საზოგადოების პრობლემაა. როდესაც უცხოელს ხედავენ, ცდილობენ, მაქსიმალურად გამოსძალონ თანხები. ეს ტენდენცია კი აისახება, ზოგადად, ქვეყნის იმიჯზე.

**– რამდენად ადეკვატურად რეაგირებს ხელისუფლება მსგავს დარღვევებზე?**

– ასეთი ბიზნესის არსებობით, საქართველოში სტუმრების რაოდენობა ნამდვილად არ გაიზრდება, ამიტომ მოვუწოდებ ხელისუფლებას, იზრუნოს ამ ადამიანების უფლებებზე და მკაცრად



აგებინოს ყველას პასუხი. მისასალმებელია, რომ გამოძიება დაიწყო „მიქს თბილისთან“ დაკავშირებით, მიმდინარეობს რეაგირება, თუმცა ძიება უნდა დაინტერესდეს, ვინ დგას ამ ღამის კლუბის უკან.

**– რაზე მიანიშნებ?**

– ხშირად საუბრობენ, რომ ეს იყო ძალოვნების მიერ შექმნილი სისტემა, რომელსაც ისინი აქტიურად იყენებდნენ აგენტურული საქმიანობისთვის. ამის დადასტურება, ალბათ, გაჭირდება, მაგრამ ხომ გეუბნები, წლების განმავლობაში ეს დაწესებულება ხელშეუხებელი გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ იყო არაერთი დარღვევა. ამბობდნენ, რომ სერიოზული მფარველები ჰყავდათ ზევით.

## „ეს იყო ძალოვნების მიერ შექმნილი სისტემა, რომელსაც ისინი აქტიურად იყენებდნენ აგენტურული საქმიანობისთვის“

# საზოგადოება

## „კეზერაშვილი ფინანსური პოლიციის უფროსი, მერე მინისტრი და შემდეგ, უცებ, მილიონერი გახდა...“

## EXCLUSIVE

ნატა დვალიშვილი

**როგორც ჩანს, ქართული პოლიტსპექტრი ნაახალწლევს „ნაბახუსევზე“ გამოვიდა. არც ცხელ-ცხელი „ნიუსების“ ნაკლებობა იგრძნობა, რომლებზეც ყველამ ყველაფერი იცის და ამავე დროს, არაფერი. კეზერაშვილის ოფშორში ნაბრუნები მილიარდები „ნაცმოძრაობის“ ფენიქსისებრი აღდგენის ბოლო იმედი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ექსპრეზიდენტის წერილიდან; ექსპრემიერს, რომელიც საკნიდან მისი გატაცების შესახებ განცხადებას აკეთებს, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა დიდხანს და წყნარად „ჯდომისკენ“ მოუწოდა. ამასთანავე, ის ბევრი გახმაურებული და სკანდალური საქმის გამოძიებასაც დაგვპირდა.**

**ერთი სიტყვით, დღესასწაულები გადავაგორეთ – „მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!“ არჩევნებამდე პერიოდიც გასავლელია, არჩევნებიც მშვიდობიანად ჩასატარებელია და კომპრომატების „ქარ-ცეცხლიც“ გამოსავლელია. როგორია მმართველი კოალიციის აზრი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით? კომენტარი პარლამენტის ვიცე-სპიკერს, მანანა კობახიძეს ვთხოვეთ:**

**– ქალბატონო მანანა, 2014 წელი პოლიტიკური კომპრომატებით დაიწყო და როგორც ჩანს, საკმაოდ ცხელი იქნება...**

– პოლიტიკაში ყოველთვის არის თემები, რომელიც მწვავე დისკუსიას, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მთავარია, ხელისუფლების მიერ არჩეული გეზი და მიმართულება ისე გატარდეს, ჩვენი ქვეყნის განვითარება, ეკონომიკური წინსვლა და აღმავლობა, ადამიანის უფლებების დაცვა იყოს უზრუნველყოფილი.

**– როდესაც ოპოზიციად „ნაციონალური მოძრაობა“ გყავთ, ეს რთული ხომ არაა? მით უმეტეს, მათ ყოველ ნამოქმედარზე გამართლება აქვთ – თუნდაც პატარკაციშვილების ოჯახის გასაჯაროებულ დოკუმენტზე თქვეს, რომ ეს ჩვეულებრივი შეთანხმება იყო სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის და აქ დანაშაულებრივი არაფერია... ყველა აღძრულ საქმეზე აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკური დევნაა... ასეთი პირობებში რამდენად გაქვთ საშუალება, პოლიტიკური პროცესების მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვათ?**

– როდესაც ოპოზიციაში ისეთი ძალაა, რომელსაც ძალაუფლება დამყარებული ჰქონდა სისტემურ დანაშაულზე, რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის რთულია – არ დარჩენილა სფერო, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ძალადობით გაჯერებული არ ყოფილა, განსაკუთრებით, მედია და ეს ვიხილეთ იმ დოკუმენტიდან, რომელიც ახლა გასაჯაროვდა. რომ არ ყოფილიყო ტელეკომპანია „იმედი“, საზოგადოებას გირგვლიანის საქმის შესახებ არც კი ეცოდინებოდა... ამიტომ იბრძოდნენ ყველა გზითა და ხერხით თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ, ატერორებდნენ ბიზნესს, ართმევდნენ საკუთრებას, ასე ინარჩუნებდნენ 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებას და ასეთი პოლიტიკური ძალაა ახლა ოპოზიციაში, მათთან ოპონირება კი რთულ ვითარებაში გვაყენებს, გვართმევს დიდ დროს, არადა უამრავი საქმეა გამოსაძიებელი... გვინდა თუ არა, მივდივართ დასკვნამდე, რომ, მართლაც, რეჟიმსა და სისტემურ დანაშაულთან გვქონდა საქმე. „იმედის“ წართმევის საქმეზე „ნაციონალები“ აცხადებენ, რომ თურმე ეს ჩვეულებრივ საკითხზე გაფორმებული მემორანდუმი ყოფილა და ამით საზოგადოებას დასცინიან. უკაცრავად, მაგრამ მორიგებამდე რატომ მივიდა საქმე? იმიტომ ხომ არა, რომ თავის დროზე სახელმწიფომ ზიანი მიაყენა ამ კონკრეტულ ბიზნესს? თუ ჩვეულებრივი დოკუმენტი იყო, რატომ ედო გრიფი „საიდუმლო“? მორიგების საკითხი დგება მაშინ, როცა მხარე ედავება სახელმწიფოს, ამ დავას აქვს საფუძველი და იმდენად რეალურია საქმის მოგება, რომ სახელმწიფოს აწყობს მორიგება. ყველაფერი კი იმიტომ გააკეთეს, დიდი ფული არ გადაეხადათ, მერე მორიგების პირობები დაერღვიათ, თან გრიფი „საიდუმლო“ დაედოთ და ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, პატარკაციშვილების ოჯახი ვერ დაიბრუნებდა ტელევიზიას და არც ამ ხელშეკრულების შინაარსი გახდებოდა ცნობილი.

სახელმწიფო იყო ძალადობის მანქანა და ახლა რომ გაიძახიან, – პოლიტიკური დევნააო, გაიხსენონ, როგორ მოვიდნენ პოლიტიკაში... კეზერაშვილი ფინანსური პოლიციის უფროსი, მერე მინისტრი და შემდეგ, უცებ, მილიონერი გახდა...



**– თუ იცოდით სააკაშვილის შუამდგომლობაზე, მის შინაარსზე, საიდანაც ჩანს, რომ კეზერაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი დამფინანსებელი იყო?**

– არ ვიცი, საიდან მოიპოვეს ამ წერილის ასლი, გამორიცხული არაა, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან იყოს გამოტანილი... თუმცა მთავარია, რომ არავინ უარყო



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი კომპრომატების მოლოდინში



# რა დოკუმენტის გასაჯაროებას ითხოვს პარლამენტის ვიცე-სპიკერი „ნაციონალური მოძრაობისგან“?

**„ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, პატარკაციშვილების ოჯახი ვერ დაიბრუნებდა ტელევიზიას და არც ამ ხელშეკრულების შინაარსი გახდებოდა ცნობილი“**

მისი არსებობა. ერთი შეხედვით, უკანონო არაფერია, როცა შუამდგომლობ სასამართლოს წინაშე და ითხოვ პატიმრობის ნაცვლად გირაოს შეფარდებას, მაგრამ მთავარი ტექსტის შინაარსია – პარტიის მთავარი დამფინანსებელი კეზერაშვილი ყოფილა, მისი დაპატიმრებით კი პარტიას ფინანსური საფრთხე შეექმნა. თურმე კეზერაშვილი ყოფილა ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკოსი, ვისზეც იდგა „ნაცმოძრაობა“, მაგრამ ვინმეს თუ ახსოვს ამ ადამიანის, როგორც პოლიტიკოსის, მოღვაწეობა? ის ისტორიაში შევიდა, როგორც წაგებული ომის თავდაცვის მინისტრი და ამის შემდეგ ის ხდება მილიონერი, „ნაციონალური მოძრაობის“ დამფინანსებელი... საინტერესოა, სად და როდის იშოვა მან ფული? ბევრი ბრალდება გამოიკვეთა იარაღით უკანონო ვაჭრობის საქმეში და ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუმცა, თუ საქართველოდან გაყიდული იარაღით ტერორისტები მარაგდებოდნენ, გამოდის ამ უკანონო ფულზე იდგა „ნაციონალური მოძრაობა“? პარტია, რომელიც კრიმინალური ფულით ფინანსდება, კრიმინალური ორგანიზაციაა და ეს საშიშია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვის. გამოიკვლიონ, ვინ იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველები, იყო თუ არა კეზერაშვილი მათ შორის... და მაშინ, როდესაც კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მკაცრად ზღუდავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, როგორ აფინანსებდა კეზერაშვილი „ნაცმოძრაობას“? გასარკვევია, სად ფიგურირებს კეზერაშვილი და თუკი ის არსად ჩანს, მაშინ შავი ფულის ბრუნვასთან გვაქვს საქმე.

აი, ამას აწერს ხელს სააკაშვილი, ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ კეზერაშვილი მართლაც იყო „ნაცმოძრაობის“ მთავარი მოლარე, რადგან არა მგონია, სხვა ნებისმიერი თანამდებობის პირისთვის სააკაშვილი ასე გარჯილიყო. მიზეზი მარტივია, წინ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, „ნაციონალებს“ უნდათ პოლიტიკურ ცხოვრებაში დარჩენა, ბიზნესს ველარ ატერორებენ, მათი შემოსავლები შემცირდა და ნებაყოფლობითაც არავინ ჩარიცხავს მათ სალაროში ფულს... ახლა ირკვევა, რომ თურმე გაზიპარიებიც ყოფილან და არ აქვს მნიშვნელობა, ეს სააკაშვილმა იცოდა, თუ არა.

**– იმ ფონზე, როცა ოპოზიცია აქეთ გახსენებთ შეუსრულებელ დანაპირებს, გარღვეულ ბიუჯეტს, სხვა უამრავ პრობლემას, რამდენად თანმიმდევრული იქნება ხელისუფლების პოლიტიკა იმ პროგრამის შესრულებაში, რაც ვალდებულებად აიღეთ?**

– ქვეყნის განვითარებას ისევე სჭირდება ნორმალური ოპოზიცია, როგორც ნორმალური ხელისუფლება. უბედურებაა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო არჩევნებზე ხმების გარკვეული რაოდენობა მიიღო. იმედი მაქვს, მომავალ არჩევნებზე ხალხი მეტად დაფიქრდება, მანამდე კი გვაქვს ვალდებულება, საზოგადოებას დანაპირები შევუსრულოთ. დაბრკოლება ბევრია, კოჰაბიტაციაც სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა, მაგრამ ვიმედოვნებ, წელს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება – დაიწყო დიდი ენერგოპროექტი გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობის სახით, ეს ახალი ენერგეტიკული პოტენციალია, ადამიანები დასაქმდებიან, შემოვა ინვესტიციები... 2013 წელი იყო ურთულესი, ამან თავისი კვალი დაამჩნია ეკონომიკას, წელს ბევრად უკეთესი სიტუაცია იქნება და ქვეყანა ნელ-ნელა გამოვა შოკიდან. მთავრობას მეტი პასუხისმგებლობა აქვს, პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული, ყველა ღიად აბარებს ანგარიშს საზოგადოებას და არ მახსენდება, მერაბიშვილი ან სააკაშვილი გამოსულიყო ასე... ან ვინ გაბედავდა აქტუალური კითხვის დასმას? არ იყო დამაკმაყოფილებელი დეტალი მთავარი პროკურორის ბიოგრაფიაში? ეს ადამიანი გადადგა. რაც ხდებოდა ციხეში, გახსოვთ და რომელი გადადგა – ახალაია თუ კალმახელიძე?

**– ვაღიაროთ, მთავარი პროკურორის პოსტი ერთგვარი აქილევსის ქუსლია ხელისუფლებისთვის..**

– გეთანხმებით, რთული პოზიციაა... ჩვენ ჩავიბარეთ პოლიტიზებული პროკურატურა, რომელშიც კვალიფიციური კადრების დეფიციტი იყო – ორიოდე მოწმის ჩვენება, საპროცესო გარიგება და საქმე სასურველი განაჩენით სრულდებოდა. ამან ამ უწყებაში საქმის წარმოება გააუფასურა და პროკურატურის გამომძიებლის კომპეტენციამ თუ კვალიფიკაციამ გადაიწია უკანა პლანზე. ახლა გვჭირდება პირუთვნელი, წესიერი, კვალიფიციური კადრი, რომელიც გასვრილი არაფერში იქნება და ასეთი კადრების მოძიება რთულია, მით უმეტეს, მთავარი პროკურორის პოსტზე, რომლის ბიოგრაფია სუფთა უნდა იყოს, კვალიფიკაცია – მაღალი, უნდა იყოს კარგი მენეჯერი, აპოლიტიკური... და ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ კი არა, საზოგადოების პრობლემაა.

**– თქვენი აზრით, რა მოხდა ვანო მერაბიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით?**

– სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციამ საკმარისად გამოიკვლია ეს ფაქტი, შემოწმდა პერიმეტრი, დაიკითხა პერსონალი და ამ ფორმატში დარღვევა ან დანაშაული არ გამოვლენილა, გამორიცხულია, ფაქტი მომხდარიყო და არავის დაენახა, ან კვალი არ დარჩენილიყო. მინისტრმა ახსნა, რომ სხვადასხვა დაწესებულებას აქვს სხვადასხვა რეჟიმი, ეს ზუსტად იცოდა მერაბიშვილმა, ამიტომაც განაცხადა სამი დღის მერე. ამას მოაყოლეს აჟიოტაჟი ფარცხალაძის ბიოგრაფიასა და კომპეტენტურობაზე, რაც გათვლილი იყო პროკურორის, მთავრობის გადაყენებაზე და ა.შ. მაგრამ ვერ გამოუვიდათ, ფარცხალაძე სწორად მოიქცა, რომ გადადგა, რადგან პროკურატურის ფუნქციონირებას ჩრდილს აყენებდა და ზუსტად ესაა ხელისუფლების ეფექტურობა – თუ არასასურველი და არასწორი რამ აღმოვაჩინეთ, გამოვასწორებთ.

**– პარლამენტის თბილისში გადმოსვლასთან დაკავშირებით უცნაური ვერსიები გაჟღერდა, მისაღებია თქვენთვის თბილისის ერთი ნაწილის ქუთაისისთვის დაქვემდებარება?**

– პირადად ჩემთვის ეს გზა მიუღებელია, ცვლილება, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს კონსტიტუციაში, მაგრამ „ნაციონალები“ ამ შემთხვევაშიც ჯიუტობენ, თორემ გგონიათ, უხარიათ ასე, წინ და უკან სირბილი? პირველები ისინი გამორბიან თბილისში, ან საერთოდ არ ჩამოდიან ქუთაისში და კომიტეტების სხდომებს აცდენენ. დაგვიტოვა ეს თავსატეხი სააკაშვილმა და „ნაციონალებიც“ ჯიუტად დგანან ამ პოზიციაზე. ქუთაისისა და, მთლიანად, იმერეთის რეგიონის განვითარება ნამდვილად არ არის პარლამენტის იქ ყოფნაზე დამოკიდებული. ის 360 მილიონი ლარი, რაც პარლამენტის შენობას დაახარჯეს, ამ ქალაქს ან რეგიონს რომ მოხმარებოდა, მეტი ეკონომიკური წინსვლა იქნებოდა. დეცენტრალიზაცია არ ნიშნავს პარლამენტის გადატანას და ეს რეგიონალიზმის განვითარება კი არა, მცდარი პოზიციაა, რომელზეც გაუთავებლად საუბრობს ოპოზიცია. პარლამენტი დედაქალაქში უნდა იყოს, ყველა უწყება, სტრუქტურა, ორგანიზაციები, საელჩოები თბილისშია. ჩვენ მუდმივ კონტაქტში ვართ მათთან და დიდი რესურსი, დრო, ფინანსები გვეხარჯება ამ მოგზაურობაში. კარგი იქნებოდა, ეს დრო საქმეზე სამუშაოდ დაგვეხარჯა.

**– რომელ მნიშვნელოვან საკითხზე დაიწყებს პარლამენტი მუშაობას საგაზაფხულო სესიაზე?**

– თვითმმართველობის კოდექსი მნიშვნელოვანია, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები უნდა შევიდეს, დასამთავრებელია საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის დაკომპლექტება, რაც, სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოხერხდა და იმედი მაქვს, ამ პროცესს თებერვალში დავასრულებთ. საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა, მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და გამართული მენეჯმენტი – ეს საზოგადოების დაკვეთაა. ორგანიზაციამ, რომელიც ხალხის ფულით ფინანსდება, საზოგადოების მოთხოვნებს უნდა უპასუხოს, რასაც აქამდე ვერ ახერხებდა და იქ დახარჯული მილიონები არანაირად არ ატყვია მაუწყებლის შინაარსსა თუ მის გარეგან მხარეს. ესაა მოსაწესრიგებელი და იმედია, შევძლებთ, რადგან ეს პარლამენტის პასუხისმგებლობაა.

**„თუ ჩვეულებრივი დოკუმენტი იყო, რატომ ედო გრიფი „საიდუმლო“?“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება















© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ დაიჭირა ადეიშვილმა საკუთარი უწყების მაღალჩინოსანი?

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**იუსტიციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელიც თავის დროზე ზურაბ ადეიშვილის ბრძანებით დააპატიმრეს, პროკურატურისგან მისი საქმის გამოძიებას ითხოვს. ირაკლი ამანათიძე 2009 წლამდე სამეგრელოში სხვადასხვა საჯარო სამსახურში მუშაობდა, თუმცა 2009 წელს, მაშინდელი მაღალჩინოსნების თხოვნით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურო ჩაიბარა. პრობლემებიც სწორედ ამ თანამდებობაზე შეექმნა. როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამანათიძე ყვება, ზურაბ ადეიშვილს „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ფული ჰქონდა შესაგროვებელი, ამიტომ მისი დახმარებით რამდენიმე ბიზნესმენის, მათ შორის აზერბაიჯანული ბანკის „დატერორება იგეგმებოდა“. კონკრეტულად რა ბრალდებებს უყენებს იუსტიციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ზურაბ ადეიშვილს და რა ზეწოლა ხორციელდებოდა საპატიმროში? ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ ირაკლი ამანათიძეს ესაუბრა:**




„მაგალითად, შემოვიდნენ და მითხრეს, შენი ოჯახია საფრთხეში, შენი შვილი ცუდადაა, მოაწერე ხელი მაგ საპროცესოს და დაგვანებე თავიო...“

„ჯერ მოდულში, შემდეგ გლდანში საშინელი ჯოჯოხეთი გამოგვატარეს. ჯერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება დამდეს ბრალად, მერე თაღლითობა და ბოლოს დანაშაულის დაფარვა...“

„ადვოკატს ვკითხე, მართლა ცუდად იყო თუ არა ჩემი 2 წლის შვილი და როცა მითხრა, სასწრაფო დროზე მივიდა და ახლა კარგად არისო, დავრწმუნდი, რომ სიმართლე იყო... მოვუწერე ხელი, ჩემებმა ადეიშვილის „ფონდისთვის“ შეაგროვეს 20 000 ლარი და ამის შემდეგ გამათავისუფლეს“

## „ადეიშვილს გეგმა ჰქონდა შესასრულებელი როგორც ბიუჯეტისთვის, ასევე არაოფიციალური ე.წ. „ობშიაკისთვის“

– 2009 წელს ჩემთან მოვიდნენ მაშინდელი მაღალჩინოსნები და მითხრეს, რომ მე უნდა ჩამებარებინა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურო, რადგან იქ ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. მართალია, ეს ჩემი სურვილი არ ყოფილა, მაგრამ დავთანხმდი. მართლაც, ბიურო, რომელიც ფიზიკურად არ არსებობდა, ერთ-ერთი წარმატებული გავხადე, რასაც მაშინდელი ხელმძღვანელებიც აღიარებდნენ.

**– კონკრეტულად როდის და რატომ შეგექმნათ პრობლემები?**

– 2010 წელს სამეგრელოს მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა მთხოვეს, ბიუროს რამდენიმე კონკრეტული სააღსრულებო საქმე არ აღესრულებინა, რაც არ გავაკეთე. ამის შემდეგ მომთხოვეს დავხმარებოდი ვიღაცების დასაკავებლად, რაზეც, ცხადია, უარი ვთქვი. იმ ადამიანებს, ვის დაკავებაშიც მთხოვდნენ დახმარებას, არც ვიცნობდი და, უბრალოდ, ფულის გამოძალვა უნდოდათ, სხვა არაფერი. ამის შემდეგ ჩემთან მოვიდა სახელმწიფო სამსახურში მოღვაწე ადამიანი და მითხრა: „რას აკეთებ, რად გინდა, ვის უპირისპირდები, როგორც პერსონა ნონ გრატას, ისე გიყურებენო“. ვკითხე, რატომ-მეთქი და მითხრა, ასე ითქვა კუდ-ში, რომ ამანათიძე ჩვენს დავალებებს არ ასრულებს, არ გენდობიან, თან შენზე კომპრომატიც კი არ აქვთ, რაც პრობლემებს შეგიქმნისო. იმ დღიდან მოყოლებული 5-ჯერ ვცადე სამსახურიდან წასვლა, ბოლოსწინა მცდელობაზე ჯაბა ებანოიძემ მითხრა, შენი წასვლა ღალატის ტოლფასიაო, თუმცა მე მაინც მივიღე ეს გადაწყვეტილება და წამოვედი.

**– წამოსვლის შემდეგ მოხდა თქვენი დაპატიმრება?**

– დიახ, რამდენიმე ხანში მოხდა ასეთი რამ: ადეიშვილს ჰქონდა გეგმა შესასრულებელი როგორც ბიუჯეტისთვის, ასევე არაოფიციალური ე.წ. „ობშიაკი“ „ნაცმოძრაობისთვის“, რასაც ვერ ასრულებდნენ. ერთ ღამეს გადაწყვიტეს, რომ მცხეთის აღმასრულებლის, ნინო ხიზანიშვილის დახმარებით აზერბაიჯანული ბანკისთვის შეეწერათ გარკვეული თანხა, ხოლო ჩემი დახმარებით კიდევ 4 ადამიანისთვის, რომლებსაც რაღაც გარკვეული თანხა ჰქონდათ მიღებული მოგების სახით. ეს დავალება არც ნინომ შეასრულა და არც მე... 2011 წლის აგვისტოში ღამის 2 საათზე ახალაიას პროკურატურაში დამიბარეს გენინსპექციის საგამოძიებოს მაშინდელმა უფროსმა, რომელმაც მითხრა: „ზურას დავალებით ვართ ჩამოსული, ამაზე უნდა მოგვიწერო ხელი და თავისუფალი ხარო...“ მე ის ჩვენება, ცხადია, არც წავიკითხე, აღმოჩნდა, რომ ჩემი ცრუ ჩვენების საფუძველზე უნდოდათ სწორედ იმ ადამიანების დაკავება, ვის დაკავებაში დახმარებასაც 2 წელია, მთხოვდნენ. მას შემდეგ, რაც ჩემგან კატეგორიული უარი მიიღეს, ასე მითხრა: „შენ რას დაეძებ, ჩვენ ამათ მაინც დავიჭერთ შენს გარეშეც. შენ ხელი მოგვიწერე და წადიო, თუ ამას არ გააკეთებ, იძულებული ვიქნები, დაკავების ოქმი შეგიდგინოო... შეადგინე-მეთქი და მართლაც შეადგინეს. მერე მოიყვანეს სააღსრულებოს ახალი უფროსი და მას დააწერინეს, რომ ეს 4 ადამიანი დამნაშავეა და ამანათიძემაც იცოდა ამ დანაშაულის შესახებო...



„თუმცა ის, რაც მე არ გავაკეთე, სააღსრულებოს ჩემს შემდეგ დანიშნულმა უფროსმა გააკეთა, რომელიც, გაგიკვირდებათ და, დღესაც უფროსია... ასე უთქვამს, რა ვქნა, სამი შვილი მყავს და რაც მათ მითხრეს, რომ არ დამეწერა, მეც დამიჭერდნენო...“

**– და კონკრეტულად ვის დაჭერაში გთხოვდნენ დახმარებას?**

– ინდმეწარმე, ვინც მთავარ კრიმინალად უნდოდათ გამოეყვანათ, მხოლოდ სასამართლოზე გავიცანი, ძალიან წესიერი ახალგაზრდა აღმოჩნდა. მისთვის, უბრალოდ, ფულის შეწერა უნდოდათ. ეს ადამიანი იროდი მირცხულავაა. მერე ყველა დარწმუნდა, რომ დანაშაული ბუნებაში არ მომხდარა, ანუ მათ არ ჩაუდენიათ დანაშაული და მით უმეტეს, მე რა უნდა მცოდნოდა მათი დანაშაულის შესახებ. თუმცა ის, რაც მე არ გავაკეთე, სააღსრულებოს ჩემს შემდეგ დანიშნულმა უფროსმა გააკეთა, რომელიც, გაგიკვირდებათ და, დღესაც უფროსია... ასე უთქვამს, რა ვქნა, სამი შვილი მყავს და რაც მათ მითხრეს, რომ არ დამეწერა, მეც დამიჭერდნენო...

**– თქვენი დაკავების შემდეგ ზეწოლა კვლავაც გრძელდებოდა?**

– რა თქმა უნდა. ჯერ მოდულში, შემდეგ გლდანში საშინელი ჯოჯოხეთი გამოგვატარეს. ჯერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება დამდეს ბრალად, მერე თაღლითობა და ბოლოს დანაშაულის დაფარვა. საბოლოოდ ისე ჩამოაყალიბეს, რომ თითქოს მე ვიცოდი ამ „დანაშაულის“ შესახებ და დავფარე, მაგრამ მუხლი თაღლითობა იყო მაინც. გლდანის კონცლაგერში გაგვატარებინეს 6 თვე და რამდენიმე დღე. სასამართლოდან დაბრუნებულზე გვაყურებინებდნენ, როგორ აწამებდნენ ადამიანებს. გვეუბნებოდნენ, ასე დაემართება ყველას, ვინც არ აღიარებსო. დიდი ჯოჯოხეთი გამოვიარეთ. საპროცესოს მაინც არ ვაწერდი ხელს. ბოლო თვეებში უფრო გაძლიერდა ზეწოლა ყველა მიმართულებით... ამ ზეწოლებს ორმა ვერ გაუძლო, მერე უკვე ჩემი ჯერი იყო...

„შენ რას დაეძებ, ჩვენ ამათ მაინც დავიჭერთ შენს არეშეც. შენ ხელი მოგვიწერე და წადიო, თუ ამას არ გააკეთებ, იძულებული ვიქნები, დაკავების ოქმი შეგიდგინოო... შეადგინე-მეთქი და მართლაც შეადგინეს.“...

**– ზეწოლის რა მეთოდს იყენებდნენ თქვენზე?**

– მაგალითად, შემოვიდნენ და მითხრეს, შენი ოჯახია საფრთხეში, შენი შვილი ცუდადაა, მოაწერე ხელი მაგ საპროცესოს და დაგვანებე თავიო...

ადვოკატს ვკითხე, მართლა ცუდად იყო თუ არა ჩემი 2 წლის შვილი და როცა მითხრა, სასწრაფო დროზე მივიდა და ახლა კარგად არისო, დავრწმუნდი, რომ სიმართლე იყო... მოვუწერე ხელი, ჩემებმა ადეიშვილის „ფონდისთვის“ შეაგროვეს 20 000 ლარი და ამის შემდეგ გამათავისუფლეს.

**– ამჟამად რას ითხოვთ?**

– დღეს ჩემი თვითმიზანი არ არის ვინმეს დასჯა, უბრალოდ, დაუსჯელობის სინდრომმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ 5 ან 10 წლის შემდეგ იგივე განმეორდეს და მაშინ უკვე ჩვენი ქვეყანა ამას ვერ გადაიტანს... მზად ვარ, დავასახელო კონკრეტული გვარები, ვინც ამ უკანონობაში მონაწილეობდა, თუმცა უპრიანია, ეს ყველაფერი გამოძიებას მოვუყვე, რადგან კონკრეტული პირები ჯერაც თავისუფლებაში იმყოფებიან. მათგან რაიმე სახის პროვოკაცია ნებისმიერ დროსაა მოსალოდნელი... მე მაშინ დავპირდი ადეიშვილს და დღესაც შემიძლია გავიმეორო, – მის პროცესზე აუცილებლად გამოვალ და ჩემს წილ ფარდას ავხდი იმ საშინელებებს, რასაც ის სჩადიოდა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეიდან ჯგუფი

# MEIDAN GROUP

















ტელ.: +995 (322) 509 901
ელ.ფოსტა: Info@meidan.ge




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# რატომ შეირჩა შვეიცარიისა და ისრაელის ლაბორატორიები ზურაბ ჟვანიას ექსჰუმაციის მასალების გამოსაკვლევად?

# რა პირობებში დაიკარგა უცხოეთში ვუდროფისა და გიორგი სანაიას მკვლელობაზე გაგზავნილი ინფორმაცია?

მარიამ ნადირაძე

**საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთან არის დაკავშირებული, ერთ-ერთ მტკიცებულებად წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.**

ასეთი დასკვნა თავის დროზე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებულ გამოძიებასაც ჰქონდა, თუმცა არც მაშინ და არც შემდეგ, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ექსპერტიზის ამ დასკვნის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ხარისხი სულაც არ ყოფილა მაღალი. ამიტომაც, როდესაც ამ სკანდალურ საქმეზე ხელახალი გამოძიება დაიწყო, ბუნებრივია, დღის წესრიგში ახალი ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა უნდა დამდგარიყო. ამ გადაწყვეტილებას უკვე დიდი ხანია ელოდა საზოგადოება. რამდენიმე კვირის წინ ეს საკითხი აქტუალური გახდა „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვისაც, რადგან სწორედ ჩვენთან საუბრისას გარდაცვლილი პრემიერის ძმამ, გოგლა ჟვანიამ დაადასტურა, რომ, თუ გამოძიებისთვის ეს საკითხი პრიორიტეტული გახდება, ოჯახი ცხედრის ექსჰუმაციაზე წინააღმდეგობას არ გასწევს...

ამ განცხადებიდან ორიოდ კვირაში კი ზურაბ ჟვანიას ექსჰუმაციაზე გადაწყვეტილება საქართველოს ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გაახმოვანა. მისი განცხადებით, ზურაბ ჟვანიას საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და ცხედრის ექსჰუმაციისთვის შერჩეულია შვეიცარიის ლაბორატორია. საუბარია, ასევე, ისრაელის ლაბორატორიაზეც.

როგორც ღარიბაშვილმა მედიასთან შეხვედრისას განაცხადა, ხელისუფლებას მოლაპარაკება აქვს ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან საქართველოში, თომას ჰამერბერგთან, რათა მოხდეს მისი ამ საქმეში ჩართვა.

რატომ და რა დროს მიმართავენ ხელისუფალნი უცხოელ ექსპერტებსა და უცხოურ ლაბორატორიებს და რა შედეგზე აკეთებს გათვლას გამოძიება პრემიერის ექსჰუმაციის შემთხვევაში? ამ და სხვა თემაზე სასაუბროდ „პრაიმტაიმმა“ თავისი მკითხველისთვის დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, **მაია ნიკოლეიშვილი** შეარჩია:

**– როგორ აღიქვით პრემიერის განცხადება: აქაურმა ექსპერტებმა უნდა გაკვეთონ ცხედარი და აიღონ მასალა, რომლის გამოკვლევაც შვეიცარიის, ან ისრაელის ლაბორატორიაში მოხდება, თუ ამ ქვეყნებიდან იქნებიან მოწვეული ექსპერტები?**

– მართალი გითხრათ, ეს განცხადება მეც ვერ გავიგე. ის, რომ ექსჰუმაცია უნდა ჩატარდეს, ამაზე ორი აზრი არ არის. ეს შედეგიანი იქნება თუ არა, სხვა თემაა.

**– რა შედეგზე აკეთებთ აქცენტს?**

– შესაძლოა, ინფორმაციულობა ნული იყოს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ექსჰუმაციამ ინფორმაცია ვერ მისცეს გამოძიებას, ბოლოს და ბოლოს, ამდენი წელია გასული. მაგრამ, შედეგის მიუხედავად, ის უნდა ჩატარდეს, რადგან სხვა შემთხვევაში გამოძიება სრულყოფილი ვერ იქნება. ექსჰუმაციის დროს, წინასწარ გათვლა შეუძლებელია, რა შეიძლება დაგხვდეს იქ. შემიძლია მოგიყვანოთ მაგალითი, რომელიც ჩემთვის დღემდე გამოცანაა და არ ჯდება რაიმე სასამართლო-მედიკურ ლოგიკაში. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ჩემთვის სასწაულის რანგში რჩება და ამას ახსნა არ აქვს. ეს იყო გარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ ჩატარებული ექსჰუმაცია და მე თხიერი სისხლი ავიღე... ძალიან იშვიათად ხდება მუმიფიცირება, საპონიფიკაცია, მაგრამ ეს არც ერთი იყო და არც მეორე... მისტიკისგან ძალიან შორს ვარ, მაგრამ ჩემთვის ეს სასწაული იყო, რომ გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ არ იყო ლპობა და იყო თხიერი სისხლი. ასე რომ, ყველაფერი ხდება. ამიტომ, ექსჰუმაციას ყოველთვის აქვს აზრი. შეიძლება ისეთი რამ ნახო, რასაც ვერ წარმოიდგენ.

**– ირაკლი ღარიბაშვილისგან შევიტყვეთ, რომ უცხოურ ლაბორატორიაში მოხდება კვლევა. ადგილზე ვინ ჩაატარებს ექსჰუმაციას?**

– ეს საგამოძიებო მოქმედება საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება, ტარდება აქ. შემდეგ ის მასალები, რისი კვლევაც საჭირო იქნება, ჩემი აზრით, უნდა გაიგზავნოს რამდენიმე ლაბორატორიაში. ეს ჩემი სუბიექტური აზრია... თუმცა, გააჩნია, რას ვიკვლევთ იმ უცხოურ ლაბორატორიაში. წინასწარ დაგეგმო, რა დაგხვდება კვლევის ადგილზე, ასეთი რამ წარმოუდგენელია. კრეატიულობაა აქ უმთავრესი, რადგან იქ, ადგილზე, გაიგებ მხოლოდ, რა დაგჭირდება. თანაც წინასწარ ლაბორატორიებთან შეთანხმება იმის შიშით, რომ მასალა არ გაფუჭდეს, სულაც არ არის აუცილებელი, რადგან გვამთან დაკავშირებით ასეთი საფრთხეები არ არსებობს. ამ უცხოურ ლაბორატორიებში შეიძლება დეენემის რაღაც ტიპის კვლევას აპირებენ, ვერ გეტყვით... პათოლოგიის ლაბორატორიები ევროპაში ბევრია. რა კრიტერიუმით შეიძლება გაჩერდეს არჩევანი შვეიცარიის, ან ისრაელის ლაბორატორიაზე, ვერ გეტყვით.

**– იქნებ რამეზე აქვს გათვლა პროკურატურას, რომ მიიღებს იმ ინფორმაციას, რომელზე კვლევასაც სწორედ ეს ლაბორატორიები ატარებენ გამორჩეულად კარგად?**

– წინასწარ რაზე უნდა გააკეთოს გათვლა პროკურატურამ, ჩემთვის წარმოუდგენელია. როცა ექსჰუმაციაზე მიდიხარ, საკითხების წრე დაახლოებით წარმოდგენილი გაქვს, მაგრამ აუცილებლად იცი ისიც, რომ ექსჰუმაციის შემდეგ ამ საკითხთა წრე შესაძლოა არსებითად შეიცვალოს.

**– ხომ შეიძლება გამოძიება გათვლას ცეცხლნასროლ ჭრილობაზე აკეთებდეს?**

– ნებისმიერი ექსჰუმაციის დროს, მით უმეტეს, როცა ამდენი დროა გასული, უხეშად არ გამიგოთ, მაგრამ ექსპერტი ნატრობს, რომ იყოს ძვლის დაზიანება. ამ შემთხვევაში ექსჰუმაცია შედეგიანია. მაგრამ თუ ძვლის მოტეხილობა იქნა, რაზეც არის საუბრები, მაშინ იქ უკვე წამოიჭრება საკითხთა ახალი წრე, რომელსაც მე ცოტა სხვანაირად შევხედავდი... მედიცინაში არის ერთგვარი გაიდლაინები, სადაც გაწერილია, რის მერე რა უნდა გაკეთდეს. ექსპერტიზაში ასეთი გაიდლაინები წარმოუდგენელია. ექსპერტი უნდა იყოს კრეატული. ზუსტად კონკრეტიულ წამს წყვეტ, რისი გაკეთება სჯობს სწორედ იმ დროს. ამას წინასწარ ვერ დაგეგმავ.



**– როდესაც აცხადებენ, რომ ამ პროცესში უნდა ჩაერთოს უცხოური ლაბორატორია და იგივე, თომას ჰამერბერგი, ხომ არ ჰგავს ეს თავის დაცვას ხელისუფლების მხრიდან, რომ ვინმემ რამე ცილი არ დასწამოს, მით უმეტეს, როცა თქვენ ამბობთ, რომ წინასწარ ამის დაგეგმვა სულაც არ წარმოადგენს აუცილებლობას...**

– თავს იცავს ის, ვინც დარწმუნებული არ არის საკუთარ პროფესიონალიზმში. თუ ჩატარდება კვლევა, კარგად მოხდება ამ კვლევის დოკუმენტირება, ვინც გინდა იმან შეიტანოს ეჭვი, რეალობას ვერაფერი შეცვლის – რაც იქნება, ის იქნება და მეტი არაფერი. თუ საკუთარი თავისა და პროფესიონალიზმის იმედი არ გაქვს, მაშინ, რა თქმა უნდა, ვიღაც ბიძიას უნდა დაუძახო და სხვა ქვეყანაში წაიღო.

**– ეს პირველი შემთხვევა არ არის. თუნდაც იგივე გამოძიების საქმეში საკაშვილმაც ჩართო „ეფბიაი“...**

– რომ ჩართო, იმიტომაც მივიღეთ „კომპეტენტური პასუხები“... სხვათა შორის, წლების წინათ ზვიად გამსახურდიას ცხედრის ექსჰუმაციისთვისაც მოიწვია საქართველომ დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან და რუსთიდან პროფესორები. ნამდვილი კორიფეები იყვნენ, მაგრამ ოჯახმა თქვა უარი. ვუდროფის მკვლელობაზეც გაიგზავნა მასალები უცხოეთში. ეს მასალები წლების წინათ მე გადმომცეს ჟურნალისტებმა, სადაც ცალსახად ჩანდა, რომ ის გაყალბებული იყო და ეს გადასარევად იცოდა ამერიკულმა მხარემაც. იქიდან პასუხი აღარ მოსულა და იმ ადამიანმა, რომელიც ამ მკვლელობისთვის ციხეში გაუშვეს, სულ ტყუილად გაატარა ეს წლები იქ. მაგრამ ფაქტია, რომ უცხოეთიდან არავითარი ინფორმაცია არ მოსულა. მახსენდება გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეც. მას ხელის მტევანზე ჰქონდა დამწვრობა. მასალა მე ავიღე და სპეციალური სითხით ჩემი ხელით ჩავიტანე „ეფბიაის“ ლაბორატორიაში. იქვე ვთქვი კიდეც, დამწვრობა ახალია, მაგრამ კარგი იქნება, თუ ამას მიკროსკოპული გამოკვლევით დავადასტურებთ-მეთქი. არც ამაზე მოსულა პასუხი.

**– ფაქტები, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, იმას გვიდასტურებს, რომ უცხოეთში გამოსაკვლევად გაგზავნილი მასალების შესახებ ინფორმაცია იკარგება. სხვა შემთხვევა თუ გახსენდებათ, როდესაც იქიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიდა კვლევის შედეგად...**

– არც ერთი შემთხვევა არ მახსენდება, რომ ეს ინფორმაცია გამოძიებას არსებითად დახმარებოდა. ამ პროცესს დიდი დრო სჭირდება. გვეუბნებიან, ჯერ არ არის პასუხიო და მერე ის ყველას ავიწყდება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი დროის გასაყვანად კეთდება, რომ მერე ყველას დაავიწყდეს. სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა არის. თუნდაც ზურაბ ჟვანიას საქმეში უცხოელი სპეციალისტები რომ ჩართეს, რა შედეგი მივიღეთ? ის, რომ დიდი ხნის შემდეგ აქ ჩამოსულიყო კარგად გაყალბებული პასუხი. ალბათ, სჯობს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. შვეიცარიასა და ისრაელთან მიმართებაში ვერაფერს გეტყვით, მით უმეტეს, ისეც არ ვიცით, რის გაგზავნას აპირებენ. ვნახოთ...

**– იმ ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში ჩატარდა, ზურაბ ჟვანიას ტუჩთან აღწერილი იყო სისხლნაჟღენთი დაზიანება. თქვენგან ვიცით, რომ ექსპერტს ის აღწერილი ჰქონდა კლასიკურად, როგორც სიცოცხლისდროინდელი დაზიანება, მაგრამ დასკვნაში ეწერა სიკვდილისშემდგომად. ეს დაზიანება ექსჰუმაციის შემთხვევაში, ალბათ, აღარ იქნება...**

– რა თქმა უნდა, არ იქნება.

**– რამე საუბარი ხომ არ გქონიათ ზურაბ ჟვანიას ოჯახთან ამ თემაზე?**

– არა. მხოლოდ ერთხელ, დაახლოებით ორი თვის წინ, სტუდიაში შევხვდი ზურაბ ჟვანიას ძმას და რაულ უსუპოვის მამას. სწორედ იქ, ეთერსმიღმა გვქონდა ზოგადი საუბარი, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ექსჰუმაციამ. უბრალოდ, კითხვა დამისვეს და ვუპასუხე, ვარაუდების დონეზე. კონკრეტიკა ამ საუბარს არ ჰქონია. თუ კვლევა ჩატარდება, სერიოზულად უნდა ჩატარდეს. ეტიკეტები უხდება და ალამაზებს შამპანურსა და კონიაკს, მაგრამ არსებობს პრაქტიკული მომენტები, რომელიც საერთოა ყველა მცოდნე ადამიანისთვის ყველა ქვეყანაში. თორემ უცოდინარი ოკეანის გაღმაც მინახავს და აქაც. მზა სქემა ექსჰუმაციისთვის არ არსებობს. ეს არის ძალიან დინამიკური, მოულოდნელობით აღსავსე პროცესი და რა შედეგი შეიძლება ამან მოიტანოს, ვნახავთ მხოლოდ მაშინ, როცა ექსჰუმაცია ჩატარდება.

**„ზურაბ ჟვანიას საქმეში უცხოელი სპეციალისტები რომ ჩართეს, რა შედეგი მივიღეთ?“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა გაკეთდება წელს ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად?



## მინისტრი პრიორიტეტებს ასახელებს

ნატა დვალიშვილი

**მართალია, ხმაურიანი და სკანდალური სტრუქტურა არ გახლავთ, მაგრამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მნიშვნელობით, სხვებს არაფრით ჩამოუვარდება. სკანდალური პოლიტიკური განცხადებები და საზოგადოებრივი სეირი ნაკლებად, მაგრამ ის საქმე, რისი ადმინისტრირებაც აქ ხდება, ხშირად იმაზე მნიშვნელოვანია, ვიდრე ამაზე საუბრობენ ან ფიქრობენ.**

ქვეყნის ეკოლოგიური სიტუაცია, ის შესაძლო კატასტროფები, რაც ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა ნაბიჯმა შეიძლება გამოიწვიოს, დღეს თუ არა, ხვალ და ზეგ ჩვენს შვილებს ძვირად დაუჯდებათ.

თითქოს ბევრი არაფერი, წინასაახალწლოდ მასმედიის საშუალებებით ეთერში გავიდა სოციალური რეკლამა „ნუ მოჭრი ნაძვს".

**„პრაიმტაიმი" გარემოს დაცვის მინისტრს, ქალბატონ ხათუნა გოგალაძეს ესაუბრა:**

**– ქალბატონო ხათუნა, ჩაიარა საახალწლო პერიოდმა, გაკეთდა თუ არა მონიტორინგი ნაძვის მოჭრის აკრძალვასთან დაკავშირებით? იმუშავა თუ არა იმ სოციალურმა პროპაგანდამ საზოგადოების ცნობიერებაზე, რომ ადამიანებს არ მოეჭრათ ცოცხალი ნაძვი?**

– ჩვენ მოვახერხეთ საზოგადოების ჩართვა ამ პროცესში, რამაც გაცილებით მეტი ეფექტი მოგვცა, ვიდრე „სადამსჯელო ოპერაციები" მოგვცემდა. საზოგადოებამ, თითოეულმა მოსახლემ წამოწყებულ კამპანიას დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა, რაც თვალსაჩინო იყო გამოხმაურებებით სოციალურ ქსელებსა თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებში და, რაც მთავარია, შედეგით, რადგან, წინა წლებთან შედარებით, უკანონო ჭრა, მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც იყო – გამოვლინდა უკანონოდ მოპოვებული წიწვოვანი ჯიშის ხეების რეალიზაციის მცდელობის 6 ფაქტი; სამართალდამრღვევთა მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და ჩამოერთვა 560 ძირი სხვადასხვა ჯიშის წიწვოვანი ნარგავები, ეს საქმეები კი ახლა სასამართლოშია.

**– ხმაურიანი თემაა სარეკრეაციო ზონების საკითხი, ბოლო პერიოდში პერმანენტულად იმართება საპროტესტო აქციები ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის წინააღმდეგ. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით და, ზოგადად, რა მდგომარეობაა პარკებისა და სარეკრეაციო ზონების დაცვის მხრივ?**

– თბილისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქია, იზრდება ტრანსპორტის რიცხვი, მიმდინარეობს მშენებლობა და, შესაბამისად, რეკრეაციულ ზონებსა და გამწვანებას ქალაქისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თბილისი, ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ტერიტორიების მიხედვით, სტანდარტებს ქვემოთაა და, შესაბამისად, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, შევინარჩუნოთ რეკრეაციული ზონები, განვავითაროთ და არა პირიქით. ქალაქს უნდა ჰქონდეს განვითარების გეგმა, უნდა ვიცოდეთ, სად განვახორციელოთ ინფრასტრუქტურული პროექტები... ვაკე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული უბანია, შესაბამისად, მოსახლეობისთვის, ჰაერის ხარისხისთვის, ხმაურის შემცირებისთვის უმნიშვნელოვანესია, შევინარჩუნოთ გამწვანება და ამ პოზიციაზე მყარად ვდგავარ.

**– რა კეთდება დღეს ქვეყანაში რთული ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად?**

– არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩავიბარეთ ძალიან რთული მემკვიდრეობა როგორც ინსტიტუციის, ასევე გაუარესებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მხრივ. 2013 წელს მოვახერხეთ, რამდენიმე ნაბიჯი გადაგვედგა ტყეების მართვის გასაუმჯობესებლად, დაიწყო ტყის ინვენტარიზაციის, მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები კონკრეტულ რეგიონებში, რაც 2014 წელსაც გაგრძელდა, ასევე გაძლიერდა კონტროლი გარემოსდაცვითი მიმართულებით.

ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ბრაკონიერობასთან ბრძოლა – ხე-ტყის უკანონო მოპოვება, შიდა წყალსატევებში უკანონო თევზჭერა, წიაღისეულის უკანონო მოპოვება და სხვა.

ასევე, განხორციელდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე საწარმოების შემოწმებაც საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით.

**– ეკოლოგიური მიმართულებით, მწვავე პრობლემაა „ხუდონჰესის" მშენებლობა და მიმდინარე წელს, როგორც ჩანს, ეს განსაკუთრებით აქტუალური თემა იქნება. თქვენი აზრით, რამდენად დააზიანებს „ხუდონჰესი" გარემოს და ამ ჰიდროელექტროსადგურის მიერ მოტანილი სიკეთეები ეკოლოგიური ცვლილებების ადეკვატური თუ იქნება?**

– შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიამ" მდინარე ენგურზე 702 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, წინასწარი განხილვის მიზნით, სამინისტროში 2013 წლის 29 ივლისს შემოიტანა, შესაბამისი დარგის ექსპერტებმა კი მათ 111 შენიშვნა გადაუგზავნეს, რომელიც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების დაზუსტებასა და დოკუმენტში ასახვას მოიცავდა, როგორიცაა გეოლოგიური საკითხების სრულყოფა, სეისმური პირობების გათვლა, ჰიდროლოგიური ნაწილის სრულყოფილი შესწავლა, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფლორისა და ფაუნის იდენტიფიცირება, ტყის საკითხების რეგულირება, პროექტის განხორციელებისას შესაძლო რისკების გათვლა და ა. შ. შენიშვნები გათვალისწინებული უნდა იყოს და ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე უნდა წარმოადგინონ დოკუმენტის განახლებული ვარიანტი.

რაც შეეხება სამინისტროს პოზიციას ჰესის მშენებლობის მიზანშეწონილობის შესახებ, გვსურს, აღვნიშნოთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი არც ერთი ინფრასტრუქტურული ობიექტის მშენებლობისა იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განმხორციელებლის მიერ სწორად დაიგეგმება პროექტი, სრულყოფილად შეისწავლიან საქმიანობით გამოწვეულ ეკოლოგიურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ შედეგებს და სამინისტროში დეტალური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შედგენილ დოკუმენტაციას წარმოადგენენ. სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია, გასცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა ისეთ საქმიანობაზე, რომელიც ეკონომიკურადაც მომგებიანიც იქნება ქვეყნისთვის და, ამავე დროს, გარემოს დაცვის კუთხით არ გამოიწვევს შეუქცევად პროცესებს.

**– რთულად ვითარდება მოვლენები საყდრისის საბადოს ირგვლივაც...**

– საჯარო განხილვის მიზნით, გასული წლის 25 დეკემბერს შპს „RMG Gold"-მა სამინისტროში წარმოადგინა საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ამ ეტაპზე ექსპერტები წარმოდგენილ დოკუმენტს განიხილავენ და პროცესის დასრულების შემდეგ პოზიციას დავაფიქსირებთ.

# ჯიპების სკანდალი და კომისია, რომელ

ეკა სოსელია



**აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ ბერიძის მიერ სახელმწიფოს სახსრებით ძვირადღირებული ჯიპის შეძენის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო ქონების შეძენა-მოხმარების რეგულაციებზე მუშაობას სპეციალური კომისია დაიწყებდა, შესყიდვებისთვის – სტანდარტებს, დარღვევებისთვის კი ჯარიმებს დააწესებდა. ე. წ. ჯიპების სკანდალს მაშინ საკმაოდ მწვავედ გამოეხმაურა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და ვიცე-პრემიერი. კალაძემ განაცხადა, რომ ავთანდილ ბერიძე პასუხისმგებლობას ვერ აცნობიერებდა და აღნიშნულ საკითხს პარტია პოლიტსაბჭოს სხდომაზე განიხილავდა. პრემიერისა და ვიცე-პრემიერის განცხადებების გამო აჭარის უზენაესმა საბჭომ გამოცხადებული ტენდერი გააუქმა. დაიწყო თუ არა კომისიამ მუშაობა და იკვეთება თუ არა დარღვევები? ამ და სხვა თემებზე „პრაიმტაიმს" ექსკლუზიურად ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ესაუბრება.**

**– მუშაობს თუ არა სპეციალური კომისია სახელმწიფო ქონების შეძენა-მოხმარების რეგულაციებზე და როდის ამოქმედდება ეს ახალი შეზღუდვები, რაზეც თქვენ ცოტა ხნის წინ ისაუბრეთ? გვახსოვს, რომ საკმაოდ მწვავედ გამოეხმაურეთ ავთანდილ ბერიძის ჯიპების სკანდალს...**

– როგორც აღვნიშნე, კომისია შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის პრემიერმინისტრობის პერიოდში, იმიტომ რომ „ჩავიბარეთ" თუ არა უწყებები და სახელმწიფო ქონება, თვალნათლივ გამოჩნდა, რამდენად საჭიროებდა ყოველივე ეს რეგულაციას. ეს არ არის ის, რასაც წლებია ყველა შეჩვეული იყო – პოპულისტური ნაბიჯი მენტალური ეფექტის მოსახდენად მოსახლეობაზე, არც კი იცოდით თითქმის არავინ ამ კომისიის შექმნისა და მუშაობის შესახებ, ეს იყო და არის რუტინული სამუშაო, რომელიც ნელ-ნელა თავის ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდება, გაივლის საკანონმდებლო პროცედურებს და შევა ძალაში. მერე მოხდება ამ ყველაფრის მაქსიმალური გასაჯაროება. ვინაიდან საზოგადოების ინტერესი კონკრეტული ფაქტების მიმართ ძალიან რეზონანსული და მაღალი იყო, ამ გარემოების გათვალისწინებით მოხდა ჩვენგან კომისიის დაანონსება.

**– მაინც რა ფორმის რეგულაციებზეა საუბარი? ნებისმიერი მოხელე, რომელიც გადაცდომას მოახდენს, პასუხს აგებს კანონის წინაშე? გაქვთ თუ არა უკვე განსაზღვრული დეტალები?**

– ამაზე კომისიაში მოქმედი იურისტებიც მუშაობენ. ცხადია, ეს იქნება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვინაიდან შესყიდვებს უწყება აწარმოებს და არა რომელიმე მოხელის ერთპიროვნული ახირება ან კაპრიზია, გადაცდომები თითქმის არ იქნება.

## „ყველა ნორმა წინა ხელისუფლებას თავის ფუფუნებასა და კომფორტზე ჰქონდა აწყობილი, ჩვენ ესეც მისახედი გვაქვს: სახელმწიფო მოხელის ქცევისა და ყოფის ერთგვარი კოდექსი"

ყოველ შემთხვევაში მიზანმიმართული.

**– თქვენს საჯარო განცხადებაში თქვით, რომ „შეცდომის დაფარვაში გუნდურობა დაუშვებელია". ავთანდილ ბერიძის გარდა, იყო თუ არა მთავრობაში შემთხვევები, რომელიც შეგიძლიათ, შეაფასოთ, როგორც გადაცდომა?**

– მოდით, არ გვინდა პიროვნულად ფოკუსირება და არც გადაცდომის კონკრეტიკაა საჭირო. ძალიან მარტივია: პიროვნების მოქმედებას, მით უმეტეს, ჩინოვნიკის ამპლუაში კანონი თუ არ არეგულირებს, ზუსტად არაა გაწერილი, რისი უფლება და ვალდებულება აქვს მას – უკლებლივ ყველა ვერ იქნება ყოველთვის საზოგადოების მოწონების სიმაღლეზე.

ადამიანებს სხვადასხვა ხასიათი, მსოფლმხედველობა და მორალური ჩარჩო აქვთ. მეორე მხრივ, ხშირ შემთხვევაში საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებსაც აქვთ სუბიექტური მოთხოვნები თუ პრეტენზიები.

ჩვენთან დღეს ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, რომ ყველა ნორმა წინა ხელისუფლებას თავის ფუფუნებასა და კომფორტზე ჰქონდა აწყობილი, ჩვენ ესეც მისახედი გვაქვს: ერთგვარი სახელმწიფო მოხელის ქცევისა და ყოფის კოდექსი, რაც სისხლშია უკვე გამჯდარი ევროპულ ქვეყნებში და ჩვენ ჩვენი საბჭოური მემკვიდრეობის მენტალურ ფონზე დიდი გზა გვაქვს გასავლელი ევროპულობამდე.

**– ავთანდილ ბერიძის სკანდალს ირინა იმერლიშვილის მიერ ახალი ჯიპის შეძენაც მოჰყვა, იმ მოტივით, რომ გიგა ბოკერიას მანქანა სიგარეტის სუნით იყო გაჟღენთილი. რამდენად მისაღებია თქვენთვის ეს არგუმენტი?**

– მე ყველას არგუმენტს პიროვნულად ვიღებ და აღვიქვამ, როგორც საზოგადოების ნებისმიერი წევრი. ჩემი სახელმწიფო მოხელის სტატუსიდან გამომდინარე კი – როგორც ფაქტს, რომლის მიმართ ჩემს დამოკიდებულებას განსაზღვრავს კანონი და ჩემი თანამდებობა.

**– როგორც ვიცე-პრემიერს, მინდა გკითხოთ, მთავრობაში უახლოეს მომავალში რაიმე ცვლილებას უნდა ველოდოთ (კულუარებში სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება, მაგალითად, ოდიშარიას ჩანაცვლების საკითხი და ასე შემდეგ... ამბობენ, რომ ღარიბაშვილი მინისტრთა კაბინეტს გადაახალისებს...)?**

– როცა მთავრობაში რამე ცვლილება განხორციელდება, ეს ინფორმაცია იქნება საჯარო და ყველა ერთად შეიტყობს. ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის დაანონსების საფუძველს ვერ ვხედავ. მანამდეც იყო ამა თუ იმ მინისტრზე ჩანაცვლების ან გადაყვანის „ანონსები" მედიისა თუ მოსახლეობის მხრიდან. რა საჭიროა? რაც მოხდება, ისედაც ყველა გაიგებს. ჩვეულებრივი პროცესია და არა მგონია, ძალიან დიდ ინტერესს წარმოადგენდეს. მთავარია, მომსახურების ხარისხი – ხელისუფლება როგორ მოემსახურება ქვეყანას. ამას უნდა შევეჩვიოთ და გავითავისოთ. პერსონებს არ აქვს მნიშვნელობა და არც სკამებს.

**– რაც შეეხება კონკრეტულად თქვენს სფეროს – ენერგეტიკას, აქვს თუ არა საქართველოს პოტენციალი, ენერგოდამოუკიდებლობას მიაღწიოს? და როდისთვის არის ეს მოსალოდნელი ?**

– საქართველო ენერგეტიკულად დამოკიდებულია მეზობელ ქვეყნებზე, აქ იგულისხმება როგორც ნავთობპროდუქტები, ასევე ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია, რომლის იმპორტსაც ქვეყანა ზამთრის პერიოდში ძირითადად რუსეთიდან ახორციელებს. საქართველოს ნავთობის ძალიან ცოტა რესურსი გააჩნია, შესაბამისად, ბაზრის 100% იმპორტირებული პროდუქციით არის გაჯერებული.

ნავთობპროდუქტების ბაზარი დარეგულირებულია და საქართველოში შემოტანილი ნავთობის ფასი დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზრის ფასებზე. დღეისთვის ბაზარზე ევროპული, ძირითადად

**„რაც მოხდება, ისედაც ყველა გაიგებს... პერსონებს არ აქვს მნიშვნელობა და არც სკამებს"**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...იც სახელმწიფო ქონების შეძენა-მოხმარებას დაარეგულირებს

# ექსკლუზიური ინტერვიუ კახა კალაძესთან



**„ჰიდრორესურსების განვითარების კუთხით, საქართველოს გააჩნია რეალური შესაძლებლობა, რომ რეგიონი გახდეს ენერგოდამოუკიდებელი სახელმწიფო“**

**„პირველად ხუდონის პროექტის ისტორიაში სახელმწიფო ხაიშელების ინტერესებს გაითვალისწინებს“**

**„ეს იქნება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვინაიდან შესყიდვებს უწყება აწარმოებს და არა რომელიმე მოხელის ერთპიროვნული ახირება ან კაპრიზია, გადაცდომები თითქმის არ იქნება“**

**EXCLUSIVE**

რუმინული და აზერბაიჯანული საწვავი იყიდება. თუმცა მოლაპარაკებები მიმდინარეობს აზერბაიჯანთან, რომ „კორიდორის“ ლიბერალიზაცია მოხდეს, რათა ყაზახური და თურქმენული ნავთობპროდუქტები საქართველოს გავლით თურქეთსა და ევროპაში გავიდეს. ამ პროექტის განხორციელება საქართველოსთვის საწვავის ფასების კუთხითაც მნიშვნელოვანი იქნება, რადგან თურქმენული საწვავი რუმინულთან შედარებით დაბალია და ეს ადგილობრივ ბაზარზე ნავთობპროდუქტების ღირებულებას მნიშვნელოვნად გააიაფებს. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, საქართველოს აზერბაიჯანთან აქვს მნიშვნელოვანი კონტრაქტი, რომელიც 2025 წლამდე ქვეყანაში შეღავათიან ფასად მოსახლეობისთვის სოციალური გაზისა და თბოსადგურების ფუნქციონირებისთვის საჭირო ბუნებრივი აირის იმპორტს გულისხმობს. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გადის „შაჰდენიზის“ გაზსადენი, საიდანაც ქვეყანა იღებს როგორც ტრანზიტის ღირებულებას ბუნებრივი აირის სახით, ასევე გარკვეული მოცულობის შეღავათიანი ფასით შესყიდვის საშუალება აქვს. გარდა ამისა, „შაჰდენიზის“ პროექტის მეორე ფაზის დაფინანსებაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება, რათა მოხდეს თურქეთის მიმართულებით წლიურად, დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება. დაგეგმილია პარალელური მილსადენის მშენებლობა – 387 კმ აზერბაიჯანის, ხოლო 55 კმ საქართველოს ტერიტორიაზე. არსებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს შეუძლია ტრანზიტით გატარებული გაზის 5% შეღავათიან ფასად შეისყიდოს, რაც გაზსადენის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში წელიწადში დამატებით მილიარდ კუბურ მეტრ გაზზე მეტს შეადგენს. „შაჰდენიზის“ მე-2 ფაზის ფარგლებში საქართველოში 400-700 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიციები ჩაიდება. მშენებლობის პიკის პერიოდში ქვეყანაში დაახლოებით 2000, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში დაახლოებით 130 ახალი მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ჰიდრორესურსების განვითარების კუთხით, საქართველოს გააჩნია რეალური შესაძლებლობა, რომ რეგიონი გახდეს ენერგოდამოუკიდებელი სახელმწიფო. დღეისთვის არსებული ჰიდრორესურსების 20-25%-ია ათვისებული. მნიშვნელოვანია ჰიდროელექტროსადგურების აქტიური მშენებლობა, რაც, ერთი მხრივ, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოებას გაზრდის და ქვეყანას ექნება შესაძლებლობა, ზამთარში იმპორტირებული დენი ადგილობრივით ჩაანაცვლოს, მეორე – ეკონომიკაში ახალი ინვესტიციები ჩაიდება და სამუშაო ადგილები შეიქმნება. აუცილებელია, რომ ელექტროენერგიის კუთხით არსებული ჰიდრორესურსების გამოყენებით ჯერ უნდა ჩანაცვლდეს იმპორტირებული ელექტროენერგია, ხოლო შემდეგ მაქსიმალურად შემცირდეს იმპორტირებულ გაზზე მომუშავე თბოსადგურების წილი ელექტროენერგეტიკულ ბალანსში. ენერგეტიკაში ინვესტორთა მხრიდან ინტერესები ძალიან მაღალია. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ენერგოსექტორში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 7%-ით გაიზარდა. ასევე, მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება საექსპორტო სიმძლავრეების გაზრდის კუთხით. გასული წლის დეკემბერში ექსპლუატაციაში შევიდა თურქეთთან დამაკავშირებელი 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზი.

**– ერთ-ერთი ქვეყანა, რომელზეც ჩვენ დამოკიდებული ვართ, და თან განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში – ეს რუსეთია. ელოდებით თუ არა რუსეთის მხრიდან ენერგეტიკული ბერკეტების გამოყენებას, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები რუსეთის გაღიზიანებასა და სხვადასხვა სფეროში ურთიერთობის გართულებას ელოდებიან?**

– ზამთრის პერიოდში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს ვახორციელებთ, რაც ამ პერიოდში ელექტროენერგიის მთლიან მოხმარებაში მნიშვნელოვან პროცენტს წარმოადგენს. ეს იმიტომ, რომ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ამ პერიოდში ყველაზე იაფი იმპორტირებული ელექტროენერგია რუსეთს აქვს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა იმპორტზე უარი გვითხრა, ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, სხვა მომწოდებლისგან მივიღოთ ელექტროენერგია.

დღევანდელი მდგომარეობით რაიმე სახის გართულებებს ამ მიმართულებით არ ველოდებით. საქართველო ენერგოდივერსიფიცირების კუთხით აქტიურად მუშაობს, ეს თავისთავად გულისხმობს ალტერნატიული ენერგომომარაგების წყაროების შემუშავებას, რაც ქვეყნისთვის ენერგოუსაფრთხოების ჭრილში უმნიშვნელოვანესია. თუკი რაიმე სახის გამწვავებას ექნება ადგილი, საქართველოს აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის ურყევი მხარდაჭერა, რათა მოვახდინოთ დროული რეაგირება და არ დავუშვათ ქვეყნისთვის არასასურველი შედეგები.

**– თუ მოხდება ზეწოლა და არ მოგვაწვდიან ელექტროენერგიას, გააძვირებს თუ არა სხვა ბაზრები ფასს?**

– ამ შემთხვევაში ყველა მეზობელი ქვეყანა შეგვიძლია განვიხილოთ, მათ აქვთ ელექტროენერგიის იმპორტზე ფიქსირებული ფასი, თუმცა ყველაფერი მაინც შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული. ასე ხდება რუსეთთანაც, ყოველწლიურად ხდება ფასის გადახედვა და ახალი შეთანხმების გაფორმება.

**– რადგან ფასზე გაამახვილეთ ყურადღება, აქვე გკითხავთ, თქვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი დაპირება სწორედ კომუნალური გადასახადების შემცირება იყო... და მოსახლეობის ნაწილში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს კიდეც ის ფაქტი, რომ ფასის კლება არასაკმარისია... იგეგმება თუ არა ტარიფების შემცირება, თუ ეს არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც თქვენმა უწყებამ შეძლო?**

– პირველ რიგში, ერთ-ერთი მთავარი დაპირება ეს არ ყოფილა. ნუ გადავიყვანთ მოსახლეობის მხარდაჭერის ფაქტს ობევატელურ ჭრილში. ჩვენი ხალხი ითხოვდა სამართლიანობას და ძალადობის შეწყვეტას, სააკაშვილის რეჟიმის წნეხიდან გამოსვლას. კოალიცია შეიქმნა მაგ მოტივით, რომ ბოროტება ერთიანი ძალით დაგვემარცხებინა და არჩევნების შედეგი ამ კონსოლიდაციამ განაპირობა. ტარიფები, სოფლის მეურნეობაში ცვლილებები, სამედიცინო რეფორმა. ეს ყველაფერი არის ამ გამარჯვების ნაყოფი, რომელსაც ვიღებთ ერთობლივი შრომით და ნაბიჯ-ნაბიჯ ქვეყნის მოწესრიგებაზე ზრუნვით.

**– რაც შეეხება „ხუდონჰესის“ პროექტს, ეს არის თემა, რაზეც საზოგადოების აზრი დღემდე ორად იყოფა, 23-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, სპეციალური განცხადებაც გაავრცელა, სადაც არასამთავრობო სექტორი ხაიშელების ინტერესების გათვალისწინებას ითხოვს, რატომ გადაიწია მშენებლობისთვის ნებართვის აღების ვადამ 2014 წლის პირველ მარტამდე და უკავშირდება თუ არა ეს ამ პროექტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას?**

– კი, სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა და სახელმწიფოც ამას ითხოვს. პირველად ხუდონის პროექტის ისტორიაში სახელმწიფო ხაიშელების ინტერესებს გაითვალისწინებს არა ტერორით ან უყურადღებობით, არა მუქარითა და ცრუ დაპირებებით, არამედ თითოეული ხაიშელის ქონებრივი, მორალური და ფინანსური ინტერესის გათვალისწინებით და მოგვარებით განხორციელდება ეს პროექტი.

**– იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა აზრს არ შეიცვლის, „ხუდონჰესი“ მაინც აშენდება?**

– მოსახლეობასთან არც ერთი ხელისუფლება არ კადრულობდა კონსტრუქციულ და შინაარსიან საუბარს და რეალურ მომავალს არ უსახავდა. ჩვენ ვისაუბრებთ და დარწმუნებული ვარ, არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელიც თავის პირად, ოჯახის კეთილდღეობასა და ქვეყნის წინსვლას ზურგს შეაქცევს ან ჯიბრში ჩაუდგება. არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვენ იმას, რაც წინა ხელისუფლებებისთვის უნდა მოეთხოვათ, ჩვენ ხალხთან სალაპარაკოდ შუამავალი არ გვჭირდება და არც ხალხს სჭირდება დამცველი ხელისუფლებასთან ურთიერთობისას.

**„მე ყველას არგუმენტს პიროვნულად ვიღებ და აღვიქვამ, როგორც საზოგადოების ნებისმიერი წევრი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება









# „მპირდებიან, მეტი არაფერი. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, სამინისტროში მოდიო“

## ცნობილია, რომ ბენეფიციარებს თავშესაფრის დატოვება ადრიან გაზაფხულზე მოუწევთ. ხელშეკრულება 15 მარტს იწურება. დავით ნარმანია იმედოვნებს, რომ ვადის ამოწურვამდე ახალი თავშესაფრის მშენებლობა დასრულდება

სალომე გოგოხია

**65 წლის მაყვალა გულისაშვილი ორი თვეა, რაც მოსკოვის გამზირზე სახელდახელოდ გამართულ თავშესაფარში ცხოვრობს. მე-19 კარავში, მასთან ერთად, ორი მოხუცი ბებო და ერთი ახალგაზრდა ქალი ცხოვრობს. სასაუბროდ თავის კარავში მეპატიჟება, კარვის „კარი“ გადასწია და შეშის ღუმელთან ვსხდებით. მაყვალა ბებო თავის ცხოვრებაზე მიამბობს, აქ მოსვლამდე სადგურზე წვრილმანებით ვაჭრობდა, ღამეს კი იქვე, 2 ლარად ნაქირავებ ოთახში ათენებდა. ამბობს, რომ ფული წაართვეს, შემდეგ თავშესაფრის შესახებ შეიტყო და აქ მოვიდა.**

„ქუჩას კი სჯობს. „ფეჩი“ დღე და ღამე ანთია. შეშა დაჩეხილია და შემომაქვს. ბრონქიტი მაქვს, სუნთქვა მიჭირს, მაგრამ რას ვიზამ. თეთრეულს გვიცვლიან, ჩემს სარეცხს მე ვრეცხავ, საბანაოდ აბანოში მივდივარ. როცა აქ მოვედი, ნავაჭრი, 740 ლარი მქონდა. უბეში ვინახავდი. მესამე კარავში ერთი ბიჭი ცხოვრობდა, მისი ბებია და მე ვაგზალზე ერთად ვვაჭრობდით. დიტო ჰქვია. ეს ბიჭი გამომელაპარაკა, შურას შვილიშვილი ვარო. მას მერე ფულს მთხოვდა, არ მაქვს-მეთქი. აღარ მომასვენა, მეც უბიდან 20 ლარი ამოვიღე და მივეცი. დაინახა, რომ ფული მქონდა, ძმაკაცს უთხრა და ღამით, როცა ყველას ეძინა, შემოცვივდნენ, ნათურა ჩაამსხვრიეს და მეცნენ. მცემეს, თავში მუჯლუგუნები მირტყეს, მოიტა, ფულიო. წამართვეს. გაიქცნენ. არავინ არ მომეშველა. აქ ხომ ნორმალური იშვიათად მოვა. ერთმა მითხრა, გამიხარდა, რომ ფული მთიულმა წაგართვაო. რა უნდა ელაპარაკო? შემდეგ პოლიციაც მოვიდა, ის ბიჭები ორ დღეში დაიჭირეს, ფული დაუხარჯავთ. დამპირდნენ, დაგიბრუნებთო, ვნახოთ. თავი დღემდე მტკივა“, - ამ სიტყვებზე მაყვალა ბებო თავდასხმის დროს მიყენებულ ნაიარევს მიჩვენებს, ხელებზეც ეტყობა იარა, სხეული დალურჯებული მქონდაო, ამბობს.

თუმცა, გაუგებარია, თავშესაფარს, რომელსაც 24 საათი საპატრულო პოლიცია და ჯარისკაცები აკონტროლებენ, თავდასხმის მომენტი როგორ გამოეპარათ?!

მაყვალა გულისაშვილთან საუბრის შემდეგ, სხვა ბენეფიციარებს ვსტუმრობ. თუმცა, მასავით ენაწყლიანი ყველა როდია. დიქტოფონის და ფოტოაპარატის დანახვაზე ღიზიანდებიან და მეკითხებიან, ტელევიზორში უნდა გამომაჭენო?

**66 წლის ჯიმშერი:** „მარტოხელა ვარ. რა თქმა უნდა, ქუჩის პირობებს აქაური სჯობს, მაგრამ მე მარტო მინდა ყოფნა. წამლების პრობლემა მაქვს. ღუდუშაურიდან ვიღაც მოვიდა, რაღაც ჩაიწერა და წავიდა. ნეიროლეფსინი მინდა. ნახევარი თავი, ხელი, თვალი წართმეული მაქვს. მპირდებიან, მეტი არაფერი. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, სამინისტროში მოდიო“, - რესპონდენტი ყავარჯნებით გადაადგილდება...

მიუხედავად იმისა, რომ კარვების წინ საახალწლოდ ნაძვის ხეც მოურთავთ, ყველაზე ნაკლებად საზეიმო განწყობა სწორედ აქ, ამ უსახლკაროებს შორის იგრძნობა. მათი უმრავლესობა ყოველგვარ ადამიანურს დიდი ხანია მოკლებულია და მთავარი მიზანი არსებობაა. აქ ყოფნისას თვალი შეეჩვია ნებისმიერი კარვიდან ბანცალით გამოსულ ნასვამ მამაკაცებსა და მანდილოსნებს. კარვებზე გამაფრთხილებელი განცხადებებია გამოკრული, რომ „ალკოჰოლის შემოტანა სასტიკად აკრძალულია“, როგორც ჩანს, ეს გაფრთხილება მათ მეხსიერებას მხოლოდ სლოგანად შემორჩება.

თავშესაფრის შესასვლელში, შლაგბაუმთან საპატრულო პოლიცია დგას, რომელიც თავშესაფარში შემსვლელ ბენეფიციარებს აკონტროლებს. თუმცა, ისინი ალკოჰოლის შემოსატანად აპრობირებულ ხრიკს მიმართავენ და თავშესაფარში შესვლამდე, ბოთლ არაყს ღობის მიღმა შეაგდებენ, კონტროლის გავლის შემდეგ, ნადავლი კარავში შეაქვთ და სმაც იწყება. შესაბამისად, აქაურობისთვის ჩხუბი, უცენზურო სიტყვები და შეხლა-შემოხლა უცხო არ არის.

თავშესაფრის ეზოშია ერთი საპირფარეშო, ფსიქოლოგიური დახმარების ოთახი. ასევე, მოწყალების დების ოთახი, აქ ისინი 24 საათი მუშაობენ.

თავშესაფრის მიმართ მასმედიის მაღალი ინტერესი განსაკუთრებით პირველ დღეებში იგრძნობოდა. ხელისუფლების ინიციატივით, 2013 წლის 12 დეკემბერს, უსახლკაროებისთვის სახელდახელო თავშესაფარი მოეწყო, რომლის მიზანი ცივ ზამთარში მათი გამოზამთრება იყო. ბენეფიციარების უმრავლესობა საპატრულო პოლიციას მოჰყავდა. რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მათ კარავში საწოლს, სამოსს, საკვებს აძლევდნენ. კარავი მაქსიმუმ 12 ადამიანზეა გათვლილი. კვება დღეში ორჯერ.

„ყველაფერია, „გრეჩიხა“, სუპები, შილაფლავი, კვერცხი, „ბულკები“, პური“, - ამბობს ერთ-ერთი მანდილოსანი.

თავშესაფრის ადმინისტრაციის ცნობით, ბენეფიციართა რაოდენობა 170-დან 212-მდე მერყეობს. ალბათ, ადრიან გაზაფხულზე, ეს ადამიანები თავშესაფარს ისე დატოვებდნენ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერც გაიგებდა. თუმცა, სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ინფორმაციამ, თითქოს, „ქუჩაში უფრო უკეთესი პირობებია, ვიდრე თავშესაფარში“, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ინფორმაცია „იდენტობამ“ გაავრცელა, ჟურნალისტმა ბენეფიციართან მაშინ ჩაწერა ინტერვიუ, როცა მას „თეთრი ცხელება“ აღენიშნებოდა და არაადეკვატური იყო.

თუმცა, „იდენტობის“ სათემოს ხელმძღვანელი ანი რეხვიაშვილი „PrimeTime-“ თან აცხადებს, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ფაქტებს ეყრდნობა და საჭიროების შემთხვევაში ჩანაწერს წარმოადგენენ.

გავრცელებული ჭორების გასაქარწყლებლად და ადგილზე სიტუაციის შესამოწმებლად, თავშესაფარში 13 იანვარს ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, სახა-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რთა თავშესაფრიდან

ლხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და ჯანდაცვის წარმომადგენლები მივიდნენ. მათ ჯერ თავშესაფრის ბენეფიციარის ზვიად კვირტიას ბრალდებების მოსმენა მოუწიათ, რომელიც ამბობს, რომ ტუბერკულოზითაა დაავადებული და მისი აქ ყოფნა საშიშია, თანაც, მედიკამენტების გარეშეა. თუმცა, ადმინისტრაციის განცხადებით, ტუბ-ში გადაყვანაზე და შემოწმებაზე უარს ამბობს.

კვირტიას დაშოშმინების შემდეგ, სტუმრებმა კარვები და საპირფარეშო დაათვალიერეს. გზადაგზა ბენეფიციარები დავით ნარმანიასთან ფოტოებს იღებდნენ. მათ შორის, განსაკუთრებით მოხუცი ბებო აქტიურობდა.

ჩინოვნიკებმა სათითაოდ დაათვალიერეს, როგორც კარვები, ასევე, საპირფარეშო და მედ-პუნქტი. სხვათა შორის, საპირფარეშოში მათ შესვლამდე დამლაგებლებმა რამდენიმე წამით ადრე, იქაურობა სახელდახელოდ მოწმინდეს და ტილოებიც გააქრეს.

ნარმანიამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ზოგიერთები მიზანმიმართულად ცდილობენ თავშესაფარში არსებული მცირე ხარვეზის დიდ პრობლემად წარმოჩენას და ამით „არასაქვეყნო საქმეს აკეთებენ“.

„მზად ვართ, დაინტერესებულ ორგანიზაციას თავშესაფარი ვანახოთ. უბრალოდ, გარკვეული კატეგორია ცდილობს, რომ 5-10 წუთით დააკვირდნენ ყველაზე პრობლემატურ ადამიანებს, ჩაწერონ და ჭიანჭველა სპილოდ აქციონ. მოვიდნენ ყოველდღე და 24 საათი ჩემს თანამშრომლებთან, ჩემთან ერთად გაჩერდნენ, თუკი სადმე ხარვეზია, დაგვეხმარონ მის აღმოფხვრაში“, - განაცხადა ნარმანიამ.

მინისტრის განცხადებით, გასულ კვირას, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად გადაწყვიტეს, თბილისის შემოგარენში უსახლკაროებისთვის უფრო მდგრადი კონსტრუქციის აშენება. ჩვენი ინფორმაციით, თავშესაფარი ორხევში აშენდება. მინისტრის თქმით, მშენებლობა გაზაფხულისთვის დასრულდება.

თავის მხრივ, სახალხო დამცველი 24-საათიანი მონიტორინგის განხორციელებაზე ალაპარაკდა და სამინისტროს თავშესაფრის გრძელვადიანი პროექტის შემუშავების რეკომენდაცია მისცა.



**გაუგებარია, თავშესაფარს, რომელსაც 24 საათი საპატრულო პოლიცია და ჯარისკაცები აკონტროლებენ, თავდასხმის მომენტი როგორ გამოეპარათ?!**



**„ღამით, როცა ყველას ეძინა, შემოცვივდნენ, ნათურა ჩაამსხვრიეს და მეცნენ. მცემეს, თავში მუჯლუგუნები მირტყეს, მოიტა, ფულიო. წამართვეს. გაიქცნენ. არავინ არ მომეშველა. აქ ხომ ნორმალური იშვიათად მოვა“**



თავშესაფარში 24 საათის მანძილზე „კათარზისის“ თანამშრომლები მორიგეობენ. ისინი კვებაზე და სისუფთავეზე ზრუნავენ. მათივე ინიციატივით, თავშესაფარს საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია სტუმრობდა. მათი პირველადი შეფასებით, შემოწმებულ პაციენტებს ფსიქიკური პრობლემები აქვთ.

**ასოციაციის წევრი, ფსიქიატრი მანანა შარაშიძე:** „მათ უნდა უმკურნალონ და უფრო ადაპტირებულები გახდებიან. ზოგს სიტუაციური დეპრესია აქვს. დახმარებისთვის ვის მიმართონ არ იციან. მკურნალობა სჭირდებათ. თუ ჯანდაცვის სამინისტრო გვთხოვს, ჩავერთვებით. ბენეფიციართა ნაწილი მკურნალობაზე თანახმაა“.

მათ ფსიქიკურ პრობლემებზე საუბრობს „კათარზისის“ კოორდინატორი, მოწყალების და სალომე ციგროშვილი. მასთან საუბარი თავშესაფარში 2 გარდაცვლილის შესახებ დავიწყეთ. შეგახსენებთ, რომ მომხდარმა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თითქოს ისინი უყურადღებობით დაიღუპნენ. რასაც მოწყალების და უარყოფს.

„ეს ადამიანები აქ უკიდურესად გაუარესებული ჯანმრთელობით მოდიან. მათ დახმარებას ქუჩის პირობებში ვცდილობთ... მამაკაცი პეტრე გოზინი იყო, ხოლო ქალის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა“. - ამ დროს ხანშიშესული მანდილოსანი მოგვიახლოვდა, რომელმაც მოწყალების დას შესჩივლა, ის გოგო ისევ მემუქრებაო.

„იმაზე ვიფიქრო, ღამით თავში შეშა არ ჩამარტყას თუ დავიძინო?“ - ჩიოდა ქალბატონი.

როგორც გავარკვიეთ, თავშესაფარში არატრადიციული ორიენტაციის ქალბატონებიც იმყოფებიან.

„გავხსნათ ყველა კარტი? ეს გოგო, რომელიც ამ ქალს ემუქრება, თავშესაფარში მეგობარ გოგოსთან ერთად მოვიდა. შემდეგ ის გოგო მესამე კარავის ბენეფიციარმა წაიყვანა და ეს მარტო დარჩა. ძალიან დიდი ხანია უსახლკაროა, გაბოროტებულია. გარეგნულად მამაკაცს ჰგავს, თუმცა, სინამდვილეში ქალია (ეს გოგონა პირადად ვნახე, თუმცა, საუბარი არ ისურვა). ამიტომ, მამაკაცების კარავში ვერ შედის. ალკოჰოლის ფონზე ეს გოგო აგრესიული ხდება. აქ მყოფთა 90-95% ალკოჰოლდამოკიდებულია“. - ამბობს მოწყალების და და მასთან მიახლოებულ ნასვამ ახალგაზრდა მამაკაცზე მითითებს.

„შეხედეთ, რა მდგომარეობაშია. თავშესაფარს ითხოვს. გარეთ რომ დავტოვო, პირველს მე გამომაჭენებენ ტელევიზორში. ამ ვადაში ეს ადამიანი როგორ გამოვასწორო? აქაურებისთვის „რასტვარიტელები“ წაგვირთმევია. ორსულ გოგოს „რასტვარიტელი“ წავართვით. მერე ჩვენზე თქვა, მცემდნენო. მათი ფანტაზია უკიდეგანოა“, - ამბობს მოწყალების და.

„კათარზისის“ ინფორმაციით, თავშესაფარში ბენეფიციართა რაოდენობა თავდაპირველად 212 იყო. თუმცა, მიგრაცია ყოველდღიურად ხდება. შესაბამისად, მათი რაოდენობაც მერყეობს. მოცემულ მომენტში ადგილზე 172 ბენეფიციარი იმყოფებოდა. თუმცა, უსახლკაროების დიდი რაოდენობა თავშესაფარში მას შემდეგ გამოჩნდა, რაც შეიტყვეს, რომ ხელისუფლება მათთვის საცხოვრებლის აშენებას აპირებს. თუმცა, მათი შესახლება მკაცრი შემოწმების შემდეგ მოხდება.

თავშესაფარში იმყოფებოდა გაზეთ „თუთარჩელას“ დამფუძნებელი და რედაქტორი, კლარა აბრამია, რომელიც გასულ კვირას სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა საავადმყოფოში გადაიყვანა. როგორც თავშესაფარში ამობენ, ჟურნალისტმა თავი შეუძლოდ იგრძნო და სამედიცინო დახმარება დასჭირიდა.

ცნობილია, რომ ბენეფიციარებს თავშესაფრის დატოვება ადრიან გაზაფხულზე მოუწევთ. ხელშეკრულება 15 მარტს იწურება. დავით ნარმანია იმედოვნებს, რომ ვადის ამოწურვამდე ახალი თავშესაფრის მშენებლობა დასრულდება.

რაც შეეხება რეგიონებში გახსნილ დროებით თავშესაფრებს, იქაური ბენეფიციარებისთვის „მდგრადი კონსტრუქცია“ აშენდება თუ არა, უცნობია.






**კარვებზე გამაფრთხილებელი განცხადებებია გამოკრული, რომ „ალკოჰოლის შემოტანა სასტიკად აკრძალულია“, როგორც ჩანს, ეს გაფრთხილება მათ მეხსიერებას მხოლოდ სლოგანად შემორჩა**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეკა ბესელია: „პატარკაციშვილების საქმეზე კვალი სააკაშვილთან მიდის“

**მირიან ბოქოლიშვილი**

**მას შემდეგ, რაც პატარკაციშვილების ოჯახსა და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის გაფორმებული საიდუმლო ხელშეკრულება დღის სინათლეზე გამოვიდა, პროკურატურაში განმარტეს, რომ დაწყებულია გამოძიება „პატარკაციშვილების ოჯახის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების ფაქტზე“. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, ეკა ბესელია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ საქმეში, უშუალოდ, მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება, რის გამოც ექსპრეზიდენტს საგამოძიებო ორგანოში დაიბარებენ.**

სკანდალური მემორანდუმის გარდა, მმართველი გუნდის წარმომადგენელს ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის საქმეებზეც ვკითხეთ. ბესელია სამოქალაქო საზოგადოებას ურჩევს, მერაბიშვილის განცხადებების ნაცვლად, წინა ხელისუფლების დროს არსებულ წამების ფაქტებზე მოახდინოს ფოკუსირება.

## „ვფიქრობ, სამოქალაქო საზოგადოება სწორედ ასეთი მძიმე დანაშაულების გამოძიებაზე უნდა იყოს ფოკუსირებულიდა არა იმაზე, კიდევ რას მოიფიქრებს ვანო მერაბიშვილი“

**EXCLUSIVE**



**„აუდიტორული კომპანიის დასკვნითაც ნათელი გახდა, რომ ოფშორულ ზონებში ფულს ათეთრებდნენ და ამ ფულის იყენებდა „ნაციონალური მოძრაობა“. ეს ააშკარავებს ძალიან სერიოზულ თემას, რაც არის სამართალდამცველების სამუშაო“**

## „პატარკაციშვილების ოჯახის მიმართ განხორციელებული ძალადობის კვალი სწორედ სააკაშვილთან მიდის. ბუნებრივია, მის გარეშე ასეთი მასშტაბის ქმედებები არ ხორციელდებოდა“

**ეკა ბესელია, დეპუტატი:**

– ძალიან კარგია, რომ პატარკაციშვილებთან გაფორმებული დოკუმენტი გასაჯაროვდა, რადგან სამომავლოდ ველარავინ შეძლოს ამ თემით სპეკულაცია. ეს დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ხელისუფლების ძალიან ბევრი ინსტიტუტი იყო ჩართული ამ ძალადობრივ ქმედებებში. როდესაც ამბობენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობა იცნობს ასეთი ხელშეკრულების ფორმატს, არის სიცრუე. ჯერ ერთი, მსგავსი პრეცედენტიც კი არ არსებობს მსოფლიოში, როდესაც ასეთი ტიპის გარიგების გაფორმებისას კონტრდაზვერვაც იყო ჩართული. მემორანდუმის გაფორმებაში პირდაპირ მონაწილეობდნენ უშიშროების სამსახურები. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ წინა ხელისუფლება მთლიანად იყო ჩართული პატარკაციშვილის ოჯახის წინააღმდეგ დაწყებულ ძალადობრივ კამპანიაში, რომლის მიზანიც გახლდათ ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდება. ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ ცდილობდა სააკაშვილი ამ ტელევიზიის ხელში ჩაგდებას 2007 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული და შემდეგ განხორციელებული ქმედებებით. ოჯახი ჩააყენეს უმძიმეს მდგომარეობაში. ამ მემორანდუმის უკან დგას არა თავისუფალი ნების გამოხატულება, არამედ იძულებით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დამყარებული იყო შიშსა და ძალადობაზე. ამ ოჯახმა მართლაც უმძიმესი რეპრესიები გადაიტანა. სააკაშვილი და მისი გუნდი ყველაფერზე იყო თანახმა, ოღონდ კი ეს ტელეკომპანია მიესაკუთრებინა. ეს ყველაფერი ყველამ ძალიან კარგად ვიცოდით, ახლა კი შეგვიძლია, დოკუმენტებით გავამყაროთ ის ხმები, რაზეც მუდმივად იყო საუბარი. უბრალოდ, შემზარავია ის მასშტაბი, როდესაც ხედავ, რაოდენ დიდი წრეა იმ უწყებებისა, რომლებსაც სააკაშვილი ძალადობრივ ინსტრუმენტად იყენებდა.

**– და ვისთან მიდის კვალი?**

– პატარკაციშვილების ოჯახის მიმართ განხორციელებული ძალადობის კვალი სწორედ სააკაშვილთან მიდის. ბუნებრივია, მის გარეშე ასეთი მასშტაბის ქმედებები არ ხორციელდებოდა. ეს იყო ადამიანი, რომელიც უმნიშვნელო დეტალებსაც კი აკონტროლებდა, თუ სადმე მშენებლობა იწყებოდა, ნახაზებსაც კი ლამის თვითონ აკეთებდა. როგორ წარმოგიდგენიათ, მის გარეშე მომხდარიყო მსგავსი ოპერაცია.



**– ანუ ამ თემაზე სააკაშვილსაც დაჰკითხავენ?**

**„როგორც მინიმუმ, დაკითხვა უნდა მოხდეს. მისი დაკითხვა ბევრ სხვა საქმეზეც აუცილებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს ცალსახად“**

**– ანუ ამ თემაზე სააკაშვილსაც დაჰკითხავენ?**

– როგორც მინიმუმ, დაკითხვა უნდა მოხდეს. მისი დაკითხვა ბევრ სხვა საქმეზეც აუცილებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს ცალსახად.

**– ხელისუფლების დაინტერესება გასაგებია, მაგრამ რამდენად პრინციპული იყო თვითონ პატარკაციშვილის ოჯახი?.. ამბობენ, რომ ეს გარიგება მათ ინტერესებშიც შედიოდა...**

– ნუ განვსჯით იმ ოჯახის მდგომარეობას, რომელმაც უმძიმესი რეპრესიები გადაიტანა. თუ ჩვენ გვინდა ვისაუბროთ სისასტიკეგამოვლილ ოჯახზე, რომელიც რაღაც მომენტში მარტოც კი აღმოჩნდა სააკაშვილის რეპრესიული რეჟიმის წინაშე, ეს სხვა თემაა. ფაქტია ის, რომ იმ რეჟიმისთვის არ არსებობდა არანაირი ბარიერი, რომელიც უკან დაახევინებდათ. რატომ არ გამოიჩინეს გმირობა და თავგანწირვის ფასად რატომ არ გადაარჩინეს ტელეკომპანია, ამის მორალური განსჯის უფლება, მგონი, არავის აქვს.

**– კეზერაშვილის თემაზეც მინდა გკითხოთ, რომელიც გასულ კვირას, ასევე, აქტუალური გახდა... იარაღით ვაჭრობის თემაზე კეთდება მინიშნებები, რა ინფორმაცია გაქვთ ამის შესახებ, თუ ეს ჭორია?**

– მე არ ვიცი, რით არის დაინტერესებული სხვა ქვეყნის სამართალდამცველი უწყებები კეზერაშვილთან მიმართებაში, მაგრამ საქართველოში მას წარდგენილი აქვს კონკრეტული ბრალდებები და მიმდინარეობს სასამართლო განხილვა. ფაქტია ისიც, რომ საერთაშორისო მედიაში ვრცელდება საკმაოდ საყურადღებო ინფორმაციები იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებით. ის რომ ხელისუფლების ფინანსური დონორი იყო, ამაზე თვითონ სააკაშვილის წერილშიცაა საუბარი. ადამიანი, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ ხდება მილიარდერი, როგორც მინიმუმ, ეს ბადებს სერიოზულ კითხვებს, რაზეც, ცხადია, პასუხი უნდა გაეცეს. აუდიტორული კომპანიის დასკვნითაც ნათელი გახდა, რომ ოფშორულ ზონებში ფულს ათეთრებდნენ და ამ ფულის იყენებდა „ნაციონალური მოძრაობა“. ეს ააშკარავებს ძალიან სერიოზულ თემას, რაც არის სამართალდამცველების სამუშაო.

**– თუმცა არის მოსაზრება, რომ კეზერაშვილის სისხლის სამართლებრივი დევნით ხელისუფლება ცდილობს, „ნაციონალურ მოძრაობას“ ფინანსური წყარო გადაუკეტოს ...**

– „ნაციონალურ მოძრაობას“ სხვა ბევრი ფინანსური წყარო ჰყავს. აქ საუბარია დანაშაულში მხილებული პირის პასუხისმგებლობის საკითხზე. ის, რომ კეზერაშვილი იყო ერთ-ერთი მსხვილი არტერია, საიდანაც ნაციონალები იღებდნენ ფულს... თვალს ვერ დავხუჭავთ კონკრეტულ დანაშაულებზე.

**– არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება, სადაც საუბარია, რომ ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ირგვლივ პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება. მათთვის არასაკმარისი აღმოჩნდა ის შიდა მოკვლევა, რომელიც სუბარის უწყებამ ჩაატარა...**

– მას შემდეგ, რაც სუბარის უწყებამ დასკვნა გამოაქვეყნა, ვფიქრობ, ამაზე მსჯელობაც უკვე სრულიად გაუგებარია. ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, მსჯელობა მიმდინარეობდეს არქანიასა და ქობალიას საქმეებზე, რომლებიც იყვნენ წამების მსხვერპლნი, ვიდრე ვანო მერაბიშვილის ავანტიურისტული განცხადების ირგვლივ. ვფიქრობ, სამოქალაქო საზოგადოება სწორედ ასეთი მძიმე დანაშაულების გამოძიებაზე უნდა იყოს ფოკუსირებული და არა იმაზე, კიდევ რას მოიფიქრებს ვანო მერაბიშვილი. დასკვნა გამოქვეყნებულია და მე არ მაქვს საფუძველი, მასში ეჭვი შევიტანო.

**„ნაციონალურ მოძრაობას“ სხვა ბევრი ფინანსური წყარო ჰყავს. აქ საუბარია დანაშაულში მხილებული პირის პასუხისმგებლობის საკითხზე. ის, რომ კეზერაშვილი იყო ერთ-ერთი მსხვილი არტერია, საიდანაც ნაციონალები იღებდნენ ფულს... თვალს ვერ დავხუჭავთ კონკრეტულ დანაშაულებზე“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 17 მაისს პროვოკაციას ელიან

## ირაკლი სესიაშვილი: „ვინც გამოსვლას ან დაპირისპირებას აპირებს, მოვუწოდებ, გამოძებნონ ისეთი ფორმები, რომელიც თავიდან აგვაცილებს პროვოკაციას“



ქეთი ხატიაშვილი

**სოჭის ოლიმპიადა ლამის ათვლის წერტილად იქცეს. ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ოლიმპიადის შემდეგ რუსეთი საქართველოზე ზეწოლას გააძლიერებს იმისთვის, რომ, როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში, საკუთარი გავლენები აღიდგინოს.**



იანუკოვიჩმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელი რომ არ მოაწერა, შემდეგ მოსკოვში ჩავიდა და პუტინს, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ევრაზიულ კავშირში უკრაინის გაწევრიანებაზე ესაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს პროდასავლური კურსი უცვლელია და ზაფხულში ქვეყანა ევროკავშირთან უკვე პარაფირებული დოკუმენტის ხელმოწერას აპირებს.

**კიევიც აპირებდა. თუმცა, ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში უკრაინული სცენარი არ განვითარდება:**

– ჩვენ არ ვიზიარებთ იმ შეფასებას, რომ შესაძლოა, განმეორდეს უკრაინის სცენარი საქართველოში, იმიტომ რომ ჩვენ არ ვართ ისევე დამოკიდებული რუსეთზე, როგორც უკრაინა. რუსეთს არ აქვს ისეთი ბერკეტები, როგორც მას ჰქონდა და აქვს უკრაინაში; შესაბამისად, რისკი ამ მიმართულებით მინიმალურია...

**ასეთი უპირატესობის მიუხედავად, პრემიერ-მინისტრმა გარკვეული პროვოკაციები არ გამორიცხა:**

– მოსალოდნელია პროვოკაციები. ამ პროვოკაციებს ჩვენ ვხედავდით მთელი წლის განმავლობაში, იგივე საოკუპაციო ხაზთან მიმართებაში, იცით, რომ „ბორდერიზაციის“ პროცესი მიმდინარეობდა... ამას გარდა, სხვა პროვოკაციებიც შეიძლება იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანსა და რაღაც განსაკუთრებულს ჩვენ არ ველოდებით. რა უნდა იყოს მეტი, რაც უკვე გვაქვს – ჩვენ გვაქვს 20% ოკუპირებული ტერიტორიები. ასე რომ, ამაზე მეტს არ ვიცი, რას უნდა ველოდოთ. მე გეუბნებით, რომ ეკონომიკური ბერკეტები რუსეთს არ გააჩნია და ისეთივე დამოკიდებული ჩვენი ქვეყანა არ არის, როგორიც არის უკრაინა. ასე რომ, ჩვენი გუნდი, ჩვენი მთავრობა არ ელოდება არათუ უკრაინის სცენარის, არამედ არც მიახლოებული სცენარის განვითარებას საქართველოში...

პრემიერ-მინისტრმა რისკებს შორის მხოლოდ საოკუპაციო ხაზი დაასახელა. თუმცა, ერთ-ერთი მთავარი „პრობლემა“, ალბათ, 17 მაისი იქნება.

როგორ განვითარდა მოვლენები შარშან ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით. ყველას გვახსოვს ტაბურეტიანი მამაოები, ლევან ვასაძის ბრძნული გამომეყველება და ფარისევლური მოწოდებები, დავიცვათ ქართული ტრადიციები, თითქოს ვინმე გვართმევდეს.

მაშინ პოლიციამ ძლივს მოახერხა არატრადიციული ორიენტაციის პირები ზოგიერთი აგრესიული მღვდლისგან და არანაკლებ აგრესიული, მართული მრევლისგან დაეცვა. როგორ განვითარდება მოვლენები ახლა? რამდენად არის მზად პოლიცია, უზრუნველყოს აქციების უსაფრთხოება. ელოდებიან, რომ ჰომოფობიისა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ორგანიზაცია „იდენტობა“ აქციას ისევ გამართავს. იდენტობის ირაკლი ვაჭარიძე ამჯერად თბილისში არ იმყოფება. „ლგბტ“-ს საქართველოს წარმომადგენლობის თავმჯდომარის დავით-მიხეილ შუბლაძის განმარტებით კი, მან ჯერ სამომავლო (ანუ 17 მაისის) გეგმების შესახებ არაფერი იცის: ჯერ დაგეგმილი არაფერია, ოთხი თვე დარჩა იქამდე. ასე რომ, ჯერ არ ვიცი...

**ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე აცხადებს, რომ პოლიციამ ამჯერად უფრო ეფექტურად უნდა იმოქმედოს და უსაფრთხოების მიზნით, პოლიციის უფრო ძლიერი კორდონი გააკეთოს. ექსპერტი მიიჩნევს, რომ 17 მაისი შეიძლება ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს, თუკი გამეორდება ის, რაც შარშან მოხდა. მისი განმარტებით:**

– საჭიროა პოლიციამ ძლიერი კორდონი გააკეთოს და ტაბურეტიანები „ელჯიბიტებისკენ“ არ გაუშვას, ყველაფერი ამით დასრულდება. მგონი, პოლიციას ამის უნარი აქვს. მერე თუ იქნება თავის მართლება: ვერ დავაკავეთ აღელვებული ხალხი, ეს იქნება სრული სისულელე. იმან, რაც შარშან მოხდა, სერიოზული პრობლემები გამოიწვია...

**პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, ასევე, მიიჩნევს, რომ 17 მაისი მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისთვის. ამიტომაც, როგორც უმცირესობას, ისე უმრავლესობას კომპრომისისკენ მოუწოდებს:**

– უმცირესობა უნდა მიხვდეს – როცა უსაფრთხოება მარტივი არ არის, არ უნდა წავიდეს პროვოკაციაზე. ყველა ჯგუფი, ვინც პოტენციურად შეიძლება იყოს პროვოკატორი ან აგრესიული, გონებაგახსნილი უნდა იყოს ამ მოცემულობაში... როგორ შეძლებს, ვთქვათ, პოლიცია 50 კაცის უსაფრთხოების უზრუნველყოფს 50 ათასის წინააღმდეგ? ამიტომაც, ვინც გამოსვლას ან დაპირისპირებას აპირებს, მოვუწოდებ, გამოძებნონ ისეთი ფორმები, რომელიც თავიდან აგვაცილებს პროვოკაციას.

ძალადობა, რომელიც მაშინ ტაბურეტიანი მღვდლების მხრიდან განხორციელდა, ეკლესიამ ოფიციალურად დაგმო. ვარაუდობენ, რომ ამ ოფიციალური განცხადების შემდეგ ის აღარ ჩაერთვება ამ პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ ეკლესია არც მაშინ მონაწილეობდა ამ აგრესიაში. საუბრობდნენ იმაზე, რომ პროვოკაცია იმათი მხრიდან მოეწყო, ვისთვისაც ევროპა მიუღებელია. ანუ რუსეთის გავლენების ქვეშ არსებული პირებისგან, რომლებიც ეკლესიაშიც არიან.

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ რუსეთი შეეცდება, გამოიყენოს რუსული გავლენები, მათ შორის ეკლესიაშიც.



## თორნიკე შარაშენიძე: „საჭიროა, პოლიციამ ძლიერი კორდონი გააკეთოს და ტაბურეტიანები „ელჯიბიტებისკენ“ არ გაუშვას“

# სოჭის ოლ… ტერორისტულ…




## რა გაფრთხილება მისცა ვაშინგტონმა ამერიკელებს, რა საგანგებო განკარგულება გასცა პუტინმა და როგორ ჩაერთვება ანტიტერორისტულ „ოპერაციაში“ საქართველო

ქეთი ხატიაშვილი

**შეძლებს თუ არა პუტინი სოჭის დაცვას ოლიმპიადის დროს? მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დიდი პოლიტიკური მოვლენა ექსცესების გარეშე არ ჩაივლის. მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებზე „პრაიმტაიმთან“ გიორგი თავდგირიძემაც ისაუბრა. მან ხაზი გაუსვა, რომ ასეთი მოლოდინები არსებობს.**

CNN“ კი სვამს კითხვას: „რამდენად უსაფრთხოა სოჭის ოლიმპიადა?“

პარალელურად, პუტინი ხელს აწერს განკარგულებას ოლიმპიადაზე განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების შესახებ. ეს ნაბიჯი მიმართულია ტერორისტული აქტების პრევენციისკენ. ასევე, ის კრძალავს პოლიტიკური მიტინგების მოწყობას სოჭში.

Human Rights Watch-ის დაკვირვებით, შეზღუდვები იმდენად სერიოზული და უპრეცედენტოა, „ის ანტიტერორისტულ ოპერაციას ჰგავს“, – ამის შესახებ ტანია ლოკშინამ განაცხადა.




ტერორიზმის მაღალ რისკებს ისიც ემატება, რომ სოჭში ჩასვლაზე დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ თქვა უარი. ვაშინგტონმა საკუთარი მოქალაქეები უკვე გააფრთხილა სოჭის ოლიმპიადის დროს ტერორიზმის პოტენციური საფრთხის თაობაზე. თუმცა საგარეო უწყებამ ისიც დასძინა, რომ ის არ ფლობს განსაკუთრებულ ინფორმაციას, რომ საფრთხე უშუალოდ აშშ-ის მოქალაქეებს ემუქრებოდეთ. ე.წ. „მოგზაურთა გაფრთხილებაში“, სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკელებს მოუწოდებს, ზამთრის ოლიმპიური თამაშების განმავლობაში, 7 თებერვლიდან 14 მარტამდე, პირად უსაფრთხოებაზე იზრუნონ. რეკომენდაციაში რისკებს შორის ჩამოთვლილია წვრილმანი დანაშაულის საფრთხე, არასათანადო სამედიცინო მკურნალობა და სასტუმროების ნაკლებობა. ამის შესახებ რადიო „თავისუფლება“ წერს.

პუტინის განკარგულების მიხედვით: მთელ ტრანსპორტს, რომელიც გადის და შემოდის ქალაქში, განსაკუთრებული აკრედიტაცია უნდა ჰქონდეს ან სოჭში უნდა იყოს დარეგისტრირებული. ავტომანქანების შესვლა და გამოსვლა ქალაქიდან მხოლოდ სპეციალური გამშვები პუნქტებიდან მოხდება.

დოკუ უმაროვმა 3 ივლისს გავრცელებულ ვიდეომიმართვაში საკუთარ მომხრეებს მოუწოდა, არ დაიშურონ „მაქსიმალური ძალისხმევა“, რათა თამაშებთან დაკავშირებული გეგმები ჩაშალონ.

„ჩვენ... ვიცით, რომ ჩვენი წინაპრების ძვლებზე, ძალიან, ძალიან ბევრი დაღუპული, შავი ზღვის მიმდებარე მიწებზე დამარხული ჭეშმარიტი მუ-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...იმპიადაზე აქტებს ელიან



სლიმანების ძვლებზე, დღეს ისინი ოლიმპიადის გამართვას გეგმავენ, და ჩვენ, მოჯაჰედები, ვალდებულნი ვართ, არ დავუშვათ ეს ნებისმიერი მეთოდებით, რომლის უფლებაც მონიჭებული აქვს მაღალ ალაჰს“, – თქვა მან.

შესაბამისად, ყველას ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ახლა პუტინისთვის, აჩვენოს საკუთარი ძალა, გავლენები და იმიჯი. ამიტომაც ანტიტერორისტულ ბრძოლაში ვინ არის მასთან ერთად და ვინ – არა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვოლგოგრადში მომხდარი ტერაქტი, შეიძლება ითქვას, ერთადერთია, სადაც კრემლს თბილისის კვალის ძებნა არ დაუწყია. მიზეზი – მიხეილ სააკაშვილი საქართველოში აღარ არის.

თბილისი და მოსკოვი ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით უკვე თანამშრომლობენ. ვაშინგტონმა თანამშრომლობის შესახებ ოფიციალური მზადყოფნა უკვე დაადასტურა. მხარდაჭერის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა, ჩაკ ჰეიგელმა რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან სატელეფონო საუბარშიც განაცხადა.

საქართველო ჯერ კიდეც შარშან აცხადებდა, რომ მზად არის, ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ტერორისტებთან ბრძოლაში რუსეთს.

**ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით:**

– ზოგადად, უსაფრთხოების საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ, საქართველო, არათუ ვაპირებთ, არამედ ვალდებულნი ვართ, რომ ვითანამშრომლოთ ყველასთან და მათ შორის ისეთ მძიმე და კრიტიკულ საკითხებში, როგორიცაა ტერორიზმი. ტერორიზმი ეს არის XXI საუკუნის კაცობრიობის სენი და ამის წინააღმდეგ ყველა კონსოლიდირებული უნდა ვიყოთ. ამ საკითხებში რუსეთთან თანამშრომლობს ამერიკა, ევროპის ქვეყნები და თუ ჩვენ შეგვეძლება რამე მნიშვნელოვანი, რაღაც პატარა როლის შესრულება ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით, რატომაც არა, ჩვენ ამისთვის მზადყოფნას ვაცხადებთ. იგივე ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად და მინდა გითხრათ, რომ მთელი წლის განმავლობაში ჩვენ აბსოლუტურად, ძალიან ყურადღებით ვიყავით. მაშინ როცა ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ჯერ კიდევ ბატონი ბიძინა ივანიშვილის დავალებით ჩვენ მაქსიმალურად გავამკაცრეთ უსაფრთხოების ზომები მთელ ტერიტორიაზე საქართველოში. რათა არ დაგვეშვა უსაფრთხოების ზომების დარღვევა. რისკები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ჩვენი მხრიდან. და ეს გრძელდება, მკაცრი ზომები მოქმედებს და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ სოჭის ოლიმპიადა არ დასრულდება და შემდეგაც, მაქსიმალურად მოწოდებულნი ვართ, დავიცვათ საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად მზად ვართ, შევასრულოთ ეს მნიშვნელოვანი როლი. ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი როლი ISAF-ის მისიაში.

ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ამბობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების შემთხვევაში რუსეთთან თანამშრომლობა, ალბათ, არ შედგებოდა. „პირველ რიგში, იმიტომ, რომ თავად სააკაშვილია არაპროგნოზირებადი“, – ამბობს თავდგირიძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში. მისივე განმარტებით: „ანტიტერორისტული თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის. თუკი ცივილიზებულ ქვეყანას ვაშენებთ, ტერორიზმის ხელშეწყობა ჩვენს ინტერესებში არ უნდა შედიოდეს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს ჩვენი მოწინააღმდეგის დასუსტებას უწყობდეს ხელს...“

**რაც შეეხება იმას, რა ფორმას მიიღებს ანტიტერორისტული თანამშრომლობა რუსეთთან ოლიმპიადის შემდეგ, გიორგი თავდგირიძის განმარტებით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები თავად რუსეთში:**

– სოჭის ოლიმპიადა რუსეთის ერთმნიშვნელოვანი მმართველისთვის ღირსების საკითხია. ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული გარკვეული დაჯგუფებები, ალბათ, შეეცდებიან ტერორისტული აქტების განხორციელებას. როგორ ჩამოყალიბდება და გაგრძელდება თანამშრომლობა ამის შემდეგ, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენ პრინციპული პოზიცია უნდა გვქონდეს, მაგრამ ლავირების საშუალებაც. ანტიტერორისტული თანამშრომლობა და ცენტრიც კი თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ იქ პრევენცია უნდა ჩავდოთ. ანუ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ჰყავდეს აგენტურა. ცენტრის არსებობის შემთხვევაში ის მიბმული უნდა იყოს ძალოვან უწყებებზე, მათი ინფორმაციით უნდა ისარგებლოს და საქართველოს ტერიტორიაზე აგენტურული საქმიანობის უფლება არ უნდა მიეცეს.

ანტიტერორისტულ ცენტრზე ჯერ საუბარი არ არის, თუმცა, რა ფორმით გაგრძელდება ამ სფეროში თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა, ეს, რა თქმა უნდა, საინტერესოა.

## გიორგი თავდგირიძე: „სააკაშვილის პირობებში თანამშრომლობა არ შედგებოდა, იმიტომ რომ ის არაპროგნოზირებადია“



# პარლამენტი საზმაუწყებელთან დაკავშირებით ვეტოს პრინციპით მოქმედებს



ქეთი ხატიაშვილი

## ია ანთაძე: „კენჭისყრებმა აჩვენა, რომ პარლამენტში სამი ძირითადი პოლიტიკური ძალაა – დავით უსუფაშვილის მომხრეები, ირაკლი ღარიბაშვილის მომხრეები და ნაციონალები“

**ოთხშაბათს პარლამენტი ბორდის კიდევ ერთ წევრს უყრის კენჭს და სახალხო დამცველის კანდიდატს დაამტკიცებს. დანარჩენ ხუთ ვაკანსიასთან დაკავშირებით რა გადაწყდება, ჯერ ისევ უცნობია. თუ შეთანხმება არ შედგება, მაშინ (სავარაუდოდ) ახალი კომისია ახალ წევრებს ხელახლა შეარჩევს. კომისიის წევრები ამბობენ, რომ შერჩევის პროცესი საკმაოდ რთული იყო და მათ ოპტიმალური კანდიდატები წარადგინეს, მათ შორის ექვსი ისეთი, ვისაც კომისიის მხრიდან მოწინააღმდეგე არ ჰყოლია. ამ ექვსიდან პარლამენტისთვის მხოლოდ ერთი აღმოჩნდა მისაღები.**

პარლამენტში ბორდის დამტკიცების პროცესი ჩავარდა. კრიტერიუმები, რომელითაც კომისიამ კონკურსის დროს იხელმძღვანელა, თინა ხიდაშელის შემუშავებულია. შესაძლოა, ამიტომაც მოწოდებები რესპუბლიკელების მისამართით უფრო გაისმა. კომისიის წევრები, ისევე როგორც პროცესით დაინტერესებული „ენჯეოები“ და მედიაორგანიზაციები სწორედ რესპუბლიკელებისგან მოითხოვდნენ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის დაცვასა და შესრულებას.

კენჭისყრების დროს საგანგებო განცხადება გაავრცელეს მედიის განვითარების ფონდმა MDF-მა და საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივა GDI-მ. განცხადებაში ნათქვამი იყო:

„იმედს გამოვთქვამთ, რომ ყველა პოლიტიკური სუბიექტი, პირველ რიგში კი, საპარლამენტო უმრავლესობა პასუხისმგებლობით მოეკიდება მის მიერვე დეკლარირებულ საკანონმდებლო ინიციატივას არა მხოლოდ ნორმატიული განაცხადის, არამედ მისი პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისითაც და გამოსავალს მოძებნის ამ ვითარებაში, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი აღქმა იმისა, რომ მმართველი გუნდი პროცესს პოლიტიკური მიზანშეწონილობის მიხედვით წარმართავს და გადაწყვეტილების მიღებისას უგულებელყოფს მეურვეთა კანდიდატების პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და საზოგადოებრივ რეპუტაციას.

თუმცა, პროცესი ჩავარდა. კრიტერიუმები, რომლითაც კომისიამ იხელმძღვანელა, პირველ რიგში იყო: კანდიდატი არ უნდა ყოფილიყო არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, არ უნდა წაეყვანა არც ერთი პოლიტიკური აქცია ან მიტინგი. ეს იყო უპირველესი და მთავარი ამოსავალი კომისიისთვის. ამიტომაც ფილტრი ვერ გაიარა ნინელი ჭანკვეტაძემ, რომელსაც „ქართული ოცნების“ ყრილობა მიჰყავდა, ისევე როგორც დავით მაღრაძემ, რომელიც ნაციონალების აქციაზე ტრიბუნაზე იდგა. სამაგიეროდ გავიდა სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი, თუმცა, ძნელია თქვა, რომ ის პოლიტიკურ პროცესებში ჩართული არ იყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ, თუკი ის კონკრეტული პარტიების დაკვეთებს იღებდა კვლევებზე, ამით პოლიტიკურ პროცესებს კი არ მართავდა, მხოლოდ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. თუმცა, ის პოლიტიკურ სკანდალში ერთხელ უკვე გაეხვია. ეს მაშინ მოხდა, როცა „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში თქვა: ჩვენს კვლევებშიც პირველ ადგილას გიგი უგულავა დგას, მაგრამ ეს არ დაწეროთ, ირაკლი ალასანია ლიდერობსო. ეს არ არის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა? აქვე გეტყვით, რომ სკანდალი ადგილობრივი არჩევნების დროს მოხდა, როცა კაჭკაჭიშვილი მერის არჩევნების წინ სოციალურ კვლევას ალიანსის დაკვეთით აკეთებდა.

ითქვა, რომ პარლამენტი იძულებული გახდა, დაერღვია კანონი იმისთვის, რომ ანგარიში გაეწია პოლიტიკური ინტერესებისთვის.

რა ინტერესებზე გაკეთდა მინიშნება? რა მოხდა სინამდვილეში? როგორია ვარაუდები კულისებში და რა პოლიტიკური თამაში მიმდინარეობს პარლამენტში? რატომ დაამტკიცა პარლამენტმა მხოლოდ სამი კანდიდატი და არა ოთხი ან ორი? სწორედ ამ ციფრით იწყება ის რებუსი, რომლის გამოცნობასაც ახლა ცალკე კომისიის წევრები ცდილობენ და ცალკე პროცესით დაინტერესებული სხვა პირები.



**ია ანთაძის თქმით, ის, რომ პარლამენტმა მხოლოდ სამი კანდიდატი დაამტკიცა, ნიშნავს იმას, რომ პარლამენტში მხოლოდ სამი ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეა:**

– პარლამენტი ცდილობს, პოლიტიკური ძალებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები კანდიდატები შეარჩიოს. კენჭისყრებმა აჩვენა, რომ პარლამენტში სამი ძირითადი პოლიტიკური ძალაა – დავით უსუფაშვილის მომხრეები, ირაკლი ღარიბაშვილის მომხრეები და ნაციონალები. საზმაუწყებელთან დაკავშირებულმა კენჭისყრებმა ეს უკვე დაადასტურა. შემდეგი ექვსი კანდიდატიც იქნება სამეულებად დაყოფილი, – განმარტავს „პრაიმტაიმთან“ საუბარში ია ანთაძე.

ამ მდგომარეობით, 9 კაციდან, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, პირველი სამეული დამტკიცებულია, მეორე სამეული ჩავარდა კენჭისყრის დროს და მესამე სამეული პარტიებს ჯერ არ შეურჩევიათ. პროცედურის მიხედვით, განმეორებითი კენჭისყრის შემთხვევაში ჩავარდნილ კანდიდატებს სულ 51 ხმა დასჭირდებათ, მაშინ როცა პირველი სამეული 76 ხმით არის დამტკიცებული. პროცედურა განმეორებითი კენჭისყრის დროს ბარიერს ქვემოთ წევს. იმ შემთხვევაში, თუკი პარტიები დანარჩენ სამ კანდიდატსაც შეარჩევენ კენჭისყრაზე, მათაც 76 ხმის მოპოვება მოუწევთ. პარლამენტში ბორდის საკითხი ოთხშაბათს უნდა განიხილონ.

მიუხედავად იმისა, რომ ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა: „უმრავლესობა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს კანდიდატებთან დაკავშირებით ერთიან პოზიციაზე ჩამოყალიბებულია და ჩვენს გადაწყვეტილებას კენჭისყრის სახით ნახავთო“, – კოალიციაში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. როგორც ამბობენ, ჯერ მესამე სამეულიც არ არის შეთანხმებული. ერთადერთი, რაზეც ჩამოყალიბდნენ, ეს ლელა გაფრინდაშვილის საკითხია, რომელიც სახალხო დამცველმა წარადგინა და უმრავლესობა მას ერთსულოვნად დაუჭერს მხარს. ელოდებიან, რომ ნაციონალები ისევ ნინია კაკაბაძეს წამოაყენებენ და უმრავლესობა ისევ შეეცდება მის ჩაგდებას.

ლელა გაფრინდაშვილის კანდიდატურა ერთხელ უკვე ჩავარდა, ოთხშაბათს მას მეორედ უყრიან კენჭს.

ვარაუდობენ, რომ ნაცები, რესპუბლიკელებიც და „ქართული ოცნებაც“ ვეტოს პრინციპით მოქმედებენ – არ მოსწონს რომელიმე ერთს, უარს ამბობს დანარჩენი ორი. ასეთია მოქმედების ტაქტიკა და, შესაბამისად, ისინი ამავე პრინციპით აპირებენ დანარჩენი კვოტების განაწილებასაც.

თუმცა, როგორც ითქვა, კვოტების განაწილებამ გაუგებრობა თავიდანვე შექმნა. ბორდში კოალიციის თითოეულ სუბიექტს საკუთარი კანდიდატი უნდა ჰყოლოდა. თუმცა, როგორც ექსპერტები ითვლიან, „ქართულ ოცნებას“, საერთო ჯამში, ბორდში 4 კვოტა ექნება, ნაცებს – 3, რესპუბლიკელებს კი – მხოლოდ 2. დანარჩენები პროცესის მიღმა დარჩნენ.

ასე რომ, ახლა ყველა პარლამენტის გადაწყვეტილებას დაელოდება. ახალი კომენტარებიც შემდეგ გაკეთდება. ამჯერად კი უკვე დამტკიცებული სამი კანდიდატიდან ნათელა სახოკიას რესპუბლიკელები ლობირებდნენ, ქეთევან მსხილაძეს – ნაციონალები, მარინა მუსხელიშვილს კი – „ქართული ოცნება“. სწორედ, ძალთა ასეთი გადანაწილება გახდა იმ დასკვნის საფუძველი, რომ პარლამენტში ძირითადი მოთამაშეები „ქართული ოცნება“, რესპუბლიკელები და ნაციონალები არიან.

საინტერესოა, შენარჩუნდება თუ არა ასეთი განლაგება ადგილობრივი არჩევნების დროსაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ჟორდანია: „ყველაზე ღვაწლმოსილი და სახელოვანი ტენორი, რომელიც დღეს ჩემს არაკომპეტენტურობაზე საუბრობს, თავისი სოლო კონცერტის სადირიჟოროდ მინსკში მეპატიჟებოდა“

თამარ შენგელია

**„გულდასაწყვეტია, რომ თეატრში ასეთი ვითარება შეიქმნა. ჩემთვის ოპერის კედლები მშობლიური და ძალიან ძვირფასია და სკამი არაფრად მიღირს. მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავტოვო თანამდებობა. დღეიდან ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი აღარ ვარ“,- ეს სიტყვები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის უკვე ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ჟორდანიამ კულტურის სამინისტროში ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა. ჟორდანიას გადაწყვეტილებას წინ დიდი ვნებათაღელვა უძღოდა. ბოლო კვირაა, ოპერისა და ბალეტის თეატრის დასი ორად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი თეატრის მმართველის უპირობო გადადგომას მოითხოვდა და პროტესტის ნიშნად რეპეტიციებზე არ ცხადდებოდა. დაპირისპირებულებს შორის მედიატორის ფუნქცია საქართველოს კულტურის სამინისტრომ ითავა. ორდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ ჟორდანია გადადგა, თუმცა კონფლიქტი ამით არ ამოწურულა.**



თემურ გუგუშვილი, ზაალ ხელაია, გოჩა დათუსანი, ლელა მჭედლიძე, ჟან-ლუკა მარჩიანო... ეს ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელს დაუპირისპირდნენ. თანამშრომლები გიორგი ჟორდანიას არაპროფესიონალიზმში, ხელფასების შემცირებაში, ერთპიროვნულ მმართველობაში, შტატების შეკვეცაში, არასათანადო სამუშაო პირობების შემოღებაში, კომუნიკაციის დეფიციტში, არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებდნენ, მას „უნიჭო ხელმძღვანელს“ უწოდებდნენ და კულტურის მინისტრის მიერ დანიშნული კადრის გადაყენებასა და ახალი ხელმძღვანელის არჩევითობის პრინციპით დანიშვნას მოითხოვდნენ. კონსულტანციები ოპერიდან სახელმწიფო კანცელარიაში, შემდეგ კი კულტურის სამინისტროში გაგრძელდა. დასის ნაწილი, 13 და 14 იანვარს, კულტურის მინისტრს, გურამ ოდიშარიას შეხვდა.

**გოჩა დათუსანი, სოლისტი:** „ჩვენ გამოვდივართ არაკომპეტენტურობის წინააღმდეგ და ვჯერდებით მხოლოდ იმას, როგორ უნდა განვითარდეს თეატრი ჟორდანიას გარეშე. მინისტრს ავუხსენით ყველა მიზეზი, რატომ უნდა გაათავისუფლოს გიორგი ჟორდანია თანამდებობიდან. მან საუბარში აღნიშნა, რომ ჩვენს პირობას დააკმაყოფილებს“.

დასის მოლოდინს იმავე დღეს გამოეხმაურა კულტურის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსი: „მინისტრს არანაირი დაპირება არ მიუცია. შეხვედრაზე ითქვა, რომ პრეტენზიებს გავიზიარებთ, განვიხილავთ, ვიმსჯელებთ, ყველა მხარეს მოვუსმენთ და ისე მივიღებთ გადაწყვეტილებას“.

გადაწყვეტილება კი ოდიშარიამ და ჟორდანიამ დახურულ კარს მირმა მიიღეს. ჟორდანიას გადადგომა კულტურის მინისტრმა სწორ ნაბიჯად შეაფასა.

**გურამ ოდიშარია:** „ჩვენ ვისაუბრეთ და ბატონმა გიორგიმ თავისი გადაწყვეტილება მიიღო, რომელსაც ძალიან ვაფასებ. ვურჩევ მას, კვლავ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. რაც შეეხება ოპერის ხვალინდელ დღეს, ამაზე ზრუნვას ხვალიდან დავიწყებთ“.



## ჟან ლუკა მარჩიანო: „ავიღებ ჟორდანიას მიერ ორგანიზებული ყველაზე დიდი ღონისძიების, ვაგნერის კონცერტის ჩანაწერს, რომელსაც თავად დირიჟორობდა და გადავცემ „ბიბისის“, „სიენენს“ და ისინი შეაფასებენ, რა და როგორ ხდებოდა თეატრში“



ეს გურამ ოდიშარიასა და გიორგი ჟორდანიას პირველი ერთობლივი ბრიფინგი არ ყოფილა. ზუსტად ერთი წლის წინ ჟორდანია ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე სწორედ ოდიშარიამ წარადგინა. 2013 წლის 31 იანვარს სამინისტროს განცხადებაში ეწერა: „საქართველოს კულტურის სამინისტრომ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველის თანამდებობაზე არსებული კანდიდატების მიერ წარმოდგენილ საოპერო თეატრის განვითარების კონცეფციებს შორის ყველაზე მისაღებად გიორგი ჟორდანიას პროექტი მიიჩნია და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, მაესტროს მრავალმხრივი გამოცდილების გათვალისწინებით, გიორგი ჟორდანიას თეატრის მმართველის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო“.

გიორგი ჟორდანიამ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტენესის უნივერსიტეტში განაგრძო. შემდეგ, მამის, ჩატანუგას სიმფონიური და საოპერო ასოციაციის მთავარი დირიჟორის, ვახტანგ ჟორდანიას ასისტენტი იყო და აქტიურად მონაწილეობდა სიმფონიური კონცერტებისა თუ საოპერო სპექტაკლების დადგმის პროცესში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დირიჟორობდა ისეთ სპექტაკლებს, როგორიცაა „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „მადამ ბატერფლაი“, „დონ ჯოვანი“, „პიკის ქალი“, „მედეა“, „მაკნატუნა“. მთავარი მოწვეული დირიჟორის რანგში იყო რუსეთის ფედერალური ორკესტრის დირიჟორი, ასევე დენვერის კამერული ორკესტრის დირიჟორი.

გადადგომის გადაწყვეტილების მიღებამდე გიორგი ჟორდანია დასის წევრებს სამხატვრო საბჭოს შექმნის იდეით მიმართავდა. ის, არც ერთ ბრალდებას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ სკანდალი ხელოვნურადაა აგორებული.

**გიორგი ჟორდანია, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი:** „ჩემთვის მთავარი თეატრი და მისი მომავალია და არ ვუპასუხებ იმ ბრალდებებს და პიროვნულ შეურაცხყოფას, რასაც მაყენებენ. ჩემი აზრით, თეატრის მართვისათვის უპრიანი იქნება ყველაზე დემოკრატიული მეთოდით მართვა, რაც მდგომარეობს სამხატვრო საბჭოში. ნებისმიერი წინადადება სამხატვრო საბჭომ უნდა განიხილოს და დასკვნა დადოს. არც ერთი ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება. რაც შეეხება არაკომპეტენტურობას, ყველაზე ღვაწლმოსილი და სახელოვანი ტენორი, რომელიც დღეს ჩემს არაკომპეტენტურობაზე საუბრობს, თავისი სოლო კონცერტის სადირიჟოროდ მინსკში მეპატიჟებოდა“.

საოპერო დასის ერთი ნაწილი გიორგი ჟორდანიას გადადგომას აპროტესტებს. მათი თქმით, ჟორდანიას მოსვლის შემდეგ თეატრში სასიკეთო ცვლილებები განხორციელდა და მის წინააღმდეგ ისინი გამოვიდნენ, ვისაც ოპერის განვითარება და თანაბარი სამუშაო პირობების შექმნა ხელს არ აძლევთ.

**მაყვალა ასპანიძე, სოლისტი:** „2013 წელს ბევრი პრემიერა შედგა. სამომავლოდაც ბევრი გეგმა იყო, ვერ გაუძლეს და ამიტომ წავიდნენ ჟორდანიას წინააღმდეგ. ხელფასები იმიტომ შეამცირა, რომ არათანაბარ სიტუაციაში ვიყავით, ახლა კი ყველაფერი დაბალანსებული იყო“.

ხელფასების შემცირებას არც ჟორდანია უარყოფს, თუმცა ის თავის გადაწყვეტილებას სხვანაირად ხსნის: „ჩვენ სწორად დავგეგმეთ სარეპეტიციო დრო. წელს განხორციელდა არაერთი პროექტი, პრემიერა, მოეწყო გასტროლები, გაიმართა კონცერტები. მთელი წელი გაწერილი იყო, და რაც მთავარია, 2014 წელს განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრის გრანდიოზულ გახსნას ვგეგმავდით. ოპერას დიდი დასი ჰყავს და ბუნებრივია, უკმაყოფილო ყოველთვის მოიძებნება. არ ვეთანხმები მათ, მაგრამ არც პოლემიკაში შესვლა მინდა. ხელფასები, დამსახურების გათვალისწინებით, ზოგს მოემატა, ზოგს არა, დაკლებით კი არავის დაკლებია. მხოლოდ იმ თანამშრომლებს შევუმცირეთ ხელფასი, ვინც თავის კომპეტენციასთან და მუშაობასთან შედარებით გაბერილ ჰონორარს იღებდა. ჩვენ ხელფასები დავაბალანსეთ და ანაზღაურება ყველას შრომისა და გამოცდილების მიხედვით განვუსაზღვრეთ“.

შეხვედრაზე კულტურის მინისტრმა ისიც აღნიშნა, რომ ოპერაში ფინანსური დარღვევებია და აუდიტის ჩატარებაა საჭირო. შეხვედრა პროტესტის ნიშნად დირიჟორმა ჟან-ლუკა მარჩიანომ დატოვა.

**ჟან-ლუკა მარჩიანო, დირიჟორი:** „როგორც ვიცი, ჟორდანიას მოვალეობა ფინანსების მოზიდვა იყო, ის კი რეპერტუარის არჩევაშიც ერეოდა. სისულელეა, რომ მე მინდა სამხატვრო ხელმძღვანელობა. ჩემი საქმე მიყვარს და მინდა, მის შესრულებაში ხელს არავინ მიშლიდეს. ჩემთვის სამინისტროსთან დისკუსია აქ დამთავრდა. გადავწყვიტე, თავად ჩავატარო აუდიტი. ავიღებ ჟორდანიას მიერ ორგანიზებული ყველაზე დიდი ღონისძიების, ვაგნერის კონცერტის ჩანაწერს, რომელსაც თავად დირიჟორობდა და გადავცემ „ბიბისის“, „სიენენს“ და ისინი შეაფასებენ, რა და როგორ ხდებოდა თეატრში“.

31 იანვარს ოპერის ახალი სეზონის გახსნაა დაგეგმილი, თეატრში კი ვნებათაღელვა არ ცხრება. კულუარებში ოპერის მომავალი სამხატვრო ხელმძღვანელის კანდიდატურაზეც საუბრობენ. გაიჟღერა თემურ გუგუშვილის სახელმა, მაგრამ კომენტარს ამის თაობაზე ჯერ არავინ აკეთებს. დასის წევრი გოჩა დათუსანი აცხადებს, რომ სასურველი კანდიდატურა შერჩეული ჰყავთ, მაგრამ დაკონკრეტებისგან თავს იკავებს: „კანდიდატურას წარვუდგენთ მინისტრს, რომელიც უფლებამოსილებით დაამტკიცებს და არა ისე, როგორც დაამტკიცა ერთი წლის წინ - ძალით“.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს სამხატვრო ხელმძღვანელი ჯერ არ ჰყავს. ოპერის შენობა 2010 წლიდან რემონტდება. ბალეტის დასი გრიბოედოვისა და მუსკომედიის თეატრშია გადანაწილებოული, საოპერო დასი კი კონცერტებს კონსერვატორიაში მართავს. განახლებული ოპერის გახსნა 3 ოქტომბერს ოპერით „აბესალომ და ეთერი“ არის დაგეგმილი. მოკლედ, დიდი ქაოსია. კულტურის მინისტრი კი ოპერის საკითხზე ზრუნვას „ხვალიდან“ გეგმავს.



„თანამშრომლების ნაწილი ჟორდანიას „უნიჭო მმართველს“ უწოდებდნენ და მას არაპროფესიონალიზმში, ხელფასების შემცირებაში, ერთპიროვნულ მმართველობაში, შტატების შეკვეცაში, არასათანადო სამუშაო პირობების შემოღებაში, კომუნიკაციის დეფიციტში ადანაშაულებდნენ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი მმართველის ექსკლუზიური ინტერვიუ



EXCLUSIVE

## დავით საყვარელიძე: „შეგნებულად არ ვურეკავ დასის არც ერთ წევრს. არ ვერევი, არ მინდა, რაიმე ფორმით ვფიგურირებდე ამ არეულობაში“

**„მე ეს დიდი ხნის წინათ ვიწინასწარმეტყველე და საჯაროდაც განვაცხადე. ვიცოდი, რომ თეატრებში ასეთი ანარქია და არეულობა დაიწყებოდა“**

**„სიტუაცია საქართველოს თითქმის ყველა დიდ თეატრშია, დალაგებული ვითარება დღეს მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრსა და მუსკომედიაშია. არეულობაა ბათუმის თეატრში, რუსთაველში. მოკლედ, თითქმის ყველა გაჩერებულია“**

ეკა სოსელია

**კრიზისი და დაპირისპირება ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში 4 დღეში დასრულდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ჟორდანიამ თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო. სიტუაცია სხვაგვარად რომ განვითარებულიყო, ყველა დაგეგმილი ღონისძიებისა და პრემიერების ჩატარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. „ჩვენ არ ვენდობით ამ ადამიანის კვალიფიკაციას, მის ნიჭსა და პროფესიონალიზმს“ – ოპერისა და ბალეტის თეატრში დასი ორად გაიყო და ნაწილი რეპეტიციებში არ მონაწილეობდა. შიდა არჩევნების ჩატარების, სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის შერჩევის მოთხოვნით შეხვედრა კულტურის მინისტრთან ორჯერ გამართეს, თუმცა საბოლოოდ სიტუაცია თავად ჟორდანიას გადაწყვეტილებამ განმუხტა. ახლა ხელოვანები ახალი მმართველის მოლოდინში არიან. არის თუ არა საქართველოს თეატრების უმეტესობაში კრიზისული ვითარება და რა შუაშია ჟორდანიას პროფესიონალიზმთან კანონი თეატრის შესახებ? „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურად საუბრობს ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილი მმართველი დავით საყვარელიძე.**

**– ოპერისა და ბალეტის თეატრის დასის წევრების ნაწილი გიორგი ჟორდანიას უნიჭობასა და არაპროფესიონალიზმში სდებდა ბრალს, გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რით დაიწყო დაპირისპირება და რამ გამოიწვია დასის ასეთი გალიზიანება?**

– ნამდვილად არ ვიცი, კონკრეტულად რა მოხდა და რამ გამოიწვია დაპირისპირება, შეგნებულად არ ვურეკავ დასის არც ერთ წევრს. არ ვერევი, არ მინდა, რაიმე ფორმით ვფიგურირებდე ამ არეულობაში. თუმცა ერთს კი გეტყვით, რომ მე ეს დიდი ხნის წინათ ვიწინასწარმეტყველე და საჯაროდაც განვაცხადე. ვიცოდი, რომ თეატრებში ასეთი ანარქია და არეულობა დაიწყებოდა. ეს მხოლოდ ოპერისა და ბალეტის თეატრს არ ეხება, მსგავსი სიტუაცია საქართველოს თითქმის ყველა დიდ თეატრშია, დალაგებული ვითარება დღეს მხოლოდ მარჯანიშვილის თეატრსა და მუსკომედიაშია. არეულობაა ბათუმის თეატრში, რუსთაველში. მოკლედ, თითქმის ყველა გაჩერებულია. ამ ყველაფრის სათავე კი კანონიდან მოდის, კანონი თეატრის შესახებ, რომელიც ახალმა მთავრობამ შეცვალა და რომელიც თეატრის ხელმძღვანელს ერთპიროვნული მმართველობის უფლებას აძლევს. ადრე ასე არ იყო, ჰყავდა თეატრს მმართველი, ჰყავდა მთავარი დირიჟორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და ყველა თავის საქმეს აკეთებდა, თავისი უფლებები და მოვალეობები ჰქონდა. ახლა კი რა ხდება? ხელმძღვანელს, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრის შემთხვევაში პროფესიით დირიჟორია, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, გიორგი ჟორდანია არ არის მენეჯერი და სადაც მენეჯერი არ არის, ეტყობა, იქ სიტუაცია არ ლაგდება. როგორც ჩანს, მისმა მუშაობამ დასის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, არ მოსწონთ. და სწორედ აქედან დაიწყო დაპირისპირება.

რატომ მიიღეს ასეთი კანონი თეატრის შესახებ, მართლა ვერ ვხვდები, ახალმა მთავრობამ და კულტურის სამინისტრომ ამით საბჭოთა სისტემა დააბრუნეს.

**– გიორგი ჟორდანია ოპერისა და ბალეტის თეატრში დირიჟორად თქვენი ხელმძღვანელობის დროსაც მუშაობდა, მაშინ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მასთან დასს?**

– მასთან ჩვეულებრივი, ცივილიზებული ურთიერთობა მქონდა... განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ არც დასის წევრებს ჰქონიათ. შეიძლება სიტყვიერად ვინმესგან მსმენია, რომ სხვა უკეთესი დირიჟორია.. მაგრამ ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. მენეჯერის თანამდებობაზე კი მის კანდიდატურას ხედავთ, როგორი დაპირისპირებებიც მოჰყვა.

დირიჟორი სულ სხვა პროფესიაა, პროდიუსერი კი – სულ სხვა.

მე ოპერაში 9 წელი ვიმუშავე და დასის არც ერთ წევრთან არ მომსვლია კონფლიქტი, არ ვიცი, რა გააკეთა ამ კაცმა ასეთი, რომ ხალხი ასე გააგიჟა. სწორედ ეს ხალხი იყო ერთი წლის წინათ ჩემს დასაცავად რომ მიუვარდა კულტურის სამინისტროს, ახლა კი, ისევ კულტურის სამინისტროში, ახალი ხელმძღვანელის გადაყენებას ითხოვდა... ნამდვილად არ ვიცი, კონკრეტულად რა მოხდა..

**– დასის ნაწილის 4-დღიანი პროტესტის შემდეგ გიორგი ჟორდანიამ გადაწყვეტილება მიიღო და თანამდებობა დატოვა... როგორ აფასებთ მის გადაწყვეტილებას?**

– პიროვნულად სწორი გადაწყვეტილებაა, მე აქამდეც ასე მოვიქცეოდი, ჩემი შემთხვევა მართლაც მაგალითია. კულტურის მინისტრის მოადგილეებმა მთხოვეს, თანამდებობა დამეტოვებინა და მაშინვე დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ დასი ჩემს მხარეს იყო. ეს თავმოყვარეობის ამბავია, ვინმეს თუ არ უნდიხარ, უნდა ადგე და წახვიდე.

ვნახოთ, რა შედეგებს მოიტანს ეს გადაწყვეტილება, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამი არ იცვლება. ვინც არ უნდა დაინიშნოს ამ ადგილას, მთავარი პრობლემა მაინც კანონშია, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. თეატრს მმართველად სჭირდება პროდიუსერი, რომელიც ფულს იშოვის. კინოსტუდიებს ხომ პროდიუსერები მართავენ და არა კინორეჟისორები? რეჟისორი ფილმის გადაღებით არის დაკავებული, პროდიუსერი კი – ფულის მოძიებით. ვერც დირიჟორი, ვერც მომღერალი, ვერც უმაღლესი რანგის სხვა ხელოვანი ამ საკითხებს ისე ვერ მოაგვარებს, როგორც პროდიუსერი.

**– სად ხედავთ გამოსავალს? თქვენც ფიქრობთ, რომ შიდა არჩევნები უნდა ჩატარდეს და ხელმძღვანელი თავად დასმა უნდა შეარჩიოს?**

**„მე ოპერაში 9 წელი ვიმუშავე და დასის არც ერთ წევრთან არ მომსვლია კონფლიქტი, არ ვიცი, რა გააკეთა ამ კაცმა ასეთი, რომ ხალხი ასე გააგიჟა. სწორედ ეს ხალხი იყო ერთი წლის წინათ ჩემს დასაცავად რომ მიუვარდა კულტურის სამინისტროს, ახლა კი, ისევ კულტურის სამინისტროში, ახალი ხელმძღვანელის გადაყენებას ითხოვდა... ნამდვილად არ ვიცი, კონკრეტულად რა მოხდა..“**

**„ახლად მიღებული „საბჭოთა თეატრის კანონი“ ბევრ თეატრში გამოიწვევს კრახს?“**

– გინდათ გითხრათ, რა ხდება „ლა-სკალაში“? თეატრს ჰყავს ბორდი, რომლის თავმჯდომარეც მილანის მერია, ამ ბორდის მუშაობასაც ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს. ბორდი ნიშნავს მმართველს, ხოლო დასი ირჩევს მუსიკალურ ხელმძღვანელს! ეს ასეა არამხოლოდ მილანში, ყველგან ასე ხდება – ვენის ოპერაში, გერმანიაში, თუკი კულტურის სამინისტროში ეს არ იციან, GOOGLE-ში მაინც არ შეუძლიათ, რომ მოძებნონ?ძალიან ბევრჯერ ვთქვი ხმამაღლა, გამოვაქვეყნე სქემა, როგორც ხდება ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ ამათ მაინც საბჭოთა დროის კანონი დააბრუნეს. ეს კანონი ძალიან ბევრ თეატრში გამოიწვევს კრახს.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნებში საკუთარ კანდიდატურად დირიჟორი დავით მუქერია დაასახელებს... გაქვთ თუ არა ინფორმაცია, ვისკენ იხრება თეატრის დასის სიმპათია?**

– წარმოდგენა არ მაქვს, ვისკენ იხრება თეატრის დასის სიმპათიები, ხომ გეუბნებით, შეგნებულად არ ვრეკავ მათთან და არ ვერევი არანაირად. ისე კი, რაც უფრო მეტი კანდიდატურა იქნება წარდგენილი, მით უკეთესი. არჩევანის საშუალება მეტია. მთავარია, რომ ყველაფერი დემოკრატიულად ჩატარდეს, აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. არასწორი გადაწყვეტილებაც რომ მიიღონ, თუ ეს დემოკრატიული გზით მოხდება, მაშინვე გამოჩნდება. ასევე, მთავარია, რომ სამხატვრო ხელმძღვანელს მისცენ 1-წლიანი გამოსაცდელი ვადა, რომ კარგად გამოჩნდეს, შეუძლია თუ არა მას თეატრის მართვა. მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი, რომ თეატრს მმართველად სჭირდება პროდიუსერი. მოიძიებს მუქერია ან სხვა რომელიმე კანდიდატი ფულს? აი, ამაზე უნდა დაფიქრდნენ. შეიძლება ადამიანი კარგი დირიჟორი იყოს, მაგრამ თეატრის მართვა პროდიუსერის საქმეა – გინდ იმპრესარიო დაარქვით მას, გინდ მენეჯერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თეატრი კრახისთვის არის განწირული. მე მაგალითად, ხმას იმ კანდიდატს მივცემდი, ვინც ფულის მოძიებას შეძლებდა, დირიჟორი და ხელოვანი აქ არაფერ შუაშია, მმართველს ფინანსებთან უნდა ჰქონდეს საქმე.

**– ვინ გესახებათ ასეთ კანდიდატად?**

– ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც ამას შეძლებს. უბრალოდ, უნდა მოიშორონ განცდა, რომ თეატრს მაინცდამაინც დირიჟორი უნდა მართავდეს. მე ამ არეულობისა და კრიზისის უკან კულტურის სამინისტროს ინტერესებს ვხედავ. როგორც ჩანს, მინისტრი გაფიცულების მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ აპირებდა, ხელის მოთბობის მიზნით ის, ალბათ, ფიქრობს, რომ ეს თეატრი აკონტროლოს და მას მისთვის მისაღები კანდიდატი მართავდეს. ძალიან ბევრი ინტერესი გამოიკვეთა, რომელსაც ერთი შეხედვით ვერ დაამტკიცებ, მაგრამ ფაქტია, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან, რა პროცესები და დაპირისპირებები დაიწყო, ზოგადად, ხელოვნების სფეროში. გიორგი უშიკიშვილი მოხსნეს, ნიკოლოზ რაჭველსაც უპირებდნენ განთავისუფლებას, ხუთიდან ოთხ თეატრში საშინელი მდგომარეობაა... რაღაცაშია საქმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ORBELI ორბელი

GROUP ჯგუფი







## ერისთავის ქ. N1

**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

Ⓐ







ORBELI ორბელი GROUP ჯგუფი

**100 ლარიანი**

**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

**მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აფხაზეთში მოახლოვებულ სოჭის ოლიმპიადას შიშით ელიან

**EXCLUSIVE**



სალომე გოგოხია

**სოჭის ოლიმპიადის მოახლოვებასთან ერთად, აფხაზეთში დაძაბულობა მატულობს. რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. დე ფაქტო „საზღვარზე“ მიმოსვლა მკაცრად შეზღუდეს. სიტუაცია მას შემდეგ გართულდა, რაც დე ფაქტო ხელისუფლებამ დეკემბერში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გალელებს აფხაზური პასპორტები გაუუქმა. შედეგად, ადგილობრივები კვლავ შემოვლითი გზებით გადაადგილდებიან, რაც გარკვეულ საფრთხესთან არის დაკავშირებული.**

თუმცა, აფხაზეთში არსებობს კატეგორია, რომლებსაც „საზღვარზე“ გადასვლის პრობლემა არ აქვთ. ენგურჰესის თანამშრომლები სპეციალური საშვებით გადაადგილდებიან.

ძველით ახალ წელს გალელი ნინო მ. თბილისში შეხვდა. როგორც „PrimeTime“-ს უამბობს, მას ხიდზე პრობლემა არ შექმნია. „საზღვარი“ უპრობლემოდ გადაკვეთა.

„პროპუსკი“ მაქვს. ამიტომ, გადასვლა არ მიჭირს. თუმცა, ქართულ საგუშაგოს როცა ვუახლოვდები თავისუფლების და სიხარულის განცდა მეუფლება. არავინ დაგაჯეროთ, რომ გალში ცხოვრება უსაფრთხოა. ვინც ამას გეტყვით, იტყუება. გალში, დღის 12 საათის შემდეგ ცხოვრება კვდება. სწორედ ამ დრომდე მუშაობს ბაზარი. ქართველებს პროდუქცია ზუგდიდიდან შემოაქვთ და გალის ბაზარში ყიდიან. მათგან აფხაზებიც ყიდულობენ. 12 საათის მერე ყველა თავის სახლში იკეტება. აფხაზები, რუსები გალის და მის სოფლებში სამხედრო მანქანებით დადიან. ყველას ამოწმებენ. ვისაც ფულს შეაგულებენ წაართმევენ. დაძაბულობა განსაკუთრებით ახლა იგრძნობა, როცა სოჭის ოლიმპიადა კარზე მოგვადგა. ყველას გვეშინია“, - ამბობს ჩვენი რესპოდენტი.

მისივე თქმით, გალში რუსებმა ფეხი მყარად მოიკიდეს. ააშენეს „რუსკი პასიოლოკი“, სადაც რუსი სამხედროების შვილებისთვის ბაღებიც ააშენეს. მათ გალშიც ააშენეს ერთი ასეთი საბავშვო ბაღი, სადაც ქართველებთან ერთად, რუსების შვილებიც დადიან. აღზრდა რუსულ ენაზე მიმდინარეობს.

„მართალია, სკოლების და ბაღის პედაგოგებს ხელფასს ქართული მხარე უხდის, მაგრამ რუსები ბაღებს პროდუქტებით ამარაგებენ. თავისი სურვილით მიაქვთ. ისეთი ბაღებია, შეიძლება თბილისში ნანახი არ ჰქონდეთ. აქ ცხოვრება რთულია, მაგრამ აქ მყოფნი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური წნეხის მიუხედავად, საკუთარ სახლში ყოფნას ამჯობინებენ. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ახლა ყველას ყურადღება ოლიმპიადისკენ არის მიპყრობილი, ცუდის მოლოდინში ხალხი დაზაფრულია“, - ამბობს გალელი ნინო მ.

სოჭის ოლიმპიადაზე მოსალოდნელი ტერაქტებისა და პროვოკაციების შესახებ დიდი ხანია საუბრობენ. ჩეჩნები ოლიმპიადის ჩაშლითაც იმუქრებიან. ექსპერტებსა და სახელმწიფო წარმომადგენლებს შედეგების პროგნოზირება უჭირთ. თუმცა, პროვოკაციის შემთხვევაში, არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, რუსეთმა თითი კვლავ საქართველოსკენ გაიშვიროს.

„უსაფრთხოება აუცილებლად უნდა დავიცვათ, რომ საქართველო კვლავ რაიმე სახის პროვოკაციაში არ ჩაითრიონ, როგორც ეს ადრე მომხდარა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ყველა დონეზე უნდა ჩავერთოთ. რაც შეეხება ჩეჩნების მუქარას, რეალურად არ აღვიქვამ. თუმცა, არსებობს დაღესტნური, მუსლიმანური ჯგუფები, უკმაყოფილონი რუსეთშიც არიან. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ ეს სიტუაცია ნებისმიერმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ გამოიყენოს“. - განუცხადა „PrimeTime“-ს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, გია გვაზავამ.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი, ირაკლი ცქიტიშვილი ამბობს, რომ რუსეთს უსაფრთხოების საკმაოდ მაღალი ზომები აქვს მიღებული.

„დიდ კატასროფას აფხაზეთშიც არ ველოდები. შესაძლოა, ცრუ სატელეფონო განგაში იყოს, რაც ოლიმპიადის ჩატარებას გარკვეულ პრობლემას შეუქმნის. მეორე მხრივ, გამორიცხული არ არის, რომ ეს სიჩუმე იმის მომასწავებელი იყოს, რომ რაღაც მზადდება“, - ამბობს ცქიტიშვილი, რომელიც, პირველი რესპონდენტის მსგავსად, ჩეჩნების მუქარას რეალურად არ მიიჩნევს.

„ჩეჩნების მხრიდან ეს მუქარა პირველი არ არის. ადრეც იყო, მაგრამ სერიოზული ჯერ არაფერი გაუკეთებიათ, ვოლგოგრადის ტერაქტის გარდა. დღევანდელი ჩრდილოკავკასიური იატაკქვეშეთის აქტივობა იმის საფუძველს არ გვაძლევს, რომ შესაძლოა, რაიმე მოხდეს“,- დასძენს ცქიტიშვილი.

**„არავინ დაგაჯეროთ, რომ გალში ცხოვრება უსაფრთხოა. ვინც ამას გეტყვით, იტყუება. გალში, დღის 12 საათის შემდეგ ცხოვრება კვდება“**

**„უსაფრთხოება აუცილებლად უნდა დავიცვათ, რომ საქართველო კვლავ რაიმე სახის პროვოკაციაში არ ჩაითრიონ, როგორც ეს ადრე მომხდარა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ყველა დონეზე უნდა ჩავერთოთ“**





**„დიდ კატასტროფას აფხაზეთშიც არ ველოდები. შესაძლოა, ცრუ სატელეფონო განგაში იყოს, რაც ოლიმპიადის ჩატარებას გარკვეულ პრობლემას შეუქმნის. მეორე მხრივ, გამორიცხული არ არის, რომ ეს სიჩუმე იმის მომასწავებელი იყოს, რომ რაღაც მზადდება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა დახმარებას მიიღებე



**„ქალაქ თბილისის და ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებზე შემოერთებული სოფლის მოსახლეობა, ვინც ეწევა სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, ასევე მიიღებენ ხელშეწყობას“**

სანდრო ბარათელი

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო თებერვლიდან „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს“ იწყებს. პროექტის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა რამდენიმე დღის წინ მედიასთან შეხვედრისას განაცხადა. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა და შარშანდელის მსგავსად, წელსაც აპირებს გლეხს სხვადასხვა მიმართულებით მხარდაჭერა გამოუცხადოს, „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა დარგში მიმდინარე პროექტებს ერთგვარი მონიტორინგი გაუწიოს და ყველა თემა, რომელიც ამ სფეროს ეხება, შემოგთავაზოთ. ამჯერად თქვენს ყურადღებას „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტზე“ გავამახვილებთ, რომლის შესახებაც უფრო კონკრეტულად, ექსკლუზიურად თქვენთვის, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია ისაუბრებს.**

**შალვა ფიფია, სოფლის მეურნეობის მინისტრი:** - პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის შარშანდელი პროექტის გაგრძელება. ამ პროექტის მიზანია, გავაგრძელოთ ის პროცესი, რომელიც 2013 წელს დაიწყო, მოვახდინოთ მცირემიწიან ფერმერთა საქმიანობის სტიმულირება, რათა მათ აწარმოონ თავიანთი საქმიანობა და ხელი შევუწყოთ, მათთვის ყველაზე რთულ და შრომატევად სამუშაოში. აუცილებელია დავეხმაროთ მათ, რათა ეფექტურად აწარმოონ სასოფლო სამეურნეო პროდუქცია. ჩვენ გავითვალისწინეთ ის გამოცდილება, რომელიც 2013 წელს დაგროვდა. ამ პროექტის ფარგლებში, დაახლოებით 800 ათასი ბენეფიციარი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიიღებს ხელშეწყობას. თქვენ იცით, რომ შარშან იყო გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც ვერ მოხვდნენ პროექტში, ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და მაქსიმალურად ყველა ბენეფიციარი, მიწის მესაკუთრე, ვინც ფლობს 0, 25 მეასედ ჰექტარს, მიიღებს ამ ტიპის დახმარებას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალაქ თბილისის და ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებზე შემოერთებული სოფლის მოსახლეობა, ვინც ეწევა სასოფლო სამეურნეო საქმიანობას, ასევე მიიღებს ხელშეწყობას. ჩვენ უკვე ვაცნობეთ, როგორც ქალაქ თბილისის საკრებულოს, ასევე აჭარის ხელისუფლებას ამ ადამიანების მონაწილეობის შესახებ და უახლოეს მომავალში მოვიპოვებთ მათზე სრულ ინფორმაციას. არის მთელი რიგი ინოვაციებისა, იქნება ხვნის ბარათი, როგორც იყო 2013 წელს, გარდა ამისა, იქნება პლასტიკური აგრო ბარათი, რომლითაც ფერმერებს ექნებათ საშუალება მიიღონ ის სასოფლო სამეურნეო ნედლეული, რომელიც მათ სჭირდებათ. აგრობარათი ფერმერს ურთიერთობას გაუმარტივებს სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებელთან; მას შესაძლებლობა ექნება სასურველი პროდუქტი მიიღოს ნაწილ-ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოებს, რომელიც ნიადაგის ხვნას და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას გულისხმობს, შპს „მექანიზატორი“ და 117 კონტრაქტორი შეასრულებს. „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ 1 თებერვალს დაიწყება და აგვისტოში დასრულდება.



**„არის მთელი რიგი ინოვაციებისა, იქნება ხვნის ბარათი, როგორც იყო 2013 წელს, გარდა ამისა, იქნება პლასტიკური აგრო ბარათი, რომლითაც ფერმერებს ექნებათ საშუალება მიიღონ ის სასოფლო სამეურნეო ნედლეული, რომელიც მათ სჭირდებათ“**

**„ამ პროექტის მიზანია, გავაგრძელოთ ის პროცესი, რომელიც დაიწყო 2013 წელს, მოვახდინოთ მცირემიწიან ფერმერთა საქმიანობის სტიმულირება, რათა მათ აწარმოონ თავიანთი საქმიანობა და ხელი შევუწყოთ, მათთვის ყველაზე რთულ და შრომატევად სამუშაოში“**

**- რა დაიხვეწა შარშანდელთან შედარებით?**

- პირველ რიგში სიები დაზუსტდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, იყო ადამიანების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც სამჯერადი გადამოწმების მიუხედავად, მაინც ვერ მოხვდა სიაში. გადამოწმების შემდეგ საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა დაემატა. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ გვქონდა შარშან კომბინირებული და ნომინალური ბარათები, რომლითაც შესაძლებელი იყო სასოფლო სამეურნეო საქონლის ყიდვა. ხვნის ბარათი ისევ დარჩება ჩვეულებრივ ფიზიკურ დაბეჭდილ ბარათად, რაც შეეხება ნომინალურ ბარათს, ამას ჩაანაცვლებს აგრობარათი. ეს არის „ლიბერთი“ ბანკის პლასტიკური ბარათი. ამ ბანკთან შეთანხმება უკვე მიღწეულია და მიმდინარეობს ბარათების დაბეჭდვა. ეს ბარათი ბენეფიციარებს გაუმარტივებს საქმიანობას, რადგან, მათ შეეძლებათ სხვადასხვა ადგილას მისი განაღდება. რაც ყველაზე მთავარია, ეს იქნება მრავალჯერადი და ხანგძლივი პერიოდის გამოყენების ბარათი, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერს მიიღოს სარგებელი ამ პროექტის ფარგლებში. ასევე შეეძლებათ მისი ჩვეულებრივ პლასტიკურ ბარათად გამოყენება.

**- ამ თანხის სხვა რამეზე დახარჯვა შესაძლებელია?**

- არა. თანხის გამოტანას ვერ შეძლებენ. მათ ერიცხებათ ქულები, რომელიც შეუძლიათ გაანაღდონ იმ სპეციალურ მაღაზიებში, სადაც ხდება სასუქისა და ნედლეულის რეალიზაცია. შარშანაც, ჩვენი მიზანი იყო, რომ ამ ადამიანებს ფული კი არ მიეღოთ, არამედ კონკრეტული და პირდაპირი სასოფლო სამეურნეო დახმარება. ეს მიზანი თავისთავად შეუცვლელია, ახლაც, ბენეფიციარები მიიღებენ ასეთი ტიპის დახმარებას და არა თანხას.

**- შარშან რა ტიპის ბარათები მიიღეს?**

- შარშანაც ორი ბარათი მიიღეს, თუმცა ორივე ფიზიკური, ქაღალდის ბარათი იყო. როგორც უკვე გითხარით, წელს ისინი მიიღებენ ერთ ფიზიკურ და მეორე პლასტიკურ ბარათს, სასუქებისა და პესტიციდების შესაძენად. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ შარშან, დაახლოებით 53 მილიონი ლარი დაიხარჯა სასოფლო სამეურნეო ინვენტარის შეძენაზე. ეს იყო მეორე ყველაზე დიდი პოზიცია - სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მოგეხსენებათ, რომ სასოფლო სამეურნეო ინვენტარის სიცოცხლისუნარიანობა რამდენიმე წელიწადია, შესაბამისად, წელს მათ ინვენტარის შეძენა არ სჭირდებათ, ამიტომ ეს არ იქნება დაშვებული ამ აგრობარათით. ეს ბარათი გაცემული იქნება მხოლოდ და მხოლოდ სასუქებისა და პესტიციდების შესაძენად.

**- კონკრეტულად რა თანხის, რაოდენობის ქულებს მიიღებენ ბენეფიციარები?**

- „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1.25 ჰექტრის ჩათვლით ფართობის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის იყენებენ. ფერმერები, მიწის ფართობის მიხედვით, დაიყოფიან ორ კატეგორიად და მიიღებენ სხვადასხვა ოდენობის სარგებელს. ამ ორ კატეგორიაში არიან ფერმერები, რომელთაც აქვთ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი და ფერმერები, რომელთაც აქვთ 0,25 ჰა-

**„შარშან იყო გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც ვერ მოხვდნენ პროექტში, ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და მაქსიმალურად ყველა ბენეფიციარი, მიწის მესაკუთრე, ვინც ფლობს 0, 25 მეასედ ჰექტარს, მიიღებს ამ ტიპის დახმარებას“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ნ 2014 წელს ფერმერები

# „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ 1 თებერვალს დაიწყება და აგვისტოში დასრულდება“




დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები. 0,25 ჰექტრამდე მიწათმფლობელები მიიღებენ აგრობარათს, სადაც იქნება 50 ლარის ეკვივალენტის ქულა დარიცხული, რომელსაც სასუქისა და პესტიციდების შესაძენად გამოიყენებენ. რაც შეეხება 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთებს, მიწათმფლობელები მიიღებენ 140 ლარის ღირებულების სარგებელს, ხვნა-თევსის სამუშაოს სახით.

**- პროექტის ბიუჯეტი რამდენია?**

- პროექტის ბიუჯეტი 90 მილიონამდე ლარს შეადგენს. 50 მილიონი არის საბიუჯეტო დაფინანსება, 40 მილიონს ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს, ხოლო ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს. თანხის გარკეული ნაწილი უკვე მობილიზებულია.

**- ბარათებს როდის მიიღებენ ბენეფიციარები?**

- პროექტი აქტიურ ფაზაში თებერვლიდან შევა. ხვნის ბარათებს ბენეფიციარები თებერვლის პირველივე რიცხვებში მიიღებენ, რაც შეეხება პლასტიკურ ბარათს, ცოტა მოგვიანებით. თქვენ იცით, რომ სასუქები და პესტიციდები, თებერვალში არ სჭირდებათ ფერმერებს.

**- რაც შეეხება გასულ წელს, როგორ შეაფასებდით 2013 წელს და რა არის მიმდინარე წლის პრიორიტეტები?**

- 2013 წელი ჩვენთვის ძალიან რთული, დატვირთული და ნაყოფიერი იყო. ძალიან ბევრი პროექტი განახორციელა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მათ შორის რამდენიმე უპრეცედენტო და საჭირო პროექტი იყო, რომელიც მანამდე არ ყოფილა. იგივე საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, რომელმაც 710 ათასი ბენეფიციარი მოიცვა და საკმაოდ მოკლე ვადაში განხორციელდა. ამას გარდა, ჩვენ დავიწყეთ შეღავათიანი აგროკრედიტი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია თავისი მასშტაბით და თავისი შინაარსით, რადგან იაფ კრედიტზე ხელმისაწვდომობა მუდმივი პრობლემა იყო ამ დარგში. დღეის მდგომარეობით ჩვენ დაახლოებით 300 მილიონი ლარი უკვე გაცემული გვაქვს სწორედ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში.

აღსანიშნავია უპრეცედენტო რთველი და ასევე ციტრუსების რეალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ შტორმის და უამინდობის გამო, გარკვეული შეფერხებები გვქონდა, დღეის მდგომარეობით ექსპორტი ორჯერ უფრო მეტჯერ არის გაზრდილი შარშანდელთან შედარებით. თუ შარშან დაახლოებით 22 ათასი ტონა იყო, ახლანდელი მონაცემებით, უკვე 50 ათას ტონამდეა გასული. ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციები განვახორციელეთ საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციაში, რამაც მოგვცა საშუალება, რომ მორწყული ფართობის რაოდენობა 24 ათასი ჰექტრიდან, (რაც ჩვენ დაგვხდა), 74 ათას ჰექტრამდე გაგვეზარდა. დღესაც ეს სამუშაოები გრძელდება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სურსათის უვნებლობის მიმართულებით. სამჯერ მეტი ინსპექტირება ჩატარდა შარშან, ვიდრე წინა წლების განმავლობაში. ამ მიმართულებით ჩვენ კიდევ უფრო გააქტიურებას ვაპირებთ და მნიშვნელოვნად ვზრდით ინსპექტორების რაოდენობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. აქამდე 20 ინსპექტორი გვყავდა და ამ თვის ბოლოდან 60 დაემატება.

**- ქვეყნის მასშტაბით სულ 500 ათასამდე ბიზნეს ოპერატორია დარეგისტრირებული, 80 ინსპექტორი საკმარისი იქნება მათ გასაკონტროლებლად?**

**„ამ პროექტის ფარგლებში, დაახლოებით 800 ათასი ბენეფიციარი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიიღებს ხელშეწყობას“**



- 448 ათასი ბიზნეს ოპერატორია. რა თქმა უნდა, 80 ინსპექტორი, იდეალური და საკმარისი რაოდენობა არ არის, თუმცა არსებული რესურსის გათვალისწინებით ოთხჯერ გაზრდა მოხდა. ისინი მოახდენენ როგორც გეგმიურ, ასევე არაგეგმიურ ინსპექტირებებს დარეგისტრირებულ ოპერატორებთან. რაც შეეხება მომავალი წლის პრიორიტეტებს, ძალიან მნიშვნელოვანი არის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მიმართულება. თქვენ იცით, რომ შარშან მიღებული იქნა კანონი, ჩვენ შევქმენით უკვე სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ხელშოწყობის სიპი და სწორედ ამ სიპის ფარგლებში, ჩვენ ვაპირებთ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერებას, რადგანაც ქვეყანაში, სადაც მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის ხარისხი ისეთი მაღალია, როგორც ჩვენთან, მიწის რესურსის კონსოლიდაციის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი წარმატებული და აპრობირებული გზა ნამდვილად არის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერება. ასევე, წელს ვიწყებთ სამეცნიერო მიმართულებით მუშაობას. იცით, რომ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამ ქვეყანაში რამდენიმე ათწლეულია არ ჩატარებულა. მალე შეიქმნება სამეცნიერო კვლევის ცენტრი, რომელიც მოახდენს ჯიშთა გამოცდებს, როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი კულტურების. იმუშავებს ასევე მესაქონლეობის მიმართულებით, ჯიშთა გაუმჯობესებაზე. პირველ წელსვე შეიძლება ვერ მოესწროს, თუმცა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში უკვე ჯიშთა სერთიფიკაციას და თესლის სერთიფიცირებას მოვახდენთ, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ ჩვენ ფერმერებს ხელმისაწვდომი ჰქონდეთ, სერტიფიცირებული, რაიონებული და გამოცდილი თესლი. აღარ უნდა განმეორდეს ისეთი პრობლემები, როგორიც იგივე პიონერი ჰიბრიდის შემთხვევაში იყო, როცა დარაიონებისა და ყოველგვარი წინასწარი შესწავლის გარეშე მოხდა ამ თესლის დათესვა დიდი მასშტაბით, რამაც ზოგიერთ რეგიონში ვერ გაამართლა. მინდა გითხრათ, რომ შარშან იყო პირველი წელი, როდესაც ინტენსიურად მოხდა ვენახების გაშენება, ჯერ კიდევ გაზაფხულიდან, რადგანაც მევენახეების მხრიდან პოზიტიური მოლოდინი იყო. შარშან დაახლოებით 3 მილიონი სერტიფიცირებული ნერგი გაიყიდა. მე ხშირად მიწევს კახეთში სიარული, სისტემატურად ვხვდები გლეხებს და ფერმერებს. მათ აქვთ სურვილი იმისა, რომ კიდევ დაამატონ და გააშენონ დამატებით ვენახები, რაც ძალიან სასიხარულო და მისასალმებელია. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი, რომ გლეხს მუშაობის სტიმული ჰქონდეს და მიიღოს დოვლათი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲘᲛ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ 50 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲘᲞᲐᲠᲝᲡ, ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲝᲡ“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი




**შუქნიშნების გათიშვა კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც თბილისს ნაგვით გავსების შემთხვევაში შეიძლება დაემართოს. ორივე ეს პრობლემა დედაქალაქის ბიუჯეტის ჩავარდნას უკავშირდება. საკრებულომ მერიას ბრძოლა დიდი ხნის წინ გამოუცხადა, თუმცა წინასაახალწლო „სიურპრიზი“ მაინც განსაკუთრებული გამოდგა. უგულავას ყოფილ უწყებას დაწუნებული ბიუჯეტი საკრებულომ პირველად სწორედ 29 დეკემბერს დაუბრუნა, თანდართული შენიშვნებით. მორიგი წრე ფინანსურმა დოკუმენტმა ხელმეორედაც გაიარა და წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ იანვრის ბოლოს მესამე წრეც ასეთივე წარუმატებელი იქნება. დაპირისპირებული მხარეები საბოტაჟის მცდელობას ერთმანეთს აბრალებენ, რეალურად კი, როგორც ამბობენ, ბიუჯეტის ჩავარდნით საკრებულოს კონკრეტული მიზნის მიღწევა სურს... ეს მიზანი, ამ შემთხვევაში, სევდია უგრეხელიძემდე მიდის. თუ დედაქალაქის ბიუჯეტი 11 მარტამდე არ დამტკიცდება, საკრებულო დათხოვნილად გამოცხადდება. „ოცნება“ ცდილობს, თვითმმართველობის არჩევნებამდე დრო არ დაკარგოს და ნარმანიას რეიტინგზე მერის მოვალეობის საკუთარი შემსრულებლის დანიშვნით იზრუნოს.**

**ირაკლი აბესაძე, დედაქალაქის მერის მოადგილე:**

– თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებიდან სამი თვის განმავლობაში არ მოხდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დამტკიცება, საქართველოს მთავრობას საშუალება ეძლევა, პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს საკრებულო და შემოიღოს პირდაპირი მმართველობა, ანუ დანიშნოს მერის მოვალეობის შემსრულებელი და მან განახორციელოს დედაქალაქის მართვა. იმედს გამოვთქვამ, რომ ეს არ არის საკრებულოს მიზანი, რადგან ეს იქნება ძალიან სერიოზული დარტყმა თვითმმართველობაზე და მთლიანად ქვეყნის იმიჯზე.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ ნარმანიას კანდიდატურის მიმართ პრობლემა თავიდანვე იყო, რამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს გზა გამოიყენონ?**

– ამ გზით შესაძლებელია, ნებისმიერი კანდიდატი დანიშნონ თბილისის მერად. მათ შორის ბატონი დავით ნარმანიაც. თუმცა გავიმეორებ – ეს გზა ძალიან დააზარალებს თვითმმართველობას.

**– რა ბერკეტი არსებობს ამ გზის თავიდან ასაცილებლად?**

– თბილისის მერიას ამ პროცესის შესაჩერებლად არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ გააჩნია. გარდა იმისა, რომ თბილისელებს დავანახებთ, რომ ჩვენ ვმუშაობთ მათი ინტერესების დასაცავად. გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს უმრავლესობა. ფაქტია, რომ საკრებულომ დაუსაბუთებლად, უმოტივაციოდ ჩააგდო თბილისის ბიუჯეტი. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ მათ აქვთ სურვილი, თვის ბოლოსაც ჩააგდონ ბიუჯეტი, შემდეგ კი საკრებულო დაითხოვონ. ამის შემდეგ უკვე გადაწყვეტილებას მიიღებს მთავრობა, პარლამენტის თანხმობით.

**– კონსულტაციების დაწყებაზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს?**

– საკრებულოს ხელმძღვანელობა გრძელვადიან მივლინებაშია. დარწმუნებული ვარ, არც ერთი მივლინება არ იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დედაქალაქის ბიუჯეტია. შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის დაპირება, რომ დედაქალაქის მოსახლეობას თვის ბოლომდე ბიუჯეტი ექნებოდა, ვერ შესრულდება. საკრებულოს უმრავლესობას ჰგონია, რომ ბიუჯეტის არდამტკიცებით პრობლემას უქმნის თბილისის მერიას, სინამდვილეში კი ისინი მოსახლეობას უქმნიან სერიოზულ პრობლემებს. ჯერჯერობით ჩვენთვის გაურკვეველია ბიუჯეტის მომავალი. არ ვიცით, რას აპირებს საკრებულო და საერთოდ, ექნებათ თუ არა თბილისელებს წელს ბიუჯეტი. როგორც ჩანს, საკრებულოს უმრავლესობა ვერც საბიუჯეტო კოდექსში გაერკვა, ვერც ქართულ კანონმდებლობაში და, შესაბამისად, ვერც იმაში, რა პრობლემას ქმნის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა. ნაცვლად იმისა, რომ კონსულტაციები დაიწყოს, კვლავ ვისმენთ დაუსაბუთებელ ბრალდებებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია, დაიწყოს საუბარი პრობლემებზე, ბიუჯეტზე.

მერიაში დარწმუნებულები არიან, რომ სულ მალე სევდია უგრეხელიძის შემცვლელი გამოჩნდება, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებამდე დავით ნარმანიას რეიტინგის გაზრდაზე იმუშავებს. ბუნებრივია, ასეთი გეგმის არსებობას საკრებულოში კატეგორიულად უარყოფენ. ჯაბა სამუშიას განცხადებით, საკრებულო არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს თვითლიკვიდაციას.

**ჯაბა სამუშია, საკრებულოს წევრი:**

– როცა ამ გეგმაზე საუბრობენ, ერთი პატარა დეტალი ავიწყდებათ. გამოდის, საკრებულოს უმრავლესობა თვითლიკვიდაციას აცხადებს? ეს არის ამოსავალი წერტილი და სწორედ ამ დეტალით უნდა დავიწყოთ საუბარი. როგორ გგონიათ, ახლა ჩვენ, უმრავლესობის წევრები, საკრებულოში ვსხედვართ და იმაზე ვფიქრობთ, როგორ უნდა განვახორციელოთ თვითლიკვიდაცია? ჩვენთვის მთავარია, ბიუჯეტი სამართლიანი იყოს. სწორედ ამიტომ გვაქვს ამდენი კითხვა და შენიშვნა. მერია კი ცდილობს, საბოტაჟი მოაწყოს და თბილისელებს ბიუჯეტი წაართვას.

**– თუმცა საკრებულოს თვითლიკვიდაციაზე უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება მერის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა იყოს...**

– ნარმანია ვერანაირად ვერ დაინიშნება მოვალეობის შემსრულებლად. ეს წარმოუდგენელია. შესაბამისად, ესეც ნაციონალების მოგონილია, ისევ და ისევ იმ მიზნით, რომ პრობლემები შექმნას.

**– თუმცა ოპონენტები აცხადებენ, რომ კონსულტაციისთვის მზად არიან, მაგრამ საკრებულო მათთან არ თანამშრომლობს...**

– უამრავი ლაფსუსი იყო, მაგალითად, იყო ჩადებული მუხლი – „ერთად ვაკეთოთ საქმე“. ამ საქმისთვის განსაზღვრული იყო 1 მილიონი ლარი, მაგრამ გაურკვეველია, რა საქმის კეთებას აპირებდნენ ამ მილიონი ლარით. ჩვენ გვიჩნდებოდა ძალიან ლეგიტიმური კითხვები, მით უფრო იმ მერის მიმართ, რომელსაც პროკურატურა 50 მილიონ ლარს ედავება. ასე რომ, საბოტაჟი სწორედ მერიის მხრიდან ხორციელდება. აღარ გვინდა იმ ბიუჯეტით ცხოვრება, საიდანაც 50 მილიონი შეიძლება მერმა ისე მოიპაროს, ვერავინ ვერაფერი შეამჩნიოს. ბუნებრივია, მიჭირს, მათ მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა ავიღო, თუ ის მკაცრად ფორმულირებული და ჩამოყალიბებული არ იქნება.

**– საკრებულოს თავმჯდომარის ჩინეთში ვიზიტის მიზანი რა არის? ფიქრობთ, რომ ვიზიტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დედაქალაქის ბიუჯეტი, მით უფრო, როცა ის ვარდება?**

– ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. ქალაქ გვანჯოსა და თბილისის დამეგობრების ხელშეკრულების გაფორმება ხდება. ეს გახლავთ ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სამრეწველო ქალაქი. ამ ქალაქის მოსახლეობა რამდენჯერმე აღემატება საქართველოს მთლიან მოსახლეობას... ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი, ვისთანაც კი გაუფორმებია დამეგობრების ხელშეკრულება საქართველოს. ამ შემთხვევაში, ჩვენი კოლეგების მხრიდან არასწორია თითის გამოშვერა. არავის დაუსვამს კითხვა, როდესაც ყოფილი მერი ლას-ვეგასში იყო წასული რამდენჯერმე. თურმე გიგი უგულავა ლას-ვეგასში რომ ჩავიდა დასუფთავების მანქანების წამოსაყვანად, ეს არაფერი იყო და ამხელა სამრეწველო ქალაქთან რომ იდება მეგობრობის ხელშეკრულება, კითხვები ჩნდება. ეს ორმაგი სტანდარტია და ნაციონალებს ვეტყვი, რომ მათ მეთოდები მოუძველდათ.

ბუნებრივია, შიხიაშვილისთვის მძიმე მისაღები იქნება თვითლიკვიდაციის გადაწყვეტილება, თუმცა ამ შემთხვევაში ის იმოქმედებს ისე, როგორც საჭიროება მოითხოვს. საჭიროება კი ნარმანიას რეიტინგის გაზრდას მოითხოვს. შესაბამისად, მერიის სათავეში „ოცნების“ წარმომადგენლის დანიშვნა ავტომატურად ნიშნავს ნარმანიას რეიტინგის გაზრდაზე ზრუნვას, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც მერის მოვალეობის შემსრულებელი ზუსტად ისეთივე უფლებებით იქნება აღჭურვილი, როგორითაც არჩეული მერი.

**მამუკა აბულაძე, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი:**

– საკრებულოს დათხოვნის და სახელმწიფო მმართველობის სქემა ორგანულ კანონში, ბუნებრივია, დევს, თუმცა ის ცალსახად გათვლილია იმ შემთხვევებზე, როდესაც თვითმმართველობა საფრთხეს უქმნის ხელისუფლებას, განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები. ვთქვათ, თვითმმართველობა დაადგა სეპარატიზმის გზას, ან არ ემორჩილება ხელისუფლებას და ასე შემდეგ. ორგანულ კანონში არ წერია, რომ ბიუჯეტის ვერმიღების შემთხვევაში უნდა მოხდეს საკრებულოს დაშლა და მერის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა.

**– რამდენად შეიძლება მიზეზი არდამორჩილება გახდეს?**

– არც ერთი გამგებელი, არც ერთი საკრებულო არ არის ვალდებული, დაემორჩილოს ცენტრალური ხელისუფლების რაღაც ბრძანებასა და მითითებებს, ისინი პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ კანონის წინაშე. რაც შეეხება მერის მოვალეობის შემსრულებელს, ის იგივენაირი უფლებებით ისარგებლებს, რითაც სარგებლობს არჩეული მერი.

## ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ: „ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲘᲡ ᲘᲒᲘᲕᲔᲜᲐᲘᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘ“



## ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ: „ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ ᲓᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲬᲔᲚᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ“







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



## my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**ბიზნესმენი თემურ ჭყონია სოჭის ოლიმპიადის შემდეგ აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასთან ბიზნესმოლაპარაკებების გამართვას გეგმავს. ბუნებრივია, საქმე „კოკა-კოლასა“ და „მაკდონალდსს“ ეხება. თავად ჭყონია აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ბიზნესია, თუმცა, ბუნებრივია, მის გაფართოებაზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის თანხმობაც დასჭირდება. საკითხი პრემიერ-მინისტრის წინაშე უკვე დაყენებულია. ირაკლი ღარიბაშვილი პირადად დაჰპირდა ჭყონიას, რომ აფხაზეთში „მაკდონალდსის“ გახსნის საკითხს განიხილავს, იმსჯელებს და გადაწყვეტილებასაც მიიღებს. თუმცა საკითხმა სკანდალი უკვე გამოიწვია. McDonald's-ის ოფიციალურ საიტზე აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით დაფიქსირდა. უფრო კონკრეტულად კი კომპანიამ გააკეთა ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც სურვილი აქვს, საკუთარი ბრენდი შეიტანოს. სწორედ მათ შორის იყო აფხაზეთიც. ქართული მხარის ჩარევით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია მალევე ამოშალეს დამოუკიდებელი ქვეყნების სიიდან.**



# თემურ ჭყონია: „აფხაზეთი თუ გეგმავს, ცივილიზებულ სამყაროსთან დაამყაროს ეკონომიკური ურთიერთობები, ეს სწორედ ჩვენი საშუალებით უნდა მოახდინოს“

**თემურ ჭყონია, ბიზნესმენი:**

– არსებობს „კოკა-კოლასა“ და McDonald's-ის ეკონომიკური რუკა. ამ რუკიდან და ბრენდებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ტერიტორია გვეკუთვნის ჩვენ. პრემიერთან შეხვედრაზე დავაყენე საკითხი, რომ, როგორღაც დამყარდეს ეკონომიკური ურთიერთობები და იქ შესაძლებელი გახდეს „კოკა-კოლას“ შეტანა. რაც შეეხება „მაკდონალდსის“ საიტზე გამოჩენილ ინფორმაციას აფხაზეთის შესახებ, ეს იყო საიტის მენეჯერის შეცდომა. ადამიანები ვართ და ყველას შეიძლება შეგვეშალოს. ამის შემდეგ დაველაპარაკე ამერიკულ მხარეს, უფრო კონკრეტულად „მაკდონალდსის“ იურისტებს და მაშინვე ამოიღეს აფხაზეთი ჩამონათვალიდან. ამაზე პრემიერ-მინისტრმაც აღნიშნა, რომ შეცდომაზე მყისიერი რეაქცია მოვახდინეთ და კმაყოფილება გამოთქვა. თუმცა აქ არის მეორე თემა: ბუნებრივია, კომპანიას აქვს თავისი განვითარების გეგმა, შესაბამისად, გაჩნდა კითხვებიც. ისინი სწორედ ამ დეტალებით დაინტერესდნენ. არ არის საუბარი, რომ აფხაზეთში „მაკდონალდსი“ ხვალ, ზეგ ან დაჩქარებული ტემპით გაიხსნება. დაუფიქრებლად არავინ არაფერს გააკეთებს. აფხაზეთი კონფლიქტურ სიტუაციაშია, პროექტებს კი იურიდიულად სჭირდება ხელშეკრულებების გაფორმება. თუ „მაკდონალდსის“ ხელმძღვანელობა არ დარწმუნდება, რომ ყველაფერი რიგზეა, იურიდიულად სწორადაა გაკეთებული, ხარისხი იქნება დაცული, ისე აფხაზეთში კი არა, თბილისის ცენტრშიც კი არ დასთანხმდება ფილიალის გახსნას. ბუნებრივია, ამხელა ბრენდს თავისი მოთხოვნები, თავისი კანონები აქვს, როგორ უნდა იმართოს. ეს არ არის თემა, რომელიც საჩქაროდ უნდა გადაიჭრას. აფხაზეთი მხოლოდ სეზონზეა მიმზიდველი. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, რა კატეგორიის ტურისტი ჩადის იქ, ან რამდენია მათი რიცხვი. თანაც რაოდენობა სულაც არ ნიშნავს ხარისხს. შესაძლებელია, ტურისტების სიმრავლე სიიაფით, ადვილად ხელმისაწვდომობით იყოს გამოწვეული. შეიძლება იქ ჩადის ტურისტების ის კატეგორია, რომელსაც დასასვენებლად საჭირო თანხები არ გააჩნია. ეს ყველაფერი შესასწავლია. თუმცა თემა დღის წესრიგში დგას და მე პრემიერს ვთხოვე, რომ ის აღარ მოიხსნას განსახილველი საკითხების სიიდან, რადგან ბრენდის მენეჯერი ჩვენგანაც ითხოვს პასუხს. ეს პასუხი არ ნიშნავს დაძაბულობას, უბრალოდ, უნდა ვიცოდეთ, შეიძლება თუ არა 2014, 2015 ან თუნდაც 2016 წელს მაინც მივიღოთ გადაწყვეტილება.

**– როგორ უნდა მოხდეს შესწავლა ტურისტების რაოდენობის ან თუნდაც იმისა, რაზეა იქ ყველაზე დიდი მოთხოვნა?**

– ერთი რამ ფაქტია, რაც არ უნდა მოინდომონ ადგილობრივმა ბიზნესმენებმა ან თუნდაც მთავრობამ, რომ იქ ან „კოკა-კოლა“ შეიტანონ, ან „მაკდონალდსი“, ამას ვერ გააკეთებენ, რადგან მე ვარ ფრენჩაიზერი. ჩემს გარეშე ეს ბრენდები იქ ვერ მოხვდება. ეს ცხადია. ამიტომ თუ აფხაზეთის მხარე დაინტერესებულია, რომ მათ ტერიტორიაზე იყოს ბრენდები, სწორედ მათ მფლობელებთან უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები. ასეთი მარტო მე არ ვარ, საქართველოში ბევრი სხვადასხვა ბრენდის ფრენჩაიზერია. თუ აფხაზეთი გეგმავს, ცივილიზებულ სამყაროსთან დაამყაროს ეკონომიკური ურთიერთობები, ეს სწორედ ჩვენი საშუალებით უნდა მოახდინოს.

**– თქვენ გაქვთ რაიმე ტიპის მოლაპარაკებები აფხაზეთის მხარესთან?**

– ურთიერთობა არის, მაგრამ ძალიან მცირე დოზით, თუმცა ვაპირებთ ამ ურთიერთობების უფრო გაძლიერებას. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან, უნდა დაიწყოს ეს ამბავი. თუ ჩვენ რუსეთთან ვამყარებთ კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობას, მაშინ რატომ არ შეიძლება დაპყრობილ მხარესთანაც ვაწარმოოთ მოლაპარაკებები? გრძელვადიან პერსპექტივაში, როცა ყველაფერი დაწყნარდება და ურთიერთობები ცივილიზებულ იერს მიიღებს, ჩვენ ამ დროისთვის მზად უნდა ვიყოთ, რომ ეს ურთიერთობები უკვე ბიზნესურთიერთობაში გადავიყვანოთ.

**– მცირე ურთიერთობები მაქვსო და ვის გულისხმობთ?**

– ეს ურთიერთობა ჯერ ძალიან მცირე დონეზე ხორციელდება. ეს უფრო სურვილია და ვაპირებ აფხაზეთის მთავრობასთან შეხვედრას. უფრო სწორად მე ამის სურვილი მაქვს და შეხვედრის დროს ავუხსნი, რომ ჩვენთან ურთიერთობის გარდა, სხვა გზა არ აქვთ, თუ უნდათ, რომ მსოფლიო ბრენდები მოხვდნენ ამ ტერიტორიაზე. აქ არ არის საუბარი პოლიტიკაზე, თუმცა, ბუნებრივია, გარანტირებული უნდა იყოს, რომ ეს თანამშრომლობა იქნება ცივილიზებული, უსაფრთხო და სწორი ფინანსური ურთიერთობებით.

**– თქვენ შეგაქვთ რამე აფხაზეთის ტერიტორიაზე?**

– სამწუხაროდ, არ შეგვაქვს არაფერი. თუმცა რაღაცები საქართველოდანაც და რუსეთიდანაც შედის. აფხაზები თავად არაფერს არ აწარმოებენ, თუმცა რაც შედის, ვერ ვიტყვი, რომ ეს ხელშეკრულების დონეზე და ცივილიზებულად ხდება. არ შეიძლება, ასე დიდხანს გაგრძელდეს. საზღვართან ახლოს ისეთი რამ უნდა შეიქმნას, რომ მათთვის მიმზიდველები გავხდეთ. ჩვენსა და აფხაზეთის ეკონომიკას შორის ისეთივე სხვაობაა, როგორიც ჩვენს ეკონომიკასა და ამერიკის ეკონომიკას შორის.

როდესაც პრემიერთან გვქონდა ამ საკითხზე საუბარი, მითხრა, რომ საჭიროა საკითხის დეტალურად შესწავლა და იურიდიულად სწორი ფორმის შერჩევა, რათა ქვეყნის იმიჯი არ დაზიანდეს. როდესაც ეს დეტალები დაზუსტდება, ჩვენ ისევ შევხვდებით და დავსახავთ გეგმებს, როგორ შევასრულოთ ეს გადაწყვეტილებები.

**– იურიდიულად სწორი ფორმულირება როგორი უნდა იყოს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამისთვის „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანაც გახდება საჭირო?**

– დღევანდელ მთავრობას არჩეული აქვს მიმართულება, რომ რუსეთთან დაამყაროს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები. რადგან მოხდა დამპყრობელთან ურთიერთობების საკითხის გადახედვა, რატომ არ შეიძლება გადაიხედოს კანონიც? ხუთი წლის წინათ მიღებული კანონი დროთა განმავლობაში ძველდება, აქტუალობას კარგავს. ახალი რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება, ახალი კანონი გახდეს საჭირო.

**– თქვენ მოითხოვთ კანონში ცვლილების შეტანას?**

– მე არ მოვითხოვ, რადგან მე ვინ დამიჯერებს? მაგრამ, თუ არაფერი დაზიანდება და საქართველოსთვის ეკონომიკურად მომგებიანი იქნება, მაშინ, რა თქმა უნდა, თავისთავად დადგება ეს საკითხი დღის წესრიგში.

**– როგორ ფიქრობთ, რუსეთს რა რეაქცია ექნება?**

– ვფიქრობ, არანაირი რეაქცია არ ექნება, რადგან ძალიან ლოგიკურ ნაბიჯებს გადავდგამთ. რუსეთი ვერანაირად ვერ შეიტანს აფხაზეთში ამ ბრენდებს, ეს იურიდიულად გამორიცხულია. ამას თავად „მაკდონალდსიც“ არ დაუშვებს, რადგან ისინი ძალიან დიდ პატივს სცემენ საკუთარ პარტნიორებს და მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. შესაბამისად, გამორიცხულია, ამ მხრივ, რაიმე შეიცვალოს.

## „თუ „მაკდონალდსის“ ხელმძღვანელობა არ დარწმუნდება, რომ ყველაფერი რიგზეა, ისე აფხაზეთში კი არა, თბილისის ცენტრშიც კი არ დასთანხმდება ფილიალის გახსნას“







EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წავკისის მკვიდრნი მთავარ პროკურატურას დეპუტატ ფეიქრიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებენ




**წავკისის მოსახლეობა, საქართველოს მთავარ პროკურატურას დეპუტატ თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებს. განცხადება ამასთან დაკავშირებით ადვოკატებმა ლექსო არქანიამ და არჩილ ჩოფიკაშვილმა გააკეთეს.**

წავკისში მცხოვრები დაზარალებული მოქალაქეები: კესო კახელიშვილი, ლამარა ქოროღლიშვილი, ფირუზ ქოროღლიშვილი, მალხაზ გვარაძე და გულნარა გვარაძე მიმართავენ პროკურატურას გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ამჟამად პარლამენტარის და მილიონერის გიორგი ფეიქრიშვილის და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების წინააღმდეგ არა ერთ დანაშაულთან დაკავშირებით. წავკისელების განცხადებით, ფეიქრიშვილი თანამოაზრეებთან ერთად გარდაბნის რაიონში ჩატარებული მიწის რეფორმის პერიოდში და მას შემდეგ ყოველ გაცემულ მიწის ნაკვეთზე „წილში" იყო. ნაკვეთები მხოლოდ იმ მოქალაქეებზე გაიცემოდა, რომლებიც დათანხმდებოდნენ შეთავაზებას და მიზერული თანხის სანაცვლოდ საკუთარ სახელზე დაარეგისტრირებდნენ და შემდგომ გაასხვისებდნენ მიწას, რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის უდიდესი ნაწილი ფეიქრიშვილს და მის ნათესავებს რჩებოდათ. გურამ ჯაფიაშვილი, რომელიც ფეიქრიშვილის მძახალია და რომელიც მისი უშუალო მონაწილეობით ათობით ათას კვადრატულ მეტრ მიწის ნაკვეთს არის დაუფლებული ე.წ. „მიწის რეფორმის კომისიის" აქტებით, დღეს „დაზარალებულისა" და „ჩაგრული გლეხის" როლში ევლინება საზოგადოებას და ცდილობს ხალხისა და სამართალდამცავი ორგანოების შეცდომაში შეყვანას. სავარაუდოდ, დანაშაულებრივი გზით ფეიქრიშვილმა, მისმა ოჯახმა და გარემოცვამ დიდძალი ქონება დააგროვა. წლების განმავლობაში არსებულ ქონებას ფეიქრიშვილი მალავდა და არ უთითებდა ქონებრივ დეკლარაციებში, ხოლო მოულოდნელად, 2013 წლის დეკლარაციის მიხედვით, ის მილიონერია. არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ფეიქრიშვილმა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისთვის ლეგალური სახის მიცემა მოინდომა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, ასევე, მის მიერ, მოქალაქეთა განცხადებით, სავარაუდოდ, ჩადენილია არაერთი სხვა მძიმე დანაშაული. აღნიშნული დანაშაულების შედეგად წავკისელები დაზარალდნენ და დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი მიიღეს.





ლექსო არქანია და არჩილ ჩოფიკაშვილი

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით წავკისის მცხოვრებლები მიმართავენ მთავარ პროკურატურას და ითხოვენ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

**არჩილ ჩოფიკაშვილი ადვოკატი:** „აღნიშნული ჯგუფი ერთ-ერთ ინვესტორს, რომელიც წავკისში აშენებს დიდ კომპლექსს უშლიდა ხელს და სთხოვდა დიდი ოდენობის თანხებს მიწის ნაკვეთებში. ფეიქრიშვილის ნათესავი გურამ ჯაფიაშვილი, რომელიც არის ათობით ათასი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. ჩვენ აქ გვაქვს ყველა დოკუმენტები, რომლითაც დადასტურებულია, რომ აქ ერთი ჯგუფი მოქმედებს და თანაც ერთი განზრახვით, რაც შეიძლება მეტი მატერიალური სარგებელი მიეღოთ ამ ყველაფრისგან".

პარლამენტარ ფეიქრიშვილის და მისი თანამზრახველების ქმედებების შედეგად კახელიშვილების ოჯახმა მიიღო დაახლოვებით 71 400 ლარის ზიანი, ფ. ქოროღლიშვილის ოჯახმა 60 000 აშშ დოლარის ზიანი, ლ. ქოროღლიშვილმა 199 500 ლარის ზიანი, მ. გვარაძემ 40 000 ლარის ზიანი, გ. გვარაძემ 109 221 ლარის ზიანი.

დაზარალებულები პროკურატურას ეფექტური და სწრაფი გამოძიების ჩატარებას და წავკისში ბატონყმური წყობილების დასრულებას სთხოვენ.

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა დასკვნას ამზადებს საზოგადოებრივი საბჭო ლაფანყურის სპეცოპერაციაზე?



## „წაიკითხონ კონტრდაზვერვის დასკვნა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მე ვარ ნატო-ს აგენტი“ EXCLUSIVE



**„ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი გახლდათ და ყველა დეტალის საქმის კურსში იყო“**



**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი საბჭო მუშაობას დაახლოებით ერთ თვეში დაასრულებს. ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ უჩა ნანუაშვილის ინტერვიუზე დაყრდნობით გასულ კვირას წერდა. რამდენად ობიექტური იქნება საბჭოს დასკვნა და რატომ გახდა საბჭოს შემადგენლობა აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი? საზოგადოების ნაწილის კრიტიკა ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული და საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული ვახტანგ მაისაიას პერსონამ გამოიწვია, რომელიც ახლა საზოგადოებრივი საბჭოს სხვა წევრებთან ერთად არკვევს ლაფანყურის სპეცოპერაციაში ყოფილი ხელისუფლების ბრალეულობის საკითხს. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში მაისაია ამბობს, რომ რეალურად ის არა რუსეთის, არამედ ნატოს ჯაშუშობისთვის დაიჭირეს და კონტრდაზვერვის მიერ მომზადებულ საბრალდებო დასკვნასა და სასამართლოს საბოლოო განაჩენზე მიგვითითებს, თუმცა მისივე ადვოკატის ინფორმაციით, მაისაიას რუსეთის სპეცსამსახურებისთვის სპეცრაპორტების გაგზავნა ედებოდა ბრალად, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში.**

„მაისაიას ბრალი იმაში დასდეს, თითქოს ის კომპიუტერიდან უგზავნიდა მოხსენებებს რუსეთისა და სლოვაკეთის სპეცსამსახურებს. ვინაიდან სლოვაკეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, ბოლოს საბრალდებო დასკვნაში მხოლოდ რუსეთის ფედერაცია დატოვეს“, – საუბრობდა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ადვოკატი ნათია კორკოტაძე.

მოკლედ, რომელი ქვეყნის ჯაშუშობას ედავებოდნენ მაისაიას და რატომ ფიქრობს, რომ რეალურად რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესებს ვანო მერაბიშვილი ატარებდა? „პრაიმტაიმი“ ამ საკითხზე ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.

**– ბატონო ვახტანგ, საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობამ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუნდაც თქვენი ფაქტორის გამო... ამბობენ, რომ დაუშვებელია, ლაფანყურში განვითარებულ მოვლენებს სწავლობდეს ადამიანი, რომელიც ჯაშუშობის ბრალდებით იყო გასამართლებული...**

– ამ ხალხმა, მათ შორის „ნაციონალურმა მოძრაობამ“, სჯობია, პირად პატიოსნებასა და მორალს მიხედოს. ნაციონალებს ხმა არ აქვთ ამოსაღები მას შემდეგ, რაც ჩაიდინეს. ოფიციალურად მე მათ მომაკერეს ნატოს ჯაშუშობა. თუ ნატო-ში აპირებდნენ ინტეგრირებას, მაშინ რატომ აკავებდნენ ნატო-ს ჯაშუშებს, თუ ასეთად მთვლიდნენ.

**– ნატო-ს თუ რუსეთის?**

– სწორედ ეგ არის მთელი პარადოქსი, რომ ნატო-ში ინტეგრაციის მომხრე პოლიტიკური ძალა აკავებს ნატო-ს ჯაშუშს. ტყუილია, რომ მე რუსეთის ჯაშუშობისთვის გამასამართლეს. წაიკითხონ სასამართლოს განაჩენი და კონტრდაზვერვის დასკვნა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მე ვარ ნატოს აგენტი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც განაჩენი და, ზოგადად, ამ მუხლით გასამართლება ჩათვალა არაკონსტიტუციურად. აღიარებულ იქნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლი არ შეესაბამება კონსტიტუციის ნორმებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს პარლამენტმა, ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ოფიციალურად მომანიჭა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი. ამით ყველაფერი ნათქვამია. ფაქტობრივად, დღევანდელმა ხელისუფლებამ აღიარა, რომ წინა რეჟიმის დროს მე ვიყავი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, მათთან არც ვაპირებ პოლემიკაში შესვლას, რადგან ჩვენ ვართ პოლიტიკური მტრები, გაცილებით დიდი მტრები, როგორიცაა საქართველოსთვის დღევანდელი რუსეთის რეჟიმი. ჩემთვის პუტინის რეჟიმი და „ნაციონალური მოძრაობა“ არის თანაბარი მნიშვნელობის მტერი.

**– აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ, რამდენად ობიექტური იქნებით ლაფანყურის თემაზე შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობის პროცესში, როდესაც წინასწარვე „პოლიტიკურ მტრად“ აცხადებთ „ნაციონალურ მოძრაობას“? რამდენად შეძლებთ მტრის მიმართ ობიექტური სურათის დახატვას?**

– ჩვენ არ ვარკვევთ „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობას, შესაბამისად, რაიმე სახის ვენდეტაზე საუბარი ზედმეტია. თუ ისინი საკუთარ თავზე ირგებენ პასუხისმგებლობას, ეს სხვა საკითხია. აქ საუბარია კონკრეტულ ძალოვან უწყებებზე, რომლებიც, როგორც თავად ამბობენ, იყვნენ აბსოლუტურად დეპოლიტიზებულნი. არანაირი შურისძიება არ მამოძრავებს, მე ვარ პროფესიონალი ექსპერტი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში და ამ საბჭოშიც ვმუშაობ ჩემი სპეციფიკის მიმართულებით. ეს არის ფაქტების დამდგენის კომისია და არა საგამოძიებო. ჩვენ წარვუდგენთ საგამოძიებო სტრუქტურის წარმომადგენლებს ჩვენს ხედვას, მას შემდეგ, რაც მუშაობას დავასრულებთ.

**– იმ გამოკითხვებით, რომელიც ამ კომისიამ უკვე აწარმოა, რა დასკვნამდე მიხვედით? ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება?**

– ახლა მიმდინარეობს ძალიან დიდი მასალების დამუშავება. კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ჩვენ გავაკეთებთ ანალიზს და შემდეგ უფრო შეგვეძლება ამაზე მსჯელობა. გავაკეთებთ რეკომენდაციას, რომელსაც გადავცემთ ძალოვან სტრუქტურებს, რათა აბსოლუტურად ობიექტურად გამოიძიონ ეს საქმე.

**– რამდენიმე თვის წინ სოციალურ ქსელში დათა ახალაიას სახელით გავრცელდა მიმართვა, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ლაფანყურის სპეცოპერაცია თავიდან ბოლომდე ვანო მერაბიშვილის მიერ იყო დაგეგმილი ახალაიების წინააღმდეგ... რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს ვერსია?**

– ჩემს პირად მოსაზრებას გეტყვით: ახალაია იყო საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი და, წესით, კარგად იცის, რასაც ამბობს. ფაქტია, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი გახლდათ და ყველა დეტალის საქმის კურსში იყო. ჩვენ ახალაიას განცხადებას აუცილებლად შევისწავლით, რადგან ის ნამდვილად ყურადსაღებია.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ ჭიანურდება გამოძიება?**

– არ მინდა მოვლენებს გავუსწორო, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ჯერაც არიან ძალები, რომლებსაც არ სურთ, რეალურად გამომზეურდეს, რაც მოხდა და ამით საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. პიროვნებები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ოპერაციაში კვლავ არიან სახელისუფლებო სტრუქტურებში, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ერთგვარ საბოტაჟთან გვაქვს საქმე.

**– თუმცა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეროვნულ ინტერესებს ზიანს სწორედ ამ თემის წამოწევა აყენებს? არის მოსაზრება, რომ ამით რუსეთს ვაძლევთ ერთგვარ ჯოკერს, რომ სამომავლოდ საქართველოსკენ გამოიშვიროს ხელი...**

– თუ ჩვენმა სამართალდამცველებმა ეს საქმე ობიექტურად არ გამოიძიეს და არ წარუდგინეს საერთაშორისო საზოგადოებას, სწორედ ეს მიაყენებს ზიანს ეროვნულ ინტერესებს და არა ის, რომ მიიჩქმალოს რეალური სურათი. ჩვენ ვიმყოფებით გლობალიზაციის პერიოდში, სადაც არაფერი იმალება. თუ ჩვენ არ დავდეთ რეალური სურათი, ამას ჩვენს ნაცვლად გააკეთებს სხვა, თუნდაც საერთაშორისო საზოგადოება და სამომავლოდ უფრო ცუდი შედეგის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ. მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ტერორიზმს.

**– წელან თქვით, რომ საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მოგანიჭათ და ამით ყველაფერია ნათქვამია... გასულ კვირას გამოქვეყნდა ლევან ბერძენიშვილის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, ხელახლა რომ იხილებოდეს პარლამენტში ეს თემა, ზოგიერთი პოლიტპატიმრის სტატუსს ვერ მიიღებდაო...**

– ბატონმა ლევანმა უნდა დააკონკრეტოს, ვისზე საუბრობს. ის არის 150-დან ერთი დეპუტატი, მის მოსაზრებას პატივს ვცემ, მაგრამ თუ ამბობს, უნდა თქვას კონკრეტულად. როდესაც ჯაშუშობისა და ტერორიზმის ბრალდებით მასობრივად ასამართლებდნენ ადამიანებს, ცხადია, ეს იყო პოლიტიკური მიდგომა. 100-ზე მეტი ადამიანი დაიჭირეს ასეთი ბრალდებით, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში იყო ავტორიტარიზმის ნიშნები.

**– ეს ადამიანები, თითქმის სრული შემადგენლობით, თქვენს მსგავსად, პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლდნენ... ანუ გამოდის, რუსეთს საქართველოში აგენტურა არ ჰყოლია და ყველა პოლიტიკური ნიშნით იხდიდა სასჯელს?**

– რუსეთს ჯაშუშები ჰყავდა თუ არა, ეს ცალკე სასაუბრო თემაა, მაგრამ ამდენი ჯაშუში თუ ჰყავდა, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე.

**– თუმცა 100 ადამიანი არც ისე ბევრია ერთი ქვეყნისთვის... გასაგებია თქვენი პოზიცია..**

– სხვათა შორის, ახლა სხვა სურათი იხატება. თავად „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი იყო რუსეთის გავლენების ქვეშ მყოფი აგენტი. ამაზე ისაუბრა თეა თუთბერიძემ და საუბარი იყო დათა ახალაიას განცხადებაშიც. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ეს იყო რუსეთის დაკვეთა – ვანო მერაბიშვილს უნდა დაეჭირა ვითომჯაშუშები, რომლებიც რეალურად პრობლემას უქმნიდნენ რუსეთის ფედერაციას.

## ვახტანგ მაისაია: „სპეცოპერაციის დროს ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრი გახლდათ და ყველა დეტალის საქმის კურსში იყო“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მერებისა და გამგებლების არჩევა პირდაპირი წესით მოხდება მთელ საქართველოში

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

პირობა შესრულებულია. საქართველოს თორმეტივე ქალაქში მერის არჩევა პირდაპირი წესით მოხდება. სააკაშვილის ოპოზიციისა და ახლა უკვე ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მთავარი მოთხოვნა სწორედ პირდაპირი არჩევითობა იყო. „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე დებდა პირობას, რომ საქართველოს მოსახლეობა საკუთარ მერებსა და გამგებლებს თავადვე აირჩევდა, ყოველგვარი დანიშვნების გარეშე.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პირველი ეტაპი გადალახულია. უმრავლესობაში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, შეთანხმება რამდენიმე დღის წინ შედგა. როგორც ირკვევა, კამათი ბარიერთან დაკავშირებით იყო. თუმცა სავარაუდო ვარიანტი აქაც დასახელდა. მოსახლეობა მერსაც და გამგებლებსაც 40%-იანი ბარიერით აირჩევს.

**ზვიად ძიძიგური, უმრავლესობის წევრი:**

– გადაწყვეტილება პრაქტიკულად მიღებულია, რომ თვითმმართველ ქალაქებში იყოს 40%-იანი ბარიერი, მუნიციპალიტეტის გამგებლების არჩევნებში კი – 33%-იანი.

**– „პრაქტიკულად მიღებულია“ ნიშნავს იმას, რომ ის შეიძლება კიდევ შეიცვალოს?**

– მიმდინარეობს მსჯელობა, ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილება. ბუნებრივია, ინტერფრაქციულ ფორმატში ამაზე გვექნება მსჯელობა, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული და ყველა შეთანხმდება ერთ მოსაზრებაზე, სწორედ მაშინ ვიტყვით, რომ საკითხი არის გადაწყვეტილი.

**– შეიძლება გვითხრათ, წინააღმდეგი ვინ არის?**

– წინააღმდეგი ვინ არის, ამას არ გეტყვით, რადგან შიგნით, კოალიციაში არის სხვადასხვა მოსაზრებები. ამის გარეთ გამოტანას არც მე და არც ჩემი კოლეგები არ ვაპირებთ.

**– რაზეა დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღება?**

– გეუბნებით, რომ საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მისი კორექტირება მოხდეს.

## ლევან ვეფხვაძე: „ინტერფრაქციული სხდომა იანვრის ბოლოსკენ იყო დაგეგმილი, ახლა კი აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება პრაქტიკულად მიღებული აქვთ“



**„გადაწყვეტილება პრაქტიკულად მიღებულია, რომ თვითმმართველ ქალაქებში იყოს 40%-იანი ბარიერი, მუნიციპალიტეტის გამგებლების არჩევნებში კი – 33%-იანი“**

## ზვიად ძიძიგური: „წინააღმდეგი ვინ არის, ამას არ გეტყვით, რადგან შიგნით, კოალიციაში არის სხვადასხვა მოსაზრებები. ამის გარეთ გამოტანას არც მე და არც ჩემი კოლეგები არ ვაპირებთ“



**– რაც შეეხება მერის არჩევითობას, პირდაპირი წესით არჩევითობა მაისიდან უკვე ძალაში იქნება?**

– მერებისა და გამგებლების არჩევა პირდაპირი წესით მოხდება მთელ საქართველოში, ეს იყო ყველა ოპოზიციური პარტიის მოთხოვნა, თანაც ყველა დროის, რაც მე მახსოვს. პირდაპირი არჩევნებით მხოლოდ დედაქალაქში ირჩევდნენ მერს. ახლა ჩვენ მთელ საქართველოში შემოვიღეთ ეს წესი.

**– ბარიერთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება როდის მიიღება?**

– თებერვლის პირველ ნაწილში, როდესაც საპარლამენტო სესიები დაიწყება, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები უნდა შევიდეს. შესაბამისად, ამ დროისთვის გადაწყვეტილება მიღებული იქნება.

საპარლამენტო უმრავლესობის შიდა შეთანხმების შემდეგ საკითხი ინტერფრაქციულ ჯგუფში გადაინაცვლებს. კამათი იქ უკვე დეტალებზე გაიმართება და „ოცნების“ ლიდერების განცხადებით, საბოლოო ვარიანტი სწორედ მას შემდეგ დასახელდება, როდესაც შეთანხმება დანარჩენ ოპოზიციურ ძალებთანაც მიიღწევა. არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრა თვის ბოლოსაა დაგეგმილი და სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გახდება ცნობილი, მზად არიან თუ არა დაბალი რეიტინგის მქონე პოლიტიკური ძალები, ყველა ქალაქში წარადგინონ მერობის საკუთარი კანდიდატები...

**ლევან ვეფხვაძე, ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი:**

– გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს, რომ შეთანხმება შემდგარია და ორივე მხარე თანახმაა. აქ ერთი მხარე „ოცნებაა“ და გაურკვეველია, ვის შეუთანხმდნენ ისინი? ალბათ, შიგნით, კოალიციაში მოხდა შეთანხმება. ბოლოს, როცა ინტერფრაქციულ ჯგუფში შევიკრიბეთ, სხვადასხვა პარტიებმა სხვადასხვა პოზიციები დააფიქსირეს. იქ ჩვენ ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ „ქართული ოცნება“ ბარიერთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებდა მას შემდეგ, რაც თებერვალში სასესიო სხდომები დაიწყებოდა. ანუ იმ პერიოდში, როცა საკითხის ფართოდ განხილვა მოხდებოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

**– არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად, როდის იგეგმება საკითხის განხილვა?**

– ვერ გეტყვით, ჩვენ გვითხრეს ასეთი რამ: ჯერ ჩამოვყალიბდებით და შემდეგ შევხვდეთ და განვიხილოთ საკითხიო. ინტერფრაქციული სხდომა იანვრის ბოლოსკენ იყო დაგეგმილი, ახლა კი აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება პრაქტიკულად მიღებული აქვთ. შესაბამისად, 40%-იან ბარიერს აღარავინ შეცვლის. ამბობდნენ, რომ კანონმდებლობის საკუთარ თავზე მორგება ნაციონალების სტილი იყო და შევთანხმდით, რომ ახალი ხელისუფლება ამას აღარ გაიმეორებდა, თუმცა, სამწუხაროდ, დაპირების შესრულებას ვერ ვხედავთ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩინური მშენებლობა“

## რეპორტაჟი მომავალი „ოლიმპიური სოფლიდან“

EXCLUSIVE



**„ჩინურ კომპანიებს 420 ჰექტარი მიწის ნაკვეთი პრაქტიკულად, უსასყიდლოდ, სიმბოლურ ფასად - 12 ათას ლარად გადაეცათ“**







სალომე გოგოხია

**თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიური სოფლის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს. ჩინურ კომპანიებს 420 ჰექტარი მიწის ნაკვეთი პრაქტიკულად, უსასყიდლოდ, სიმბოლურ ფასად - 12 ათას ლარად გადაეცათ. მშენებლობაზე როგორც ქართველი, ასევე, ჩინელი მუშები მუშაობენ. მშენებლობა 2015 წლის გაზაფხულზე დასრულდება.**

რა ბედი ელის ოლიმპიურ სოფელს ოლიმპიადის დასრულების შემდეგ? ოფიციალური ინფორმაციით, ინვესტორი ტენდერს გამოაცხადებს და დაინტერესებული პირები შეიძენენ. თუმცა, საზოგადოებაში, დიდი ხანია, არსებობს მოლოდინი, რომ ამ „სოფელში“, ერთ დღესაც, ჩინური კვარტალი აღმოცენდება. თუმცა, მერიაში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

2012 წლის 30 მარტს, საქართველოს მთავრობამ და თბილისის მერიამ ჩინურ კომპანიებთან - JSC „HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE“, JSC „RUILONG INDUSTRIAL INVESTMENT“, JSC „FUND INVESTMENT“ ხელშეკრულება გააფორმა. შეთანხმების თანახმად, ჩინურ საინვესტიციო კომპანიებს სიმბოლურ ფასად, 12 ათას ლარად გადაეცათ 420 ჰექტარი მიწის ნაკვეთი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. ინვესტორმა ამ ტერიტორიაზე არანაკლებ 150 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ოლიმპიური სოფლის ინფრასტრუქტურა 3 800 სტუმარზეა გათვლილი. პარალელურად, 250 ათას კვადრატულ მეტრზე კომერციული დანიშნულების ობიექტების, ვილების, საოფისე ფართების, საცხოვრებელი სახლების, კოტეჯების მშენებლობა უნდა მოხდეს. 20 ათას კვადრატულ მეტრზე აშენდება 200 ნომერზე გათვლილი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. ხელშეკრულების თანახმად, ოლიმპიური თამაშების დროს მომხმარებელს აღნიშნული ინფრასტრუქტურით სარგებლობა შეღავათიანი ფასებით შეეძლება. ინვესტორი ვალდებულია, მუშახელის 70% დაასაქმოს საქართველოს მოქალაქეებიდან, რაც მინიმუმ, 3 000 სამუშაო ადგილს შეადგენს.

ახალგაზრდული ოლიმპიადა, საქართველოში, 2015 წლის 15 მაისიდან 15 აგვისტომდე ჩატარდება. ამ პერიოდში ოლიმპიური სოფელი უსასყიდლოდ გადმოეცემა ქართულ მხარეს. ამ დროისთვის ოლიმპიური სოფელი ინვესტორის მიერ სრულად იქნება აღჭურვილი სათანადო ინვენტარით.

### მივედი, ვნახე, დავრწმუნდი

ჩინურ-ქართული მუშახელის ერთობლივი ძალებით მიმდინარე მშენებლობას იმ დროს მივადექი, როდესაც მუშების უმრავლესობა წახემსებას აპირებდა. ობიექტზე მხოლოდ ქართველი მუშები იმყოფებოდნენ. ჟურნალისტის გამოჩენამ მათში უნდობლობა და ერთგვარი გაღიზიანებაც გამოიწვია.

„აქ რომ მოდიხართ, წადით, ქართული სამშენებლო კომპანიების ობიექტებში შეიარეთ. ნახეთ, როგორი დაუცველია იქ ჩვენი მუშების უფლებები, მიზერული ანაზღაურება აქვთ. ჩვენ პრეტენზიები არ გვაქვს. პირიქით, მადლობელიც ვართ. უცხოელი ინვესტორი შემოვიდა, ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდა. ვმუშაობთ, ხელფასს ერთი დღით არ აგვიანებენ“.

„ქართველებისგან განსხვავებით, ჩინელები ძალიან ზრდილობიანები არიან. ჩვენი დღიური ანაზღაურება 27 ლარია. გააჩნია, ვინ რაზე მუშაობს. ბრიგადებია, რომლებიც შიდა მოპირკეთებაზე მუშაობენ, ზოგიერთი მშენებლობაზე, ზოგი გაყვანილობაზე და ა.შ. სხვათა შორის, ქართული სამშენებლო კომპანიებისგან განსხვავებით, ჩინელებმა, სანამ მშენებლობას დაიწყებდნენ, ნიადაგი შეამოწმეს; მშენებლობა უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით მიმდინარეობს.“ - ამ სიტყვებზე ერთ-ერთმა მუშამ მეორეზე მიმითითა, რომელიც ობიექტზე გასასვლელად ემზადებოდა, - „შეხედეთ, სიმაღლეზე ადის და როგორი აღჭურვილობით არის. სად, რომელ ქართულ მშენებლობაზე ნახავთ უსაფრთხოების ასეთ ზომებს“?

„ჩვენ იმაზე შეგვტკივა გული, რომ ჩვენი მიწები იყიდება. თორემ, მოვიდეს ინვესტორი, ჩადოს თანხები, უბრალო ხალხისთვის კარგია, სამსახური გამოგვიჩნდება და ოჯახებს შევინახავთ“, - ამბობენ ისინი.

მოცემულ მომენტში, ტერიტორიაზე სადაც ვარკეთილის მე-4 მიკროდან შევედი, 18 კორპუსია აშენებული. „ბულდოზერები“ შეუფერხებლად მუშაობენ და ადგილს ამზადებენ მორიგი საძირკვლის ჩასაყრელად. თავდაპირველი უნდობლობა თითქმის გაქრა. მეტიც, ერთ-ერთი ბრიგადის უფროსი მშენებლობის დათვალიერებას მთავაზობს და გიდობაც არ იუარა.

მანქანა იმ გზაზე მიდის, რომელიც მალე ვარკეთილს ვაზისუბანთან დააკავშირებს. ასფალტი ჯერ დაგებული არ არის, მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოები ისეთი სისწრაფით მიმდინარეობს, ვფიქრობ, მეორე რეპორტაჟისთვის აქაურობა იერშეცვლილი დამხვდება. მცირეოდენი ჯაყჯაყის შემდეგ, კომერციულ თუ საოფისე ფართებს მივადექით. აქ გზა დაგებულია. კომერციულ ფართებში ქართველები და ჩინელები გასაყიდ საქონელს ალაგებენ, რომელსაც მალე ქართველ კლიენტურას შესთავაზებენ.

ჩემი გიდი, მამუკა, ძალიან ენაწყლიანი რესპონდენტი გამოდგა. როგორც მიამბო, 15 წელი საბერძნეთში, ათენში გაატარა, სადაც საკუთარი სამშენებლო ფირმა ჰქონდა. გამოცდილი მშენებელი საბერძნეთისა და აქაური მუშების, მშენებლების საქმიანობას შორის პარალელს ავლებს და გულდაწყვეტით მეუბნება, ჩვენს ქვეყანაში მუშის უფლებები დაუცველიაო.

„ჩვენები ურცხვად გატყუებენ. კონკრეტულ ფასზე შეგითანხმდებიან, მაგრამ სამუშაოს დასრულების შემდეგ, გაცილებით ნაკლებს გაძლევენ. დღემდე, სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთ მშენებელს ჩემი 1 000 ლარი მართებს. აქ დილის 9-დან საღამოს 6-მდე ვმუშაობთ, თუ დამატებით იმუშავებ, თანხასაც გიმატებენ. საბერძნეთში დილის 7-დან შუადღის 3-მდე ვმუშაობდი. აქ პირიქითაა. განუსაზღვრელი დროით მუშაობ და ანაზღაურება მიზერულია. ჩემი თხოვნა იქნება, თქვენს სტატიაში მუშების უფლებებზეც გაამახვილეთ ყურადღება“. - მთხოვს მამუკა.

შესასვლელში ოლიმპიური სოფლის უმარავი მაკეტია გაკრული. აქ, სოფლის დასრულებულ სახეს ნახავთ. შთამბეჭდავად გამოიყურება ვილები, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსები, სასტუმრო, აუზები ანუ რაც სრული კომფორტის შესაქმნელად სჭირდებათ ამ ქვეყნის მოკვდავთ.

მაკეტების თვალიერებასა და საუბარში გართულებების შეუმჩნევლად მივადექით ფერადი დროშებით გაკეთებულ „საზღვარს“, რომლის იქით ვაზისუბნის დასახლება იწყება.

მაღაზიების დათვალიერების ჯერიც დადგა. მცდელობის მიუხედავად, სათვალავი ამერია, იმდენია. უმრავლესობა ჯერ ცარიელია. ზოგან ჩინური პროდუქცია დახლებზე ინაცვლებს და ქართველი თუ ჩინელი იქაურობას დიდი მონდომებით აწესრიგებს. აქ ნახავთ, ჭაღების, ავეჯის და სათამაშოების განყოფილებებს. ვიღაცას ქართული სამზარეულო გაუხსნია, თუმცა, დაკეტილია. კლიენტები ჯერ აქ არ მოდიან.

ამასობაში, ჩვენი ექსკურსია დასასრულს მიუახლოვდა. კვლავ პირველ ობიექტზე ვბრუნდებით. გზადაგზა ჩინელებიც გვხვდებიან. მამუკა ამბობს, რომ კომპანიას ჩინელის შენახვა გაცილებით ძვირი უჯდება, ვიდრე ადგილობრივის. ხელშეკრულებაშიც წერია, რომ ინვესტორმა მშენებლობაზე 70% საქართველოს მოქალაქე უნდ დაასაქმოს, რაც 3 000 სამუშაო ადგილს გულისხმობს. კორპუსებთან გავლისას თვალში დიდი აბრა მომხვდა, რომელსაც ჩინური იეროგლიფები ამშვენებს. თუმცა, მე და ჩემი გიდი ჩინურ ენასთან მწყრალად ვართ და წარწერის მნიშვნელობა გაუგებარი გვრჩება.

მართალია, ქართველი მუშები მარწმუნებდნენ, რომ ოლიმპიადის დასრულების შემდეგ აქ ჩინელებს არ ჩაასახლებენო, მაგრამ მოსახლეობაში მყარად გამჯდარა ჩინური კვარტლის მოლოდინი. ისინი შიშობენ, რომ ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორც საქართველოა, ეს შესაძლოა სავალალო შედეგით დასრულდეს.

საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკას და უცხოელებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, რომ ერთ დღესაც თბილისში ჩინური კვარტალი მართლაც გაჩნდეს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აბორტი-მკვლელობა თუ არჩევანი?

თეონა ბოგვერაძე

**აბორტის აკრძალვის შესახებ დისკუსია საქართველოს პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს შემდეგ დაიწყო. აბორტის აკრძალვის მოწინააღმდეგენი ქალთა ჯანმრთელობის და არჩევანის თავისუფლებაზე აკეთებენ აქცენტს, მომხრეები კი ნაყოფის სიცოცხლის უპირატესობაზე.**




**დაბადებამდე სქესის განსაზღვრა და სქესის მიხედვით ოჯახის დაგეგმვა კულტურული ფენომენია და მიანიშნებს, რომ ქვეყანაში გენდერული დისბალანსია. ეს ტენდენცია ზიანის მომტანია, როგორც პოპულაციის და სოციალური უწესრიგობისა საფრთხის, ასევე კრიმინალის გაზრდისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის კუთხით**

**„გამოცდილება აჩვენებს, რომ აბორტის აკრძალვას, როგორც წესი, აბორტის შემცირების ნაცვლად ქალთა ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვება. შესაბამისად, აბორტის აკრძალვით მივიღებთ უამრავ არალეგალურ, საშიშ აბორტს, რაც საფრთხეს შეუქმნის ქალთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს“**

აბორტი ლათინური სიტყვაა და მუცლის მოწყვეტას, მუცლის მოშლას ნიშნავს. ძველად საქართველოში მუცლის მოშლა მკაცრად ისჯებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის თანახმად ქალს, რომელიც რაიმე წამლით მუცელში შვილს მოიკლავდა, სასჯელად დროებითი ექსორია ენიშნებოდა, ქმარი მას მაშინვე უნდა გაშორებოდა. მუცლის მოსაშლელი წამლის მიმცემს, თუ იგი ღარიბი იყო, მეფისგან შეპყრობა, ცემა და გამაწბილებელი სასჯელი მოელოდა, ხოლო თუ მდიდარი - დარბევა და გაძევება. თუ წამლის მიღების შემდეგ ქალი მოკვდებოდა, დამნაშავეს თავს მოჰკვეთდნენ.

„ჩანასახი საზოგადოების კუთვნილებაა, ყველა, ვინც ბავშვის გაჩენას თავს აარიდებს, დეზერტირია“,-ამბობდა რუმინეთის კომუნისტური პარიის ლიდერი ნიკოლაი ჩაუშესკუ. თუმცა, როგორც ისტორია მოწმობს, მკაცრი კონტროლის მიუხედავად ქალები არასასურველი ორსულობის შესაწყვეტად მიმართავენ სხვადასხვა საზიანო მეთოდებს, რაც საშიშია მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

აბორტის უძველესი შემთხვევები ცნობილია ეგვიპტეში, ძველ ჩინეთში, რომსა და საბერძნეთში. ამჟამად, ევროპის უმეტეს ქვეყნებში აბორტი ლეგალიზებულია. თუმცა არსებობს ქვეყნები, სადაც აბორტი აკრძალულია, ესენია: აფრიკა, ლათინური ამერიკა, ნეპალი და ის ქვეყნები, რომლებიც რელიგიის დიდ გავლენას განიცდიან.

საქართველოში აბორტის გაკეთება დასაშვებია 12 კვირამდე. ხოლო დიდი ნაყოფის მოშორება ნებადართულია მხოლოდ მაშინ თუ ამის სამედიცინო ჩვენება არსებობს. როდესაც ვსაუბრობთ აბორტზე, საქართველოს მასშტაბით, ვფიქრობ, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ე.წ. „სელექციურ აბორტებზე“, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ გაჩნდა და გულისხმობს ბავშვთა სქესის გამო ორსულობის შეწყვეტას. იგი ძირითადად აზიურ ქვეყნებშია გავრცელებული და დამკვიდრებული, იქ, სადაც გენდერული უთანასწორობა საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და მამაკაცს დომინანტის პოზიცია უჭირავს.

**„პაციენტები გვყავს 19 წლიდან 45 წლამდე, თუმცა მოხშირდა არასრულწლოვანთა აბორტებიც“**

**„აბორტის შემთხვევების შემცირების მიზნით საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ოჯახის დაგეგმვაზე, სექსუალურ აღზრდასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე“**

ინტერნეტ-სივრცეში გავრცელებულია რამდენიმე სტატია, რომლებშიც ინტერვიუერი ექიმები ჰყვებიან ზოგიერთი პაციენტის პირდაპირ მითითებაზე, რომ აბორტის გაკეთება უნდათ ბავშვის მდედრობითი სქესის გამო. ექიმები აცხადებენ, რომ ასეთი პაციენტების რიცხვი საკმაოდ მცირეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ რეალურ სურათს შობადობისა და აბორტის სტატისტიკები გვაჩვენებს და არა პაციენტთა განცხადებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სულაც არ საუბრობენ აბორტის მიზეზებზე.

თუკი რეალურად სტატისტიკაში მოყვანილი მონაცემები არ შეიცვალა და ქვეყანაში ასეთი ტენდენცია შენარჩუნდა ცოტა ხანში საქართველოს სერიოზული დემოგრაფიული პრობლემები ემუქრება, რომლებიც ცხოვრების ყველა სფეროზე მოახდენენ ძლიერ ნეგატიურ გავლენას. შვეიცარიის სოციალისტთა ჯგუფის წარმომადგენელი დორის სტაპი თავის ანგარიშში წერს, რომ „დაბადებამდე სქესის განსაზღვრა და სქესის მიხედვით ოჯახის დაგეგმვა კულტურული ფენომენია და მიანიშნებს, რომ ქვეყანაში გენდერული დისბალანსია. ეს ტენდენცია ზიანის მომტანია, როგორც პოპულაციის და სოციალური უწესრიგობისა საფრთხის, ასევე კრიმინალის გაზრდისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის კუთხით. ადამიანები დადგებიან ტრეფიკინგის, სექსუალური ექსპლოატაციის და ოჯახის შექმნასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე“.

სქესის მიხედვით გადარჩევა აშკარად გამოხატული დისკრიმინაციაა სქესის საფუძველზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლი აწესებს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი პრინციპია სამართლებრივ სისტემაში. ასე რომ, სახელმწიფო კონსტიტუციის შესაბამისად ვალდებულია დაიცვას მათი უფლებები, ვის ინტერესებსაც ზიანი ადგება დისკრიმინაციის შედეგად. ქვეყანამ საკუთარი საკანონმდებლო ბაზით უნდა უზრუნველყოს აბორტისა და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების კომბინირებით სერიოზული გენდერული უთანასწორობის თავიდან აცილება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამომავლოდ გენდერული ბალანსისა და ნორმალური დემოგრაფიისათვის.

მიმაჩნია, რომ პრობლემის გადასაჭრელად კანონმდებელმა უნდა აკრძალოს ორსულობის 12 კვირამდე ნაყოფის სქესის გამოკვლევა და ორსულისთვის ამ ტიპის ინფორმაციის მიწოდება. გამოირიცხება რა ორსულის მიერ ნაყოფის სქესის შესახებ ინფორმაციის მიღება, ავტომატურად ნულს გაუტოლდება შანსი სქესის საფუძველზე აბორტის გაკეთებისა. გასათვალისწინებელია, რომ სქესის შეტყობა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური სამედიცინო აპარატურის გამოყენებით, რომელზეც მხოლოდ სპეციალურ დაწესებულებებს მიუწვდებათ ხელი, ასე რომ, როდესაც კანონი ძალაში შევა და სამედიცინო დაწესებულებების ამ სპეციფიკის მუშაობას შეზღუდავს, სხვა საშუალებებით ინფორმაციის მიღება გამორიცხული იქნება, რაც კანონის ეფექტურობას უზრუნველჰყოფს. მართალია რეგულაცია შეზღუდავს ორსულების უფლებას ჰქონდეთ ინფორმაცია უშუალოდ მათთან დაკავშირებული პროცესის მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ ეს გამართლებული იქნება იმ სოციალური ბოროტების თავიდან არიდების ლეგალური მიზნით, რასაც გენდერული დისკრიმინაცია და გენდერული სელექცია ჰქვია.

სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იმუშაოს ამ საკითხებზე, რათა მომავალში არ მივიღოთ სავალალო შედეგები. ვფიქრობ, საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, უნდა შემუშავდეს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები. მართალია ეს არის ხანგრძლივი პროცესი და დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ახლა თუ არ დავიწყეთ ეს პროცესი, მაშინ ყოველთვის დაგვიანებული იქნება. ვთვლი, რომ აუცილებელია საზოგადოება განთავისუფლდეს სტერეოტიპული აზროვნებისაგან.

| წელი | დაბადებულ გოგონათა რაოდენობა | დაბადებულ ვაჟთა რაოდენობა | აბორტების რაოდენობა (ათასი) |
|---|---|---|---|
| 2007 | 23 405 | 25 882 | 20.6 |
| 2008 | 24 825 | 25 882 | 22.1 |
| 2009 | 30 992 | 32 385 | 24.3 |
| 2010 | 30 097 | 32 488 | 25.6 |
| 2011 | 27 684 | 30 330 | 30.6 |
| 2012 | 27 230 | 29 801 | მონაცემი არ არის |

მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდიდან

აბორტის აკრძალვის თემა საზოგადოებისათვის სააღდგომო ეპისტოლეს განცხობის შემდეგ აქტუალური გახდა. როგორც ჩანს, დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის და ოჯახური ბედნიერების მისაღწევად პატრიარქი სახელმწიფოს აბორტის აკრძალვისაკენ მოუწოდებს:

„განა შეიძლება ბედნიერი იყოს ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსებების ულვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან? როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მილიონამდე აბორტი კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის“.

აბორტი მისასალმებელი ფაქტი არ არის, მაგრამ უნდა ვიმსჯელოთ, იქნება კი მისი აკრძალვა გამოსავალი? რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყავნოს აბორტის აკრძალვამ? ამ და სხვა შეკითხვებზე გვიპასუხებს #1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის **მეან-გინეკოლოგი ნინო გომარელი:**

**- ქალბატონო ნინო, აბორტის რამდენი ტიპი არსებობს?**

- აბორტის ორი სახე არსებობს. სპონტანური აბორტი და ხელოვნური აბორტი. სპონტანური აბორტი ვითარდება ქალის ორგანიზმზე ან ნაყოფზე ზემოქმედების გარეშე. მისი გამომწვევი მიზეზებია: სიმძიმის აწევა, დაცემა, მუცლის დაშავება და ა.შ. ხოლო ხელოვნური აბორტის დროს საშვილოსნოს ყელს ხსნიან და საშვილოსნოს ყელს ფხეკენ სპეციალური ინსტრუმენტებით. ანდა ხდება ვაკუუმ-ასპირაცია, რაც გულისხმობს სპეციალური აპარატით საშვილოსნოდან ნაყოფის გამოწოვას.

**- რა გართულებები შეიძლება მოყვეს აბორტს?**

- აბორტს შეიძლება მოყვეს ძლიერი სისხლდენა, უშვილობა, საშვილოსნოს შიდა გარსის დაზიანება, ჰორმონალური ფუნქციისა და მენსტრუალური ციკლის მოშლა. ხელოვნური აბორტი უარყოფითად მოქმედებს ქალის ფსიქიკაზე.

**- ძირითადად რა ასაკის ქალები იკეთებენ აბორტს?**

- პაციენტები გვყავს 19 წლიდან 45 წლამდე, თუმცა მოხშირდა არასრულწლოვანთა აბორტებიც.

**- რა ღირს აბორტის გაკეთება და რომელ თვემდეა ნებადართული?**

- ჩვენს კლინიკაში მინი აბორტი 80 ლარი ღირს, თუმცა ყველა კლინიკას თავისი ფასები აქვს. აბორტის გაკეთება ნებადართულია 12 კვირამდე. 12 კვირაზე ზევით აბორტი დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო ჩვენების დროს.

**- რა საშუალებები არსებობს არასასურველი ორსულობისაგან თავის დასაცავად?**

- არასასურველი ორსულობისაგან თავის დაცვის სხვადასხვა უსაფრთხო საშუალება არსებობს. მაგ: ბიოლოგიური კალენდარი, კონდომი, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები და სპირალი.

**- რა შედეგემაბდე შეიძლება მიგვიყვანოს აბორტის აკრძალვამ?**

- გამოცდილება აჩვენებს, რომ აბორტის აკრძალვას, როგორც წესი, აბორტის შემცირების ნაცვლად ქალთა ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვება. შესაბამისად, აბორტის აკრძალვით მივიღებთ უამრავ არალეგალურ, საშიშ აბორტს, რაც საფრთხეს შეუქმნის ქალთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

**- თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს, რომ შემცირდეს აბორტის შემთხვევები?**

- ვფიქრობ, აბორტის შემთხვევების შემცირების მიზნით საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ოჯახის დაგეგმვაზე, სექსუალურ აღზრდასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყველასთვის მისაღებია, რომ პარლამენტი უნდა გადმოვიდეს თბილისში“



## ზურაბ ტყემალაძე: „მინდა გითხრათ, რომ არავითარი ეკონომიკური ეფექტი ქუთაისს პარლამენტის იქ გადატანით არ მიუღია და ვერც მიიღებდა“

**EXCLUSIVE**

**my View**
**ხათუნა მგალობლიშვილი**

**ზურაბ ტყემალაძე VS ომარ ნიშნიანიძე. ტყემალაძის იდეა ქუთაისთან დაკავშირებით უკვე ყველამ ვიცით. ნიშნიანიძის „წლის იდეას“ შეგახსენებთ – მისი ქართული ოცნება ქუთაისის საპორტო ქალაქად გადაქცევა იყო. თანაც ირწმუნებოდა, ზღვის ქუთაისამდე მოსვლა პრობლემა არ არისო... ტყემალაძის მსგავსად, ნიშნიანიძეც აცხადებდა, რომ ლოგიკა მის იდეაში იძებნებოდა... კიდევ კარგი, მაშინ ნიშნიანიძეს პოლიტიკოსები არ აჰყვნენ. აი, ტყემალაძეს კი შეიძლება გაუმართლოს. დეპუტატებს ისე უნდათ თბილისში გადმოსვლა, რომ მზად არიან, ქალაქში ქალაქი „ააშენონ“... თუმცა ფაქტია, ჯერჯერობით ტყემალაძის იდეას მხოლოდ სიცილით უყურებენ, თავად იდეის ავტორი კი გვამშვიდებს, ბევრი იდეა მახსოვს დაცინული, მაგრამ შემდეგ განხილულიო... ასე რომ, შეიძლება პირველი საშუალო სკოლიდან ნაბიჯის გადადგმით პირდაპირ ქუთაისში აღმოჩნდეთ.**

**ზურაბ ტყემალაძე, უმრავლესობის წევრი:**

– საერთოდ, ტყემალაძე არასდროს არავის იდეას არ ახმოვანებს, მარტო საკუთარ აზრებს აფიქსირებს ყოველთვის. ეს იყო სპონტანური პასუხი კითხვაზე – საკონსტიტუციო ცვლილების გარეშე გადმოვა თუ არა პარლამენტი თბილისში. ეს ჩემი პოზიცია, ჩემი მოსაზრებაა და ის არ არის საკანონმდებლო ინიციატივა ან წინადადება. არ დავიწყებ იმ საჭიროებაზე საუბარსა და მტკიცებას, რატომ უნდა იყოს პარლამენტი თბილისში. მარტო ერთს ვიტყვი – როდესაც არ

**„კონკრეტულ, პატარა ტერიტორიას, რომელზეც პარლამენტის შენობა დგას, შეიძლება დაუდგინდეს საზღვრები და მოექცეს ქუთაისის საკუთრებაში“**

არის სასესიო კვირა და დეპუტატები ვიმყოფებით თბილისში, მაშინ ბევრად დატვირთული სამუშაო განრიგი გვაქვს. ეს იმიტომ რომ მთავრობის წევრები თბილისში იმყოფებიან, არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებთანაც სხვადასხვა საკითხებზე გვიწევს მუშაობა, აქ არიან და ვცდილობთ, თბილისში ყოფნის დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ. არც ერთ განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყანაში პარლამენტი, დედაქალაქის გარდა, არ არის სხვა ქალაქში. ეს ანომალიაა. ეს იყო ნაციონალების ახირებული მოთხოვნა. ისინი ამბობენ, რომ, თუ პარლამენტი ქუთაისში არ იქნება, ქალაქი დაიღუპება. ეს მტკნარი სიცრუეა. მითი, რომ ქუთაისი თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა, უცხოელები შევიდნენ და უამრავი ადგილობრივი დასაქმდა, მტკნარი სიცრუეა.

**– ანუ თქვენ ამბობთ, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანას დადებითი მხარე არ ჰქონია?**

– მოდით, ეს ქუთაისელებს ჰკითხეთ, უმჯობესი იქნება. რა უნდა გაეკეთებინათ დეპუტატებს კარგი ქუთაისისთვის? მე მიყვარს ბაზარში სიარული და სულ ერთხელ ვიყავი ქუთაისის ბაზარში. შეიძლება, კვების, სულ რაღაც, ორი ობიექტი ამუშავდა. უფრო სწორად, ესეც საკითხავია, ამუშავდა თუ არა, რადგან პარლამენტს კვების ორი კომპანია ემსახურება და სხვათა შორის, ერთ-ერთი თბილისიდან ჩამოდის. ასე რომ, მინდა გითხრათ, რომ არავითარი ეკონომიკური ეფექტი ქუთაისს პარლამენტის იქ გადატანით არ მიუღია და ვერც მიიღებდა. იმის თქმა, რომ, რადგან პარლამენტი ქუთაისშია, უამრავი ინვესტიცია წავიდოდა იქ, თავიდანვე არასწორი იყო.

**– რაც შეეხება საკონსტიტუციო ჩანაწერს...**

– სიტყვასიტყვით გეტყვით, რა წერია კონსტიტუციაში: პარლამენტის ადგილსამყოფელი არის ქუთაისში. სწორედ ამიტომ ჩემი ნახევრად ხუმრობით ნათქვამი მოსაზრება სწორედ ამას ექვემდებარებოდა.

**– მაგრამ შენობა თბილისში დგას...**

– სწორად უნდა იყოს გაგებული. ძალიან ბევრი ქვეყანა არსებობს, სადაც ქვეყანა არის ერთ ადგილას და მოშორებით არსებობს კუნძული მის საკუთრებაში.

**– ეს ქვეყნის მაგალითია და აქ საუბარია ერთ შენობაზე...**

– გუდაურის მაგალითს მოგიყვანთ მაშინ. რამდენიმე წლის წინათ ის თბილისს გადასცეს. ამისთვის გადაახტნენ მცხეთას, დუშეთს... ეს გაკეთდა ინვესტიციების ჩასადებად და ამაში ცუდი არაფერი ყოფილა. მეტსაც გეტყვით, მაშინ მერიამ გუდაურში მოსაკრებლები და საფასურები დააწესა და შემოსული თანხა მერიაში ირიცხებოდა, გუდაურის მუნიციპალიტეტის მაგივრად.

**– იმიტომ რომ თბილისს ექვემდებარებოდა...**

– არ იყო სწორი, რადგან თანხა ყაზბეგის თვითმმართველობაში უნდა წასულიყო. რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას, თუ პარლამენტის თბილისში გადმოტანის საკითხი მნიშვნელოვანია, მაშინ ჩემი იდეა არის ერთ-ერთი საშუალება. რატომ არ შეიძლება ჰქონდეს ამ აზრს არსებობის უფლება? სხვათა შორის, ბევრი საკითხი მახსოვს, რომელიც თავიდან დაცინვას, ირონიას იმსახურებდა, მაგრამ შემდეგ სერიოზულად მოხდა მისი განხილვა. ძალიან კარგია, რომ ჩემმა მოსაზრებამ ასეთი აჟიოტაჟი და ხმაური გამოიწვია. ჩემი მიზანი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ძალიან კარგია, რომ ასეთი რეაქციები მოჰყვებოდა.

**– არსებობის უფლება აქვს, მაგრამ ლოგიკაში რამდენად ჯდება?**

– ლოგიკაში ჩაჯდომა, კანონმდებლობით მოწესრიგება – ეს შემდგომი საკითხებია. მე არ ვამბობ, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივაა. ვნახოთ, თუ განიხილავენ, შეიძლება გახდეს კიდეც.

**– უმრავლესობაში აზრთა სხვადასხვაობაა, მაგალითად, ზურაბ აბაშიძემ თქვა, სერიოზულად განვიხილავთო, ხიდაშელმა პირიქით განაცხადა...**

– არსად არ ყოფილა ეს საკითხი განხილული. ხიდაშელმაც და აბაშიძემაც, უბრალოდ, კომენტარები გააკეთეს. ზოგისთვის მისაღებია, ზოგისთვის – არა, მაგრამ ყველასთვის მისაღებია, რომ პარლამენტი უნდა გადმოვიდეს თბილისში. სხვათა შორის, ამ აზრს ეთანხმება ნაციონალების 100%-ვე თუ არა, 90% მაინც. თბილისის პარლამენტის გარემონტება, რომელიც ნაციონალებმა გააპარტახეს, 10 მილიონი ჯდება, გამქრალია ავეჯი, ტექნიკა.

**– შეგიძლიათ, აგვიხსნათ, რამდენად სწორი იქნება ეს იურიდიულად?**

– იურიდიულად გამართვა შესაძლებელია. კონკრეტულ, პატარა ტერიტორიას, რომელზეც პარლამენტის შენობა დგას, შეიძლება დაუდგინდეს საზღვრები და მოექცეს ქუთაისის საკუთრებაში. ასევეა საელჩოებიც, როდესაც თქვენ კონკრეტულ საელჩოში შედიხართ, თქვენზე იმ კონკრეტული ქვეყნის იურისდიქცია ვრცელდება...

**„საერთოდ, ტყემალაძე არასდროს არავის იდეას არ ახმოვანებს, მარტო საკუთარ აზრებს აფიქსირებს ყოველთვის“**

**„სიტყვასიტყვით გეტყვით, რა წერია კონსტიტუციაში: პარლამენტის ადგილსამყოფელი არის ქუთაისში. სწორედ ამიტომ ჩემი ნახევრად ხუმრობით ნათქვამი მოსაზრება სწორედ ამას ეფუძნებოდა“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჯინსების თაობა“ ჰოლივუდის ობიექტივში

EXCLUSIVE



## ნიკოლოზ ხომასურიძე „ჯინსების თაობას“ ჰოლივუდში გადაიღებს

მაგდა კლდიაშვილი

**ჯეისონ ფლემინგი, ვინი ჯონსი, გალ გადოტი - ეს იმ ცნობილი ვარსკვლავების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც „ჯინსების თაობაში“ მიიღებენ მონაწილეობას. ფილმის რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ ეს ინფორმაცია „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუში გაანდო. ჰოლივუდის მსახიობების მონაწილეობით 1983 წელს მომხდარი ტრაგედია ტელეეკრანებზე 2015 წლის დასაწყისში გაცოცხლდება.**

**- „ჯინსების თაობის“ ფილმად გადაღება დიდი ხნის წინ დაიგეგმა, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასზე მუშაობა შეჩერებული იყო, რამ გამოიწვია ეს?**

- ყველაფერს აქვს თავისი დრო - დაწყება, განვითარება და დასრულება. კინოპროექტი, რომელიც მასშტაბურია, დიდ დროს საჭიროებს, რომ დასრულებული სახე მიიღოს. მით უმეტეს, გვაქვს უკეთესი ვარიანტები, ვიდრე აქამდე. ბევრი ადამიანია ჩართული, როგორც ფინანსური, ისე მსახიობების კუთხით. ისეთი დრო უნდა დაამთხვიო, რომ შეფერხებები არ იყოს, როგორც ეს შარშან მოხდა, არჩევნების გამო. ჩამოყვანილი გვყავდა ჯგუფი, სიტუაცია, რომ დაიძაბა, მათ მიიღეს უკან დაბრუნების გადაწყვეტილება და შესაბამისად, პროექტიც შეჩერდა.

**- ფილმზე მუშაობის შეჩერება იმით იყო განპირობებული, რომ მაშინდელი მმართველი პარტია ამ იდეას მხარს უჭერდა, შემდეგში არჩეულმა კი დაიწუნა?**

- არა, არანაირი შეხება არ გვქონდა პოლიტიკასთან. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ. სპონსორების მხრიდან იყო ყოყმანი, რომ სიტუაცია აირეოდა. აქ ხომ ისედაც სულ დაძაბული სიტუაციაა. როდესაც მაღალი დონის პროექტს აკეთებ და მსახიობებიც ასეთივე გყავს, როგორც კი პატარა საფრთხე იქმნება, ისინი მაშინვე მიდიან და კონტრაქტს აღარავინ უყურებს. ქვეყანაში აუცილებელია სტაბილურობა და სწორი განვითარება. ასეთი პროექტები ხელს უწყობს ბრენდინგს, რომელსაც მოჰყავს შემდეგ ინვესტორი და ფართოდ გააქვს შენი ქვეყნის ისტორიაც და სიტუაციაც.

**- ცნობილია, რომ ფილმის ბიუჯეტი 7 მილიონი დოლარი იქნება. თავის დროზე, ფილმზე მუშაობის შეწყვეტა, გარდა პოლიტიკურისა, ფინანსური მიზეზების გამო არ მომხდარა?**

- ზუსტად ეგ ვიგულისხმე. შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ინვესტორი დავკარგეთ და ძალიან რთული იყო დაწყება. ჩამოყვანილი ადამიანები გავუშვით უკან. ახლა სიტუაციის მოგვარება დაიწყო, ხელახლა დავიწეთ მუშაობა. რთულია, მაგრამ ამავდროულად - საინტერესო. შეიძლება 7 მილიონიც იყოს, ან მეტი, ან ნაკლები, ეს იმაზეა დამოკიდებული, საბოლოოდ, რა მასშტაბს შეიძენს პროექტი, კონკრეტული თანხა არ არის ჯერ ცნობილი.

**- ვინაიდან ფილმი ინგლისურ ენაზე გამოვა, მასში ქართველი მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას?**

- რა თქმა უნდა. ჩვენი ინტერესია, რომ ეს მიმართულება განვითარდეს. ძალიან მაგარი იქნება, ქართველი მსახიობების მუშაობა ცნობილ არტისტებთან, თანაც ინგლისურ ენაზე. ეს იქნება სერიოზული პრაქტიკა ნებისმიერი ქართველისთვის, თუმცა ქართველი მსახიობები მეორეხარისხოვან როლებზე იქნებიან, ცნობილი ვარსკვლავები კი მთავარ როლებს მიიღებენ. შეიძლება ეს ცუდად გაიგოს ვინმემ, მაგრამ როდესაც აქცენტებს შორის სხვაობაა, კინო მსოფლიო ბაზარზე უნდა გავიდეს, მაყურებელმა ეს შეიძლება ცუდად მიიღოს, შეცდომის დაშვების უფლება კი არ გვაქვს.

**- როდის დაიწყება კასტინგი და სად გაიმართება, რა სიურპრიზებს უნდა ელოდოს ქართველი მაყურებელი?**

- ძირითადი მსახიობები უკვე გადაწყვეტილია და დამტიცებულები არიან როლებზე, ახლა მათთან კონტრაქტები უნდა გაფორმდეს. რაც შეეხება დანარჩენ როლებს, მათზე შერჩევა თებერვლის შუა რიცხვებში, ლოს ანჯელესში დაიწყება. გპირდებით, რომ ისეთი მსახიობები იქნებიან შერჩეულები, რომლებიც მალე ძალიან დიდი ვარსკვლავები გახდებიან.

**- სცენარზე მუშაობა თუ დასრულდა და რა დეტალები იქნება შეცვლილი მასში წიგნისგან განსხვავებით?**

- სცენარმა განიცადა გარკვეული ცვლილებები. ძირეულად არ შეცვლილა, მაგრამ ის დეტალები შევიდა, რომელიც აუცილებელია, მაღალი დონის მსახიობების დასაინტერესებლად. წიგნი წიგნია, რაც ძალიან საინტერესოა და აქედან დაიწყო ყველაფერი. როდესაც „ჯინსების თაობა“ წავიკითხე, ძალიან მომეწონა, უფრო მეტი გავიგე მის შესახებ, თუმცა ფილმისთვის კიდევ უფრო მეტია საჭირო. ჩავატარეთ კვლევები მე და ჩემმა ბავშვობის მეგობარმა გიორგი ქავთარაძემ, რომელიც ფილმის პროდიუსერი იქნება. ჩამოვიყვანეთ სცენარისტი. შევხვდით პილოტს, აეროპორტის თანამშრომლებს, ოჯახის წევრებს, ყველა იმ ადამიანს, რომელსაც მეტ-ნაკლებად შეეხო ეს ამბავი. მივიღეთ საინტერესო იმფორმაციები, ის რეალობა და ელემენტები, რაც წიგნში არ არის აღწერილი, რაც ჩვენთვისაც საინტერესოა და ფილმში უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული.



**- „ჯინსების თაობას“ საზოგადოების ნაწილი ტერორისტებად თვლის, ნაწილი კი მათ გმირებად მიიჩნევს, თავად ამ ადამიანების ოჯახის წევრები როგორ ეკიდებიან ფილმის გადაღების ამბავს?**

- მათი დამოკიდებულება ადეკვატურია და აინტერესებთ კიდევაც, რადგან შესაძლებლობაა, რომ ხელახლა გაცოცხლდნენ მათი ოჯახის წევრები. ის, რაც მოხდა, ტრაგიკული შემთხვევა იყო და ეკრანული გმირების სახით დაბრუნდებიან ეს ადამიანები. ცნობილი ისტორიაა. როდესაც შენ მას ფილმის სახით გადმოსცემ, უფრო ამაღელვებელია და დიდი ინტერესით ელოდებიან. არ ვთვლი, რომ ისინი ტერორისტები იყვნენ, რადგან ის გადაწყვეტილება, რაც მათ მიიღეს, გარკვეულმა პროტესტმა გამოიწვია. მათი გეგმა სხვანაირი იყო, მაგრამ მეორე მხრიდანაც უნდა შევხედოთ ამ საკითხს, ის რაც გააკეთეს, გამართლებული არ არის. რაც მოხდა, ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია.

**- ანუ ფილმი მაინც დატოვებს საკამათო თემად ამ ამბავს?**

- ბუნებრივია. ჩვენ არავის მხარეს არ ვიჭერთ. ეს არის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია, რომელმაც ტრაგიკული შედეგი მიიღო. რაც მოხდა, ამას ყველას განიცდის.

**- სად და როდიდან დაიწყება გადაღებები?**

- გადაღებები თბილისში იქნება. შესაძლოა, ნიუ-იორკშიც მოხდეს, მაგრამ უმეტესად თბილისში. ვგეგმავთ ასევე გერგეტის სამებაზეც. კონკრეტულად როდის დაიწყება, ვერ გეტყვით, რადგან დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პერიოდზე შევთანხმდებით მსახიობებთან. წელს აუცილებლად დასრულდება, სრული სურათი კი სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს გვექნება. გადაღებები ორ თვეს გაგრძელდება.

**- გავრცელებული ინფორმაციით, ფილმის მუსიკაზე ოსკაროსანი კომპოზიტორი იმუშავებს, სიმართლეს შეესაბამება?**

- რამდენადაც კარგი სცენარი, ისტორია გვაქვს და იმის შესაძლებლობა, რომ თითოეულ პოზიციაზე ძალიან მაგარი მსახიობი გვყავდეს, კარგი სამსახიობო დასი, პროექტი უფრო მაგარი გამოვა. აქედან გამომდინარე, პროექტი დიდ მასშტაბებზე გავა. ჩემი ლოს ანჯელესში ჩასვლის შემდეგ, იქნება შეხვედრა მუსიკოსებთან, რათა მოხდეს დახვეწა ამ ყველაფრის. ფილმს ვინც გადაიღებს, მსოფლიოში ცნობილი ადამიანია, რომელიც ახლა ძალიან დიდ პროექტზე მუშაობს. იქნება სპეცეფექტებიც. კარგი ჯგუფი შეიკრა ამ ფილმისთვის. დაინტერესება რომ მოხდა, ნიშნავს იმას, რომ ისინი დაინტერესდნენ. სცენარის წაკითხვის შემდეგ, სადაც საუბარია თვითმფრინავის გატაცებაზე, რთულია მსახიობის დათანხმება. არ გვინდა, ფილმი ტერორიზმის კუთხით განვითარდეს, რადგან ამ ნიშნებს შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ ჩვენ სხვა მიმართულებით წავალთ.

**- რადგან თვითმფრინავის გატაცების ისტორიაა, სად მოხდება ამ სცენების გადაღება და რომელიმე ავიაკომპანიასთან თუ თანამშრომლობთ?**

- გადაღებები იქნება აეროპორტში. რაც შეეხება ავიაკომპანიას, მათ აეროფლოტის თვითმფრინავი გაიტაცეს და ფილმში ზუსტად ეს მოდელი იქნება გამოყენებული, T-134. ძალიან გვეხმარება თავდაცვის სამინისტრო და საერთოდ, სახელმწიფო უწყებები, საქალაქო სასამართლო, საჯარო ბიბლიოთეკა. საერთოდ, ასეთ პროექტზე მუშაობის დროს სახელმწიფოს მხარდაჭერა აუცილებელია, თუმცა ფინანსები ინვესტორმა თუ არ ჩადო და ის უკან ამოიღო, ფიზიკურად ვერ განვვითარდებით.

**- ყველაზე საინტერესოა, რომელ ცნობილ მსახიობებს იხილავს ქართველი მაყურებელი ფილმში?**

- 5 თვის წინ რომ გეკითხათ ეს, უფრო კარგად გეტყოდით, მაგრამ მოგვეცა საშუალება, რომ კიდევ უფრო კარგი ვარიანტები ავირჩიოთ. ამ მომენტში, გადაწყვეტილია, რომ ცნობილი ბრიტანელი მსახიობი ჯეისონ ფლემინგი მამა თევდორეს როლს ითამაშებს. მოლაპარაკებები მიდის ცნობილ ებრაელ მსახიობ გალ გადოტთან, რომელიც დიდ პროექტში მთავარ როლზე დაამტკიცეს და თუ გადაღების დროის შეთანხმებას მოვახერხებთ, ისიც იქნება ამ ფილმში. ასევე იქნება, ვინი ჯონსი. ბევრი ცნობილი მსახიობი გვეყოლება ფილმში.

**- როდის იხილავს ტელეეკრანებზე ფილმს მაყურებელი?**

- ფილმი 2015 წელს გამოვა კინოგაქირავებაში. 2014 წელს რომ გამოვუშვათ, უკვე წლის ბოლო იქნება და ჩაკეტილი გვექნება ყველაფერი, 2015 წლი დასაწყისში რომ გამოვა, ყველაფერი წინ გვექნება. მსგავსი პროექტები საინტერესოა ფესტივალებისთვის და ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებთ.



ჯეისონ ფლემინგი



ვინი ჯონსი



გალ გადოტი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**ნანა შონია**

# რა კავშირი აქვთ მარინა მიზანდარს და თამარ ბერუჩაშვილს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან?



**საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსა და კულტურის მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდართან დაკავშირებით ატეხილი ხმაური არ ცხრება.**

ცოტა ხნის წინ მინისტრის მოადგილეს, საჯაროდ, კომპანია RMG GOLD-ის თანამშრომლები დაუპირისპირდნენ. კულტურის სამინისტრო კი ამ დრომდე კომპანიისთვის ლიცენზიის გაცემაზე უარს ამბობს. პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან რამდენიმე თვის წინ შექმნილი სპეციალური კომისიის დასკვნით ცნობილი გახდა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისთვის ეროვნული კატეგორიის მინიჭება, თავის დროზე, კანონმდებლობის სრული დარღვევით მოხდა. კომისიის დასკვნის საფუძველზე კი კულტურის სამინისტრომ ტერიტორიის ათვისების ნებართვა უნდა გასცეს. ნებართვის გაცემა კი ამ დრომდე ვერ ხერხდება. კომპანიის წარმომადგენლები და საზოგადოების ნაწილი ამის მიზეზად მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდარს ასახელებენ. მარინა მიზანდარის პირად ინტერესებზე საუბრობს კულტურის სამინისტროსთან შექმნილი კომისიის წევრი დავით ლომიტაშვილი.

მისი განმარტებით, საყდრისი-ყაჩაღიანის შემთხვევაში, საქმე გვაქვს სამეცნიერო თაღლითობასთან, რომელშიც





გერმანელი მეცნიერი შტოლნერი არის ჩართული. როგორც ლომიტაშვილი განმარტავს, საქმე ეხება „ფოლკსვაგენის“ ფონდის მიერ გამოყოფილი 600 000-იანი გრანტი უკვე გახარჯულია. ეხლა კი ახალი, 800 000 ევროიანი გრანტის მოლოდინია და ამიტომაც არის ამხელა ხმაური.

ლომიტაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფციას არ არღვევს და პირდაპირ არ ამბობს, რომ მიზანდარს ფინანსური ინტერესი აკავშირებს ამ ძეგლთან, თუმცა აცხადებს, რომ რაღაც ინტერესი რომ აქვს, ფაქტია. იგივე კითხვები აქვთ კომპანია RMG GOLD-ის ხელმძღვანელობასაც. მათი განცხადებით, ფაქტია, რომ ამ პროცესის გაჭიანურება ხელოვნურად ხდება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება, მიზანდარის მხრიდან კოჯრის ქუჩაზე ესენინის სახლის შეძენა.

გაზეთ „პრაიმტაიმთან“ საუბარში მიზანდარი ყოველგვარ ფინანსურ ინტერესს გამორიცხავს და აცხადებს, რომ ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული გერმანული მხარე.

ჩვენი წყაროს ცნობით, ქალბატონმა მარინა მიზანდარმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილის ჩართულობით შეძლო გერმანელების ალაპარაკება.

სწორედ ამასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა გერმანელი მეცნიერების რეკომენდაციები საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით.

ინფორმაციის გადამოწმება „პრაიმტაიმმა“ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილთან სცადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალბატონმა თამარმა ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

კომპანია RMG GOLD-ში კი აცხადებენ, თუ კულტურის სამინისტრო რეალურად არ შეაფასებს მოვლენებს და მიზანდარი მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს, კომპანია ფუნქციონირებას შეწყვეტს. ამ შემთხვევაში კი ადგილზე დასაქმებული მოსახლეობის მდგომარეობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

რა კავშირი აქვთ მარინა მიზანდარს და თამარ ბერუჩაშვილს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან?

საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსა და კულტურის მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდართან დაკავშირებით ატეხილი ხმაური არ ცხრება.

# ნინო ჭაბუკიანის ფერადი რეცეპტი

**ნათია ვარძელაშვილი**

**2013 წლის „იმედის გმირების“ ერთ-ერთი გამარჯვებული ნინო ჭაბუკიანი ექსკლუზიურად „პრაიმტაიმი“-სთვის ამზადებს „ბოსტნეულის ტორტს“, რომლის მომზადებაც მარტივია და ბევრი საინტერესო დატვირთვა აქვს.**

გსურთ მოამზადოთ გემრიელი და ფერადი სალათი, მაშინ მოამზადეთ

**„ბოსტნეულის ტორტი“,**

დღეს მე მოგიმზადებთ „ბოსტნეულის ტორტს“, რომლის სახელწოდებაც ჩვენ მოვიგონეთ. შეიძლება მას ხალხი სხვა სახელს უწოდებს, მაგრამ ჩვენს ასე ვეძახით. ჩვენს ორგანიზაციას ჰყავს სოციალურად დაუცველი ბავშვები და მოზარდები, ამიტომ ვცდილობთ მაქსიმალურად გავულამაზოთ ყოველი დღე, მივცეთ სილამაზის აღქმის მეტი შესაძლებლობა. ეს სალათი კი საინტერესოა და მას სადღესასწაულო დღეებში ვაკეთებთ ხოლმე, ბავშვებთან ერთად. სალათის კეთების პროცესს ბევრი საინტერესო დატვირთვა აქვს, ჩვენ ვსწავლობთ ფერების აღქმას, ბოსტნეულის დასახელებას და ასევე განვიხილავთ მათ სარგებლობას. ეს მეთოდი შეუძლიათ გამოიყენონ იმ მშობლებმა ვისაც სახლში ჰყავთ პატარა დიასახლისები და ასე თამაშ-თამაშით ბევრი რამ ასწავლონ.





**ახლა კი გთავაზობთ ჩვენი სადღესასწაულო სალათის რეცეპტს:**

მოემზადეთ და წინსაფარი გაიკეთეთ!

**დაგჭირდებათ:**

2 ცალი სტაფილო,
3 ცალი ჭარხალი,
5ცალი კვერცხი,
1თავი ხახვი,
მოხარშული კარტოფილი,
მაიონეზი, პილპილი,
მარილი და
მწვანილები: ოხრახუში, კამა ბლომად.

მომზადება ძალიან მარტივია, ყველაფერი გახეხეთ და ფენა-ფენა დაალაგეთ, მოასხით მაიონეზი, მარილი და მწვანილები, ბოლოს კი მოასხით მაიონეზი ბლომად და მწვანილით დაფარეთ.

კეთების პროცესში კი იფიქრეთ ამ ფერადი და ლამაზი ბოსტნეულის სარგებლობაზე, დააკვირდით ფერებს და აღიქვით ისინი თავიდან. იფიქრეთ იმაზე, რომ ეს ფერადი და ვიტამინებით გაჯერებული ბოსტნეული თქვენს სილამაზეზე იზრუნებს.

სალათი უგემრიელესია, ბავშვებიც ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები არიან.

**ცოტა რამ ორგანიზაციის შესახებ**

შშმპ ორგანიზაცია „კავშირი ია“ 2005 წელს დაფუძნდა. 2003 წლიდან 2005 წლამდე შევქმენით საინიციატივო ჯგუფი. ეს გადაწყვეტილება მივიღე ჩემი შვილის სიმძიმის გამო. ჩემი შვილის მდგომარეობა საკმაოდ რთულია. მას შემდეგ ვცდილობ ხელი შევუწყო სოციალურად დაუცველ ბავშვებს და მათაც შევუქმნა გარემო, სადაც თავს კარგად იგრძნობენ, მინდა, ჰქონდეთ შესაძლებლობა თავიანთი უნარების გამოვლენისა. ჩვენ გვაქვს ხატვის, მუსიკის, ძერწვის, თექაზე მუშაობის, ქართულის, ინგლისურის გაკვეთილები - სადაც თამაშ-თამაშით ვასწავლით და ვუფერადებთ ცხოვრებას.

ბედნიერი ვარ იმითაც, რომ მე მყავს ძალიან კარგი მეგობრები, რომლებიც გვერდში მიდგანან და მეხმარებიან ხელი შევუწყოთ ამ ბავშვებს და დავიცვათ მათი უფლებები.

საკუთარ თავს არ ვთვლი გმირად და რატომ, გეტყვით, მე თვითონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დედა ვარ და ის საქმე, რასაც ვაკეთებ, ვფიქრობ ჩემი ვალდებულებაა და არა გმირობა, ეს მე მინდოდა თავს ასე უფრო კარგად ვგრძნობ, რადგან სულ მაქვს განცდა ამით ჩემს შვილს ვეხმარები და ამასთან ერთად სხვა ბავშვებს.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ეთმობა, პრობლემა, რომელიც ჩვენს ორგანიზაციას ამჟამად აქვს, ფართია. მე საკუთარ სახლში მაქვს ეს ორგანიზაცია გახსნილი და ასევე პატარა ფართი იჯარით აღებული, რომლის გადახდაც ძალიან გვიჭირს. ხშირად ძალიან რთულ დღეებს გავდივართ იმისთვის, რომ იარსებოს ჩვენმა ორგანიზაციამ, რადგან ჩვენ ვემსახურებით საკმაოდ მძიმე კონტიგენტს და გვაქვს შიში ბენეფიციარის მშობლებს და ორგანიზაციის ყველა წევრს რომ არ დავრჩეთ ფართის გარეშე.

ვისურვებდი ჩვენს ქვეყანაში მეტი ყურადღება დაუთმონ ამ ადამიანებს, 2014 წელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების წლად არის გამოცხადებული და ვნახოთ, სიახლეებს იმედით ველოდები.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ძველი, ახლად ნაპოვნი საუ

# „პრაიმტაიმის“ ექსკლუზივი

გოგი სარაჯიშვილი

**„ბაღის ექვსი სურათი გადმოღებულია „ქილილა და დამანას“ XVIII საუკუნის დამდეგის ქართული #68 ხელნაწერიდან, რომელიც სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმშია დაცული. გადმოხატულია მხატვარ დ. კაკაბაძის მიერ (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფ. 1934. წიგნი II. გვ. 1).**

ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი დავით კაკაბაძე (1889-1952) წულუკიძის რაიონის სოფ. კუხში დაიბადა. მოწაფეობის წლებიდან ბეჭდავდა ნახატებს ქართულ პრესაში. მან 1916 წელს დაამთავრა პეტერბურგის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. იმავე დროს, 1915 წლამდე მეცადინეობდა მხატვარ ლ. დიმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში. პეტერბურგში კაკაბაძე 1918 წლამდე დარჩა. შემდეგ ჩამოვიდა თბილისში, ხოლო 1919-27 წლებში ცხოვრობდა პარიზში და სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად აწყობდა გამოფენებს. მოაწყო თავისი სურათების გამოფენა ამერიკაში. კითხულობდა ლექციებს ხელოვნების საკითხებზე, მუშაობდა სტერეოკინოს გამოგონებაზე, მიღებული ჰქონდა ევროპის მრავალი ქვეყნის პატენტი. ქართულ და ფრანგულ ენებზე აქვეყნებდა ნაშრომებს. კოტე მარჯანიშვილის მიწვევით მუშაობდა თეატრის დეკორატიული ხელოვნების დარგში. გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი და კინოფილმები.



დ. კაკაბაძე არის ქართული თეატრის დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებების მქონე მოაზროვნე მხატვარი. მისი ნახატები დაცულია მუზეუმებში და ზოგიც ოჯახის საკუთრებაა.

დავითზე 13 წლით უფროსის ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) მოღვაწეობის წლები ემთხვევა კაკაბაძის ყოფნას პეტერბურგში. 1907 წელს ივანემ ჩამოაყალიბა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე, სადაც ყოველ ქართველს შეეძლო მონაწილეობა მიეღო. რადგან ცნობილია, რომ სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული კაკაბაძემ დაიწყო ძველი ქართული ხელოვნების კვლევა, ცხადია, ეს ფაქტი გაახარებდა ჯავახიშვილს და დავითს ექნებოდა საფუძველი ეთანამშრომლა პირადად ჯავახიშვილთან და მის სამეცნიერო წრესთან.

ჯავახიშვილის ფასდაუდებელ ნაშრომებს შორის გვინდა გამოვყოთ გამოკვლევა - „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, რომელიც ივანემ გამოსცა 3 წიგნად, რასაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. მკვლევარმა ღრმად შეისწავლა წარმოების იარაღების განვითარების ისტორია და ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა. მისმა ეტიმოლოგიურმა ძიებებმა დიდად წასწია ქართული ენის ეტიმოლოგიური ძიებანი. ჯავახიშვილმა ამ წიგნებით დიდი წვლილი შეიტანა ძველი ქართული კულტურის - მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლის საქმეში და სხვ.



ვფიქრობთ, ჯავახიშვილმა ზედმიწევნით იცოდა, 1724 წელს საქართველოდან წასული ვახტანგ VI-ის და 1 200-კაციან ამალაში მყოფთა რუსეთში წაღებული ნივთების შესახებ: ვის რა გააჩნდა; ვინ რას ფლობდა; ვისი იყო ფასდაუდებელი წიგნადი და ხელნაწერი საოჯახო ბიბლიოთეკა; სად რა იდო. სამეცნიერო ცენტრს წინასწარ ექნებოდა მომზადებული გარკვეულ საკითხთა პროგრამა, რითაც უნდა ეხელმძღვანელათ ცენტრის წევრებს. დიდი ცოდნით აღჭურვილი ცენტრის ხელმძღვანელი გარკვეულ კონსულტაციებს გაუწევდა წევრებს და ქართული კულტურისათვის საჭირო მონაცემებით შეაიარაღებდა მათ. ივანეს ეცოდინებოდა კაკაბაძის გატაცება, რომ მას გააჩნდა ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლის სურვილები. იგი ახალგაზრდა მკვლევარს ეტყოდა, სად იდო, XVIII საუკუნის, მსოფლიოში გახმაურებული ჰუსეინ იბნ ალი ქაშეფის თხზულება - „ქილილა და დამანა“, სულხან-საბა ორბელიანის რედაქტირებული, ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილი ხელნაწერი. ივანე გვიხსნის, აღმოსავლეთ ხალხთა მუზეუმის საკუთრებააო (მარი ბროსეს კოლექციიდან) და გარკვევით წერს, ეს ექვსი სურათი „ქილილა და დამანადან“ გადმოხატულია კაკაბაძის მიეროო. არ არის გამორიცხული, დავითმა თავად იცოდა ვინ იყო თხზულების ავტორი, ვინ თარგმნა იგი და სად იდო და ისურვა მოწონებული მინიატურების გადმოღება. ივანემ ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ჩათვალა ქართული კულტურისათვის და ამიტომ ექვსი ნახატი დაურთო თავის წიგნს. ჯავახიშვილის შრომების შემდგომ გამოცემებში ნახატების გამეორების შემთხვევა.

მსოფლიოში სახელგანთქმული იგავ-არაკთა კრებული „ქილილა და დამანა“, ორი ტურას - კეთილი ქილილასა და ბოროტი დამანას თავგადასავალია. იგავ-არაკი თავდაპირველად ინდოეთში შეიქმნა და ადრევე გავრცელდა ჯერ ირანში (XV ს.), შემდეგ არაბულ სამყაროში. გაჩნდა, როგო-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კუნის წინანდელი ნახატები



რც პოეტური (რუდაქი, X ს.), ისე მისი პროზაული (ნასრალაჰი, XII ს.) ვარიანტები. ყველაზე დიდი პოპულარობა მოიპოვა ქაშეფის „ანვარე სოჰაილიმ“. ამ უკანასკნელს უკავშირდება ქართული ვერსიაც, XVIII საუკუნეში თარგმნილი ძეგლი:

**„ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,**
**ყურით ტკბილად სასმენი, სუნით ვარდი და იანი,**
**მკითხველთა სარგო, მრავალი არაკი, არა ზიარი,**
**და ვსწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი“.**

„ქილილა და დამანა მსოფლიო ლიტერატურის ძვირფასი მარგალიტი, შეიცავს კოდექს, ყოველდღიური ცხოვრების მორალისას, უფრო კი მეფე-მმართველთათვის სავალდებულოსას“ (კ. კეკელიძე).

2006 წელს გელათის აკადემიის დაარსებიდან 900-ს წლოვან იუბილის აღსანიშნავად ქ. ქუთაისში გამოცემულ - „ქილილა და დამანას“ კაპიტალურ ნაშრომში მკვლევარი-რედაქტორი ბ-ნი მაგალი თოდუა წიგნში ურთავს ერთ თავს: „ზოგი რამ „ქილილა და დამანას“ მინიატურებზე“, სადაც წერს: „მინიატურებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ... ნატურალური ზომის „ქილილა და დამანას“ შავ-თეთრი ფოტოპირები ინახება გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში... წიგნში სულ 139 ნახატია, მაგრამ უმეტესი მათგანი მინიატურების ჯგუფს წარმოადგენს და ერთი იგავის სხვადასხვა ეპიზოდს გადმოგვცემს. ამდენად ხელნაწერში სულ 805 მინიატურა დაითვლება. ასეთი ხერხი დასავლეთ-ევროპულსა და აღმოსავლურ ხელოვნებაში შეიმჩნევა. ამ მხრივ აქ გაგრძელებულია თვით „ქილილა და დამანას“ მოხატვის ტრადიციაც... იმ თავიდან იზიდავდა მხატვრებს. ასურათებდნენ სხვათა სიუჟეტებივით. შ. ამირანაშვილი პირველ 89 მინიატურას გამოყოფს. მისი აზრით, ისინი „უფრო გაწაფული მინიატურისტის მიერ არის შესრულებული, დანარჩენები კი ნაკლებად სრულყოფილია... გ. ლეონიძის ვარაუდით „ქილილა და დამანას“ დამსურათებელი უნდა იყოს გრიგოლ მესხიშვილი, ვახტანგ VI-ის კარის მხატვარი... ჩვენის აზრით, მინიატურები სამ მხატვარს ეკუთვნის: ამაში გვარწმუნებს მათი სტილი, მათში ასახული ფაქტურა და ტექსტის შინაარსის ნახატის შესაბამისობის ზოგი დამაფიქრებელი საკითხი... პირველი და მეორე ანონიმი მხატვარი წიგნის გაფორმებაზე საქართველოში მუშაობდნენ. ეტყობა, მათ წიგნის მოხატვა მოთავებული არ ჰქონდათ, როცა ვახტანგს რუსეთში მოუხდა გადაბარგება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ოსტატები ვახტანგს თან არ გაჰყოლიან და ვახტანგსაც იქ, რუსეთში, ამ საქმის გამგრძელებელი მხატვარი უპოვნია... „ქილილა და დამანას“ პირველი ქართველი ილუსტრატორები, XVIII საუკუნის დასაწყისის საუკეთესო ოსტატებად უნდა ჩაითვალონ მახლობელ აღმოსავლეთში. მათ თავიანთი ეპოქის შედევრები შექმნეს და ღირსნი არიან, რომ ფართო საზოგადოებისა და სპეციალისტების საგანგებო ყურადღება მიიპყრონ... შესავალშივეა დახატული ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი.








საბა ვახტანგს წიგნს მიართმევს (თუ გამოართმევს). დღეს ფართოდ გავრცელებული საბას პორტრეტი სწორედ ამ ნახატიდან მოდის... მინიატურების მხატვარი ერთმანეთის მინიატურათა განმაცალკევებელ ჩარჩოებს ოსტატი ზემოთ ერთგვარი თაღებით აგვირგვინებს და როდესაც ერთმანეთს გვერდით დახატულ ამ ფერად სურათებს უყურებთ, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აღმოსავლურ აივანზე იჯდეთ და იქიდან გაჰყურებდეთ ბუნებას“.

უერთდები ბ-ნი მაგალი თოდუას გამოთქმულ აზრებს მინიატურების (89) შესახებ. ბევრი მინიატურა ვნახე „ქილილა და დამანას“ ხუთივე გამოცემაში, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ ქართველ მხატვარს შეეძლო ქართული ჯიგარი ჩაედო ქაშეფის ჩანაფიქრით იგავ-არაკების მოხატვისას.

საჭიროდ მივიჩნიეთ კაკაბაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ლიტერატურაში დაგვეძებნა, ხომ არ იყო ექვს ნახატზე საუბარი, მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. კაკაბაძისეული ნახატები ოჯახში, რომ იდოს, გამოქვეყნებული იქნებოდა. ისიც ვივარაუდეთ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ხომ არ არის ჯავახიშვილის არქივში დაცული. ბოლოს შევჩერდით აზრზე, სტამბაში, სადაც ჯავახიშვილის წიგნი დაისტამბა, დარჩებოდა, რაც ხშირად მომხდარა. ამიტომ, გადავწყვიტეთ ფართო საზოგადოებისათვის გვეჩვენებინა გენიალური მხატვრის დავით კაკაბაძის დაბადებიდან 125 წლისთავის აღსანიშნავად.

დავით კაკაბაძის ექვსი ნახატი ქვეყნდება მეორედ. რეპროდუქციების ავტორია მირიან კილაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „სხვა ყანჩელი“ - მაესტრო თავისი მუსიკის



**my View**

**თამარ გონგაძე**

პროექტ „სხვა ყანჩელზე“ შევიტყვე თუ არა, დიდი ინტერესით აღვივსე. დიდი მაესტროს ყველასათვის ნაცნობი მუსიკა უნდა მომესმინა, ახალი, ჯაზური ინტერპრეტაციით. 15 იანვარიც დადგა. დიდ საკონცერტო დარბაზში „ბადაგონმა“ ფონდი „ავტოგრაფის“ პირველი პროექტი წარმოადგინა - გია ყანჩელის კინოსა და თეატრის მუსიკა ქართველი, ლატვიელი და ამერიკელი ჯაზმენების შესრულებით. გადავსებული დარბაზი ცნობისმოყვარე მოლოდინმა მთლიანად შთანთქა. ქართველებისთვის შეუდარებელი და ძალიან თვითმყოფადი კომპოზიტორის შემოქმედების ჯაზინტერპრეტირება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით პირველ პრეცედენტს წარმოადგენს, ის კი პირველად თბილისში განხორციელდა. თუმცა თავისი სადებიუტო დისკისთვის ბექა გოჩიაშვილს რენი უვაითთან და სტენლი კლარკთან ერთად ყანჩელი ჯაზური ინტერპრეტაციით შესრულებული აქვს. ქართველებს ინტერესთან ერთად ეჭვიანობამაც სძლია - როგორ გადაიტანდნენ „მათ ყანჩელს“ „სხვა ჯაზში“. ორ ნაწილად გაყოფილ ორსაათნახევრიან კონცერტზე, სამარისებური სიჩუმით, გარინდული დარბაზი გასხივოსნებული სახით უსმენდა ჯაზმენებს. პირველ ნაწილში ცნობილი ლატვიური ჯაზბენდი - „Xylem Trio“ უკრავდა. მუსიკოსები რიგიდან ჩამოვიდნენ. ბენდში ძმები - საქსოფონისტი ოსკარს პეტრაუსკისი და პიანისტი რაიმონდს პეტრაუსკისი და პერკუსიონისტი რიჰადს ზალუპე უკრავენ. ლატვიიდან იყვნენ - მესაყვირე კონსტანტინს ჯემელიანოვსი და დრამერი კასპარს კურდეკო. მათთან ერთად იყო ამერიკელი ჯაზშემსრულებელი ალესანდრა ფილომენა. სტუმრებს დიდი პასუხისმგებლობა და მონწიწება ეტყობოდათ. კომპოზიციებს შორის სითბოთი და სიყვარულით ესაუბრებოდნენ დარბაზს და ემოციებს გადმოგვცემდნენ. „ჯადოსნური საღამოა, ჯადოსნურ მუსიკას ვუკრავთ, ეს ემოციები აქედან დიდხანს გაგვყვება. ამ სითბოსა და დადებით მუხტს ლატვიაში წავიღებთ. „პირველი ნაწილის დასასრულს სტუმრები უფრო გათამამდნენ და მეტი ემოციურობით შეასრულეს კომპოზიციები - „როცა აყვავდა ნუში“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“... განსაკუთრებულად ემოციურობით გამოირჩეოდა პიანისტი რაიმონდს პეტრაუსკისი. ფორტეპიანოზე მთელი სხეულით უკრავდა, მუსიკა არსებაში გადასდიოდა და მიმიკებით გამოხატავდა.

**რაიმონდს პეტრაუსკისი:** - ამ საღამოს ძალიან დიდი მოლოდინი გვქონდა. როგორც ვიმედოვნებდით, ისეთი დიდებული საღამო გამოვიდა. გია ყანჩელის მუსიკა ჯადოსნურია. ასეთივე აღმოჩნდა ქართული პუბლიკა. რიგიდან დიდი სიყვარულით ჩამოვედით, რომ ეს დაუვიწყარი კომპოზიციები ქართველ ჯაზმენებთან ერთად შეგვესრულებინა. შესანიშნავი შეხვედრა გვქონდა თავად კომპოზიტორთან. მისი დასწრება კონცერტზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. ლატვიელების ვერსია ქართველებმა ასე შეაფასეს.





**გია ყანჩელი:** „შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერიც ვარ, იმიტომ, რომ ჩემთვის ეს საღამო მოულოდნელი იყო. იმ რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, რაც დარბაზში იყო, მსმენელმა სიამოვნება მიიღო, რაც ჩემთვის მთავარია“



**პაპუნა შარიქაძე:** „პრემიის თანხას გამოვიყენებ ბერკლის უნივერსიტეტის საზაფხულო ხუთკვირიანი პროგრამის გავლაში“

**მაკა ჩიჩუა:** - მომწონს, კარგია. კარგად შეასრულეს. ცოტა ისე დაიწყეს, მოდუნებულად და მერე გახურდნენ. ყანჩელს ჯაზი მოუხდა. საერთოდ ვერ გამოვყოფ რომელიმე საყვარელ კომპოზიციას, ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი მისი ყველა ახალი კომპოზიციით.



**მაია ფანჯიკიძე:** - გია ყანჩელს ჯაზიც მოუხდა და ყველაფერი უხდება. ყანჩელი ჩემი უსაყვარლესი ადამიანი და კომპოზიტორია. მისი კონცერტი დედამიწის ნებისმიერ კუთხეში არ გამიცდენია, თუკი ახლომახლო ვყოფილვარ. ჩემი უფროსი მეგობარია. განსაკუთრებულად? მისი „ხანუმა“ მიყვარს, ბავშვობიდან. ბაბუამ წამიყვანა და არასდროს დამავიწყდება. „ხანუმა“ არის სპექტაკლი, რომელიც ყველაზე ბევრჯერ მაქვს ნანახი. ეს ვერსიაც მომეწონა. ამ კომპოზიციას ისეთი მუსიკალური თემა აქვს, რაც არ უნდა გააკეთო, მაინც მაგარი იქნება.















**მარინა ბერიძე:** - ჩემთვის რაღაცის თქმა ძალიან რთულია, იმიტომ, რომ თუკი ვერსიებზეა ლაპარაკი, ჩემთვის მნიშვნელოვანი ნიკოლოზ რაჭველის ვერსია იყო, ჯაზში კი ბექა გოჩიაშვილი მყავს მოსმენილი. რაც მოვისმინე, ბექა ვერ გადაფარეს. ყანჩელი ის კომპოზიტორია ყველა მუსიკოსმა უნდა მოსინჯოს თავისი თავი.

**ზაზა მარჯანიშვილი:** - ლატვიელებმა ძალიან ტკბილი ვერსია წარმოგვიდგინეს. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ყანჩელის მუსიკის უსაზღვრობას. ლატვიელებიც კი დატკბნენ და დათბნენ. ყანჩელი მამასავით მიყვარს. რთულია, როდესაც უსმენ და მას სხვა ეროვნების კაცი ასრულებს, ეს ეტყობა.



**აჩი არველაძე:** - ძალიან კმაყოფილი ვარ, განსხვავებული კონცერტი იყო. ბატონ გიას ჩემი შექება არ სჭირდება. ნამდვილად ვისიამოვნე.

მეორე ნაწილი ქართველმა ჯაზმენებმა საკმაოდ კომბინირებული და საინტერესო ინტერპრეტაციით წარმოგვიდგინეს. გიორგი კიკნაძესთან, რეზო კიკნაძესთან, პავკა კვაჭაძესთან და პაპუნა შარიქაძესთან ერთად ამ ნაწილში ამერიკელი ვოკალისტი ალესანდრა ფილომენაც მონაწილეობდა. ვოკალურად ინგლისურად აჟღერებული ყანჩელი ნამდვილად ეხმიანებოდა პროექტის კონცეფციას - „სხვა ყანჩელს“.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჯაზური ინტერპრეტაციით კმაყოფილი დარჩა

## გიორგი კიკნაძე: „ეს კონცერტი ყველასთვის დიდი პასუხისმგებლობა იყო“



**EXCLUSIVE**

## პაპუნა შარიქაძე - საღამოს აღმოჩენა და გია ყანჩელის პრემიის ლაურეატი

**გიგა კობალაძე: „ასეთი დაბადების დღე ჯერ არ მქონია. თუ იმ ემოციით ვიმსჯელებთ, რაც დარბაზში იყო და ბატონ გიას ჰქონდა, პროექტი შედგა და წარმატებით. ინდივიდუალური და განსხვავებული კონცერტი გამოვიდა“**



საღამოს აღმოჩენა ახალგაზრდა პიანისტი პაპუნა შარიქაძე გახლდათ, რომლისთვისაც ეს დღე დაუვიწყარი იქნება. ასეთი მასშტაბის კონცერტზე ის პირველად გამოვიდა. მეორე ნაწილში ათი კომპოზიცია დაუკრა. ნიჭიერთა ათწლედში სწავლობს, მესამე წელია მისი პედაგოგი ზურა რამიშვილია, ბექა გოჩიაშვილის პედაგოგი. პაპუნა ამომავალი ვარსკვლავია. მას ბექას წარმატების გამეორებას უწინასწარმეტყველებენ. პაპუნა საღამოს სასიამოვნო სიურპრიზის გმირიც აღმოჩნდა.

**ლიზა ბაგრატიონი:** -კომპანია „ბადაგონი“ გია ყანჩელის ყოველწლიურ პრემიას აწესებს - ათი ათასი ლარის ოდენობით. ლაურეატს მომავალი წლიდან ბატონი გია შეარჩევს. წელს კი ჩვენ კანდიდატურებს გთავაზობთ. პრემია ამჯერად ორ ნაწილად გავყავით და პაპუნა შარიქაძესა და გიორგი კიკნაძეს გადავეცით.

**პაპუნა შარიქაძე:** - ყველაზე ძალიან ის მიხარია, რომ ბატონ გიას მოეწონა ეს ინტერპრეტაცია. დარბაზშიც კარგი მსმენელი იყო. პრემიით საოცრად ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა ყველას.

**- პრემიაში აღებულ თანხას რაში დახარჯავ?**

- ამ თანხას ბერკლის უნივერსიტეტის საზაფხულო ხუთკვირიანი პროგრამის გავლაში გამოვიყენებ. სწავლის დაფინანსება მოგებული მაქვს, გასულ ზაფხულს იტალიის ჯაზფესტივალზე მოვიგე.

**ზურა რამიშვილი:** -გახარებული ვარ იმით, რაც მოხდა - ჩემი მოსწავლე დაჯილდოვდა. საოცარი სიხარული იყო გიორგის და პაპუნას დაჯილდოება. პაპუნა წავა ამერიკაში და დიდი ჯაზისკენ გაიკვლევს გზას. ჩემი აზრით, გემოვნებიანი და მუსიკალური კონცერტი გამოვიდა.

გიორგი კიკნაძე კონცერტის მეორე ნაწილის იდეის ერთ-ერთი ავტორი გახლავთ.

**გიორგი კიკნაძე:** - ეს პრიზი დიდი სიურპრიზი იყო ჩემთვის. მთავარია ის, რომ ბატონია გია კმაყოფილი დარჩა. ეს კონცერტი ჩვენთვის, ყველასთვის დიდი პასუხისმგებლობა იყო. მეორე ნაწილში ათი კომპოზიცია და ყველასთვის ცნობილი „ყვითელი ფოთლები“ შევასრულეთ. კომპოზიციებში დეტალები შევცვალეთ. მაგალითად, „მეფე ლირის“ აჩქარებული ვერსია წარმოვადგინეთ. დრო რომ გავა, უფრო კარგად შევაფასებ - რა მომეწონა და რა - ნაკლებად. ლატვიელი კოლეგების გაცნობა ძალიან მიხარია. სულ სხვანაირი ბენდია.

ქართველმა ჯაზმენებმა საღამო მიუძღვნეს თბილისელი მესაყვირის - კარლენ სარქისიანის ხსოვნას, რომელმაც 1962 წელს გია ყანჩელს მისი ნაწარმოებების ნოტების გარეშე დაკვრა შესთავაზა. „ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო, რომელიც ასეთ შემოქმედებით წვაში გადამწყვეტი ხდება“, - აცხადებს რეზო კიკნაძე.

გიგა კობალაძე, ფონდ „ავტოგრაფის“ დამაარსებელი და კონცერტის ორგანიზატორი კონცერტის დღეს იუბილარი იყო. 36 წლის გახდა. იუბილარს, თანამშრომელმა გოგონებმა, კულისებში, კონცერტის შემდეგ, სიურპრიზად ტორტი დაახვედრეს.

**გიგა კობალაძე:** - ასეთი დაბადების დღე ჯერ არ მქონია. თუ იმ ემოციით ვიმსჯელებთ, რაც დარბაზში იყო და ბატონ გიას ჰქონდა, პროექტი შედგა და წარმატებით. ინდივიდუალური და განსხვავებული კონცერტი გამოვიდა. ქართველი მსმენელი პირველად გახდა ამ მცირე სასწაულის მოწმე. რამდენიმე კომპოზიცია



ბატონ გიას არ ჰქონდა მოსმენილი და სიუპრიზად მოვუმზადეთ. საერთოდ ამ ცნობილმა ლატვიურმა ჯაზბენდმა „Xylem Trio“-მ რამდენიმე წლის წინ გია ყანჩელის რამდენიმე ცნობილი თემა ჯაზსტანდარტებად აქცია. კომპოზიტორს მოასმენინეს, მას მოეწონა და მასშტაბური კონცერტის გაკეთების იდეაც მაშინ გაჩნდა.

**რეზო კიკნაძე:** - ამაღელვებელი საღამო გამოვიდა. ყანჩელის მუსიკა ჯაზური და არაჯაზური მუსიკის შუაშია, მათი გამაერთიანებელია. ყველა ნომერი საინტერესო და გამოწვევასავით იყო. დაჭიმული სიმებივით ვიყავით.

დაჭიმული იყო მაყურებელი, კომპოზიციიდან კომპოზიციამდე მას სიურპრიზები ხვდებოდა. საყვარელი მუსიკალური თემის გაჟღერებისას აპლოდისმენტების ტალღა უვლიდა დარბაზს. „ყვითელ ფოთლებს“ უამისოდ არ ჩაუვლია. დადგა დიდი მაესტროს სცენაზე ასვლის დროც. კომპოზიტორი დარბაზმა სცენაზე აპლოდისმენტებით ააცილა. ბატონი გია სცენაზე კმაყოფილი სახით ავიდა და ხელებით მიესალმა მუსიკოსებს.

**გია ყანჩელი:** - ყველას გადაგიხდით მადლობას. მოხარული ვარ, რომ ეს საღამო შედგა. შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერიც ვარ, იმიტომ, რომ ჩემთვის ეს საღამო მოულოდნელი იყო. რეპეტიციასაც არ დავსწრებივარ. მთხოვეს, რომ პირდაპირ კონცერტზე მოვსულიყავი. იმ რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, რაც დარბაზში იყო, ალბათ, მსმენელმა სიამოვნება მიიღო, რაც ჩემთვის მთავარია. დიდი მადლობა მას, ვინც ეს საღამო მოიფიქრა და გააკეთა.

მინდა ოთხი ბგერით გაგაცილოთ - თქვა მაესტრომ, ფორტეპიანოს მიუჯდა და „შერეკილების“ ოთხი ნოტი დაუკრა. დარბაზი ამას ტაშით შეხვდა...

**რაიმონდს პეტრაუსკისი: „ამ საღამოს ძალიან დიდი მოლოდინი გვქონდა. როგორც ვიმედოვნებდით, ისეთი დიდებული საღამო გამოვიდა. გია ყანჩელის მუსიკა ჯადოსნურია. შესანიშნავი შეხვედრა გვქონდა თავად კომპოზიტორთან. მისი დასწრება კონცერტზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინა სუბლატმა ქორწილი „მაკდონალდსში“ გადაიხადა

## my View
### თამარ გონგაძე

„საქართველოს ვარსკვლავმა“ ნინა სუბლატის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. კარიერული წინსვლა და პირადი სიახლეები ერთად მოვიდა. ახლა პროექტში მოგებული პრიზის - ალბომის ჩაწერაზე მუშაობს, „ბრავო რექორდსში“. ლონდონში სასწავლებლად გასამგზავრებლადაც ემზადება. იანვარში უნდა წასულიყო, უბრალოდ, ალბომმა შეაფერხა. „საქართველოს ვარსკვლავში“ კონკურსანტობისას გაიცნო მომავალი მეუღლე, რომელიც სხვადასხვა კონკურსანტების პერფორმანსებში უკრავდა. ერთმანეთს რეპეტიციებზე ხვდებოდნენ. გიორგი შამანაური საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მესაყვირეა. ნინაზე 13 წლით უფროსია. ერთად ცხოვრება სპონტანურად გადაწყვიტეს, აგვისტოში. როგორც უნდოდათ ისე, პრესისგან მალულად. ოქტომბერში იუსტიციის სახლში ასევე ნაუცბათევად მოაწერეს ხელი. წყვილის მეჯვარეები - ნიკოლოზ რაჭველი, სოფო ტორონშელიძე და სოფია სებისკვერაძე არიან. წყვილი ახალ წელს რიყის საახალწლო კონცერტზე შეხვდა, ერთი მღეროდა, მეორე უკრავდა. წელიც აქტიურად დაიწყო. ალბომზე მუშაობა, ღონისძიებები... დატვირთული წელი იქნება და ძალიან მიხარია. მინდა იმ შემართებით გავაგრძელო მუშაობა, როგორც ეს წელი დავიწყეო, - ამბობს.

**ნინა სუბლატი:** - ლონდონში ჩემ ჩასვლას ელოდებიან, შეხვედრის შემდეგ გაარკვევენ, რომელ საფერხურზე უნდა ვისწავლო. ათი კვირით მომიწევს გამგზავრება. დარჩენის რა მოგახსენოთ, არ ვიცი, რამდენად მოხერხდება. ზოგადად, ისეთი ქვეყნები, სადაც შოუბიზნესი განვითარებულია, ძალიან მიზიდავს.

**- მეუღლესთან ერთად უნდა გაემგზავრო?**

- თუ ეცლება, აუცილებლად ეცდება, რომ ჩემთან ერთად გამოემგზავროს.

**- როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება ცოლ-ქმრობამ?**

- ახლაც ისეთები ვართ, როგორებიც შეყვარებულობის პერიოდში ვიყავით. იგივენაირად გვხიბლავს ერთმანეთი. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა არც არასდროს შეიცვლება. მე და გიორგი ორივე საყვარელი საქმიანობით ვართ დაკავებულები. სავალდებულო სამსახური არც ერთს არ გვაქვს. ჩვენი საქმე ჩვენი გასართობიც არის, სიხარულიც, თავის ტკივილიც, და საქმეც. შესაბამისად, ჩვენი ყოველდღიურობა მოსაწყენი არანაირად არ არის. ყოველდღე ახალი იდეებით ვილვიძებთ და მერე მას ვახორციელებთ. კლასიკური მუსიკა ჩემთვისაც ახალია და პოპი და ალტერნატივა გიორგისთვისაც ახალია.

**- მოწყენის საშუალებას არც ასაკობრივი სხვაობა გაძლევთ, ალბათ.**



**„იმისთვის, რომ ვინმე გიყვარდეს ძალიან დიდი ურთიერთგაგება და ნდობაა საჭირო. როცა ეს ორი რამ შენში ჭარბადაა, აუცილებლად გინდა შესაფერისი ადამიანი იპოვო. თუ პოულობ, გიმართლებს. სიყვარული მაინც გამართლებაა. მე ვთვლი, რომ გამიმართლა“**

- როცა ერთმანეთი გავიცანით, არც ერთს არ გაგვჩენია კითხვა - რამდენი წლის ვართ. არ ვაქცევთ ასაკს ყურადღებას და შესაბამისად, ასაკობრივი ბარიერი არ გვქონია. არც ერთს არ გვიჭირს ადამიანებთან ურთიერთობა. სიყვარული არ აუხსნია. მეც მარტივი და სადა ვარ ურთიერთობებში და გიორგიც ასეთივეა. არც ერთი არ ვართ რომანტიკული. გიორგი ჩემამდე ფიქრობდა, რომ ასეთი სერიოზული ურთიერთობის დაწყება არავისთან სურდა, მაგრამ იმდენად მოვეწონე და მისთვის საინტერესო ობიექტი აღმოვჩნდი, რომ ეს ნაბიჯი გადადგა და ურთიერთობა დაიწყო ჩემთან. ჩვენ პროექტის დასრულების შემდეგ დავიწყეთ სასიყვარულო ურთიერთობა. გადავწყვიტეთ, რომ მოგვწონდა ერთმანეთი და ურთიერთობა აქამდე მოვიყვანეთ.

**- სიყვარული რა არის შენთვის?**

- ორ რამის ახსნა მიჭირს - პირველი არის ის, თუ რატომ მიყვარს ასე ძალიან ჩემი საქმე და მეორე - რა არის სიყვარული? იმისთვის, რომ ვინმე გიყვარდეს ძალიან დიდი ურთიერთგაგება და ნდობაა საჭირო. ამის გამომუშავება რთულია. როცა ეს ორი რამ შენში ჭარბადაა, აუცილებლად გინდა შესაფერისი ადამიანი იპოვო. თუ პოულობ, გიმართლებს. სიყვარული მაინც გამართლებაა. მე ვთვლი, რომ გამიმართლა. სხვა შემთხვევაში ამ ნაბიჯს არანაირად არ გადავდგამდი.

**- ქორწილს გეგმავთ?**

- მასშტაბური თავყრილობების მოყვარული არც მე ვარ და არც გიორგი. შეიძლება ათ, ოც წელში მქონდეს ქორწილი.

**- ანუ გინდათ, შვილები დაესწრონ თქვენს ქორწილს.**

- ჩემი თავი ჯერ დედის ამპლუაშიც ვერ წარმომიდგენია. ამიტომ ამაზე ვერ ვფიქრობ.

მე და გიორგის ერთობლივი ცხოვრება დაწყებული გვქონდა, როცა, ერთ დღეს, უცებ ძალიან მოულოდნელად გადავწყვიტეთ, რომ ხელი მოგვეწერა, ჩვენი ურთიერთობა დაგვეკანონებინა. დილით ავდექით და წავედით. ახლო მეგობრებს არ ეცალათ, ამიტომ მეჯვარეების არჩევა უცებ მოგვიხდა, რითიც ჩვენი მეგობრები გავანაწყენეთ. მოვაწერეთ ხელი და წავედით „მაკდონალდსში“. შეიძლება ითქვას, ქორწილი „მაკდონალდსში“ გვქონდა. თარიღი არ მახსოვს).

**- თქვენი ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი გახსნილები ხართ მგონია ხშირად გიჟობთ ხოლმე.**

- ჩვენ ისედაც გიჟები ვართ. ჩვენ საქმეში ექსპერიმენტების კეთება გვიყვარს და ეს ექსპერიმენტები სიგიჟის ტოლფასია ხოლმე. გარკვეულ რისკებზე მივდივართ. ჩვენი საქმე ჩვენთვის სიგიჟეა. ბოლო დროს ნაკლებად ვმეცადინეობდით. ახლა გავაქტიურდით და ერთ ოთახში ერთად დავიწყეთ ვარჯიში. მე ვმღერი, ის რაღაც ნაწარმოებს ასრულებს და დიდი აურზაურია ჩვენთან. თუმცა ერთმანეთს ხელს არ ვუშლით. ვინმე თუ წუხდება, არ ვაქცევთ ყურადღებას.

**- თქვენთან მოსულ სტუმარს პირველად თვალში რა მოხვდება?**

- ადგილმიუჩენელი ნივთები. მოუწესრიგებელი ადამიანი ვარ და არასდროს მიზრუნია ნივთების ადგილსამყოფელზე, რადგან მათზე ყოველთვის დედა და ბებია ზრუნავდნენ. გიორგი ხანდახან მსაყვედურობს მოუწესრიგებლობაზე, მაგრამ იცის, რომ ეს საკითხი მაინც არაფრით გამოსწორდება. ამიტომ ცდილობს ამაზე ნერვები არ მოიშალოს, ან თვითონ ალაგებს, ან თავს ანებებს.

**- რთულია ერთ ჭერქვეშ ორი მუსიკოსის ცხოვრება?**

- უფრო რთული იქნებოდა გიორგი საერთოდ რომ არ ყოფილიყო ხელოვანი. გვერდით კარგი მრჩევლის ყოლა აუცილებელია. კარგი გემოვნება და გამოცდილება აქვს და რჩევის მოცემა შეუძლია კორექტულად.

**- ნინა, შენ ალბომში რა სიმღერებს მოვისმენთ?**

- ჩემი მსმენელი ერთი ჟანრის მიმდევარი არ არის. ამიტომ ყველა მათგანის ინტერესი რომ დამეკმაყოფილებინა, ვცდილობ სხვადასხვა ჟანრის სიმღერების შეტანას. მრავალფეროვანი და საინტერესო ალბომი გამოდის. მიხარია, რომ მასში ჩემი ხუთი სიმღერა შევა. კონტრაქტით იმის საშუალება არ მაქვს, რომ მთელი ალბომი ჩემი სიმღერებით იყოს დაკომპლექტებული. ჩემდა სამწუხაროდ, ალბომში ხუთი ქავერი უნდა შევიდეს. ვეცადე, რომ ამ მხრივაც მრავალფეროვანი რეპერტუარი შემერჩია. მათ შორის შევარჩიე ტორი ამოსი, ალანის მორისეტი. ალბომში შევა ირაკლი ჩარკვიანის სიმღერა „ნაიარევს“, რომელიც პროექტში შევასრულე. ახლა ტექსტების წერით ვარ გართული. ჯერ არ ვიცი, რა ერქმევა ალბომს. სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში გამოვა და მისი პრეზენტაცია „იქსფაქტორის“ დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შედგება.





**„გიორგი ჩემამდე ფიქრობდა, რომ ასეთი სერიოზული ურთიერთობის დაწყება არავისთან სურდა, მაგრამ იმდენად მოვეწონე და მისთვის საინტერესო ობიექტი აღმოვჩნდი, რომ ეს ნაბიჯი გადადგა“**






**„მოულოდნელად გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი ურთიერთობა დაგვეკანონებინა. დილით ავდექით და წავედით. ჩვენ ახლო მეგობრებს არ ეცალათ, ამიტომ მეჯვარეების არჩევა უცებ მოგვიხდა, რითიც ჩვენი მეგობრები გავანაწყენეთ. მოვაწერეთ ხელი და წავედით „მაკდონალდსში“. შეიძლება ითქვას, ქორწილი „მაკდონალდსში“ გვქონდა“**



**„ჩვენ ისედაც გიჟები ვართ. ჩვენი საქმე ჩვენთვის სიგიჟეა. ბოლო დროს ნაკლებად ვმეცადინეობდით. ახლა გავაქტიურდით და ერთ ოთახში ერთად დავიწყეთ ვარჯიში. მე ვმღერი, გიორგი რაღაც ნაწარმოებს ასრულებს და დიდი აურზაურია ჩვენთან. თუმცა ერთმანეთს ხელს არ ვუშლით“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებული მოცეკვავე უპრიზოდ დატოვეს

my View
თამარ გონგაძე

**„ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულების - ქეთი ხატიაშვილისა და თაკო ჩორგოლაშვილის მეწყვილე მოცეკვავეები - გიორგი ბარბაქაძე და გაგა თოდუა ჯილდოს გარეშე დატოვეს. შოუს წინა ორ სეზონზე პირველ მეორე ადგილებზე გასული მოცეკვავეები პროექტის სპონსორისგან, „თიბისი ბანკისგან“ 5 ათასი ლარით დაჯილდოვნენ. შესაბამისად იგივე პრიზს ელოდნენ გიორგიც და გაგაც და ამ თემის გარკვევის გარეშე მივიდნენ ფინალამდე. გამარჯვების სანაცვლოდ სიურპრიზად მხოლოდ ტაში და დიდება მიიღეს. „მეც გამიკვირდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე მოხდა. ეს სპონსორის გადაწყვეტილებაა“, - ამბობს შოუს პროდიუსერი ნოე სულაბერიძე.**



## გიორგი ბარბაქაძე: „დაჯილდოების დროს იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ გამარჯვებული ვარ, ჩემ გარშემო ჯილდოვდებოდნენ მესამე, მეოთხე ტურს გამოთიშული წყვილები და ამ დროს მე - არაფერი“

EXCLUSIVE

გიორგი ბარბაქაძე ანტალიიდან სპეციალურად ჩამოვიდა, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიეღო მონაწილეობა. ამისთვის კონტრაქტი დაარღვია, რომელიც ნოემბრის ბოლოს ეწურებოდა. გიორგიმ შოუში მონაწილეობა არჩია და თბილისში სექტემბერში ჩამოვიდა. ამბობს, რომ ამისთვის გადახდილი ჯარიმა და მგზავრობის ხარჯები ულირდა იმად, რომ ამ პროექტში ყოფილიყო. გიორგის ასევე ჩამოაჭრეს ბოლო თვის ნამუშევრის ხელფასი. მარტიდან მოყოლებული მოცეკვავე ანტალიაში ერთ-ერთი ქორეოგრაფის ასისტენტი იყო და შოუ-პროგრამებს აკეთებდა. ბარბაქაძე პირველ სეზონში ქრისტინე იმედაძის მეწყვილე იყო. მეორეში არ მიუღია მიონაწილეობა. გიორგი ბავშვობიდან მძლეოსანია. საქართველოს ნაკრებში მოჭიდავეც კი იყო. ასე მოვიდა თანამედროვე ცეკვის სფეროში.

„პირველ სეზონში ჩემი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინე. მაქსიმუმი არც ახლა გამომივლენია, მაგრამ კარგ შედეგს მივაღწიე. ჩემი და ქეთის წყვილი შედგა და ამის შედეგი იყო გამარჯვება. ფინალში გასვლის „ჟილკა“ მქონდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე ცეკვების მოცეკვავე ვარ და ლათინური ცეკვების პროექტში ვმონაწილეობდი. ჩემი მხრიდან ესეც ერთგვარი გამარჯვებაა“, - ამბობს გიორგი.

**- შოუში მონაწილეობისთვის მოცეკვავეები ჰონორარს იღებდით?**

- მოცეკვავეები ვიღებდით ხელფასს. მე სამ თვე-ნახევარი მიხდიდნენ.

**- და წინასწარ არ გაარკვიეთ, რა ერგებოდა გამარჯვებულ მოცეკვავეს? იქნებ პირობები იცვლებოდა?**

- როცა ახალ წელს ცეკვავ, ფინალისტი ხარ, ეს კითხვა რატომ უნდა გაგიჩნდეს? ამაზე არ ფიქრობ. პირველ ორ სეზონზე პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა მოცეკვავეებმა ხუთ-ხუთი ათასი ლარი აიღეს. ვფიქრობდით, რომ მესამე სეზონშიც ასე იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თანხა არ იყო დასახელებული. არსად არ მომხდარა გამარჯვებული ვარსკვლავის მეწყვილე ჯილდოს გარეშე დარჩენილიყო. შოუს მონაწილე ყველა მოცეკვავე ფიქრობდა, რომ ეს მიზერული თანხა ერგებოდა. კითხვაც არავის გასჩენია.

## „პირველ ორ სეზონზე პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა მოცეკვავეებმა ხუთ-ხუთი ათასი ლარი აიღეს. ვფიქრობდით, რომ მესამე სეზონშიც ასე იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თანხა არ იყო დასახელებული, კითხვაც არავის გასჩენია“

**- ვისი ბრალია ეს გაუგებრობა?**

- ხელს ვერავის ვადებ, უბრალოდ, ვფიქრობ, გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, აირია სიტუაცია. აღმოჩნდა, რომ სპონსორებთან იყო შეთანხმება, რომ რაღაც საჩუქარი მიგვეღო მე და გაგა თოდუას, მეორე ადგილზე გასულ მოცეკვავეს. ჩვენ დავსვით კითხვა, რატომ მოხდა ასე. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე მოხდაო, ეს პასუხი მივიღეთ. ჩვენმა პროდიუსერმა პირდაპირ ეთერში თქვა, რომ ერთ-ერთმა მსხვილმა სპონსორმა ბოლო მომენტში გადაწყვიტა, რომ აღარ შეგვხმიანებოდა. გიორგი ყიფშიძეს ბინა რომ გადასცეს, ხალხი შევიდა შეცდომაში და ეგონათ მე მომცეს ბინა, რადგან მეც გიორგი მქვია და გამარჯვებული ვიყავი. რაც იყო, იყო... ვფიქრობ, ჩემმა მატარებელმა ჩაიარა. გასაჩივრებას არ ვაპირებ, ამით არავინ დაგასაჩუქრებს.



**- შემოთავაზების შემთხვევაში, შემდეგ სეზონზე მიიღებ მონაწილეობას?**

- შესაძლებელია მივიღო. ცეკვა ჩემი საქმეა, რომელიც მიყვარს. საჩუქრისთვის არ ვცეკვავ. მაგრამ მეტად გახარებული იქნები, როდესაც თავს დაფასებულად იგრძნობ. გულდაწყვეტილი ვარ. ყოველდღიურად მთელი ჩემი ენერგია ამ პროექტში წარმატების მისაღებად მქონდა გადადებული. აღებული ხელფასი ამავე პროექტში სიარულში დავხარჯე. ეს არ იყო ისეთი თანხა, რითიც კმაყოფილი შეიძლებოდა დარჩენილიყავი. ვფიქრობ, ამ სიტუაციას გაითვალისწინებენ და შემდეგ სეზონზე მეტად იქნება დაფასებული მოცეკვავის შრომა.

## „ვფიქრობ, ამ სიტუაციას გაითვალისწინებენ და შემდეგ სეზონზე მეტად იქნება დაფასებული მოცეკვავის შრომა“

**- მოტყუებულად თვლი თავს?**

- მე არ ვიტყვი, რომ ვინმემ რამე მომატყუა. დაჯილდოების დროს იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ გამარჯვებული ვარ, ჩემ გარშემო ჯილდოვდებოდნენ მესამე, მეოთხე ტურს გამოთიშული წყვილები და ამ დროს მე - არაფერი. გაგა თოდუას ბებიამ აღნიშნა, ერთი ფოჩიანი კანფეტი მაინც ეჩუქებინათ იმის გამო მაინც, რომ ახალი წელი იყოო.

**- თქვენი შემთხვევა შემდეგ სეზონში არ დააფრთხობს მოცეკვავეებს?**

- რა თქმა უნდა, ასე იქნება. ვფიქრობ, მეოთხე სეზონზე მოცეკვავე მხოლოდ ხელფასის აღებით არ იქნება კმაყოფილი და საპრიზო თანხის გარკვევას თავიდან შეეცდება. ეს ცნობილი უნდა იყოს, როგორც პირველ სეზონზე იყო ცნობილი. პროექტმა ბევრი რამ მომცა, მოცეკვავეებს სახელი მოგვიტანა, უკვე ცნობილნი ვართ. აქამდე სხვადასხვა პროექტებში, შოუებში, კონცერტებში, უკანა პლანზე, ბექგრაუნდებში ვცეკვავდი. არავინ მიცნობდა. ამ პროექტმა ჩემი თავი წარმომაჩენინა და თავი ნამდვილ მოცეკვავედ მაგრძნობინა. შოუ ბალეტ „ვერნისაჟში“ ვცეკვავ. მიწევს მოყვარულებთან და ბავშვებთან მუშაობა. რა წარმატება და გამარჯვებაც მაქვს, თავში არ ამვარდნია. „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ კიდევ თუ გადავწყვეტ მონაწილეობას, მოვითხოვ ამიხსნან, რა სტიმულს მთავაზობენ იმისთვის, რომ მონაწილეობა მივიღო. ნებისმიერმა მოცეკვავემ უნდა გაითვალისწინოს ის შრომა, რაც ამ შოუს მონაწილეს აქვს.



„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ კიდევ თუ გადავწყვეტ მონაწილეობას, მოვითხოვ ამიხსნან - რა სტიმულს მთავაზობენ იმისთვის, რომ მონაწილეობა მივიღო“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თამაშგარე დარჩენილი განათლების სამინისტრო



ლუკა ეხვაია

**თავის დროზე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ძალიან ბევრი ითქვა ე.წ. გია დვალის კომისიასთან და მათ მიერ შემუშავებულ კონცეფციასთან დაკავშირებით.**

მაგალითისთვის, გაკეთდა ასეთი კომენტარიც, რომ ეს კონცეფცია, სიმბოლურად, სახლის პროექტია, ხელისუფლებამ კი მისკენ მიმავალი გზა უნდა გაიყვანოს. ამ სახის კომენტარებში ერთი საერთო აზრი იკითხებოდა, კონცეფცია მისაღებია, ვიწონებთ, მეტიც, მხარსაც ვუჭერთ, მაგრამ მის იმპლიმენტაციამდე საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და გარკვეული წესრიგის დამყარება უმაღლესებში. ერთი შეხედვით განათების სისტემის კრიზისულ კონდიციას მთავრობა კარგად აანალიზებდა. წელიწადზე მეტი გავიდა, რაც განათლების და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიამ გამოაქვეყნა ხედვა(ავტორები: გია დვალი, ზაალ კოკაია, დავით ლორთქიფანიძე, ვაჟა ბერეჟიანი), რომელზე დაყრდნობითაც განათლების სისტემის რეკონსტრუქცია უნდა მომხდარიყო. დამოუკიდებელი კომისიის მიერ შემუშავებული კონცეფცია აბსოლუტურად გასაგებ პრინციპებს ეფუძნებოდა, როგორიცაა აკადემიური თავისუფლება, აკადემიური მიუკერძოებლობა და აკადემიური ხარისხი, რომელიც. თავის მხრივ, ტენუარის სისტემას უკავშირდება.

ტენუარის სისტემის არსში მარტივად ჩასაწვდომად საკმარისია კოლბის კოლეჯის(ერთ-ერთი უძველესი „ლიბერალ არტის“ კერა) ყველაზე გამოჩენილი პრეზიდენტის, უილიამ კოტერის სიტყვები მოვიყვანოთ, „ტენუარის სისტემა ზრდის კრეატიულობას, უზრუნველყოფს სტაბილურობას და ხელს უწყობს პროგრესის უწყვეტობას“. როგორც გია დვალმა თქვა, კითხვა, ვართ თუ არა მზად დამოკრატიისთვის - შეურაცხყმოფელიაო, ასევე შეურაცხმყოფელია იმის კითხვა, ვართ თუ არა მზად მსოფლიო სტანდარტების დანერგვისთვის, რაც საქართველოს ხელს შეუწყობს ღირსეული ადგილი დაიკავოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში.

ამ რეფორმის განხორციელების შემთხვევაში, როგორც უკვე ვახსენეთ, დაინერგება ტენუარის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს აკადემიური პერსონალისთვის სტაბილურობის, აკადემიური თავისუფლების და ხარისხის კონტროლის გარანტიების შემოღებას, სამუდამო ან გრძელვადიანი კონტრაქტების დადებით. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, ამ ტიპის კონტრაქტები აკადემიურ პირებთან საბჭოთა კავშირის დროსაც ფორმდებოდა, მაშინ რა განსხვავებაა მათ შორის, ხომ არაა ეს მიდგომა არქაული და რისკების შემცველი? ფუნდამენტური განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირის პირობებში სამუდამო ან გრძელვადიანი კონტრაქტები იდებოდა ნომენკლატურის დიქტატით, ხოლო ე.წ. გია დვალის კონცეფციაში მეცნიერული ხარისხის კონტროლი ხორციელდება თანასწორუფლებიან კოლეგათა მიუკერძოებელი ურთიერთშეფასების გზით. სხვა სიტყვებით, ვინმე კონრეტული პოლიტოლოგის ნაღვაწს აფასებენ მსოფლიო დონის პოლიტოლოგები, ამ პროცედურის დროს კი სრული ანონიმურობა, რაღა თქმა უნდა, დაცულია. სწორედ ამგვარად, მეცნიერული საზოგადოება ხდება თვითრეგულირებადი და თვითმმართვადი ორგანიზმი, სივრცე, რომელზეც რეპრესიების გატარება მთავრობის თუ კერძო ინსტიტუციების მიერ თითქმის შეუძლებლი ხდება. სივრცე, საიდანაც სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად მთავარი იმპულსები წამოვა.

ცალკეული ინდივიდების ენთუზიაზმის მიუხედავად ქვეყანაში ვერანაირი რეფორმა ვერ გატარდება, იმედიანი დასაწყისის მიუხედავად ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სრულ უძრაობაშია ჩაძირული, განათლება ქვეყნის პრიორიტეტი ისევ და ისევ ვერ გახდა, ინტელექტუალური კაპიტალის გადინება კვლავ გრძელდება. რაც ყველაზე სავალალოა, განათლების სისტემა ინერციით განაგრძობს სვლას, ეს სადამდე მიგვიყვანს, არავინ უწყის. ამ დროის მანძილზე კარგად გამოჩდა, რომ მათ მომავალზე პასუხისმგებლობა უნამუსოდ მოიხსნეს. სამინისტროს მიერ გატარებულ მიკრო დონის ცალკეულ რეფორმებზე საუბარიც არ ღირს, ცალსახად სჩანს, რომ ამ სფეროში ერთიანი ხედვა, გააზრებული ვექტორი და საერთო კონტექსტი სრულიად უგულვებელყოფილია. მათ ისიც ვერ შეძლეს, რომ საჯაროდ და დეკლარირებულად უკუეგდოთ კონცეფცია ან კონცეფციის ალტერნატივა შემოეთავაზებინათ. შექმნილი პირობები ძალიან ბევრს აფიქრებს და ლეგიტიმურ ეჭვს აღუძრავს, რომ კომისიის წევრების ავტორიტეტი მთავრობამ პიარისა და არჩევნებისთვის ხმების მოსაგროვებლად გამოიყენა. მოცემულობიდან გამომდინარე თავისუფლად შეიძლება ამის ვარაუდი. განათლების სისტემის ფუნდამენტური რაფინირების და რეფორმირების გარეშე ძნელია შემდგარი სახელმწიფოს და ჯანსაღი სამოქალაქო სექტორის წარმოდგენა. საზოგადოებაში აუცილებელია იმის გააზრება, რომ ობსკურანტიზმთან ბრძოლის ყველაზე პოზიტიური ალტერნატივა განათლებაა. ბოლოს კი გერმანელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის სიტყვებს გავიხსენებ: „განმანათლებლობა არის ადამიანის გამოსვლა არასრულწლოვანებიდან, ანუ გაბედულება სხვისი ზედამხედველობის გარეშე გამოიყენოს საკუთარი გონება, საკუთარი განსჯა და დაუჯეროს მას. იგი გაბედულებაა, რადგან მიღებული დასკვნები, შეიძლება არა მარტო ტრადიციას და არსებულ პოლიტიკას, არამედ, თავად ღმერთის არსებობის წინააღდეგ იყოს მიმართული.



# „ბრავო რექორდსი“ და ჯგუფი The Groove სადებიუტო ალბომით

**მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რექორდსი“, გარდა ცნობილ და უკვე წარმატებულ მუსიკოსებთან თანამშრომლობისა, დამწყებ, ნიჭიერ და ორიგინალურ მუსიკოს-შემსრულებლებს მუდმივად ეძებს. ჯგუფი The Groove სწორედ იმ ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლების სიაში მოხვდა, რომლებმაც „ბრავო რექორდსის“ მუსიკალური პროდიუსერების ყურადღება მიიპყრეს: „ჯგუფი ძალიან დახვეწილ, გემოვნებიან და საინტერესო მუსიკას სთავაზობს მსმენელს. მათ დიდი მომავალი ელით, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ, მუსიკალურ ბაზარზე“, - აღნიშნავს მუსიკალური ბიზნეს კომპანია „ბრავო რექორდს“-ის დამფუძნებელი ზაზა შენგელია.**




ჯგუფის სადებიუტო ალბომი, სახელწოდებით „Meditate“, შედგება ორი დისკისაგან: CD და DVD. CD მოიცავს 12 ინგლისურენოვან მუსიკალურ ნაწარმოებს, ხოლო DVD – ვიდეორგოლს, რომელიც გადაღებულია ერთ-ერთ მუსიკალურ ნაწარმოებზე, ალბომის გამხსნელ სინგლზე – „Run, Forrest, Run“ (რეჟისორი: ბასა ფოცხიშვილი.). ჟანრობრივად შერეული სტილის რეპერტუარისა და ინგლისურენოვანი ტექსტებს ავტორები ჯგუფის წევრები თავადვე არიან. The Groove სადებიუტო ალბომის წარსადგენად დიდი შემართებით ემზადებოდა.

**გიორგი ვახტანგიშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი და გიტარისტი:** „ჩვენ 2012 წელს შევიკრიბეთ და მოღვაწეობის დაწყებამდე ბენდში გარკვეული ცვლილებების შეტანაც დაგვჭირდა. თუმცა, The Groove-მა აღნიშნული გამოწვევების გადალახვა შეძლო. ამაში მსმენელისთვის ჩვენი მუსიკის გაზიარების სურვილი გვეხმარებოდა, რომელსაც გეოგრაფიული საზღვრები ვერ შეზღუდავს, რადგან თავად მუსიკას ჩარჩოები არ აქვს.

ბენდის სახელწოდება ჩვენი ერთობლივი შემოქმედების აღქმიდან გამომდინარეობს - შემოქმედებით პროცესს „მუღამში ყოფნას“ (grooving) ვუკავშირებთ. ალბომს მისი ერთ-ერთი შემადგენელი სიმღერის, Meditate (მედიტაცია), სახელი ჰქვია. ეს სახელი საკმაოდ კარგად ასახავს ამ ალბომის მიმართ ჩვენს განწყობას. ახალგაზრდა შემსრულებლები ვართ და მთავარ მიზნად მსმენელის გონებასა და გულში ჩვენი მუსიკის დამკვიდრებას ვისახავთ. ხშირად ვამბობთ, რომ ჩვენი მუსიკა მეტწილად გრძნობებს გადმოსცემს. მთელი შემოქმედება გრძნობების გარშემო ტრიალებს და მათი გაზიარება გვინდა, რადგან გრძნობები მხოლოდ ამისთვის არსებობს“.

ალბომის საპრეზენტაციო კონცერტი თებერვლის თვეში უნივერსიტეტის დარბაზში იგეგმება. „ბრავო რექორდს“-ში მიმდინარეობს საკონცერტო სამზადისი. ჯგუფი, რეპერტუარიდან გამომდინარე, შერეული სტილის, ორიგინალური იმიჯით და ჩაცმულობით წარსდგება მსმენელის წინაშე, რომელზეც ანუკა მურვანიძე და მარიამ მახარაძე ზრუნავენ.

„ბრავო რექორდსი“ და ჯგუფი „The Groove“ მადლობას უხდის „Bed Lounge“-ს მხარდაჭერისათვის.

**ზვიად მაისაშვილი:** The Groove - ძალიან ნიჭიერი ადამიანების ჯგუფია, წერენ მუსიკას და თავიანთ დაწერილ სიმღერებს ასრულებენ, ძალიან მოგვეწონა მათი ნამუშევრები და ამიტომ გადავწყვიტეთ დავხმარებოდით ასეთ ადამიანებს წინსვლაში.





გიორგი მეფისაშვილი (ვოკალი),
ანი კეკუა (ვოკალი),
რევაზ ედგარიძე (დასარტყამი ინსტრუმენტი),
ირაკლი გაფრინდაშვილი (სოლო გიტარა),
ლევან მიქაბერიძე (ბასი),
გიორგი ვახტანგიშვილი, (რითმ გიტარა), კომპოზიტორი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „არტარეა“ - რადიკალურად განსხვავებული არხი



„ჩვენი არხი რადიკალურად სხვა არხია. აქ არის მშვიდი ტონალობა, აბსოლუტურად სხვა სამეტყველო ენა, ჩვენ იმ ენაზე ვსაუბრობთ, რაზეც საუბრობენ ადამიანები“

„მოიტანეთ თქვენი სკამები, „ადიალები“, „პუფები“, ბალიშები და დაესწარით ჩვენს ლექციებს, აბსოლუტურად თავისუფალი გარემოა“



**my View**

დეა თავბერიძე

**ისინი მსჯელობენ, ლოგიკურ აზრამდე მიდიან და მაყურებელს საშუალებას აძლევენ გააცნობიერონ ეს ყველაფერი. ლაშა ბუღაძე, ნიკა მაჩაიძე, დათო ტურაშვილი, რატი ამაღლობელი, ნინო დარასელი, ვატო წერეთელი, გიორგი კალანდია, ნატალია ბერიძე, ნინია კაკაბაძე ცნობილი თუ დებიუტანტი ავტორები - ერთ სამუშაო სივრცეში შეკრებილი საინტერესო ადამიანები. შემეცნებითი გადაცემებითა და გემოვნებიანი და პოზიტიური თემებით. ალბათ, სწორედ ამის დამსახურებაა, რომ ინტერნეტ ტელევიზია, რომელმაც ძალიან მოკლე დროში დაიპყრო მაყურებელი, უკვე სატელევიზიო სივრცეშია. ტელევიზიებში დაძაბული პოლიტიკური თუ სოციალური თემების შემდეგ „არტარეა“ უჩვეულო და ბევრისთვის სასურველ ნიშას პოულობს. ქართულ რეალობაში ეს იქნება პირველი მედია არხი კულტურაზე.**

**სოფო ხუნწარია, „არტარეა“-ს ხელმძღვანელი:** „არტარეა“ წელიწადისა და რვა თვის თავზე გავიდა ეთერში, ჩვენ უკვე აღარა ვართ მხოლოდ ინტერნეტ ტელევიზია, ჩვეულებრივი მაუწყებლები გავხდით. ვმაუწყებლობთ „კავკასუს ონლაინისა“ და „სილკნეტის“ საკაბელო ტელევიზიებში, რამდენიმე თვეში კი დანარჩენ სხვა საკაბელო არხებსაც მოვიცავთ, რომელიც დაახლოებით 20-მდეა საქართველოში. ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებულები ვიქნებით. ჩვენი საზოგადოება ამ ფორმატის მაუწყებელს მოკლებულია. ეს ახალი თაობის მედიაა, რომელიც ადამიანზეა ორიენტირებული, მათ სულიერ მოთხოვნებზე და ემოციებზე. აძლევს ფიქრის საშუალებას და მუხტავს პოზიტივით. ეს არის ყველაზე მთავარი, რაც, ვფიქრობ, ჩვენი წარმატების ფორმულა იქნება“.

### საიდან დაიწყო ეს პროექტი

„პროექტი, თიბის ბანკის საიუბილეო წლის ფარგლებში შეიქმნა. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია თიბისის მონაწილეობა, საქართველოში მათ შექმნეს პრეცედენტი, როდესაც კერძო სექტორმა ასე მასშტაბურად დააფინანსა სფერო, რომელსაც კულტურა ჰქვია. გამიხარდება თუ სხვებიც მიბაძავენ თიბისი ბანკის მაგალითს, რადგან ამ სახის პროექტში ჩართვა იმისთვის, რომ ქართული კულტურის პოპულარიზაცია მოხდეს და თანამედროვე ხელოვნების დოკუმენტირება დაიწყოს, რომელიც წლების შემდეგ დარჩებათ თაობებს, ძალიან მნიშვნელოვანია.

ამჯერად ჩვენ დამოუკიდებლად ვაგრძელებთ მოღვაწეობას, ბანკის თანადგომას მუდმივად ვგრძნობთ, თუმცა მოგვეცა შესაძლებლობა, ჩვენი პლატფორმა სხვა ბრენდებსაც დავუთმოთ და ერთად ვაკეთოთ საქმე, რომელიც საზოგადოებისთვის ყველაზე სასარგებლო და ღირებულია.

მე მჯერა ქართული ბიზნესის, რომ ისინი მეტად აქტიურები იქნებიან და გვერდში დაუდგებიან საქმეს, რომელიც მათი მომხმარებლისთვის შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს, მათ უნდა გაიზიარონ ის სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ასე ძალიან სჭირდება ჩვენს ქვეყანას“.

EXCLUSIVE

### კონცეფცია მაყურებლისთვის და ვებ.მომხმარებლისთვის

ჩვენთან არ არიან ჟურნალისტები, უბრალოდ, თავის საქმეში, ტავის სფეროში კომპეტენტური ადამიანები არიან, ისინი გადაცემებს საკუთარი სუბიექტური ხედვით ქმნიან და უზიარებენ მაყურებელს. არხის თუ ვებპორტალის შეფუთვა, გადაცემების ფორმატი, გადაღების თუ მონტაჟის სტილისტიკა, ვცდილობთ, განსხვავებული, დინამიკური, ხარისხიანი, ალტერნატიული იყოს. ის, რაც შუქდება, მზადდება მომხმარებლისთვის თუ მაყურებლისთვის, ჩვენ ასე ვხედავთ - ეს ერთგვარი სლოგანია „არტარეასი“, რადგან გვინდა, რომ ჩვენს „არტარეას“ „რელსებზე“ გადმოვიყვანოთ მომხმარებელი. იმედია, ჩვენი მაყურებელი მრავალრიცხოვანი იქნება და მომხმარებლებიც გაიზრდებიან და ბევრი თანამოაზრე გაგვიჩნდება, ვინც ჩვენთან ერთად ჩვენს სუბიექტურ ხედვას გაიზიარებს.

ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობა კი გუნდური პრინციპით მუშაობა, თავისუფალი სარედაქციო პოლიტიკაა. სწორედ თავისუფლება განაპირობებს იმას, რომ ჩვენ გარშემო უკვე საკმაოდ ბევრი არტისტი, ხელოვანი იყრის თავს. თუ თავიდან თორმეტნი ვიყავით, მერე გავხდით ოცდაათნი, მერე ორმოცდაათნი, ახლა, სახელოვნებო წრეში, უკვე ძალიან ბევრი ჩვენს გვერდზეა.

აქცენტი სულ ცნობილ სახეებზე კეთდება, რომლებიც „არტარეას“ ავტორები არიან, თუმცა აქვე დებიუტანტ ავტორებს გავუსვამ ხაზს, რადგან ისინი არანაკლებ საინტერესო პროდუქტს ქმნიან, მაგალითისთვის, გიორგი მაისურაძეს მოვიყვან, საინტერესო გადაცემით U.F.O. ის facebook-ით გაგვეცნო, დღეს კი ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ვიდეობლოგერია.

რაც შეეხება გადაცემებს, შემიძლია სულ ახალ პროექტზე გესაუბროთ, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეულია. „გამოტოვებული 70 წელი“, - ასე ჰქვია ამ გადაცემას, აქ არის აქცენტები დასმული აბსოლუტურად ყველაფერზე, რაც ჩვენ 70 წლის მანძილზე გამოვტოვეთ და რატომაც გვიჭირს დღეს თანამედროვე ხელოვნების აღქმა და მიღება კინოს, თეატრისა თუ მუსიკის მიმართულებით. ავტორი ნიკა მაჩაიძეა, თუმცა გადაცემაზე მასთან ერთად დიდი გუნდი მუშაობს. ასევე გამოვარჩევდი ნინა ახვლედიანის არტსინდრომს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ვიზუალური ხელოვნების სიახლეებზე აკეთებს აქცენტებს, ახალი გადაცემები იქმნება კინოსა და თეატრის მიმართულებითაც, დავიწყეთ დოკუმენტური ფილმების წარმოება და კიდევ ბევრი სიურპრიზი ელის მაყურებელს, რომელსაც სურს ნახოს ახალი და საინტერესო მიმართულებები“.

### „ჩვენი არხი რადიკალურად სხვა არხია“

„ქვეყანაში არის საკმაოდ დიდი რესურსი იმისთვის, რომ კულტურული არხი გაკეთდეს და დადგეს ფეხზე. ძალიან ბევრი რამ ხდება ჩვენს გარშემო, რომელიც არ შუქდება, ვერ ერევიან სხვადასხვა ტელევიზიები, მხოლოდ იმის გამო, რომ დიდი ნაწილი პოლიტიკას და სოციალურ თემებს უჭირავს. ტელევიზიებში აქცენტი მუდმივად გაკეთებულია საინფორმაციოზე. შესაბამისად, ტონიც, რიტორიკაც, მეტყველებაც აბსოლუტურად განსხვავებულია. ჩვენი არხი რადიკალურად სხვა არხია. აქ არის მშვიდი ტონალობა, აბსოლუტურად სხვა სამეტყველო ენა, ჩვენ იმ ენაზე ვსაუბრობთ, რაზეც საუბრობენ ადამიანები. თუ მაყურებელს სურს არ იყოს ჩართული, დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებასა და დაძაბულ სოციალურ გარემოში, უნდა ამ ყველაფერს



გამოეთიშოს, იყოს მშვიდად, მიიღოს ძალიან დიდი პოზიტივი და შეიმეცნოს, აუცილებლად უნდა გადმორთოს „არტარეა“-ზე... არხზე, როგორც ვებტელევიზიაში არის არა მარტო გადაცემები, არამედ კონცერტებიც, მათ შორისაა ორი წლის განმავლობაში ჯაზფესტივალისა და ჯაზსერიების მიმართულებით გადაღებული ყველა კონცერტი, ასევე ექსკლუზიური ინტერვიუები ყველა იმ დიდ ვარსკვლავთან, რომელიც საქართველოში ყოფილა ჩამოსული. ტასო ჩხეიძეს მათგან საკმაოდ საინტერესო ინტერვიუები აქვს აღებული. ვცდილობთ, თანამედროვე არტისტებიც წავახალისოთ და გავუკეთოთ კლიპები, გვაქვს საკმაოდ საინტერესო ვიდეოები ამ მიმართულებით. გამორჩეულია, მაკა კუკულავას და ნატა სოფრომაძის ფეშენ ბითი, ზურაბ ჯიშკარიანის სფეის პანკი, ნინო დარასელის აიდი, თინა ასათიანის დოკუმენტური ჩანახატები, გიგი გულედანის თაიმლაინი, ვაჟა მარის რეკომენდაცია, ანი ჩერგოლეიშვილის და კვლავ გიორგი მაისურაძის ინდექსი“.

### „ორიენტირებულები ვართ რეალურ სივრცეზე“

„არტარეა“ ჩვენი მომხმარებლისთვის თუ მაყურებლისთვის, ხელშესახებია. ჩვენთან ძალიან ბევრი ღონისძიება ტარდება, რომლებსაც შემდეგ ეძლევათ გადაცემის სახე. „ერთ-ერთი „ქუჩის აკადემიაა“, ლექციათა კურსი, შეგნებულად არჩეული სახელწოდებით. ქუჩის აკადემიაში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ლექტორებს ვიწვევთ, განსხვავებული თემებით. ლექციებზე დასწრება თავისუფალია და ძალიან ბევრი ხალხი დადის, ისეთი ადამიანების მოსასმენად, როგორებიც გია დვალი, ლევან ბერძენიშვილი, მამა ილია ჭიღლაძე, ხათუნა ხაბულიანი თუ სხვები არიან. კარგ ამინდებში ეზოში ვატარებთ, ამიტომაც ყველას მოვუწოდებთ, მოიტანეთ თქვენი სკამები, „ადიალები“, „პუფები“, ბალიშები და დაესწარით ჩვენს ლექციებს, აბსოლუტურად თავისუფალ გარემოში. ძალიან გვინდა, რომ ხელშესახები ბრენდი ვიყოთ, არა მარტო კომპიუტერისა და ტელევიზიების საშუალებით შეგვეხონ, არამედ რეალურად მოვიდეს ნებისმიერი ვისაც ჩვენთან ერთად ყოფნა უნდა და ვინც დაინტერესებულია „არტარეათი“. ინტეგრირება მეტად ხდება, მეტი გულშემატკივარი გვიჩნდება ამით. მეტად ერთვებიან პროცესში. ჩემთვის ეს შემოქმედებითი პროცესია იმიტომ რომ ჩვენც მათგან ძალიან დიდ ინსპირაციას ვიღებთ. ახალ ოფისში, საგალერეო დარბაზიცაა და ვფიქრობ, რომ საკმაოდ აქტიურები ვიქნებით ამ მიმართულებითაც. უკვე გაკეთდა მაია სუმბაძის გამოფენა, ბევრი სტუმარი გვყავდა, ასევე იყო ჩუბიკას გამოფენა. გვაქვს ნატალია ბერიძის მუსიკალური კოლაბორაციებიო, რომლებიც როგორც გადაცემა იწერება, თუმცა მასზე დასწრებაც თავისუფალია. ბევრი ადამიანი დადის ახლად გახსნილ კაფეშიც, რომელიც არტარეას ტერიტორიაზეა და მას „არტი შოკი“ ჰქვია, კაფე გუგა კოტეტიშვილისა და მარიკო გუბელაძის გაკეთებულია, შესაბამისად ინტერიერიც და საჭმელიც საინტერესოა“.

### სამომავლოდ

„არტარეა“ საკმაოდ საინტერესო ტერიტორიაზეა განთავსებული, ეს არის ძალიან დიდი, ურბანული სივრცე, დანგრეული ქარხნის შენობებით, რომელიც დიდ სახელოვნებო სივრცედ უნდა გადაიქცეს, სადაც ყველა შემოქმედისთვის იქნება ადგილი, ექსპერიმენტული დარბაზი, სახელოსნოები, პატარა თეატრი, სცენა ყველა არტისტისთვის. გაზაფხულიდან აქ გაკეთდება ღია კინო, გავუშვებთ საინტერესო ფილმებს.

ჩვენთვის მთავარია მომხმარებელი თუ მაყურებელი, არ დავღალოთ. ადამიანს, რომელიც ძალიან გვიყვარს, ფიქრის საშუალება მივცეთ და დავუტოვოთ განცდა, რომელზეც დაფიქრდება და სავსე იქნება პოზიტიური ენერგიით. ეს არის მნიშვნელოვანი, გვინდა მათ გულებამდე, მათ გონებამდე და მათ ემოციებამდე მივაღწიოთ, მერე კი ისინი აუცილებლად შემოგვიერთდებიან და ყველაფერს შეხედავენ ისე, როგორც ჩვენ ვხედავთ. ასე, რომ გადმოერთეთ ჩვენს „რელსებზე“ www.artarea.tv , მოგვძებნეთ თქვენს ტელევიზორებში და გვესტუმრეთ დოდო აბაშიძის 10-ში.



„თუ მაყურებელს სურს არ იყოს ჩართული, დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებასა და დაძაბულ სოციალურ გარემოში, უნდა ამ ყველაფერს გამოეთიშოს, იყოს მშვიდად, მიიღოს ძალიან დიდი პოზიტივი და შეიმეცნოს, აუცილებლად უნდა გადმორთოს არტარიაზე, რომელიც პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მომღერლისა და ჟურნალისტის სიყვარულის ისტორია



**my View**
**დეა თავბერიძე**

**მომღერლისა და ჟურნალისტის სასიყვარულო ურთიერთობა თბილისში სულ ცოტა ხნის წინ გახმაურდა. ყველასთვის ცნობილი „თეატრალური კვარტეტის“ წევრი, ოთო კოვზირიძე „პრაიმტაიმის“ ყოფილ ჟურნალისტ ეკა ჩიკვაიძეზეა შეყვარებულიო. ალბათ, ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ეკა „პრაიმტაიმს“ ექსკლუზივს აძლევს. ეკასთან ამ ამპლუაში საუბარი უცხო იყო, აქამდე ვერასდროს წარმოვიდგენდი, მასზე ერთ „ლავსთორულ“ ამბავს თუ დავწერდი. ყველაფერში მომღერალი სასიძოა დამნაშავე. საზოგადოებისთვის ეკას ვინაობაც ოთოს გამო გახდა საინტერესო. მისი თანაგუნდელებისგან განსხვავებით კვარტეტის ბანი დიდი ხანი იყო მარტოხელა. უკვე ერთი წელია რაც ერთად არიან და თუ ფეხბურთელები მოდელებზე ქორწინდებიან, მომღერლებმა გამიჯნურება ჟურნალისტებზე დაიწყეს.**

ჩემი კოლეგის არჩევანს ვიწონებ, ოთო საკმაოდ ლაღი, კონტაქტური, ენაკვიმატი და თბილი აღმოჩნდა. ის ჩვენს რედაქციაში ყოველთვის სასურველი სტუმარია. ნაკლებად იპოვით ასეთ შესაფერ წყვილს. ეკას და ოთოს კომპანიაში არასდროს მოიწყენ.





# ოთო კოვზირიძე: „თავიც შევაყვარე და მეც ძალიან შემიყვარდა. ჩემ გვერდით როცა არ არის, რაღაცა მაკლია“

# EXCLUSIVE

**- როდის და როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

**ოთო:** - ეს მოხდა გიზო ნიშნიანიძის საღამოზე, ფილარმონიაში, „პაემანი ვერაზე“ ასე ერქვა კონცერტს, რომელიც იმდენად დიდი ხანი მიმდინარეობდა, რომ გაპარსული მივედი და როცა ჩემი სიმღერის დრო მოვიდა გასაპარსი ვიყავი. ამ დროს ეკა მომიახლოვდა, თქვენ თეატრალურის კვარტეტში არ მღერითო? ვგიჟდები ქალაქურ სიმღერაზეო. მე კიდევ ვუთხარი ვგიჟდები გოგო რომ გიჟდება-მეთქი.

**ეკა:** - იტყუება, ასე არ ყოფილა. ერთი სული მქონდა როდის დამთავრდებოდა ეს კონცერტი, გაზეთისთვის მასალა უნდა გამეკეთებინა და იძულებული ვიყავი ბოლომდე დავრჩენილიყავი, რომ მერე კომენტარები ჩამეწერა. ამ დროს ჩვენმა ფოტოგრაფმა ნათია გედენიძემ ოთო მოიყვანა და გამაცნო. იმდენად ვიყავი დაღლილი თითქმის ნახევრად მეძინა. ოთოს კი საოცარი იუმორი აქვს და მისი ენამახვილობით გამომაფხიზლა. უამრავი სასაცილო რამ მოყვა.

**ოთო:** - მეორედ „პროფილის“ გადაღებაზე შევხვდით. იქაც ვმღეროდი, ეკა ისევ მასალის გასაკეთებლად იყო მოსული. აი, იქ კი ძალიან მოვეწონე და მიხვდა, რომ მისთვის ვიყავი დაბადებული და ის ჩემთვის.

**ეკა:** - „პროფილამდე“, ნიშნიანიძის საღამოზე ნომერი ჩაიწერე და იმ საღამოსვე მომწერე. სახლში მისვლისთარიან. ვერასოდეს ვერ ვიტანდი ისეთ სიტუაციებს, აურზაურს რომ უტეხავდნენ ტიპები შეყვარებულებს.

**- პირველი პაემანი გახსოვთ?**

**ოთო:** - კი, პირველი პაემანი პეროვსკაიაზე მექსიკურ რესტორან „სანტაფეში“ იყო. ჩვენი პირველი შეხმატკბილება ამ ადგილს უკავშირდება. მერე უკვე ხშირად ვკონტაქტობდით.

**- მერე, როგორც ვიცი, ურთიერთობაში გქონდათ რამდენიმეთვიანი პაუზა, რა იყო ამის მიზეზი?**

- ჩვენი ურთიერთობა რაღაც მომენტში გაწყდა, იმის გამო, რომ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ძალიან დაკავებული ვიყავი, ჩაწერები, გასტროლები, გადარბენები... ჩემი სამუშაო გრაფიკი ძალიან განსხვავდებოდა სხვა ადამიანების გრაფიკისგან იმით, რომ ძალიან ცოტა დრო მრჩებოდა პირადი ცხოვრებისთვის, ამას კი არ ეთანხმებოდა

# ეკა ჩიკვაიძე: „სტრანნი“ სიურპრიზები აქვს. ერთხელ გაბრაზებული ვიყავი და მწვანილები მომიტანა“





ჩემი ეკა. ვერ შეურიგდა. ამის გამო მოხდა ჩვენი განცალკევება. ექვსთვიანი პაუზა გვქონდა. ვცდილობდით, რომ არ დავკონტაქტებოდით ერთმანეთს.

**ეკა:** - მაგრამ საოცრება ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ვაწუხებდით და არ ვეკონტაქტებოდით, მაინც ხშირად ვხვდებოდით. ნებისმიერ მასალაზე რომ წავსულიყავი, ყველაგან ოთო მხვდებოდა. უცნაური დამთხვევა იყო.

**ოთო:** - ყველაზე მეტად რაც მომეწონა ამ ადამიანში იყო და არის ის, რომ გამომდინარე იქიდან, რომ არ არის დეპრესიული და არის ძალიან მხიარული და პოზიტიური ადვილად შეუძლია შეელიოს ყველაფერს და ყველას. არ ჩავარდება დეპრესიაში იმის გამო რომ შეყვარებულს დაშორდა, არც იმის გამო, რამე გადატრიალება მოხდეს, ეკასთვის სულერთია ეს ყველაფერი. ჩემთვის კი პირიქით, ყოველთვის გულისწყვეტასთან იყო დაკავშირებული ეკაზე გაფიქრება.

**ეკა:** - ვულკანის ამოფრქვევა ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ არც სულერთი იყო ჩვენი ამგვარი დამოკიდებულება. მტკიოდა. თან იმასაც რომ ვაფიქსირებდი თითქოს სპეციალურად ხდებოდა ჩვენი ხშირი, მაგრამ შემთხვევითი შეხვედრები, ეს ყველაფერი ძალიან მოქმედებდა. მედარდებოდა, მაგრამ როცა გედარდება ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ადამიანს ტვინი წაუღო და შეაწუხო, როცა რაღაც არ გამოდის, ე.ი. არ გამოდის. არა ვარ ისეთი ადამიანი, რომელიც ამის გამო დეპრესიაში ვარდება.

**ოთო:** - აი, სწორედ ამიტომაც დავბრუნდი, გადავწყვიტე ისე შემეყვარებინა თავი მისთვის, რომ მერე რომ დავშორდებოდი გაგიჟებულიყო და დეპრესიაში ჩავარდნილიყო.

**დაბრუნება როგორ მოხდა?**

**ეკა:** - იმ პერიოდში ძველი სამსახურიდან წასვლა მომიხდა. ამ დროს გამოჩნდა. თავიდან ნერვები მომეშალა, რა უნდა მეთქი გავიფიქრე, ბოლო პერიოდი საერთოდ არ ჩანდა. უცებ კი მომდის სმს-ი როგორ ხარ? კონცერტი მაქვს და იქნებ მოსულიყავი ჩაი დაგველიაო. თავიდან ძალიან გრძელი მესიჯი ავკრიფე, ვერ მოვალ და ა.შ... მერე წავშალე და კარგი-მეთქი მივწერე. გავიფიქრე, გულს გადავაყოლებ-მეთქი.

**ოთო:** - ასე დაიწყო ხელახლა და დღემდე გრძელდება. ჯერჯერობით იმდენად არ მიშლის ნერვებს, რომ დავემშვიდობო. თავიც შევაყვარე და მეც ძალიან შემიყვარდა. როცა ჩემს გვერდით არ არის, რაღაცა მაკლია. ისე ვერ ვარ, ამიტომ თითქმის სულ ერთად ვართ.

**- უახლოეს ხანში ქორწილსაც ხომ არ გეგმავთ?**

**ოთო:** - არა, მე ვფიქრობ, რომ რაღაც დრო უნდა გავიდეს, სტაჟი სჭირდება ურთიერთობას იმისათვის, მაქსიმალურად უნდა გაიცნო ადამიანი და 90 % მაინც უნდა იცნობდე, რომ მას ოფიციალურად დაუკავშირო ცხოვრება. ზოგადად, ქალი ხომ გაუგებარი არსებაა, რა უნდა ვერ მიხვდები. ეკაში ეს ორმაგად და სამმაგად დევს, ისეთია, განსხვავებული. პრინციპში ეს სადღაც კარგიც არის. იდუმალია ჩემთვის. როცა ამისთვის მზად ვიქნებით, თუ, რა თქმა უნდა, არაფერი შეგვიშლის ხელს, მაშინ დაგვირგვინდება ეს ამბავი.

**- თუ კამათობთ ხოლმე?**

**ოთო:** - კამათიც ხშირია, მაგრამ მალევე ვრიგდებით-ხოლმე, მაქსიმუმ ორი დღე გავძლოთ უერთმანეთოდ.

**- ეკა, როცა უბრაზდები სერენადებს არ გიმღერის ხოლმე?**

- არა, იმდენად ხშირად მღერის, რომ უკვე მაგით ვერ გამაოცებს. სტრანნი სიურპრიზები აქვს. ერთხელ გაბრაზებული ვიყავი და მწვანილები მომიტანა.

**ოთო:** - ყვავილები არ უყვარს, მწვანილი კი ყურადღებაც არის და კუჭზე ზრუნვაც.

**ეკა:** - მწვანილს ცივი წყალიც მოაყოლა, გაბრაზებულ გულზე დალიეო. როცა გაბრაზებული ვარ, ისეთ რაღაცებს აკეთებს, რომ თავს ვაიძულებ არ გავიცინო, მაგრამ არ გამომდის. ხანდახან ვერც კი ვუბრაზდები... ყველაზე მაგარი სიურპრიზი რაც არასდროს დამავიწყდება, ძალიან მოულოდნელი იყო. მე იტალიასა და იტალიურ ფეხბურთზე ვგიჟდები. როცა თბილისში კახი კალაძის გაცილება მოეწყო და იტალიის ნაკრები ჩამოვიდა, სიხარულისგან ლამის გავგიჟდი, ბილეთების ყიდვა რომ გადავწყვიტე, უკვე გვიანი იყო. მერე ჩემს მეგობარ სპორტულ კომენტატორს დავურეკე, აკრედიტაციის შანსი არ არისო. მთელი საღამო სახე ჩამომტიროდა. მეორე დღეს სამსახურშიც დილიდან ცუდ ხასიათზე ვიყავი. უცებ, ოთო მირეკავს. ჩამოდი შენს სამსახურთან ვარო, ჩავედი და ორი ბილეთი ჰქონდა ჩემთვის. აი, ასეთი მზრუნველი ბიჭია.

**- ეკა, შენც ხომ არ მღერი?**

- არა, ოთო იმდენად მაკომპლექსებს, რომ ხმას ვერ ვიღებ. ამ ბოლო დროს სახლში წაღიღინების სურვილიც არ მიჩნდება ხოლმე.

**- ოთო, ეკა პირველი სიყვარულია შენთვის?**

- არა, არ არის პირველი სიყვარული, მაგრამ ასე დიდხანს არასდროს არ ვყოფილვარ გოგოსთან. ერთ წელზე მეტია ერთად ვართ.

**ეკა:** - ძალიან ერთგულია ოთო.

**ოთო:** - მეც ძალიან ვენდობი ამ ადამიანს, არ ვარ ეჭვიანი. ეჭვიანობა სადაც არსებობს, იქ ურთიერთობა ჯობია რომ გაწყდეს, როცა ადამიანები არ ენდობიან ერთმანეთს, ჯობია რომ არ იყვნენ ერთად. როცა გიყვარს, ენდობი... ასე რომ, ასეთი ლაღი, თავისუფალი, დემოკრატიული, ლიბერალური ურთიერთობა გვაქვს, ჯერჯერობით ასეა და იმედი მაქვს, რომ ასე გაგრძელდება.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



დეა თავბერიძე

# ქართველი ხელოვანები საპატიო ვაშინგტონლებად დასახელდნენ








ამერიკაში მოღვაწე ქართველი ხელოვანი ცოლ-ქმარი პაატა და ირინა ციქურიშვილები იმ 12 ვაშინგტონელს შორის დასახელდნენ, რომელთაც ამერიკის დედაქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალეს. მათ მიერ დაფუძნებული „სინეტიკ თეატრი“ დაარსების დღიდანვე პოპულარობით სარგებლობს ამერიკაში. მსახიობების პროფესიონალიზმი და პლასტიკა ბევრს აკვირვებს. მიუხედავად იმისა, რომ თეატრის დამფუძნებლები დიდი ხანია უკვე რაც უცხოეთში ცხოვრობენ, მათ საქართველოში მაინც ძალიან კარგად იცნობენ. სანახაობას სამშობლოში მათმა მიღწევებმა ჩამოასწრო, ხოლო თბილისურმა გასტროლმა შარშან ქართველი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. თავისი არსებობის 12 სეზონის მანძილზე „სინეტიკის“ თეატრმა ვაშინგტონის პრესტიჟული პრემიის, ჰელენ ჰეისის სახელობის პრიზის, 92 ნომინაცია და 24 ჯილდო მოიპოვა. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია 15 იანვარს გაიმართა. როგორც პაატა ციქურიშვილი აღნიშნავს, მისთვის და მისი მეუღლისთვის ეს ჯილდო განსაკუთრებულია. ადგილობრივ დამსახურებულ მოღვაწეთა შორის დასახელება მართლაც დიდი პატივია.

# თემურ წიკლაურის ვარსკვლავი და განაწყენებული მსმენელი

**თემურ წიკლაურის საიუბილეო კონცერტი და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი 22 იანვარს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. დავით ოქიტაშვილს მომღერლის დასათანხმებლად 6 წელი დასჭირდა. კონცერტი საქველმოქმედოა, ბილეთები არ გაყიდულა, მოსაწვევები უფასოდ დარიგდა. თუმცა, საბოლოოდ, მსმენელი მაინც განაწყენებული დარჩა, რადგან კონცერტზე დასწრების ბევრი მსურველი გამოჩნდა, მაგრამ ისინი მოსაწვევების გარეშე დარჩნენ. ყველასთვის საყვარელი მომღერალი, კარგად ცნობილ სიმღერებთან ერთად ახალ სიმღერებსაც შეასრულებს.**

**თემურ წიკლაური:** - რამდენიმე წლის წინანდელი მცდელობა ახლა დაგვირგვინდა. ალბათ, ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის სიყვარული და ეს თავდადება – 45 წელი სცენაზე განსაზღვრავს რაღაცას... ეს ყველაფერი ამის გამომხატველია და ძალიან დასაფასებელი და საპასუხისმგებლო. ძალიან მიყვარხართ ყველა.

**- ადრე, როგორც ვიცი, უარი თქვით, ახლა როგორ დაგითანხმეს?**

- ეს საუბარი 6 წელია მიდის. დათო ოქიტაშვილმა ვარსკვლავის გახსნა მაშინ შემომთავაზა, მაგრამ უარი ვთქვი, არავითარი სურვილი არ მქონდა. მაგრამ დათომ ახლა ეს ყველაფერი ისეთი ფორმით მომაწოდა, რომ დამითანხმა. კარგი ადამიანია, ბევრი დადებითი აქვს გაკეთებული ქვეყნისთვის. ბოლოს ვიფიქრე, ჩათრევას ჩაყოლა ჯობია-მეთქი და ასე დავყევი მის ნებას.

**- როგორც ვიცი კონცერტი მოსაწვევებით არის და ბევრი ამ მოსაწვევის გარეშე დარჩა, ამას როგორ ახსნით?**

- ამ კონცერტზე მოწვეულია 800 ჯარისკაცი, ასევე პოლიციის აკადემიიდან ახალგაზრდა პოლიციელები, დევნილები, დათომ „ფეისბუქზე“ ინფორმაცია განათავსა, რომ მის ოფისში ამა და ამ მისამართზე იქნებოდა უფასოდ მოსაწვევები. ორი დღე იქ იყო წივილ-კივილი. ყველა მოსაწვევი დარიგდა. მერე კი აღმოჩნდა, რომ საშინელ მდგომარეობაში ვართ, როგორც გაირკვა, მსურველი ბევრია მოსაწვევი კი არ არის. რა ვქნათ არ ვიცით. ცოტა სატირალ-სასაცილო მდგომარეობაა.




# მოზარდ მაყურებელთა თეატრი ზუგდიდის თეატრს ეხმარება

**26 იანვარს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი საქველმოქმედო აქციას მართავს. ამჯერად მსახიობები სპექტაკლს „ფიფქიასა და 7 ჯუჯას“ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასახმარებლად ითამაშებენ. შემოსული თანხა მთლიანად ზუგდიდის თეატრის ანგარიშზე გადაირიცხება. ეს პირველი საქველმოქმედო აქციაა ზუგდიდის თეატრის გადასარჩენად. თეატრებს შორის მოზარდ მაყურებელთა თეატრი პირველია ვინც კოლეგებს დასახმარებლად გამოეხმაურა.**

თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული 2013 წლის მონაცემებით თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ერთდროულად რამდენიმე ნომინაციაში ლიდერ პოზიციაზეა.

თბილისის სახელმწიფო თეატრების მიხედვით: ყველაზე მეტი პრემიერა ( 23), რეგიონალური გასტროლი (15), წარმოდგენების რაოდენობა ( 618), დამსწრე მაყურებლის რაოდენობა ( 92 054) მოზარდ მაყურებელთა თეატრს ეკუთვნის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფილმი ბერ გაბრიელზე და დავით ქაცარავას მძიმე როლი



**my View**
დეა თავზერიძე

**მან ნაძირალას სახე უნდა მოირგოს და განასახიეროს ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ბერ გაბრიელს ებრძოდა. ამგვარი საშინელი პერსონაჟი დღემდე არ მითამაშიაო, -ამბობს დავით ქაცარავა... ფილმს თანამედროვე წმინდანის ცხოვრებაზე რეჟისორი გია კაჭარავა იღებს, სცენარის იდეაც მასვე ეკუთვნის. სცენარი 6 თვეა იწერება, პირველი ნაწილი დასრულებულია. დოკუმენტურ მასალასა და რეალურ ფაქტებზე აგებული ისტორიის გადაღება გაზაფხულზე დაიწყება. კინოეკრანებზე ფილმის გამოსვლა ამ წელს არის დაგეგმილი. გაბრიელ ბერის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს სამი მსახიობი ითამაშებს. დავით ქაცარავს კი გაბრიელ ბერის ანტიპოდის თამაში უხდება.**



# „ეს არის „კაგებეს" გენერალი ამირან ქრისტესიაშვილი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მამა გაბრიელს დასდევს და ცდილობს, რომ გაანადგუროს, გატეხოს"...

**EXCLUSIVE**

**„ძალიან ბევრს ვფიქრობ ამ როლზე. მიმდინარე პროცესიც საკმაოდ დაძაბულია. ყველაზე მეტი კითხვა და შიში მაქვს ფილმის ფინალურ სცენასთან"**

**დავით ქაცარავა, მსახიობი, ფილმის პროდიუსერი:** - ჩემი და გია კაჭარავას შეხვედრა აგვისტოს ბოლოს შემთხვევით შედგა. შემომთავაზა, რომ ამ პროექტში როგორც პროდიუსერი ჩავრთულიყავი. იქვე წარმოიშვა იდეაც, რომ ერთ-ერთი მთავარი როლი მეთამაშა. ეს ყველაფერი მოხდა მამა გაბრიელის ხსენების დღეს. ძალიან სიმბოლური იყო ეს წინადადება ჩემთვის და სიამოვნებით ჩავერთე, როგორც პროდიუსინგში, ასევე ამ იდეაშიც. თუმცა როლი ძალიან მძიმეა და ნეგატიური. ვერ ვიტყვი შემაშინა მეთქი, მაგრამ გარკვეული სიფრთხილე მქონდა, სანამ არ შევხვდი დედა პარასკევას, ასე ვიყავი. მერე დედა პარასკევამ დამამშვიდა და დამლოცა.

**- ვისი განსახიერება გიხდება?**

- მამა გაბრიელის სიკეთის ანტიპოდს ვთამაშობ, ანუ ბოროტებას. ეს არის „კაგებეს" გენერალი ამირან ქრისტესიაშვილი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მამა გაბრიელს დასდევს და ცდილობს, რომ გაანადგუროს, გატეხოს, ასე ვთქვათ, გადაახვევინოს მის მიერ არჩეული გზიდან. როლი ძალიან ცუდია... თანაც, არამარტო მისი მამა გაბრიელთან ურთიერთობის მომენტებია, ეს ადამიანი მძიმე მკვლელობასაც სჩადის, სრული ნეგატივია, ერთი ნათელი მხარეც არა აქვს, გვარის გარდა. სცენარზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ, რომ თურმე არსებობდა „ულვთო მებრძოლთა კავშირი", რომელიც ეკლესიას ებრძოდა და სრული უფლება ჰქონდა ყოველგვარი გასამართლების გარეშე, ადგილზე დაეხვრიტა სასულიერო პირები. ამ საშინელი კავშირის ხელმძღვანელი ამირან ქრისტესიაშვილია.

**- ამირან ქრისტესიაშვილი ე.ი. რეალური ადამიანია და არა გამოგონილი გმირი?**

- სინამდვილეშიც იყო, რა თქმა უნდა, მამა გაბრიელის ცხოვრებაში ადამიანი, რომელიც მის განადგურებას ცდილობდა. თუმცა ეს სახელი და გვარი გამოგონილია. ამ შემთხვევაში ეს ადამიანი განასახიერებს საბჭოთა კავშირს, იმ სისტემას, რომელიც მამა გაბრიელსა და მართლმადიდებლობას ებრძოდა.

**- რატომ დათანხმდით? როგორც მახსოვს, წინა ფილმში „ნაწილებში" ანგელოზს განასახიერებდით, ახლა კი, ასე ვთქვათ, დემონის თამაში გიხდებათ.**

- დედა პარასკევას რომ არ დავემშვიდებინე, ალბათ, უარს ვიტყოდი ამ როლის შესრულებაზე. თავიდან, როდესაც სცენარს ვკითხულობდი, ძალიან დაძაბული ვიყავი, ასეთი ნაძარალა და ასეთი ულმერთო კაცი იშვიათად ახსოვს, ალბათ, ისტორიას. ამიტომ ძალიან ბევრს ვფიქრობ ამ როლზე. მიმდინარე პროცესიც საკმაოდ დაძაბულია. ყველაზე მეტი კითხვა და შიში მაქვს ფილმის ფინალურ სცენასთან, ეს არის მამა გაბრიელისა და ამირანის ფინალური დიალოგი, ურთულესი სცენაა, რაც, ამ ეტაპზე, ყველაზე მეტად მაშინებს. თუმცა ფილმის რეჟისორი გია კაჭარავა ძალიან იმედიანად არის და მისი ეს ოპტიმიზმი და თავდაჯერებულობა მეც ძალას მაძლევს და ვფიქრობ, რომ შევძლებ გავაკეთო. თუმცა ასეთი ნაძირალისა და ურჩხულის თამაში მარტივი არ იქნება.

**- როგორც ვიცი, ტელეეკრანებზე ფილმი 2014 წელს უნდა გამოვიდეს, რა ეტაპზე ხართ ახლა?**

- ჩვენი გეგმით წელს უნდა მოხდეს ამ ფილმის რელიზი, თუმცა, ეს რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. დაფინანსება ყველაზე მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში და ჩვენ ველოდებით პასუხს კულტურის სამინისტროდან, სადაც შეტანილი გვაქვს პროექტი. ჯერჯერობით სიჩუმეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ის პროექტია, რომელზეც კითხვები არ ჩნდება, დაფინანსდეს თუ არ დაფინანსდეს.

**- დაახლოებით რა თანხაზეა საუბარი, რამდენია ფილმის ბიუჯეტი?**

- ეს ფილმი იქნება მინიმუმ ორნაწილიანი, შეიძლება ტრილოგიაც გაკეთდეს, იქნება მამა გაბრიელის ბავშვობა, მეორე სურათში სრული ცხოვრება. წესით, ამ ორივე სურათის ბიუჯეტი მილიონ ნახევარი ლარი უნდა იყოს, რადგან მეორე ნაწილში ჩვენ იმ ურთულეს ეპიზოდებს ვაცოცხლებთ, რომელიც აქამდე არავის გაუკეთებია, ეს არის 1956 წლის 9 მარტის დემონსტრაცია, სადაც მოხდა დემონსტრანტების დახვრეტა. ასევე იქნება ძალიან დიდი სცენა, რომელიც მამა გაბრიელის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მომენტია. ეს არის 1965 წლის პირველი მაისის აღლუმი, სადაც მან 25-მეტრიანი ლენინის პორტრეტი დაწვა და რომლის შემდეგაც ჯერ ციხეში ხვდება, მერე საგიჟეთში. პირველ ნაწილშიც არანაკლებ საინტერესო მომენტები იქნება გაჟღერებული.

**- როგორც ვხვდები, ბერი გაბრიელის განასახიერება სამ ადამიანს მოუწევს, უკვე შეარჩიეთ მსახიობები?**

- რაღაც მონახაზები გვაქვს, თუმცა, ჯერ არ გავაჟღერებთ, რადგან თებერვლის დასაწყისში ჩვენ ფართომასშტაბიანი კასტინგის დაწყებას ვგეგმავთ, ძალიან ბევრი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, და აქედან გამომდინარე მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას, ვინ ითამაშებს მამა გაბრიელს. იმიტომ რომ ეს ძალიან საპასუხისმგებლო საკითხია, რადგან ეს პროექტი არ არის მარტო ჩვენი პროექტი, არამედ ეს არის ყველას პროექტი და მთელი საქართველოს ფილმი უნდა იყოს. შესაბამისად, კასტინგის შემდეგ ზუსტად შევძლებთ გიპასუხოთ თუ ვინ ითამაშებს მამა გაბრიელს.

**- გადაღება თუ იქნება იმ სახლში სადაც მამა გაბრიელი ცხოვრობდა?**

- ფაქტობრივად მიღწეული გვაქვს შეთანხმება, რომ ბავშვობის სცენები იმ სახლში გადავიღოთ სადაც მამა გაბრიელი იზრდებოდა. შევეცდებით მაქსიმალურად და ზუსტად გადმოვიტანოთ კინოფირზე მამა გაბრიელის მოღვაწეობა. გვინდა წმინდანის ცხოვრება რეალურ გარემოში, იმ გზაზე, იმ ადგილებში გადავიღოთ, სადაც ის იმყოფებოდა. ასე რომ, საზოგადოება ნახავს საინტერესო ფილმს წმინდანზე, რომლის პიროვნება განსაკუთრებულ მოწიწებას და სიყვარულს იწვევს.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თბილისის ზოოპარკში მოზარდებმა ცივეტას ცეცხლი წაუკიდეს





**თბილისის ზღვაზე ტერიტორიის ნაწილი ჩვენ გვეკუთვნის, ცხოველების გარკვეული რაოდენობის გადაყვანას იქ ვგეგმავთ უფრო დიდ ვოლიერებში ბევრად კომფორტულად, ზოგი ზოოპარკის მობინადრე კი აქ დარჩება.**

ნათია მაისურაძე

**თბილისის ზოოპარკი ბავშვების ერთ-ერთი საყვარელი გასართობი და დასასვენებელი ადგილია. ყოველდღიურად ზოოპარკს უამრავი ადამიანი სტუმრობს, ამიტომ არავისთვის უცხო არაა იქ შექმნილი მდგომარეობა - პირველი, რაც თვალში გხვდება არაესთეტიკური ვოლიერები და არასასიამოვნო სუნია, რომელიც არა მარტო ზოოპარკის, არამედ მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება. რა სიტუაციაში ცხოვრობენ თბილისის ზოოპარკის ბინადარნი, არის თუ არა დაცული ცხოველთა უფლებები და რა გამოსავალია იმ მდგომარეობიდან, რომელიც აქ ბოლო პერიოდში შეიქმნა. ზოოპარკის ადმინისტრაცია მთავარ პრობლემად ცხოველებისადმი ადამიანების დამოკიდებულებას ასახელებს, ცოტა ხნის წინ აქ 11 წლის მოზარდებმა ცივეტას ცეცხლი წაუკიდეს.**

რა პრობლემების წინაშე დგას დღეს თბილისის ზოოპარკი და რას პასუხობს ზოოპარკის დირექტორი ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების პრეტენზიებს, ამის გარკვევა „პრაიმტაიმმა“ ზურაბ გურიელიძესთან გადაწყვიტა.

**ზურაბ გურიელიძე (ზოოპარკის დირექტორი):** - ცხოველთა დამცველი ორგანიზაციების კრიტიკას არ ვილებ, რისი საშუალებაც გვაქვს, ყველაფერს ვაკეთებთ. გამუდმებით ახალ ვოლიერებს ვხსნით და ახალი ცხოველები ჩამოგვყავს. ხუთი წლის წინ აქ პატარა გალიები იდგა, სადაც ცხოველები არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს. თბილისის ზოოპარკში არასოდეს ყოფილან პინგვინები, სწორედ ახლა ვაკეთებთ პინგვინებისთვის აუზს და, ალბათ, მარტისთვის ზოოპარკს პინგვინებიც ეყოლება. მარტო პინგვინების აუზის მშენებლობა 50 000-ზე მეტი ჯდება, ამიტომ ნურავინ იტყვის, რომ ცხოველები საშინელ პირობებში გვყავს. ჩვენ, რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ და ვცდილობთ, რომ ისინი მაქსიმალურ კომფორტში იყვნენ. ასევე, ატრაქციონების მაგივრად ახალი ვოლიერების გაკეთებას ვაპირებთ. ცხოველთა დამცველებს პრეტენზია არც უნდა ჰქონდეთ, რადგან მათი თხოვნით დავუშვით ზოოპარკის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველთა გაჩუქების აქცია, ყოველ კვირა დღეს. ჩვენ მათთან ყოველთვის ვთანამშრომლობთ.

**- რამდენია ზოოპარკის დაფინანსება?**

- მთავრობა ჩვენ ყოველწლიურად გვიმტკიცებს ბიუჯეტიდან გარკვეულ თანხას, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა. ასევე ამ ყველაფერს ბილეთებიდან შემოსული თანხით ვაკეთებთ, 2006 წლიდან დღემდე შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა, 70 000-დან 1 500 000-მდე. ბევრჯერ მივმართეთ კერძო ორგანიზაციებს დახმარებისთვის, მაგრამ უშედეგოდ. სამომავლოდაც, არ ვკარგავთ იმედს და კვლავაც ვცდით ვინმეს მივმართოთ. თუმცა, საბედნიეროდ, მათ გარეშეც გვაქვს ჩვენი სახსრები და ზოოპარკში უამრავი რამის გაკეთებას ვგეგმავთ.

**- ცხოველთა დამცველთა თქმით, ასეთ პირობებში ცხოველების ყოფნა დაუშვებელია, რადგან გალიები მოუვლელია.**

- აქ მონიტორინგი ჩაატარეს არასამთავრობოებმა და ანგარიშიც დაწერეს, ყველაფერი რიგზეა. რა თქმა უნდა, ცხოველი ზოგჯერ რაღაცას დასვრის და ეს ნორმალურიცაა. სიბინძურე კი ჩვენთან გამორიცხულია, არ არის. ცხოველთა დამცველებისათვის საერთოდ მიუღებელიც კია ზოოპარკის არსებობა, ამიტომ აქვთ მათ ჩვენთან პრეტენზიები. თბილისის ზოოპარკი იდეალისაგან საკმაოდ შორსაა, მაგრამ ძალიან ბევრი ცვლილებაა უკეთესობისკენ. არასამთავროებისთვის მთავარი პრობლემაა დათვები, მათი თქმით, ცხოველის გალიები ბინძურია და სუნი ამიტომ გამოდის, ეს ასე არ არის, პრობლემა სხვა რამეშია, ეს მათი სუნია, მათი სპეციფიკაა. დათვებს ჯირკვლები აქვთ, რომლებიც ამ სუნს გამოსცემენ, რათა ერთმანეთს დაუკავშირდნენ. თუ ეს ყველაფერი არ იციან და გალიებში სიბინძურე ჩვენი ბრალი ჰგონიათ, მათი ცოდნის ნაკლებობისკენ მიგვითითებს. ზოგიერთ ზოოპარკებში იყენებენ სპრეის სუნის გასაქრობად. ბრიტანეთში კი სხვანაირად ხდება, მათი თქმით ცხოველი ადამიანმა ისეთი უნდა გაიცნოს, როგორიც არის, თუ სუნი აქვს უნდა ჰქონდეს. ბრიტანეთის ზოოპარკები მოწინავეა მსოფლიოში. მეც ვეთანხმები მათ, ადამიანს, სხვა შემთხვევაში, სწორი შეხედულება ცხოველზე ვერ ჩამოუყალიბდება.

**- რაც შეეხება ცხოველებისთვის ზიანის მიყენების ფაქტებს, რომელიც არაერთხელ დაფიქსირდა, რას აკეთებთ ამის წინააღმდეგ?**

- ამ პრობლემის მოგვარების ორ გზას ვხედავ, პირველი ისაა, რომ უნდა დაწესდეს აკრძალვები და ის, ვინც ცხოველს ზიანს მიაყენებს, უნდა დაისაჯოს და დაეკისროს ჯარიმა, მეორე გზა კი უფრო ჰუმანურია, ადამიანი უნდა მივიყვანოთ იმ შეგნებამდე, რომ ცხოველებს არ ავნოს. აქ მოდიან ადამიანები, რომლებიც ამკრძალავ ნიშნებს არ უყურებენ, ან უარეს შემთხვევაში ამტვრევენ მას და ცხოველებს აკრძალულ საკვებს აჭმევენ, ზოგიერთ შემთხვევაში ეს მათთვის მომწამვლელია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ზოოპარკში საგანმანათლებლო ცენტრი გავხსენით.

## „ცოტა ხნის წინ ზოოპარკის ბინადარ ცივეტას ცეცხლი წაუკიდეს, საბედნიეროდ კამერები გვაქვს დამონტაჟებული და დაცვამ დროულად გადაარჩინა ცხოველი. დამნაშავეები კი 10 – 11 წლის ბავშვები აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ ასეთი შემთხვევები ხშირია“





ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, თბილისის ზოოპარკში ვოლიერებს ორი დამცავი აქვს, ერთი იმისთვის, რომ ცხოველი არ გამოვიდეს, მეორე კი იმისთვის, რომ ადამიანი არ შევიდეს და ცხოველს არ ავნოს, საზღვარგარეთ კი მხოლოდ ერთი დამცავია, ესეც იმიტომაა, რომ ცხოველმა ადამიანს არ ავნოს. ეს ხალხის შეგნების საკითხია. ცოტა ხნის წინ ზოოპარკის ბინადარ ცივეტას ცეცხლი წაუკიდეს, საბედნიეროდ, კამერები გვაქვს დამონტაჟებული და დაცვამ დროულად გადაარჩინა ცხოველი. დამნაშავეები კი 10-11 წლის ბავშვები აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხშირია.

ჩვენ საგანმანათლებლო ცენტრში კი ბავშვებს ასწავლიან, როგორ უნდა მოეპყრო ცხოველს.

**- როგორც ცნობილია, ზოოპარკის გადატანას თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე აპირებდნენ. რა ხდება ამ ეტაპზე?**

- დიახ, ეს სიმართლეა, თბილისის ზღვაზე ტერიტორიის ნაწილი ჩვენ გვეკუთვნის, ცხოველების გარკვეული რაოდენობის გადაყვანას იქ ვგეგმავთ, უფრო დიდ ვოლიერებში, ბევრად კომფორტულად, ზოოპარკის ზოგი მობინადრე კი აქ დარჩება.

ზურაბ გურიელიძესთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტეთ, საგანმანათლებლო ცენტრი მოგვენახულებინა, სადაც ბავშვებს ცხოველებთან ურთიერთობას ასწავლიან. ცენტრს ირმა ბოჭორიშვილი ხელმძღვანელობს.

**ირმა ბოჭორიშვილი:** „ჩვენი პროგრამა არის სამეცნიერო და საგანმანათლებლო. შაბათ-კვირას 4-დან 16-წლამდე ასაკის ბავშვები მოდიან და ჩვენ ვუტარებთ სახალისო საათ-ნახევრიან გაკვეთილს ცხოველებზე და ვასწავლით მათთან მოქცევას.

ამ პროგრამაზე ბევრმა არ იცის. თვითონ ბავშვები გადასცემენ ამის შესახებ ერთმანეთს ინფორმაციას. რეკლამის გაკეთება არ გვიცდია, ამიტომაც ყოველ წელს აქ დაახლოებით 30 ბავშვი მოდის. ჩვენ ისინი ასევე დაცულ ტერიტორიებზე მიგვყავს. ვატარებთ მცირე შემეცნებით ექსკურსიას ზოოპარკში სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისთვის. წელს დაახლოებით 1125 მოსწავლე მოვიდა.

სპეციალურ ცენტრში, სანამ ბავშვები და მოზარდები ცხოველებთან ურთიერთობას სწავლობენ, ცხოველთა უფლებების დამცველები თბილისის ზოოპარკში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობენ.

**მარიკა ჩხიკვიშვილი:** - ადრე იყო პრობლემა, როდესაც დათვები თაკარა მზეში გარეთ იყვნენ და საშინლად არაკომფორტული პირობები ჰქონდათ, არსად არ იყო წყალი ან თუნდაც ხე, ჩრდილში რომ შესულიყვნენ. გამოჩნდა აქტივისტების ჯგუფი, რომლებმაც მონიტორინგში ჩართვა მოინდომეს, იქ მეც ერთ- ერთი აქტივისტი ვიყავი, ზოოპარკის დირექტორმა ჩვენი თხოვნით ნება დაგვრთო, რომ დათვებისთვის მიგვეხედა და მათი დახმარებით ახლა უკეთესი პირობები აქვთ.

**- რაც შეეხება ცხოველთა დაზიანების ფაქტებს, როგორ უნდა დაიცვათ გალიაში მყოფი ცხოველები ადამიანების აგრესიისგან?**

- საზოგადოების დამოკიდებულებას კულტურა განაპირობებს, კულტურას კი წიგნიერება, ცოტა რთულია იდეალური მდგომარეობამდე მიღწევა. ბრაკონიერობის საწინააღმდეგო კანონი არსებობს, თუმცა არავინ ისჯება და ამის გამო უამრავი ცხოველი ზარალდება, ხალხს კი იმდენი შეგნება არ აქვს და არ უნდა, რომ გაიაზროს, ის ცხოველი, რომელსაც იგი კლავს, ცოცხალი არსებაა და სიცოცხლის უფლება აქვს. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, სოფელში სრული სისასტიკე მოხდა, ბიჭმა ძაღლი თოფით მოკლა, შემდეგ კი თავი მოაჭრა, სოფელს კი მისი დასჯა არ სურდა, რადგან თვლიდნენ, რომ ადამიანი ცხოველის გამო არ უნდა დაისაჯოს. ეს ხომ წარმოუდგენელია, ცხოველმა რა დააშავა?!..

## „კრიტიკას არ ვილებ, რისი საშუალებაც გვაქვს, ყველაფერს ვაკეთებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N2 (252) ორშაბათი, 20 იანვარი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



EXCLUSIVE

## გია ყანჩელი:

„შეიძლება ითქვას, რომ ბედნიერიც ვარ, იმიტომ, რომ ჩემთვის ეს საღამო მოულოდნელი იყო. იმ რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, რაც დარბაზში იყო, მსმენელმა სიამოვნება მიიღო, რაც ჩემთვის მთავარია“

## პირველად „პრაიმტაიმში“



ძველი ახლად ნაპოვნი საუკუნის წინანდელი ნახატები EXCLUSIVE



# ნიკოლოზ ხომასურიძე „ჯინსების თაობას“ ჰოლივუდში გადაიღებს

EXCLUSIVE

ISSN 1987-7404

9 771987 740005



EXCLUSIVE

## „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებული მოცეკვავე უპარიზოდ დატოვეს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება